ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ტერმინოლოგიის საკითხები

VI

2024

სარედაქციო საბჭო:

ავთანდილ არაბული – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ოთარ გამყრელიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;

გელა გელაშვილი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

გურამ გოგიშვილი – მათემატიკის აკადემიური დოქტორი;

გიორგი გოგოლაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

დარეჯან თვალთვაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ნანა მაჭავარიანი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ელგუჯა მეძმარიაშვილი – გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ვლადიმერ პაპავა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ვაჟა შენგელია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

რამაზ შენგელია – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

გიორგი ძიძიგური – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სარედაქციო კოლეგია:

ლინდა გიორგაძე, ნინო დათეშიძე, თამარ ვაშაკიძე, ნათელა მუზაშვილი, სალომე ომიაძე, მარინე ოსაძე, რუსუდან პაპიაშვილი, მანანა რუსიეშვილი.

რედაქტორი ლია ქაროსანიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Terminology Issues

VI

2024

Editorial Committee:

Avtandil Arabuli – Doctor of Philological Sciences, Academician;

Otar Gamkrelidze – Doctor of Sciences in Law;

Gela Gelashvili – Doctor of Physical and Mathematical Sciences;

Guram Gogishvili – Doctor of Mathematical Sciences;

Giorgi Gogolashvili – Doctor of Philological Sciences;

Darejan Tvaltvadze – Doctor of Philological Sciences;

Nana Machavariani – Doctor of Philological Sciences;

Elguja Medzmariashvili – Major-General, doctor of Military Sciences, doctor of Technical Sciences, academician;

Vladimer Papava – Doctor of Economic Sciences, academician;

Vazha Shengelia – Doctor of Philological Sciences;

Ramaz Shengelia – Doctor of Medical Sciences, academician;

Giorgi Dzidziguri – Doctor of Technical Sciences, professor.

Editorial Board:

Linda Giorgadze, Nino Dateshidze, Tamar Vashakidze, Natela Muzashvili, Marine Osadze, Rusudan Papiashvili, Manana Rusieshvili.

Editor Lia Karosanidze

სარჩევი – Content

ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ტერმინოლოგიურ სისტემათა რეგულირების თავისებურებანი საფრანგეთში 9
Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovich, Features of Regulation of Terminological Systems in France 14

Tsitsino Gabeskiria, Some Problems of Georgian Mathematical Terminology .. 16
ციცინო გაბესკირია, ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ზოგი საკითხისათვის..... 21

თამაზ დევიძე, წმინდა ძღვენთან დაკავშირებული ტერმინოლოგია პირველშეწირულის ლიტურგიაში – ტრადიცია და თანამედროვეობა.... 23
Tamaz Devidze, Terminology Related to the Presanctified Lamb in the Liturgy of Presanctified Gifts: Tradition and Contemporaneity 30

ირინე დემეტრაძე, ზოგიერთი დენდროლოგიური ტერმინის ეტიმოლოგია და სემანტიკა 32
Irine Demetradze, The Etymology and Semantics of Certain Dendrological Terms 39

ლალი ეზუგბაია, გია ხატისაშვილი, თინათინ ბუთხუზი, თამარ ხატისაშვილი, მანანა ბუკია, ელიზბარ ელიზბარაშვილი, ქიმიის ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური განმარტებითი ონლაინლექსიკონის ძირითადი პრინციპები 40
Lali Ezugbaia, Gia Khatisashvili, Tinatin Butkhuzi, Tamar Khatisashvili, Manana Bukia, Elizbar Elizbarashvili, The Main Principles of the English-Georgian and Georgian-English Explanatory Online Dictionary of Chemistry Terminology 56

რუსუდან ზექალაშვილი, ნაზმნარი არსებითი სახელის ადგილი ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში 58
Rusudan Zekalashvili, The Place of Verbal Nouns in Georgian Medical Terminology. 74

დავით იობიძე, საღვთისმეტყველო ტერმინების νόμος და διαθήκη ქართული ეკვივალენტები წმინდა წერილის ძველ ქართულ თარგმანებში 76
David Iobidze, Georgian Equivalents of the Theological Terms νόμος and διαθήκη in Ancient Georgian Translations of the Holy Scriptures 87

ზაალ კიკვიძე, ენის სახელწოდების აღმნიშვნელი ტერმინები: ლინგვონიმი/ლინგვანიმი, გლოსონიმი/გლოტონიმი, ლოგონიმი და ა.შ. 89
Zaal Kikvidze, Terms for a Language Name: linguonym/linguanym, glossonym/glottonym, logonym, etc..... 98

ჰენრი კუპრაშვილი, აკადემიური სასწავლო და სამეცნიერო კვლევების სფეროებში ზოგიერთი ტერმინის გამოყენების საკითხისათვის 101
Henri Kuprashvili, Regarding the Issue of the Use of Some Terms in Academic Studies and Scientific Research..... 115

ლია ლურსმანაშვილი, სასულიერო პირთა ზედა სამოსის კვლევის საკითხები („ჩოხა“)..... 117
Lia Lursmanashvili, Research Issues on the Upper Garment of the Clergy (Chokha) 131

ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე, უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელები ქართულ ენასა და სამეცნიერო ტერმინოლოგიაში 133
Natela Muzashvili, Marine Osadze, Adjectives of Foreign Origin in the Georgian Language and Scientific Terminology 140

მარიამ ორკოდაშვილი, ფრაზეოლოგიზმები და მეტაფორები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში..... 142
Mariam Orkodashvili, Phraseological and Metaphoric Units in the Spheres of Science and Technology 146

Mavina Pantazara, Terminology Research in Greece: Overview, Challenges, Perspectives 147
მავინა პანტაზარა, ტერმინოლოგიური კვლევა საბერძნეთში: მიმოხილვა, გამოწვევები, პერსპექტივები 171

მანანა რუსიეშვილი, ლია ქაროსანიძე, მანანა ხაჩიძე, ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი (ახალი პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) 174
Manana Rusieshvili, Lia Karosanidze, Manana Khachidze, Extensive Georgian-English Thematic Dictionary (New Project at Tbilisi State University) ... 181

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი, მეტეოროლოგიურ მოვლენათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ეთნოლინგვისტიკური ანალიზი სვანურში 184
Medea Saghliani, Nato Shavreshiani, Ethnolinguistic Analysis of Terminology Denoting Meteorological Phenomena in Svan 205

ნინო ქემერტელიძე, მერი გიორგაძე, ბოტანიკური ლექსიკა იდიომატურ გამოთქმებში 207
Nino Kemertelidze, *Meri Giorgadze,* Botanical Terms in Idiomatic Expressions 213

ნინო ღამბაშიძე, ტერმინები ნანა და იავნანა 215
Nino Ghambashidze, Terms Nana and Iavnana (Some Considerations) 222

მედეა ღლონტი, ქართ. სიტყვა-ცნება *მ რ ე ვ ლ ი ს* სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკის საღვთისმეტყველო წანამძღვრებისათვის 224
Medea Ghlonti, For the theological foundations of Substantive-functional Semantics of the Georg. word-concept *Mrevli* (*მრევლი*) 238

ირინე ჩაჩანიძე, თამარ გუჩუა, პარიზის ემიგრაციის „ქართული ლექსიკონი“: მივიწყებული სიტყვები 240
Irine Chachanidze, Tamar Guchua, “The Georgian Dictionary” of the Georgian Emigration in Paris: Forgotten Words 253

ნატა ჩხაიძე, ი. მელჩუკის სემანტიკური ხიდები ტერმინოლოგიის კონტექსტში 255
Nata Chkhaidze, Semantic Bridges of I. Mel’čuk in the Framework of Terminology 264

მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე), ქრისტიანული ტერმინოლოგიის საკითხისათვის 265

Mamuka Tsukhishvili (Monk Ioane), About the Issue of Christian Terminology 279

სოფიკო ჭაავა, ქართული ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ენის კომისიების მუშაობა 1919-1920 წლების საარქივო მასალების მიხედვით 281
Sofiko Tchaava, The work of the Georgian Terminology and Literary Language Commissions according to archival materials from 1919-1920 298

თამარ ხატიაშვილი, წყალთან დაკავშირებული ლექსიკის ქართულ-ინგლისური შესაბამისობის საკითხები (მასალები ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონისათვის) 300
Tamar Khatiashvili, Matching Issues of the Water-Related Georgian-English Vocabulary (Materials for an Extensive Georgian-English Thematic Dictionary) 313

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე, ახალი ნომენკლატურული სახელები „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“ 315
Nana Khotcholava-Matchavariani, David Chelidze, New Nomenclatural Names in A Cumulative Glossary of Plant Names 322

საძიებელი 324

ციური ახვლედიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი
tsiuriakhvlediani@yahoo.com

მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი
mariam.burchak.abramovichi@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკა, ფრანგული აკადემია, ფრანგული ტერმინები, ნეოლოგიზმები, ნასესხობანი.

ტერმინოლოგიურ სისტემათა რეგულირების თავისებურებანი საფრანგეთში

საფრანგეთში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინთა ნორმალიზაციასა და რეგლამენტირებას. ეს საკითხი უკავშირდება სახელმწიფოს „პუნქტუალურ“ დამოკიდებულებას ფრანგული ენისადმი. მთელ მსოფლიოში ცნობილია ფრანგული აკადემია (Académie française), რომელიც შედის საფრანგეთის ინსტიტუტის შემადგენლობაში (Institut de France) და არის სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც შეისწავლის ფრანგული ენის სხვადასხვა საკითხს, ასევე აწესრიგებს ენობრივ და ლიტერატურულ ნორმებს. აკადემია ჩართულია ფრანგულ ტერმინთა შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე ფრანგული ენის გამდიდრების კომისიის მუდმივი წევრობის ფარგლებში (Commission d’enrichissement de la langue française), იმართება იმ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრებები, რომლებიც ხელს უწყობენ ფრანგული ენის გავრცელებას (კერძოდ, სპეციალური ლექსიკისა, ტერმინთა შექმნის საშუალებით), ნეოლოგიზმების შექმნას, ასევე – ეროვნული ენის გამოყენებას ეკონომიკურ, იურიდიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებში. მაგალითად მოვიყვანთ ეკონომიკური ტერმინის bas de la pyramide *სალექსიკონო სტატიას (პირამიდის ფსკერი), 7 დეკემბერი, 2018 წ.:* bas de la pyramide Abréviation : BDP. Domaine : Économie et gestion d’entreprise. Définition : Segment de

la clientèle potentielle disposant des revenus les plus faibles. Note : Intéressant jusqu'alors faiblement le marché, le bas de la pyramide fait désormais l'objet d'offres commerciales spécifiques. Équivalent étranger : bottom of the pyramid (BOP). *პირამიდის ფსკერი, აბრევიაცია: BDP. დარგი: საწარმოს ეკონომიკა და მართვა. დეფინიცია, ცნების განსაზღვრა: პოტენციური კლიენტურის სეგმენტი, რომელიც განკარგავს ყველაზე სუსტების შემობრუნებას. შენიშვნა: საინტერესოა, რომ აქამდე ბაზრის სისუსტე, პირამიდის ფსკერი, ამიერიდან ქმნის სპეციფიკური კომერციული შეთავაზებების ობიექტს. ინგლისური ეკვივალენტია:* bottom of the pyramid - *BOP).*

თანამედროვე ლინგვისტთა ყურადღების ცენტრშია საზოგადოების ენაზე გავლენის ბუნება და ხასიათი. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შემეცნებითი თავისებურებების შესწავლასა და ადამიანთა მიზანმიმართულ გავლენას ენობრივი სისტემის სტრუქტურასა და შინაარსზე. ცალკე საკითხად გამოიყოფა ტერმინთა, როგორც ენის ნაწილის, სახელმწიფო რეგულირება, რადგან სახელდობრ ამ სფეროში გადაიკვეთება წმინდა ლინგვისტური პრობლემები (ენობრივი ნორმა, ნასესხობები, ნეოლოგიზმები და სხვ.) და პრაქტიკული საკითხები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. სახელდობრ ამიტომაც, საფრანგეთში სერიოზული ყურადღება ეთმობა ტერმინთა ნორმალიზაციას. კომისიის მუშაობის კოორდინაციას უწევს ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების გენერალური დელეგაცია (Délégation générale à la langue française et aux langues de France), რომელიც შედის კულტურისა და კომუნიკაციის სამინისტროში (Ministère de la culture et de la communication). კომისია შედგება ექსპერტთა ჯგუფებისაგან (კომიტეტებისაგან) სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებით, ასევე – აკადემიის წარმომადგენლებისაგან, შეუძლიათ შეიტანონ აუცილებელი ჩასწორებანი შემოთავაზებულ ტერმინოლოგიურ ერთეულებში. აკადემია აგზავნის კომიტეტებში ლექსიკოგრაფებს, რომლებიც დაკავებულნი არიან აკადემიის ლექსიკონის შედგენით (Dictionnaire de l'Académie), რადგან , სახელდობრ, ასეთი სპეციალისტები ფლობენ იმ ჩვევებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა დარგის ლექსიკურ ერთეულთა შერჩევა და კლასიფიკაცია. კომისიის ნაშრომთა შედეგად ჩნდება იმ ტერმინთა სიები, რომლებიც მოწონებულია საშტატო ექსპერტებისა და აკადემიის წარმომადგენელთა მიერ. ასეთი სიები ხშირად იბეჭდება და ქვეყნდება საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ბიულეტენში (Jour-

nal officiel). სიები შედგენილია თემატურად (Vocabulaire du droit, Vocabulaire des finances, Vocabulaire des énergies renouvelables და ა. შ.), ამასთანავე, თითოეული ტერმინისათვის იქმნება ცალკე სტატია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიღებულ აბრევიატურაზე, გამოყენების პროფესიონალურ სფეროზე, დეფინიციაზე, შემიშვნა და ასევე უცხოურ ეკვივალენტზეც. კომისია განსაზღვრავს მათი გამოყენებისა და გავრცელების წესებს. კომისიის მუშაობის ნორმატიულ ნაწილს შეიძლება გავეცნოთ ყოველწლიურ მოხსენებებში. ცალკეულ სამეცნიერო სფეროთა მიხედვით ტერმინთა სიები დევს საიტზე France Terme. ასევე, პორტალზე რეგულარულად ქვეყნდება რეკომენდაციები ინგლისურ ტერმინთა ჩასანაცვლებლად. ნებისმიერ ინტერნეტმომხმარებელს შეუძლია დატოვოს განაცხადი ახალი ტერმინის ოფიციალურ დადასტურებაზე. კომისიის სამეცნიერო მხარდამჭერია საფრანგეთის ტერმინოლოგიური საზოგადოება (Société française de terminologie), რომელიც დაკავებულია სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინთა წინსვლითა და სპეციალურ მიზანთათვის ენის პრესტიჟის ამაღლებით, ტერმინოლოგიურ კვლევათა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებითა და ჩატარებით. ტერმინოლოგიური გაერთიანება ევროპული ტერმინოლოგიური ასოციაციის (Association européenne de terminologie) წევრია და ურთიერთობს მთელი მსოფლიოს სხვა ტერმინოლოგიურ ორგანიზაციებთან (the International Network for Terminology, the International Information Centre for Terminology და სხვ.), რაც ხელს უწყობს ტერმინოლოგიური სისტემებისადმი უნივერსალური მოთხოვნების წამოყენებასა და ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეკვივალენტურ ტერმინთა შეთანხმების საკითხებს. ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა საიტებზე წარმოდგენილი ნორმატიული დოკუმენტების შესწავლა და ფაქტობრივი მასალის ანალიზი (ტერმინების, რეკომენდაციების სიები) საშუალებას იძლევა, დავინახოთ კომისიის განსაზღვრული მოთხოვნები შექმნილი და დადასტურებული ტერმინების მიმართ, რომლებიც შეიძლება ილუსტრირებული იყოს სხვადასხვა მაგალითით: 1. ნასესხობათა ელიმინაცია ინგლისური ენიდან (learning centre → bibliothèque, médiathèque, centre de ressources, forum des savoirs); 2. სიტყვაწარმოების ფრანგული ხერხების გამოყენება (წინსართი e-ს და მისი ვარიანტების é-, i- ს შეცვლა, რომლებსაც შეიცავენ სემები */électronique/, /informatique/* ან */télécommunication/,* უფრო ზუსტი ფრანგული პრეფიქსებით *cyber-, télé* - ან გამონათქვამით en ligne); 3. ტერმინთა წარმოქმნის წყარო – ფრანგული საერთოგამოყენებადი

ენა (ინგლისური სპეციფიკური ტერმინების ფრანგული ეკვივალენტების შექმნისას გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენება, რომლებიც იხმარება მხოლოდ პროფესიონალურ სფეროში: freemium → gratuit-payant, subprime loan → prêt à haut risque); 4. ტერმინოლოგიური ერთეულის ფორმისა და შინაარსის გამჭვირვალობა, მკაფიოობა, სიცხადე (მისწრაფება ცნების გამომხატველი ტერმინის სრული შესაბამისობისადმი მოითხოვს აუცილებლობას, რომ ტერმინოლოგიურ სისტემებში შემოტანილი იყოს ის ერთეულები, რომლებიც დააზუსტებენ განსაზღვრულ ცნებით ნიშნებს; ინგლისური ტერმინისათვის low cost მოიძებნება რამდენიმე ეკვივალენტი, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1). ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ საქონელს ან მომსახურებას, რომელთა ფასი მცირდება მათი წარმოებისადმი ნაკლები ხარჯით: à coûts réduits, à bas coûts; 2). ტერმინები, რომლებიც აღნიშნავს საქონელს ან მომსახურებას, რომელთა ფასი თავდაპირველად შედარებით დაბალია ან მცირდება კომერციული მიზნებით: premier prix, à prix réduit, à prix cassé, à bas prix, bon marché, économique, vendu à prix d'appel; 3). ტერმინის შესაბამისობა იმ ეკვივალენტებთან, რომლებიც არსებობენ სხვა ფრანგულენოვან ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთსა და კვებეკში მოქმედებს საერთო ლიტერატურული ტერმინი prête-plume და აღნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც ქმნის ტექსტებს შემკვეთის სახელით (ნაცვლად მოძველებული ტერმინისა nègre littéraire); თუმცა, კვებეკში ასევე გავრცელებულია ტერმინი écrivain fantôme, რომელიც კალკირებულია ინგლისური ტერმინიდან ghost writer).

საფრანგეთის სახელმწიფოს მისწრაფებას, რომ შეექმნა საუკეთესო პირობები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, ხელს უწყობდა ფრანგული ენის ტერმინოლოგიის მართვის მტკიცე მექანიზმის ფორმირება. თანამედროვე ფრანგული ტერმინოლოგიური სისტემების მარეგულირებელ მთავარ ორგანოს წარმოადგენს საფრანგეთის აკადემია, რამდენადაც, სახელდობრ, მის წარმომადგენლებს, კომისიის წევრებს, გამოაქვთ "ვერდიქტი" ყოველი ახალი ტერმინისათვის. ასევე დიდი როლი ეკუთვნის დამხმარე ორგანიზაციასაც – ფრანგულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებას, რადგანაც, სახელდობრ, მის შემადგენლობაში არიან ტერმინოლოგიის შემქმნელი ლინგვისტები, ფილოლოგები და იმ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროთა წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ ტერმინოლოგიურ სისტემათა და მათ ორგანიზაციათა ანალიზის მეთოდთა განვითარე-

ბას. ამასთანავე, ამ ორ ორგანოს შორის შეინიშნება თავისებური კონფლიქტი ტერმინის ბუნების თვალსაზრისით. აკადემია ვარაუდობს, რომ ტერმინი უნდა განიხილონ, როგორც რაღაც «იარლიყი, ეტიკეტი» (გარსი, გარეგნული მხარე), რომელიც დადებულია სამეცნიერო-ტექნიკური რეალობის აღმნიშვნელ კონცეპტზე ან ფრაგმენტზე, მაშინ, როდესაც ტერმინოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე და გენერალური რწმუნებული ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენებისა, ცნობილი ლინგვისტი და ტერმინოლოგი ლოიკ დეპეკერი, თავის სამეცნიერო შრომებში გვთავაზობს, რომ ტერმინი განვიხილოთ როგორც ენობრივი ნიშანი, რომელიც შეიცავს როგორც ხილულ გარსს, ასევე შინაგან სემანტიკურ მხარესაც, რაც განსაზღვრავს თითოეული ტერმინისა და მთლიანად ტერმინოლოგიის სირთულესაც (Depecker L. 2002).

ლიტერატურა

Académie française. URL: http://www.academie-francaise.fr/
Association européenne de terminologie. URL: www.eaftaet.net
Depecker L. 2002 - Entre signe et concept. Éléments de terminologie générale. Paris.

Tsiuri Akhvlediani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
tsiuriakhvlediani@yahoo.com

Maria Burchak-Abramovich
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
mariam.burchak.abramovichi@tsu.ge

Keywords: French language policy, French Academy, French terms, neologisms, borrowings.

Features of Regulation of Terminological Systems in France

Summary

The article analyzes requirements related to organizational and legal mechanisms and linguistic features of managing the modern terminological system in France. Regulatory documentation on enriching the French language, as well as factual material such as approved lists of identifiable terms, is also analyzed. The article contains requirements for French terms and their definitions, as well as examples of their implementation. The results obtained can be used in the subsequent study of borrowings, term formation or studying the mechanism of neologisms in the French language.

In France, particular attention is paid to the standardization and regulation of terms. This question is also linked to the "punctual" attitude of the State towards the French language. The French Academy (Académie française) is famous all over the world. It is part of the Institute of France (Institut de France) and is a scientific institution that studies various aspects of the French language and regulates linguistic and literary standards. The work of the Academy extends to the different stages of the development of French terms, within the framework of permanent membership in the Commission for the Enrichment of the French Language, as well as meetings of representatives of various

organizations promoting diffusion of French (in particular through the creation of vocabulary, special terms), the creation of neologisms, as well as the use of the national language in the economic, legal, scientific and technical fields. As an example, we cite the dictionary article of the economic term *bas de la pyramide (bottom of the pyramid), December 7, 2018: bas de la pyramide Abréviation: BDP. Domaine: Économie et gestion d'entreprise. Définition: Segment de la clientèle potentielle disposant des revenus les plus faibles. Note: Intéressant jusqu'alors faiblement le marché, le bas de la pyramide fait désormais l'objet d'offres commerciales spécifiques. Équivalent étranger: bottom of the pyramid (BOP) (*Bottom of the pyramid, Abbreviation: BDP. Field: Economics and business management. Definition: Segment of potential customers with the lowest income. Note: So far little interested in the market, the bottom of the pyramid is now the subject of specific commercial offers. Foreign equivalent: bottom of the pyramid (BOP)).

Tsitsino Gabeskiria
Ilia Vekua Institute of Applied Mathematics at TSU, Tbilisi
ciciana@hotmail.com

keywords: mathematical terminology, syntagma, eponyms, orthography, term-creating

Some Problems of Georgian Mathematical Terminology

The term, as is well known, is a word, expressing certain notions in different branches of art, literature or science. As the new social-political or technological concepts spread all over the world, more and more foreign words enter the language. Georgian scholars (linguists as well as scientists in different branches) always tried to create authentic Georgian terms, e.g. for sports terms, such as football, volleyball, tennis, basketball, etc., unlike Russian, authentic Georgian terms – *ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, კალათბურთი* – were created. There are special terms in mathematics as well.

In modern times when all the fields of science are being developed, new terms have been created, especially in such fields as applied mathematics and computer science which naturally requires elaboration of terminology and equalizing it with international standards. And this process should be based on the foundations of the foreign as well as the Georgian languages.

Georgian mathematical terminology has almost century old traditions. As early as in the twenties of the last century, great Georgian mathematicians N.Muskhelishvili, G.Nikoladze, A.Razmadze, A.Kharadze created Georgian equivalents for such terms, as *equation, equality, inequality, power, division, unit(y), multiplicand, factor, remainder, prime number, degree, subtraction, multiplication, division, addition, probability, line, isosceles, curve,* etc.

In most cases terms are translated into Georgian from other

languages. The system of translation with respect to word combinations(syntagma) must be founded on the basis of the Georgian as well as the foreign language it has been translated from. It should be taken into account that the Georgian and Latin, Greek or Western European languages have entirely different structures and before reaching Georgian the terms have passed through other "medium" languages and the lexicographer must try to choose the term which he thinks most relevant.

In formation of Georgian mathematical terms there are several aspects which are worth mentioning, the following most important among them:

for instance, in the case of adjectives there has been some "order" reached – when adjectives of foreign origin take the Georgian suffix -*ურ(-ული)* and in other cases – the suffix -*ალ(-ური)* which is the combination of two similar suffixes: one of the non-Georgian -*al,* the other of the Georgian -*ურ(-ული).* In Georgian the unnecessary -*al* has been dropped. For instance, in the case of adjectives there has been some "order" reached – when adjectives of foreign origin take the Georgian suffix -*ურ(-ული)* and in other cases – the suffix -*ალ(-ური)* which is the combination of two similar suffixes: one of the non-Georgian -ალ, the other of the Georgian -*ურ(-ული).* In Georgian the unnecessary -*ალ* has been dropped and now we have *დოკუმენტური* and not *დოკუმენტალური*, *ფუნდამენტური* and not *ფუნდამენტალური*, *ექსპერიმენტული* and not *ექსპერიმენტალური*, *პენინტენციური* and not *პენინტენციალური*, *დიამეტრული* and not *დიამეტრალური*, *ტერიტორიული* and not *ტერიტორიალური* etc. It should be noted however that in mathematical terms the suffix -ალ can sometimes be kept, since it is in the stem of the word and thus we have *დიაგონალური*(*დიაგონალი*), *დიფერენციალური* (*დიფერენციალი*), *ვერტიკალური* (*ვერტიკალი*), *ჰორიზონტალური* (*ჰორიზონტალი*) and so on.

In a number of cases the incorrect forms have been replaced by correct ones and here again the stem of the word is taken into account,

e.g. we have *ტანგენსური* and not *ტანგენციალური*, *ელიფსური* and not *ელიპტიკური*, *ანალიზური* (*ანალიზი*) *ანალიტიკური* (*ანალიტიკა*), *ეკონომიური* (*ეკონომია*), *ეკონომიკური* (*ეკონომიკა*)

Of importance is also the consideration of foreign scientists' names and the transformation they have undergone before being conveyed into Georgian. They should be transferred in a proper way since a theory created, a problem solved or a question set forth by a certain scientist, be it a Newton's binomial, Abel means or Pascal's limaçon gives us a mathematical term with scientists' names forming part of it. We think that the transfer and unification of foreign names as terms is a long and complicated process. It is very important to apply correct rules of transliteration in conveying them into Georgian in a suitable form.

With the examples, given in the new Georgian-English mathematical dictionary, compiled by me, it is clearly seen how proper names, used in eponyms, are turned into mathematical terms. For the regulation of mathematical terms in general we should try: 1. To write and pronounce foreign names in a proper way, 2. To find exact Georgian equivalent transliteration for them, e.g. such French names as *Hénon* – *ენო*, *Deaulbault* – დოლბო, *Foucault* – *ფუკო*, *Bruhat* – *ბრიუა*, *Duhamel* – *დიუამელი*, *Darbout* – *დარბუ*, *Cosserat* – *კოსერა* are often spelt incorrectly. The rules of French orthography are violated in conveying French names, for instance, in the case of the names Fresnel and Oresme, the consonant s is often included in the Georgian version which is incorrect. So we should have *ფრენელი* and *ორემი* and not *ფრესნელი* and *ორესმი*. The same can be said about the sound combination gn in French and Italian which should be read as *ნ* and not *გნ* which is sometimes the case in Georgian. So we must read *Signiorini* – *სინიორინი* and *Agnesi* – *ანიეზი*.

The right regulations have been made with respect to German diphthongs *ei* and *eu.* So Weierstrass in Georgian must be read as *ვაიერშტრასი* instead of *ვეიერშტრასი*, Seifert must be read as *ზაიფერტი* and not *ზეიფერტი*; Schneider must be read as *შნაიდერი* and not *შნეიდერი*; Steinhaus must be read as *შტაინჰაუსი* and not

შტეინჰაუსი; *Freudental* must be read as *ფროიდენტალი* and not *ფრეიდენტალი*, *Euler* must be read as *ოილერი* and not *ეილერი*.The same can be said about the incorrect transfer of the German vowel ü. We should pronounce Gödel – გიოდელი and not *გედელი*, *Grötzsch* – *გრიოტში* and not *გრეჩი*, *Hörmander* – *ჰიორმანდერი* and not *ჰერმანდერი*, *Hölder* – *ჰიოლდერი* and not *ჰელდერი*, *Schrödinger* – *შრიოდინგერი* and not *შრედინგერი* and so on.

In transferring the scientist's name properly, we should take into account the origin of the surname. For example, the name of the German mathematician *Dirichlet* is pronounced as *დირიხლე*, but earlier this name because of its French origin was read as *დირიშლე*. His ancestors went to Germany from the Belgian town Richlet and his grandfather was called le jeune de *Richlet* (a young man from Richlet). Later since he was considered to be a German mathematician and in German the sound combination ch is read as ხ there remained two parallel forms: *დირიხლე* and *დირიშლე.* There is also an interesting story with another mathematician Kladni. His ancestors who were from Krenik (Hungary) went to live in Germany. Krenik now belongs to Slovakia, so he is sometimes mentioned as German, sometimes Slovak and sometimes as a Hungarian mathematician. Consequently, his name is pronounced either as *კლადნი* or *ხლადნი.*

A person who is compiling a dictionary or just has to do with terms, should be very accurate with terms, especially when a scientist's name is considered. For, instance, when I first came across the expression SHY SET from the set theory, was very surprised – how can a set be shy? And the other mathematicians, not working in the same field in the field of set theory couldn't give me an answer. Then I found out that it was the abbreviation of three mathematicians' names - Sauer, Hunt and Yorke. Thus I avoided a rough mistake!

We have already mentioned that there are special terms in mathematics as well, where one can often meet terms, composed of mathematicians' names. These terms are, as a rule, two-component and consist of the defining and defined words. These words are often

connected by means of the English suffixes - *ean*, -*ian*, -*ine*. These so called suffixes of possession are added to the proper names and thus the eponymous adjectives are formed.

But it should be noted that this process of transformation or "term-creating" is not final. It involves double transformation, i.e. the first step is when the above suffixes are added to proper names and we get adjectivization, e.g. Archimedes-Archimed-ean, Lagrange – Lagrang-ian, Laplace-Laplacian, etc. Then in a variety of cases we have again substantivization of these adjectives and we get the term. In such a case the term is obtained from the proper name,e.g. *Gauss – Gaussian*, *Berezin – Berezinian*, *Jacob – Jacobian*, *Lipschitz – Lipschitzian , Naper – Naperian*, etc. Substantivization by means of –ian, -ean, -ine suffixes does not always take place. But in a number of cases this substantivized one-compomemt noun, obtained from the proper name (eponym) is a full substitute for a two-component term, for example, *Gaussiani* is a *Gaussian* distribution, but the word distribution is not used any more and we have only Gaussian გაუსიანი. The same is with Grassmanian – Grassmanian space – space has been dropped and we have just *Grassmania – გრასმანიანი.* So the other similar terms are Wronskian for the Wronskian determinant, Hamiltonian for the Hamiltonian operator, etc.

Even more interesting and paradoxical is the fact that in Georgian the transfer of this substantivized term was very natural for Georgian by means of the suffix -ian. As is known, the lexical system of every language has its specifics and as we have already mentioned, Georgian and English have absolutely different structures but in this particular case there was a strange coincidence, since the possessive suffix *ian* is just the same in both languages. For instance, in Georgian possession is expressed with the help of this suffix – *იანი*: *ცოლი – ცოლიანი*, *ღრუბელი – ღრუბლიანი*, *ცრემლი – ცრემლიანი, ფასი – ფასიანი.* This ending is characteristic of Svan surnames in Georgian. So such terms as *გაუსიანი* (*Gaussian*), *გრასმანიანი* (*Grassmanian*) and *რიმანიანი* (*Riemannian*) sound very natural in Georgian.

In transferring foreign terms into Georgian great attention should also be paid to foreign prefixes (prefixation). Prefixes in foreign languages (say, in English) have in their turn been translated from Latin and Greek. In mathematical terms we have the Georgian words with foreign prefixes and vice versa.

On the whole, it can be said that full *standartization* of terms is impossible. There always remains some distinctiveness in the languages. So we must always try to detect the rules which determine the diversity of Georgian mathematical terms. And this can be reached only by joint efforts of linguists and mathematicians.

R e f e r e n c e s

Orthographic dictionary of foreign names. Georgian soviet encyclopedia. Tbilisi, 1989.

Ts. Gabeskiria. English-Georgian mathematical dictionary. Tbilisi, TSU publishing house, 1983.

A.J. Lohwater. Russian-English Dictionary of the Mathematical Sciences. Providence, Rhode Island.

ციცინო გაბესკირია
თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
cicicana@hotmail.com

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური ტერმინოლოგია, სინტაგმა, ეპონიმები, ორთოგრაფია, ტერმინთშემოქმედება

ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ზოგი საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას მდიდარი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ნ. მუსხე-

ლიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, დიდი წვლილი შეიტანეს მათემატიკური ტერმინოლოგიის განვითარებაში. მათ მიერ არის შექმნილი ისეთი მათემატიკური ტერმინები, როგორებიცაა, მაგალითად: *განტოლება, ტოლობა, უტოლობა, ალბათობა, ტოლფერდა, მრუდი* და სხვ.

თანამედროვე ეპოქაში, როცა მეცნიერების ყველა დარგი ვითარდება, იქმნება ახალი ტერმინები, განსაკუთრებით გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დარგში, რაც თავისთავად მოითხოვს ტერმინოლოგიის დახვეწასა და საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას. ეს პროცესი უნდა ემყარებოდეს როგორც უცხო, ისე ქართული ენის საფუძვლებს.

ტერმინოლოგიის სრული უნიფიცირება შეუძლებელია. ენაში ყოველთვის რჩება გარკვეული სიჭრელე. ამიტომ სასურველია დადგინდეს ის კანონზომიერება, რაც განაპირობებს ქართულ ტერმინთა ნაირგვარობას და ეს შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ ენათმეცნიერთა და მათემატიკოსთა ერთიანი ძალისხმევით.

თამაზ დევიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tazodevidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ლიტურგია, პირველშეწირულის ლიტურგია, წმინდა ძღვენი, ტერმინოლოგია, ზმნა

წმინდა ძღვენთან დაკავშირებული ტერმინოლოგია პირველშეწირულის ლიტურგიაში – ტრადიცია და თანამედროვეობა

მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება, როგორც ღმერთთან ურთიერთობის ფორმა და გამოცდილება, სათავეს მაცხოვრის ეპოქიდან იღებს. დიდ ხუთშაბათს გამართულ საიდუმლო სერობაზე იესო ქრისტემ დააწესა ზიარების საიდუმლო, რომელიც ეკლესიის ღვთისმსახურების ძირითადი ნაწილია. საიდუმლო სერობის დროს ძველი აღთქმის სისხლიანი მსხვერპლშეწირვა ჩაანაცვლა ახალი აღთქმის უსისხლო მსხვერპლშეწირვამ. უსისხლო მსხვეპლშეწირვა გულისხმობს საღმრთო ლიტურგიაში პურისა და ღვინის შეწირვას, რომლებიც სულიწმინდის მადლით გარდაიქმნება ქრისტეს ცხოველსმყოფელ ხორცად და სისხლად.

თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში აღესრულება სამი სახის ლიტურგია, რომელთაგან ორი – წმინდა იოანე ოქროპირისა და წმინდა ბასილი დიდისა, სრული ლიტურგიებია. ვინაიდან ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს საკვლევი საკითხისათვის, საჭიროა მიზეზის აღნიშვნაც. ამ ორი ლიტურგიის დროს აღესრულება კვეთა, საღმრთო ლიტურგიის პირველი ნაწილი, რომლის დროსაც პური და ღვინო მზადდება შესაწირად.

რაც შეეხება მესამე სახის ლიტურგიას, იგი ცნობილია, როგორც პირველშეწირულის ლიტურგია, მისი ავტორია წმინდა გრიგოლ დიოლოღოსი. ამ ლიტურგიას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მასში გამოყენებული ტერმინოლოგიის კვლევისათვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ პირველშეწირულის ლიტურგია მხოლოდ დიდმარხვის პერიოდის განსაზღვრულ დღეებში აღესრულება.

დიდმარხვა ლიტურგიკული წელიწადის გამორჩეული და განსაკუთრებული პერიოდია. მარხვის შინაარსიდან გამომდინარე, სადაგ

დღეებში (კვირის დღეები, შაბათ-კვირის გარდა) იკრძალება კვეთის აღსრულება, რაც, თავის მხრივ, წინაპირობაა იმისა, რომ ამ დღეებში ვერ აღსრულდება სრული ლიტურგია. ამ წესს აქვს მხოლოდ ერთი გამონაკლისი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული, რომელიც ყოველთვის აყენებს სრულ ლიტურგიას. ტიპიკონის თანახმად, პირველშეწირულის ლიტურგია აღესრულება დიდმარხვის I, II, III, IV, V და VI შვიდეულების ოთხშაბათსა და პარასკევს, ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს და დღესასწაულებზე, გარდა ხარებისა, თუ ეს დღესასწაულები სადაგ დღეს დაემთხვევა. ეს ლიტურგია აღესრულება უახლოეს სრულ ლიტურგიაზე შეწირული წმინდა ძღვენით, რათა მორწმუნეებმა შეძლონ წმინდა ზიარების მიღება.

ამ ლიტურგიის ტიპიკონი ითვალისწინებს წმინდა ძღვენის გადაადგილებასა და მასთან დაკავშირებული მოქმედებების მთელ წყებას. ამ მოქმედებათა აღსაწერად გამოყენებული ტერმინოლოგია ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ისინი მაცხოვრის ცხოველსმყოფელ ხორცთან და სისხლთანაა დაკავშირებული.

სტატიაში განვიხილავთ ცალკეულ ზმნურ ფორმებს, რომელთაგან ნაწარმოები სახელზმნური ფორმები დროთა განმავლობაში ტერმინებად იქცა და გამოიყენება დღესაც.

ქართულ ენაზე მოგვეპოვება არაერთი მნიშვნელოვანი ლიტურგიკული წყარო, რომლებიც ასახავს ტიპიკონის განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ტრადიციისა და თანამედროვეობის შეჯერების საფუძველს სწორედ სხვადასხვა პერიოდის ლიტურგიკული ხელნაწერებიდან მიღებული ემპირიული მასალა ქმნის. პირველშეწირულის ლიტურგიის ტერმინოლოგიაზე მსჯელობისას კვლევის ამ ეტაპზე ვეყრდნობით ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის №89 ხელნაწერს, ავსტრიაში, გრაცში დაცულ ხელნაწერს ლიტერით №2058/4, სხვადასხვა პერიოდის ნაბეჭდ კონდაკებს "(1710, 1751, 1899), რომელთაგან ბოლო, 1899 წლის გამოცემა, დღესაც გამოიყენება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთიმსახურო პრაქტიკაში, მღვდელ რაჟდენ ხუნდაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში დაბეჭდილ ტიპიკონსა და 1996 წელს გამოცემულ „ლიტურგიკულ კრებულის" მეორე ნაწილს, რომელშიც დიდმარხვის ღვთისმსახურების მოკლე მიმოხილვაა მოცემული. გავითვალისწინეთ შიომღვიმის ტიპიკონი, რომელიც 2005 წელს გამოსცეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა.

ადრეულ წყაროებში წმინდა ძღვენის ტრაპეზიდან სამკვეთლოზე გადატანასთან დაკავშირებით ხელნაწერში გამოიყენება *ყვან(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები, მაგალითად, №2058/4 ხელნაწერში:

„და ვითარცა სიწმიდისაჲ *შეიყვანონ*, საბურველი დაჰბურონ“ [96v];

„სიწმიდჱ სადიაკონოდ *შეიყვანონ* და დიაკონმან თქუას...“ [106r];

ანალოგიური ვითარებაა შიომღვიმის ტიპიკონშიც.

მაგალითად:

„უწყებაჲ საჴმარ არს, ვითარმედ შემდგომად *შემოყვანებისა* წმიდათა მსხვერპლთაჲსა, დავასრულოთ რაჲ გალობაჲ ესე: აწ ძალნი ცათანი... – ვყოფთ მუჴლთმოდრეკასა სამსა“ (ტიპიკონი 2005).

ყვან(ებ) ფუძისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები გამოიყენება მაშინ, როცა პირდაპირი დამატება სულიერია. ამ გარემოების გათვალისწინებით, დამოწმებული მაგალითები ცხადყოფს, რომ წმინდა ძღვენი აღქმულია, როგორც ცოცხალი და ცხოველსმყოფელი, რომელიც შესაბამისი ზმნური ფუძითაა გამოხატული, ამდენად ეს ცხადი და ერთმნიშვნელოვანია.

დროთა განმავლობაში ეს ვითარება შეიცვალა. წმინდა ძღვენთან მიმართებით თანდათან ჩნდება თავაზიანი ფორმები, თუმცა არცთუ ისე იშვიათად დასტურდება ნეიტრალური კონოტაციისა და თავაზიან ფორმათა პარალელური გამოყენების შემთხვევები.

მაგალითად:

„და *აღმოიღებს* კოლოფიდამ წმიდასა და პატიოსანსა საუფლოსა პურსა და *დასდებს* წმიდასა ფეშხუმსა ზედა შიშითა და კრძალულებითა“ (კონდაკი 1710).

ანალოგიური ვითარებაა 1751 და 1899 წელს დაბეჭდილ კონდაკებში.

მაგალითად:

„ხოლო დაწყებასა ფსალმუნისასა შევალს მღდელი წმიდასა შინა წინადასაგებელსა და *აღმოიღებს* პირველგანწმედილსა პურსა სანაწილისაგან და *დასდებს* კრძალულებითა მრავლითა წმიდასა ზედა ფეშხუმსა“ (კონდაკი 1751);

„შევალს მღუდელი წმიდასა შინა საკურთხეველსა, განჴსნის წმიდა ოდიკსა და *აღმოიღებს* პირველშეწირულსა პურსა სანაწილისაგან და *დასდებს* კრძალულებითა მრავლითა წმიდასა ზედა ფეშხუმსა“ (კონდაკი 1899).

დამოწმებულ მაგალითებში *სვენ(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები არ დასტურდება, მაგრამ პირველ შემთხვევაში მას ჩაენაცვლება სიტყვები *შიშითა და კრძალულებითა*, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევებში – *კრძალულებითა მრავლითა.*

განსხვავებული ვითარებაა მღვდელ რაჟდენ ხუნდაძის მიერ 1907 წელს გამოცემულ ტიპიკონში.

„მეორე დიდების წაკითხვაში მღვდელი *ამოასვენებს* სანაწილიდან პირველ შეწირულს (წმიდა ნაწილს) და *დაასვენებს* ფეშხუმზედ“ (ხუნდაძე 1907).

ზოგადად, ჩვენ მიერ დამოწმებულ კონდაკებში არ არის ერთგვაროვანი ვითარება – ცალკეულ შემთხვევაში თავაზიანი ფორმებია გამოყენებული, მაგალითად:

„მოიღონ კოლოფი სანაწილე და *შთაასვენონ* მას შინა“ (კონდაკი 1710);

„და რაჟამს სიწმიდენი *გამოასვენონ,* ქუდმოჴდით ჰყოფდენ მეტანიასა“ (კონდაკი 1710);

„და შემდგომად *გამოსვენებისა* წმიდისა ძღვენისა და აღსრულებისა აწ ძალნი ცათანისასა ვყოფთ მეტანიასა სამსა“ (კონდაკი 1751);

„ხოლო დაწყებასა ფსალმუნისას შევალს მღუდელი წმიდასა შინა საკურთხეველსა, განხსნის წმიდა ოდიკსა და *აღმოიღებს* პირველ შეწირულსა პურსა სანაწილისაგან და *დასდებს* კრძალულებითა მრავლითა წმიდასა ზედა ფეშხუმსა, უკმევს გარემო 3-გზის და *წარასვენებს* სამკვეთლოსა ზედა“ (კონდაკი 1899).

„... და განჰყოს შეწირული პირველი პური და *შთაასვენოს* ნაწილი წმიდასა შინა სასმისსა... და *აღმოიღებს* წმიდასა კოვზსა წმიდით სისხლით დალტობილსა და შთაუშვებს მას წმიდასა პურსა შინა ჯვარის სახედ, ქვეშე კერძო დასახულისა მის ჯვარისა“ (კონდაკი 1899).

უკანასკნელ მაგალითში კარგად ჩანს წმინდა ძღვენთან დამოკიდებულების გავლენა ენობრივი საშუალებების შერჩევისას. კონტექსტში ზმნური ფუძის შენაცვლებით მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული წმინდა ძღვენი და წმინდა ჭურჭელი (ამ შემთხვევაში კოვზი), რომელიც ლიტურგიისას გამოიყენება.

შედარებით გვიანდელ და ერთგვაროვან ვითარებას ასახავს მღვდელ რაჟდენ ხუნდაძის მიერ შედგენილი ტიპიკონი.

მაგალითად:

„დაიწერს პირჯვარს, იქმს მეტანიას ერთ გზის, ემთხვევა ფეშხუმს, *დაისვენებს* მას თავზედ, წინ გაუძღვება მთავარ(ი) დიაკონი

(თუ არის) ლამპრით და საცეცხლურით და *მიასვენებს* სამკვეთლოზედ“ (ხუნდაძე 1907: 111).

დამოწმებული მაგალითები ცხადყოფს გარკვეულ მერყეობას წმინდა ძღვენთან დაკავშირებული ზმნური ფორმების შერჩევისას. თავაზიანი ფორმების გაჩენა და დამკვიდრება უდიდესი სიწმინდისადმი – მაცხოვრის ცხოველსმყოფელი ხორცისა და სისხლისადმი – შიშის, კრძალვისა და მოწიწების გამოხატულებაა. ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე წყვილი:

შთადება - შთასვენება;

ამოღება - ამოსვენება;

დადება - დასვენება.

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში ეს ტენდენცია ძლიერდება, იშლება პარალელიზმი. ამის დასტურია 1996 წელს დაბეჭდილი „ლიტურგიკული კრებული №2“, რომელშიც მოცემულია დიდმარხვის პერიოდის ღვთისმსახურების მოკლე მიმოხილვა.

მაგალითად:

„გახსნის სანაწილეს და დიაკონთან ერთად უდიდესი კრძალულებით *ამოასვენებს* პირველშეწირულ წმინდა ძღვენს და *დაასვენებს* ფეშხუმზე“ (გუნია 1996);

„წინ მიუძღვის დიაკონი, რომელსაც მარცხენა ხელში უპყრია სასანთლე ანთებული სანთლით, მარჯვენა ხელში კი – საცეცხლური, სახით მიქცეულია პირველშეწირული წმინდა ძღვენისკენ და უკმევს. გაივლიან რა მაღალდასაჯდომელს, მღვდელი *დაასვენებს* ფეშხუმს სამკვეთლოზე“ (გუნია 1996).

პირველ მაგალითში წმინდა ძღვენისადმი დამოკიდებულება გამოხატულია როგორც ზმნური ფუძით, ასევე დამატებითი ლექსიკური ერთეულებით *(უდიდესი კრძალულებით);* სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეცვლილია ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული მაგალითები ნაბეჭდი კონდაკებიდან. რაც შეეხება მეორე მაგალითს, ამ შემთხვევაში ფეშხუმთან მიმართებით *დაასვენებს* ფორმა გამოიყენება, რადგან ფეშხუმზე წმინდა ძღვენია დასვენებული. მეორე მაგალითი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ შემთხვევაში არ არის ნახსენები ტრაპეზიდან სამკვეთლოსკენ სვლის სახელი. მოსალოდნელი იყო *გადასვენება,* რადგან ამ გამოცემაში ყველა სხვა მოქმედების აღსაწერად სწორედ *სვენ(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები გამოიყენება.

უკვე დასრულებული ჩანს ტენდენცია, რომელიც გულისხმობს თავაზიანი ფორმების გამოყენებას წმინდა ძღვენთან დაკავშირებული

ყველა მოქმედების აღსაწერად. ეს ფაქტი ქმნის საფუძველს შესაბამისი საწყისებით, როგორც ტერმინებით, აღიწეროს წმინდა ძღვენთან დაკავშირებული თითოეული მოქმედება პირველშეწირულის ლიტურგიაში.

წმინდა ძღვენთან მიმართებით გავრცელებული იყო *გ(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები. sin. 89 ხელნაწერში დასტურდება ზმნური ვარიანტი, რომელიც დროთა განმავლობაში დაიკარგა.

მაგალითად:

„შეიმოსენ მღდელნი და *დააგონ* სიწმიდე“ (sin.89: 71r).

ილ. აბულაძის მიერ შედგენილ „ძველქართულ-ძველსომხურ დოკუმენტირებულ ლექსიკონში“ დასტურდება ამგვარი განმარტება:

„*დაგება* - დება, გაშლა, დაფენა, დადგომა, დაგდება, „შთადება“ შეწირვა, მიგება, შერიგება, წარმართვა“ (აბულაძე 2014).

იმავე ლექსიკონში განმარტებულია მიმღეობური ფორმაც, რომელსაც შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უდასტურდება.

„*დაგებული* – დადებული, მორთული, დალაგებული“ (აბულაძე 2014).

როგორც ჩვენ მიერ დამოწმებული შედარებით გვიანდელი ლიტურგიკული წყაროებიდან ჩანს, ეს ზმნური ფორმა წმინდა ძღვენთან მიმართებით აღარ გამოიყენება. ნაბეჭდ კონდაკებში მისი მიმღეობური ფორმაა გავრცელებული. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ თხოვნით კვერექსს, რომელიც წმინდა ძღვენის შესაწირად გამზადების, ტრაპეზზე დასვენების შემდეგ ითქმის. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ საღვთისმსახურო ხელნაწერების ლოცვითი ტექსტები ცვლილებას შედარებით ნაკლებად განიცდის, ვიდრე ის მითითებანი, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის საღვთისმსახურო პრაქტიკაზე მიუთითებენ.

მაგალითად:

„*წინადაგებულთა* და პირველ შეწირულთა პატიოსანთა ძღვენთათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ“ (კონდაკი 1899);

ეს ტერმინი წმინდა იოანე ოქროპირისა და წმინდა ბასილი დიდის ლიტურგიებშიც დასტურდება, დიდი შესვლის შემდეგ მოცემულ თხოვნით კვერექსში.

მაგალითად:

„*წინადაგებულთა* პატიოსანთა ძღვენთათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ“ (კონდაკი 1899).

ანალოგიური ვითარებაა ჩვენ მიერ დამოწმებულ შედარებით ადრე გამოცემულ კონდაკებშიც, მაგალითად:

„*წინადაგებულისა* ამის პირველგანწმედილისა პატიოსანისა ძღვენისა უფლისა მიმართ ვილოცოთ (კონდაკი 1710).

„*წინადაგებულთა* და პირველგანწმედილთა პატიოსანთა ძღვენთათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ (კონდაკი 1751).

დაგება ტერმინია მოცემულ მაგალითში:

„ლოცვა *დაგებისა* შემდგომად დადგმისა საღმრთოთა ძღვენთასა წმიდასა ზედა ტრაპეზსა“ (კონდაკი 1899).

კვეთის დასრულებისას მოცემულ საიდუმლო ლოცვაში დასტურდება ტერმინი *წინადაგებული.*

მაგალითად:

„შენ აკურთხე *წინადაგებული* ესე და შეიწირე წმიდასა და ზესთა ცათასა და საცნაურსა საკურთხეველსა შენსა“ (კონდაკი 1899).

მართალია, დროთა განმავლობაში დაიკარგა ზმნური ვარიანტი, მაგრამ მისგან ნაწარმოები საწყისი და მიმღეობა – *დაგება, დაგებული* – ტერმინებად იქცა და გამოიყენება თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში.

დასკვნა

წმინდა ძღვენის გადაადგილებასთან დაკავშირებით პირველშეწირულის ლიტურგიის ადრეულ ნუსხებში გამოიყენება *ყვან(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები.

განხილული მასალა ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში წმინდა ძღვენისადმი კრძალულების გამოსახატავად თანდათან ჩნდება თავაზიანი ფორმები.

თუ მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილ კონდაკებში ჯერ კიდევ შეინიშნება მერყეობა, შედარებით გვიანდელ ხელნაწერებში ყველა შემთხვევაში თავაზიანი ფორმები დასტურდება.

თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში წმინდა ძღვენის გადაადგილებასთან დაკავშირებით გამოიყენება *სვენ(ებ)* ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები.

გ(ებ) ფუძისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები მხოლოდ უძველეს წყაროებში დასტურდება, თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში ის საწყისისა და მიმღეობის სახით გვხვდება: *დაგება, წინადაგებული.*

დაგება, როგორც ტერმინი, გამოიყენება პურისა და ღვინის შესაწირად მომზადების აღსანიშნავად და ამ პროცესს საიდუმლო ლოცვაც ეძღვნება – *ლოცვა დაგებისა.*

წინადაგებული, როგორც ტერმინი, გულისხმობს შესაწირად გამზადებულ ძღვენს.

ლიტერატურა

№2058/4 ხელნაწერი, ავსტრია, გრაცი.
№89 ხელნაწერი, სინას მთა, წმინდა ეკატერინეს მონასტერი.
აბულაძე 2014 – ძველქართულ-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, თბილისი.
გუნია 1996 – ლიტურგიკული კრებული, №2, თბილისი.
კონდაკი 1710 – კონდაკი, რაოდენიცა სწერია ამას შინა, ტფილისი.
კონდაკი 1751 – კონდაკი, ტფილისი.
კონდაკი 1899 – კონდაკი, ტფილისი.
ტიპიკონი 2005 – ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი.
ხუნდაძე 1907 – ხუნდაძე რაჟდენ მღვდელი, ტიპიკონი, თბილისი.

Tamaz Devidze
Akaki Tsereteli State University, Georgia
tazodevidze@gmail.com

Keywords: Terminology, Liturgy, 'Markhvani', Term Creation.

Liturgical Terminology in the Georgian Manuscripts of Lenten Triodion

Summary

The translation of religious literature into Georgian has a long history. This process outlines the stages of Typicon development. The Georgian translations of the Lenten Triodion, which were created in different theological and literary schools, provide us with interesting

terminological material and present the long history of the development of Georgian liturgical terminology.

Our goal is to describe and analyze the liturgical terminology revealed in the Georgian editions of the Lenten Triodion, to compare it with modern liturgical practice, and to determine the general tendency of the process of liturgical terminology creation. The basis for this is provided by the material that is still unexplored and unpublished, such as manuscripts K-79, K-16 and K-38.

Georgian liturgical books were translated from ancient Greek, accordingly, Georgian liturgical terminology was formed on the basis of ancient Greek terms. Therefore, not infrequently, instead of the Georgian equivalent, the ancient Greek variants were used. Parallelism is often confirmed - both Greek and Georgian variants are used.

In the Georgian editions of the Lenten Triodion, as well as in the liturgical books in general, an interesting group of terms is distinguished. For example, *შეგვწყალენი; ყოვლად წმიდისა...* For example, *შეგვწყალენი* is the substantive form of the third verse of the litany of fervent supplication. Its use is due to the fact that in some cases, the first and second verses of this litany are not read.

In typiconic instructions, the Bible verses are for the most part given as beginnings, with a few words. In such cases, the attitude of the translator-editor towards the tradition of translating the books of the Bible is interesting. In the Good Friday Vesper, when the 12 Gospels of the Passion are read, the translator does not rely on the previous editions and offers a new translation. This circumstance, naturally, gives us an idea about the process of term creation.

ირინე დემეტრაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Irinad72@hotmail.com

საკვანძო სიტყვები: დენდროლოგიური ტერმინი, ეტიმოლოგია, სიმბოლიკა, სემანტიკა, კლასიფიკაცია, იდიომები

ზოგიერთი დენდროლოგიური ტერმინის ეტიმოლოგია და სემანტიკა

უხსოვარი დროიდან ყველა საზოგადოებასა და რელიგიაში ხეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, შესაბამისად, ხეების დასახელებების წარმოშობისა და ხეთა სიმბოლიკის შესწავლა სხვადასხვა ენისა და კულტურის კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

მსოფლიოს მრავალ რელიგიაში აისახა სიმბოლო „სიცოცხლის ხე“, რომლის ტოტებსაც სამყარო უჭირავს, ხოლო ფესვები მიწისქვეშეთს სწვდება. ასეთი ხე სიცოცხლის წყაროა, მისი ნაყოფი კი, რიგ შემთხვევაში, უკვდავებასაც უზრუნველყოფს. ბიბლიის თანახმად, ადამმა და ევამ კეთილისა და ბოროტის გარჩევა სწორედ ასეთი ხის ნაყოფით ისწავლეს. ამავე ცნებას უკავშირდება „ნატვრის ხესთან“ დაკავშირებული რწმენები. ბუნებრივია, რომ ხე უამრავ ლოცვასა და ფსალმუნშია მოხსენიებული, მაგ. „მართალი ვითარცა ფინიკი აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისაი გამრავლდეს“ (ფსალმუნი 91:13). ხშირად წმინდანებსაც ადარებენ ხეს, რადგან მათი ღვაწლი და შემწეობა უაღრესად მნიშვნელოვანია ხალხისთვის, მაგალითად, წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ტროპარი: „გიხაროდენ, ხეო კეთილჩრდილფურცლოვანო“.

ხესთან დაკავშირებულ ცრურწმენებს უკავშირდება გამოთქმა “Touch wood” (ბრიტანულ ინგლისურში)// ’Knock on wood” (ამერიკულ ინგლისურში). ეს გამოთქმა მომდინარეობს წარმართული ტრადიციიდან, რომლის თანახმადაც, ხეებში ავსულები ცხოვრობდნენ და, თუ ადამიანი დაგეგმილი საქმის წარმატებით დასრულების იმედს გამოთქვამდა, ხეზე დაკაკუნებით ყურებს დაუხშობდა ავსულებს და ისინიც აღარ შეუშლიდნენ მას ხელს ამ საქმის განხორციელებაში.

ქეთევან ელაშვილის თანახმად, ხის კულტის სხვადასხვა ინტერპრეტაციას ვაწყდებით მეტ-ნაკლებად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: ამგვარია *კეზი* – ხევსურების სახლის თავზე ან ჭურის თავზე

მდგომი წმინდა რცხილა – „ანგელოზების ერთგვარი საბრძანებელი“, ანდა თუნდაც *დედაბოძი* და ბოლოს, *ჩიჩილაკი* – გამრავლებისა და ბარაქის სიმბოლო.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხეთა სიმბოლიკას ასევე ინდურ, კელტურ, ბერძნულ, სკანდინავიურ და ამერიკის აბორიგენთა მითოლოგიაში. მაგალითად, კელტურ მითოლოგიაში ითვლებოდა, რომ თხმელის ხეში ფერიები ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ვერხვის ფოთლები ქარის დროს განსაკუთრებულად შრიალებენ, შესაბამისად, ბევრ ძველ კულტურაში ითვლებოდა, რომ ამ შრიალის ხმით წინაპართა სულები ეკონტაქტებიან შთამომავლებს. კელტები ასევე თვლიდნენ, რომ ურთხელი მიცვალებულთა სულების მფარველი ხეა, ხოლო ბერძნულ მითოლოგიაში ის ასოცირდება მიცვალებულთა სულების განმათავისუფლებელ ქალღმერთ ჰეკატესთან.

სკანდინავიური მითოლოგიის თანახმად, იფანი ბოროტ სულებთან საბრძოლველად გამოიყენება. თხილის ხე სიბრძნის სიმბოლოდ ითვლებოდა, ძველი ბერძნების აზრით, ღმერთების მიერ მაცნედ გამოგზავნილ ჰერმესს სწორედ თხილის ტოტები ეჭირა ხელში, ხოლო კელტებს სწამდათ, რომ თხილის ხე იდგა სიბრძნის ჭის თავზე, სადაც სიბრძნის მომცემ თხილებს ყრიდა[1].

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, კვიპაროსის სახელი უკავშირდება აპოლონის საყვარელ ყმაწვილს, რომელიც მისი საყვარელი ირმის მოკვლის გამო უსაზღვრო კაეშანს მიეცა. აპოლონს შეეცოდა ყმაწვილი და კვიპაროსად აქცია. ამის შემდგომ, კვიპაროსი სევდის სიმბოლოდ იქცა და ხშირად მას სასაფლაოზე რგავენ. გარდა ამისა, არსებობს ჰიპოთეზა, რომ კვიპაროსი ცეცხლის საკულტო ხეა, რადგან ფორმით იგი ალს მოგვაგონებს. შესაბამისად, ქართულ ენაში მას *ალის ხეს* უწოდებდნენ. დროთა განმავლობაში ეს ტერმინი *ალვის ხედ* იქცა. *ალვად* იხსენიებს მას რუსთაველიც. აკაკი შანიძე განმარტავს, რომ „ალვის ხე პოემაში ბიბლიური ედემის მცენარედ არის მიჩნეული და ქართული სახელია იმ ხისა, რომელსაც სპარსულად ეწოდება „სარო“ ანუ იგივე კვიპაროსი“ (ჩერქეზიშვილი 2009: 79). უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში *ალვის ხე* ტირიფისებრთა ოჯახის მცენარეს ეწოდება და მისი ლათინური სახელწოდებაა populous pyramidalis.

[1] https://www.betterplaceforests.com/blog/our-forests/symbolism-of-trees-spiritual-meanings-across-history/ (ნახვა 03.01.2024)

ყველა ქვეყანაში, სადაც მუხა ხარობს, ის გამძლეობისა და სტაბილურობის სიმბოლოდ ითვლება. რაც შეეხება ქართულ, როგორც წინარე, ასევე ქრისტიანულ ცნობიერებას, აქ მუხა, როგორც „ტყის მეფე“ გამორჩეულ ადგილს იკავებდა და „მსოფლიო ღერძს“ განასახიერებდა“ ... „ჯერ კიდევ 1878 წელს გაზ. „კავკაზში“ (№ 223) გამოუქვეყნებიათ ხალხური გადმოცემა, რომ სვეტიცხოვლის ადგილას წმინდა მუხა იდგა, იგი მირიანის გაქრისტიანების შემდეგ მოუჭრიათ, ხოლო მის ადგილას ტაძარი დაუდგამთ, თავდაპირველად ხისა, ალბათ, მუხის, რადგან მუხა საკრალური საშენი მასალა უნდა ყოფილიყო... ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მირიანის პირველი ჯვრები და სვეტიცხოველი მუხისაგან იყო ნაკეთები“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 155).

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ თანახმად კი, ის ღვთაებრივი ხე, რომლისაგანაც შეიქმნა ცხოველი სვეტი, ნაძვია. ნაძვის დასახელება საერთო ქართველური ძირიდან მოდის, ხოლო თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიხედვით, ძველი ირანული *nauèa-, ასევე სპარს. nâjû, ფორმები სავარაუდოა, რომ ნასესხებია ქართველური ენებიდან (Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. 1984: 633). მ. ივანიშვილის თანახმად, ნაძუ – ფუძე შესაძლებელია აღვადგინოთ საერთო-ქართველურ დონეზე შემდეგი შესატყვისობების საფუძველზე: *ნაძუ -: ქართ. ნაძუ – ნაძუ-ი; ნაძ-ოვ. ან-ი; ნაძვ-ი (ახ. ქართ.): მეგრ. ნაძუ -/ნუზუ- ნუძუ – ნუზუ ,,ნაძვი”: სვან. ნეზუ – ნეზუ-რა ,,ნაძვი”[1];

ასევე საყურადღებოა ტერმინ *ურთხელის* წარმოშობა. ნ. ხოჭოლავას თანახმად, ურთხელს ძველ ქართულ წყაროებში მოიხსენიებდნენ, როგორც *ძელი ულპოლველი* (ანუ ულპობელი) ამ ხის მერქნის განძლეობის გამო. სახელში *უ-რთხლ-ი*, უ- პრეფიქსი აწარმოებს უარყოფის გამომხატველ ფორმას, ხოლო ამოსავალი ფუძეა *თხრამლ-*, შდრ.: *თხრამლ-ი* ძვ. ქართ. „მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი“ (ხოჭოლავა 2015:267). *ურთხელის* სხვა კილოური სახელი *უ-თხოვარ-ი* (კახ. ფშ. ხევს.) ასევე წარმოქმნილია. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უთხოვარი: „არ ითხოვების სიძვირის, სიმდიდრის, სიძვირფასის გამო. ისეთი ძვირადღირებულია, იმის ფასს ვერ გადაიხდი.“ არის ლეგენდაც, რომ თამარ მეფე ამ ხის ჯიშს არავის აძლევდა და ამიტომაც ეწოდა უთხოვარიო (ხოჭოლავა 2015: 269).

[1] https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/05/marine-ivanisvili (ნახვა 03.01.2024)

ნ. ხოჭოლავას ასევე მოცემული აქვს ტერმინ *თხმელის* ეტიმოლოგია: დენდრონიმი *თხმელ-ა -ელ* სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობაა **თხამ-ელ+ა* (**თხამ-ს* „იშლება“, „განივრცობა“) > *თხმელა* „გაშლილ-განივრცელებული“, „მოდებული“ (ხოჭოლავა 2015: 269).

გავრცელების ადგილის მიხედვით, ხეების სახელები მრავალ ტოპონიმშია გამოყენებული, მაგალითად, სოჭი. საქართველოში არაერთი ტოპონიმი უკავშირდება მუხას: მუხნარი, მუხრანი, მუხიანი, მუხაწყარო, რკონი. მუხას უკავშირდება ასევე ამერიკის ქალაქის – ალბუკერკეს –სახელწოდება (ლათ. Alba – თეთრი, quercus - მუხა), ასევე ოკლენდი (oak - მუხა, land - მიწა, ქვეყანა). ინგლისის ქალაქ ელმორის სახელი უკავშრდება თელას elm 'თელა' + fer „მდინარის ნაპირი“. ასევე Birchwood (არყის ტყე), Aspen (ვერხვიანი). ხეების დასახელებიდან მომდინარეობს ასევე ანთროპონიმები, მაგ., ინგლისური და ამერიკული გვარები: Oakes (მომდინარეობს მუხისგან), Hazelton (უკავშირდება თხილს), შვედური Lindgren უკავშირდება ცაცხვს (linden), ასევე ქართული გვარები: მუხაძე, ვერხვიაშვილი და სხვა.

ინგლისურ ენაში ხესთან დაკავშირებული მრავალი იდიომი არსებობს. ქვემოთ განვიხილავ რამდენიმეს:

"Put down roots" – დასახლება, დაფუძნება, მყარი საფუძვლის ჩაყრა, შესაბამისი ქართული იდიომია „ფესვის გადგმა“.

Money doesn't grow on trees - ფული ხეზე არ იზრდება – ეს იდიომი უკავშირდება ხის თვისებას, რომელიც ნაყოფს უსასყიდლოდ აძლევს ადამიანებს. ნაყოფთან დაკავშირებული ცნობილი გამოთქმაა ასევე a tree is known by its fruit „ყველა ხე თავისი ნაყოფით იცნობა“, რომელიც სახარებიდან მოდის. ნაყოფს უკავშირდება ასევე იდიომი The apple does not fall far from the tree (ვაშლი ხისგან შორს არ ეცემა), რომელიც შვილის მშობლებისადმი მსგავსებაზე მიუთითებს. ქართულში მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულია „კვიცი გვარზე ხტისო“, ასევე „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ქართული იდიომები ხეს არ უკავშირდება. ხის, როგორც მშობლის, და ტოტის, როგორც შვილის, კონცეპტს ემყარება ტერმინი „გენეალოგიური ხე“, ასევე ინგლისური ბიზნეს-ტერმინი branch (პირდაპირი მნიშვნელობით – ტოტი), ბიზნესის სფეროში ნიშნავს „ფილიალს“, „შვილობილ კომპანიას“.

მიუხედავად იმისა, რომ ხე ზოგადად დადებითი ცნებაა, არსებობს რამდენიმე იდიომატური სიტყვა თუ ფრაზეოლოგიური ერთეული, სადაც ხეს უარყოფითი კონოტაცია აქვს. მაგალითად, ქართული

სიტყვები: ხისთავიანი, ხეთაგანი (კუთხ.) შეუგნებელის მნიშვნელობას ატარებს, გახევებული – შიშის ან ძლიერი სტრესისგან შებოჭილს, უძრავს ნიშნავს. ასევე უარყოფით კონტექსტში გამოიყენება ინგლისური იდიომი go climb a tree (წადი, ხეზე აცოცდი), ეს იდიომი ადამიანის თავიდან მოშორების სურვილს გამოხატავს.

ასევე საინტერესოა out of your tree, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი თავის შესაფერის ადგილას არ არის (შდრ. ქართული არა შეჯდა მწყერი ხესა).

უარყოფითი კონოტაციისაა ასევე Can't see the forest for the trees (ხეების გამო ტყეს ვერ ამჩნევს), რაც ნიშნავს, რომ ადამიანს ყურადღება ეფანტება, ამჩნევს დეტალებს, მაგრამ ვერ ხედავს ან ვერ ხვდება მთავარს.

ქართულ ენაში საინტერესო ფრაზეოლოგიური ერთეულია „:შეძახილმა ხე გაახმოო", რომელიც სიტყვის მაგიურ ძალაზე მიუთითებს.

კვლევის ფარგლებში ასევე შევისწავლე ხის ჯიშების აღმნიშვნელი ბერძნული და ლათინური ტერმინების ეტიმოლოგია. ამ მხრივ, ემპირიული მონაცემების ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე კონცეპტი, რომლებსაც ემყარება ხეთა სახეობების სახელდება. მაგალითად:

1. გარეგნული მახასიათებლები

Cotinus coggygria – *თრიმლი,* სადაც coggygria ნიშნავს „კვამლის ხეს" (შდრ. ინგლისური კალკირებული დასახელება smoke tree). ტერმინი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ყვავილობისას თრიმლი შორიდან კვამლს მოგვაგონებს.

Tilia cordata – *ცაცხვი,* მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ptelea – „ფართოფოთლიანი" და ლათინური სიტყვიდან cordata - გულის ფორმის.

Zelkova serrata ლათინურ ტერმინოლოგიაში შევიდა ქართული *ძელქვიდან* (რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია ძელისა და ქვის შეერთებით და ამ ხის მერქნის სიმაგრეს უსვამს ხაზს), ხოლო ლათინური ატრიბუტი serratus ნიშნავს „ხერხს" და უკავშირდება ამ ხის დაკბილულ ფოთლებს.

Betula – *არყის ხე,* მომდინარეობს სანსკრიტული ძირიდან და ნიშნავს მანათობელს, რაც მოცემული ხის ქერქის ფერზე მიუთითებს. ფერს უკავშირდება ასევე *ქრიზოფილუმი* (ინგლისურად star apple), რომელიც მომდინარეობს ბერძნული ძირებიდან chrysos „ოქროსფერი" და phyllon „ფოთოლი".

Platanus – *ჭადარი,* მომდინარეობს ბერძნული ძირიდან და „ფართოს" ნიშნავს.

2. შემსწავლელი მეცნიერის გვარი

მრავალი სახეობის დასახელება უკავშირდება მისი აღმომჩენი ან შემსწავლელი მეცნიერის გვარს, მაგალითად:

Abies nordmanniana "სოჭი" უკავშირდება ფინელი ბიოლოგის, ალექსანდერ ფონ ნორდმანის, გვარს.

Pinus sosnowsky "კავკასიური ფიჭვი" უკავშირდება კავკასიური ფლორის შემსწავლელი მეცნიერის, სოსნოვსკის, გვარს.

Betula Litwinowi "თეთრი არყის ხე", უკავშირდება რუსი ბიოლოგისა და გეოგრაფის, დიმიტრი ლიტვინოვის, სახელს.

Robinia - აკაციის სახეობაა, უკავშირდება ჟან და ვესპასიან რობინებს, საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის კარზე მოღვაწე ბოტანიკოსებს.

აკაციის კიდევ ერთი ნაირსახეობა gleditsia უკავშირდება გერმანელი ბოტანიკოსის გლედიჩის სახელს.

3. მფლობელი

ზოგიერთი ხის ჯიშის დასახელებაში მითითებულია, თუ ვისთვის არის ის განკუთვნილი, ვინ არის მისი მფლობელი. ასეთი დასახელებების უმეტესობა ღმერთების სახელებთან არის დაკავშირებული, მაგალითად:

Juglans regia „კაკალი", რომლის დასახელების პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ იგი ეკუთვნის იუპიტერს, ხოლო მეორე კი მეფურს, სამეფოს ნიშნავს.

Cedrus deodara – *კედარი,* დასახელებაში შემავალი მეორე სიტყვა ინდურია და „ღმერთების ხეს" ნიშნავს.

Populus (შდრ. ინგლ. poplar) „ვერხვი", „ალვის ხე", მომდინარეობს ლათინური სიტყვათშეთანხმებიდან arbor populi და „ხალხის ხეს" ნიშნავს.

4. ნაყოფი

Taxus baccata „უთხოვარი", რომლის მეორე ნაწილი baccata ნიშნავს „კენკრის შემცველს"

Fagus (წიფელი) მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს „საჭმელად ვარგისს".

Picea (ნაძვი) მომდინარეობს ბერძნული ძირიდან pissa და ნიშნავს ფისს, რომელიც ამ ხიდან მოიპოვება.

5. გამძლეობა

მრავალი ხის დასახელებაში ხაზგასმულია მისი გამძლეობა. მაგალითად:

Crataegus „კუნელი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან kratos და ნიშნავს „ძალას".

Acer „ნეკერჩხალი“ მომდინარეობს კელტური ძირიდან ac და ნიშნავს „მაგარს“.

6. სურნელი

კვლევამ გამოავლინა კიდევ ერთი საინტერესო დასახელება, რომელიც ხის სასიამოვნო სურნელს უკავშირდება, კერძოდ, Thuja „ტუია“, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან thuo „სურნელი“.

სუნს და ფერს ერთდროულად უკავშირდება ღვიის ერთ-ერთი სახეობის ქართული დასახელება „შავი ღვია“, იგივე „მყრალი ღვია“.

დასკვნა

ამრიგად, როგორც კვლევამ აჩვენა, ხის სიმბოლიკა მსოფლიოს მრავალ კულტურაში უკავშირდება სიცოცხლეს, ნაყოფიერებას, ღმერთებსა და ცრურწმენებს. ეს კონცეპტები დენდროლოგიურ ტერმინოლოგიაშიც აისახა. რამდენადაც ხის უამრავი ჯიში არსებობს, ბუნებრივია, რომ ერთი მცირე ნაშრომის ფარგლებში ყველა ტერმინის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ მოცემული კვლევის ფარგლებში განხილული დასახელებებიც ცხადყოფს, რომ ხეთა სახელწოდებები განპირობებულია მათი ფუნქციით, ფორმით, ფერით, სურნელით და სხვა პარამეტრებით და უკავშირდება ამა თუ იმ ერის მსოფლმხედველობასა და მითოლოგიას.

ლიტერატურა

აბზიანიძე ზ., ელაშვილი, ქ. 2006 – სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, გამომცემლობა „ბაკმი“, თბილისი.

ელაშვილი ქ. 2008 – ხეთამეტყველება, ქართული ფოლკლორი 4 (XX), თბილისი.

ივანიშვილი მ. 2010 – მცენარეთა სამყაროს პროტოქართველური და პროტოინდოევროპული სახელები. სემიოტიკა. https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/05/marine-ivanisvili.

ჩერქეზიშვილი, ტ. 2009 – *ტყე და ადამიანი,* თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი ნ. 2015 – დენდრონიმ ურთხელის ეტიმოლოგიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები XIII, თსუ.

Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В. 1984 – Индоевропейский Язык и Индоевропейцы. Тбилиси.

Milne, Brad. 2022 – Symbolism of trees: Spiritual Meanings across History. https://www.betterplaceforests.com/blog/our-forests/symbolism-of-trees-spiritual-meanings-across-history/

Irine Demetradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
irinad72@hotmail.com

Keywords: Dendrological term, etymology, symbolism, semantics, classification, idioms

The Etymology and Semantics of Certain Dendrological Terms

Summary

Since immemorial times, in all religions and societies, trees have been attached special significance. Hence, the paper analyzes the origin of tree names and the symbolic meaning of trees in diverse cultures. Research has proved that tree symbolism is related to life, fertility, gods and superstitions. These concepts are reflected in the dendrological terms. The analysis embraces the etymology of Latin and Greek names of trees. In this regard, research has revealed several concepts on which the tree-names are based, for instance, function, shape, colour, smell and other parameters. Dendrological terms related to tree species reflect the culture, world vision and mythology of the region where they are widespread. The research also focuses on the English and Georgian idioms and proverbs related to various species of trees, grouping them based on the positive and negative connotation. In addition, the paper analyzes certain English/American and Georgian toponyms and anthroponyms obtained from the names of trees.

ლალი ეზუგბაია
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი
l.ezugbaia@freeuni.edu.ge

გია ხატისაშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი
g.khatisashvili@agruni.edu.ge

თინათინ ბუთხუზი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი
t.butkhuzi@agruni.edu.ge

თამარ ხატისაშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი
khatisashvilit@gmail.com

მანანა ბუკია
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
manbuki2008@gmail.com

ელიზბარ ელიზბარაშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი
e.elizbarashvili@agruni.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ქიმიის თანამედროვე ტერმინები, განმარტებითი ონლაინლექსიკონი, ტერმინოლოგიური ლექსიკონი

ქიმიის ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური განმარტებითი ონლაინლექსიკონის ძირითადი პრინციპები

შესავალი

ლექსიკონი შეიქმნა ქიმიის ახალი ტერმინების შემუშავებაზე, ცნებების, კანონებისა და განმარტებების სწორი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციის IUPAC (www.iupac.org) მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე.

ლექსიკონს საფუძვლად დაედო ე.წ. „ოქროს წიგნში“ (Compendium of Chemical Terminology. Gold Book, IUPAC, 2014, Version 2.3.3. https://goldbook.iupac.org/files/pdf/goldbook.pdf) შესული ტერმინები. IUPAC-ის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის ბაზაზე შექმნილი ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ქიმიის განმარტებითი ონლაინლექსიკონი განთავსდა ვებმისამართზე: www.chemis-

try.ge/dictionary და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ლექსიკონი შეიქმნა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მოცემული ლექსიკონის გაქართულება არის პირველი ნაბიჯი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ერთერთი პრიორიტეტის – თანამედროვე დარგობრივი ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის – მიმართულებით. ლექსიკონის შექმნის პროცესში ჩართული იყო გაფართოებული სარედაქციო კოლეგია სხვადასხვა უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტების, როგორც ქიმიკოსების, ასევე ტერმინოლოგ-ენათმეცნიერების, მონაწილეობით.

ქიმიის ტერმინოლოგიის ისტორიისთვის

ქიმიის ტერმინოლოგიური განმარტებითი ონლაინლექსიკონი ქართულ ენაზე პირველად შეიქმნა, თუმცა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამის შესახებ ვრცელი და ამომწურავი მსჯელობაა მ. კიკვაძის სადისერტაციო ნაშრომში „ქიმიის ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი“ (კიკვიძე, 1995). შესაბამისად, ჩვენც მთლიანად ვემყარებით მეცნიერის მიერ დამოწმებულ ლიტერატურასა და ფაქტებს.

ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ სცადა თავი მოეყარა ქართული ტერმინებისთვის ნაშრომში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელიც მოგვიანებით გამოიცა (1981). ამ წიგნში გადმოცემულ ტერმინთა დიდი ნაწილი დღემდე შემორჩა ქიმიის მეცნიერებას (ვერცხლისწყალი, კალა, რკინის ჟანგი, ნიშადური, ქაფური, გოგირდი, სპილენძი, ტყვია...).

მკვლევრების მიერ შენიშნულია, რომ ვახტანგ VI წიგნის მეორე ნაწილში ზეთების ქიმიური გადამუშავების საკითხებზე მსჯელობისას აღმოსავლური (სპარსულ-არაბული) ლექსიკის ნაცვლად იყენებს ევროპულ ტერმინებს: ანტომონი, თრემენთიმი, ლავანდა... თუმცა ქართული ტერმინებისთვის უპირატესობის მინიჭებაც აშკარაა. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ VI ტერმინშემოქმედების ისტორიული ტრადიციის გამგრძელებელია. მხედველობაში გვაქვს შუა საუკუნეების მოღვაწეების – ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის –ტერმინოლოგიური საქმიანობა, როცა მათ შექმნეს ერთიანი ფილოსოფიურ-თეოლო-

გიური ტერმინოლოგიური სისტემა როგორც ბერძნული ენიდან ტერმინების სესხებით, ასევე ქართული ენის წიაღში მოძიებული სიტყვებისა თუ სიტყვაწარმოებითი მოდელების საშუალებით.

ქიმიის ტერმინოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი უკავშირდება მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნას, როცა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იმართება დისკუსია საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ქართული ტერმინების დამკვიდრების შესახებ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქიმიკოსის, ვასილ პეტრიაშვილის, სტატიები. მან ქიმიის ქართული ტერმინები მეცნიერულ საფუძველზე დაამუშავა თავის ორ ცნობილ ნაშრომში : „ღვინის დაყენება“ (1895) და „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“ (1898). საყურადღებოა ფაქტი, რომლის თანახმად, ტერმინი *ჟანგბადი* ვ. პეტრიაშვილმა დაამკვიდრა მანამდე ხმარებული *მჟავბადის* ნაცვლად.

ბუნებრივია, ქიმიის მეცნიერული ენის შექმნის ახალი ეტაპი დაიწყო 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსებით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საყოველთაოდ აღიარებული ქიმიკოსი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი. ის მონაწილეობდა საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის შემქმნელი კომისიის მუშაობაში, ასევე ერთხანს ხელმძღვანელობდა სასკოლო ქიმიური ტერმინოლოგიის კომისიას.

მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში დაიწყო 1920 წელს. ჩამოყალიბდა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება (ხელმძღვანელი გ. გედევანიშვილი, მდივანი – ქიმიკოსი ვასილ კაკაბაძე). მას შემდეგ, რაც ქართულენოვანი სკოლები დაარსდა და განათლების სისტემა გადავიდა ქართულენოვან სწავლებაზე, ყველაზე მწვავედ დაისვა ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისების შექმნა. მართლაც, ძალიან მალე ამ საზოგადოებამ გამოსცა ლექსიკონი „სიტყვარი“, რუსულ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც აერთიანებდა მთელ რიგ დარგებს, მათ შორის ქიმიასაც (ტექნიკური ტერმინოლოგია („სიტყვარი“). ტფილისი, 1920). ამ ლექსიკონმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში. ლექსიკონის შემდგენელთა პოზიცია იყო ურყევი: დარგობრივი ტერმინოლოგიის გაეროვნულება, გაქართულება, უარის თქმა უცხო ტერმინების შემოღებაზე (ქაროსანიძე 2020).

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად შენიშნავენ, რომ ამგვარი მიდგომა ტერმინშემოქმედებისადმი შეპირობებულია იმ ამოცანით, რომლის უმოკლეს ვადაში გადაწყვეტა იყო საშური. თითქმის ცარი-

ელ ნიადაგზე ქართული ტერმინების შექმნა მოითხოვდა სიტყვების მოძიებას არა მხოლოდ სალიტერატურო ენაში, არამედ დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში, ქართული ენის დერივაციული მოდელების გამოკვლევასა და, შესაბამისად, გამოყენებას. ეს ხდებოდა იმის პარალელურად, როცა ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა მეცნიერულად იკვლევდნენ ქართული ენის სტრუქტურას, ფორმა- და სიტყვაწარმოების მოდელებს, ენობრივ შესაძლებლობებს... ამდენად, „სიტყვარი“ ვერ იქნებოდა დაზღვეული უმართებულო ფორმებისა და ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვებისგან. ასე რომ, ქიმიურ ტერმინებზე მუშაობისას შემდგენლებმა მრავალ ქიმიურ ტერმინს სახელი შეუცვალეს, არაერთი ხელოვნური სახელწოდება შემოიტანეს.

დღემდე საკამათოდ რჩება საკითხი: საჭირო იყო ასე ხელაღებით უარის თქმა ტერმინების სესხებაზე თუ არა? ეს კითხვა ახლაც აქტუალურია, რადგანაც თანამედროვე ტენდენციები წარმოაჩენს ტერმინშემოქმედების პრობლემას ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც. ტერმინთა ინტერნაციონალიზაცია მე-20 საუკუნეშივე დაიწყო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეროვნული სამეცნიერო სკოლა ვერ იარსებებს შესაბამისი ქართული მეტაენის გარეშე. იმავე ქიმიის ტერმინოლოგიის მიმართულებით ახალი მიდგომა შეიმუშავა ვუკოლ ბერიძემ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიას ჩაუდგა სათავეში. უკვე საჭიროდ იქნა მიჩნეული საერთაშორისო ტერმინების შემოტანა და დამკვიდრება, თუმცა აქ ერთი საჭოჭმანო საკითხი იჩენს თავს: ეს ინტერნაციონალური ტერმინები რუსული ენის გავლით შემოდიოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირად უგულებელყოფილი იყო ქართული ფონეტიკური სისტემის თავისებურებები და ტრანსლიტერაციის საკითხები. ამ საკითხს ქვემოთ მივუბრუნდებით, აქ კი შევნიშნავთ: ქიმიის ტერმინოლოგიის შემუშავების ორივე მიმართულება (ინტერნაციონალიზაცია და გაეროვნულება) თანაარსებობდა. მაგალითად, პროფ. რ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოცემულ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (1957), ასევე „ქიმიის ტერმინოლოგიის ლექსიკონშიც“ (1970) ჩანს როგორც ქართული ტერმინებისთვის უპირატესობის მინიჭების მოტივაცია, ასევე ქართული სიტყვაწარმოების მოდელების არჩევანი.

ფაქტობრივად, ქიმიის ქართული ტერმინოლოგიის მომდევნო გამოცემები ეყრდნობოდა ზემოთ ნახსენებ ქიმიის ტერმინოლოგიის ლექსიკონს. სახელმძღვანელოების ავტორებიც ამ ლექსიკონით სა-

რგებლობდნენ. თუმცა 1975 წელს გამოჩნდა ც. მენაბდის „ინგლისურ-ქართული მოკლე ლექსიკონი (ბიოლოგებისა და ქიმიკოსებისათვის)“, რაც საინტერესო მცდელობა იყო რუსულისგან დამოუკიდებლად პირდაპირ ინგლისურ ენასთან შესატყვისობის შექმნის თვალსაზრისით.

დამოუკიდებელ საქართველოში ისევ აქტუალური გახდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის, მათ შორის ტექნიკური ტერმინოლოგიის განახლება-განვითარების საკითხი. ქიმიის, მისი მომიჯნავე თუ ქვემიმართულებების განვითარების კვალდაკვალ ახალი ტერმინები შემოედინება ევროპული ენებიდან. საჭირო გახდა არსებული ტერმინების შეჯერება ევროპულ, მათ შორის IUPAC-ის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინებთან. 1992 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამისი განყოფილებების წარდგინებით გადაწყდა ქიმიის ოთხენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონის მომზადება. შესაბამისად, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებისა და ქიმიკოსთა დიდი ჯგუფის თანამშრომლობით შეიქმნა და გამოიცა „ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი“ (2004), აკად. გ. ციციშვილის რედაქტორობით. ბაზად აღებულია 1970 წლის ლექსიკონი, თუმცა რუსულ ენასთან ერთად წარმოდგენილია ინგლისურ-გერმანული შესატყვისებიც. ლექსიკონში შევიდა 8000 ერთეული. წინასიტყვაობის მიხედვით, ქიმიურ ნაერთთა სახელები შეტანილია როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელწოდებებით, ისევე „თანამედროვე რაციონალური ნომენკლატურით, რომელიც მოცემულია შესაბამის ენაზე და უპასუხებს თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის რეკომენდაციებს (IUPAC)“ (ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი, 2004).

ქიმიის ყველა ლექსიკონი თარგმნითია და, ფაქტობრივად, განმარტებითი ტერმინოლოგიური ლექსიკონი არც გვქონია, თუ არ ჩავთვლით ს. ადამიას „ქიმიური ტერმინების მოკლე განმარტებით ლექსიკონს“ (1998), რომელიც შეიცავს 1000-მდე ტერმინს, ასევე აღსანიშნავია ო. ონიანისა და რ. პეტრიაშვილის „ნიადაგთმცოდნეობისა და აგროქიმიის განმარტებითი ლექსიკონი“ (1981).

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქამ ახალი შესაძლებლობები და განვითარების გზები წარმოაჩინა, მათ შორის ტერმინოლოგიურ საქმიანობაშიც. უფრო და უფრო აქტუალური ხდება მეტაენის გაციფრულება, მათ შორის ტერმინოლოგიის ელექტრომატარებლებზე გა-

დატანა, ონლაინრესურსების შექმნა. რამდენიმე წელია, აქტიურად გამოიყენება ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი (https://techdict.ge/ka/about/). რომელშიც შევიდა 18 ათასი სიტყვა-სტატია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ტერმინს მცირე განმარტებაც ახლავს. მართალია, ამ ლექსიკონში უპირატესად თავმოყრილია ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის, საინჟინრო-სამშენებლო, საკომუნიკაციო და საინფორმაციო, საავტომობილო, სარკინიგზო ტექნოლოგიების და ა. შ. ტერმინები, თუმცა უხვად დაიძებნება ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებთან საზიარო ტერმინებიც (https://techdict.ge/ka/about/)

2014 წლიდან თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარეობს ქართული ტერმინთბანკის შექმნა. მასში თავს მოიყრის ყველა დარგის, მათ შორის, ქიმიის ნორმირებული ტერმინები. ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტერმინოლოგიურ კონფერენციებზე მსჯელობის საგანი გახდა ქიმიის სახელმძღვანელოების ტერმინოლოგიური სტანდარტიზაციის საკითხები (მეტრეველი 2020; ელიზბარაშვილი და სხვ., 2023). თანამედროვე ტერმინოლოგიური პოლიტიკა ყველა ქვეყანაში ეფუძნება ერთიან ტერმინთბანკს, რაც უზრუნველყოფს სტანდარტების დაცვასა და ჰარმონიზაციას. სამომავლოდ, ჩვენი ლექსიკონიც აისახება ამ ტერმინთბანკში.

ლექსიკონის სტრუქტურა

საკითხის ისტორიისა და თანამედროვე გამოწვევის გათვალისწინებით, ჩვენი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ქიმიის ტერმინოლოგიის განმარტებითი ონლაინლექსიკონი ტერმინშემოქმედებითი ტრადიციის გაგრძელებისა და საბუნებისმეტყველო მეტაენის განვითარების მცდელობაა. ლექსიკონის სტრუქტურა მიუყვება ინგლისურენოვანი ლექსიკონის სიტყვა-სტატიის აგების იმავე პრინციპს, კერძოდ, სალექსიკონო ერთეულს ქვეშ მიეთითება ქიმიის ქვედარგი ან მომიჯნავე დისციპლინა; შემდეგ მოსდევს ტერმინის განმარტება/სტატია; განმარტების მომდევნოდ კი მითითება: „ასევე იხილეთ“; ხოლო ბოლოს – წყაროები. თითოეული ეს პარამეტრი საჭიროების მიხედვით არის წარმოდგენილი. შევნიშნავთ, რომ ქართულ ვერსიაში წყაროების ჩამონათვალს შესაბამის ადგილას დაემატა ქართული წყაროები: „ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი“ (2004), „ინგლისურ-ქართულ-რუსული ტექნიკური ონლაინლექსიკონი“ და სხვა. ცალკეულ ტერმინებს

თან ახლავს მარკერები: *ნაკლებად სასურველი, მოძველებული, გამოყენება მკაცრად არ არის რეკომენდებული, არაცალსახა ტერმინი - რეკომენდებულია ტერმინის გამოყენების შეწყვეტა.* მიუხედავად IUPAC-ის ამგვარი კვალიფიკაციისა, ქართულ ტერმინოლოგიაში დღემდე აქტიურად გამოიყენება არარეკომენდებული ტერმინების ნაწილი, შესაბამისად, ლექსიკონის რედკოლეგიამ ამ ეტაპზე საჭიროდ ჩათვალა მათი დატოვება, რადგან საკითხი შემდგომ დამატებით კვლევას მოითხოვს.

მეთოდოლოგია და საკვლევი საკითხები

ქიმიის ტერმინოლოგიის გაქართულება არაა მხოლოდ თარგმნის საკითხი, არამედ მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებული სიტყვათშემოქმედებითი პროცესია, როცა მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ: ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები, ტერმინშემოქმედების ტრადიციული მიდგომები, თანამედროვე სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური გამოწვევები. გარდა ამისა, ჩვენი ლექსიკონი არის პირველი განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც უფრო მეტად ასახავს ქიმიის მეტაენის შესაძლებლობასა და განვითარების პერსპექტივას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე არსებული ნორმატიული ლექსიკონებისთვის ამოსავალი ენა იყო რუსული, რის გამოც ვცადეთ მეთოდურად გადაგვეჭრა შემდეგი საკითხები:

- არსებულ ქიმიის ლექსიკონებში ობიექტური მიზეზების გამო ქართული ტერმინების საფუძვლად აღებულია ხშირ შემთხვევაში რუსული, საბჭოთა ტერმინები. ამ უკანასკნელში კი არცთუ იშვიათად დიდი აცდენაა საერთაშორისო ტერმინებთან.
- ტერმინები ძველ ლექსიკონებში არ აკმაყოფილებს ინგლისური ფონეტიკური სისტემის ქართულად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის დადგენილ ნორმებს.
- ქიმიის ტერმინოლოგიის შემდეგი დიდი პრობლემა არის ის, რომ არსებობს ახალი ტერმინები, რომლებიც არცერთ ლექსიკონში ჯერ არ არის შესული.
- არანაკლებ პრობლემურია ტერმინის განმარტებითი ნაწილი. ერთი მხრივ, საჭიროა მოძველებული განმარტების რედაქტირება, მეორე მხრივ, სრულიად ახალი ტერმინების განსაზღვრებათა ადეკვატური თარგმნა.

• ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანია პარალელიზმისა და სინონიმიის დაძლევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხების მოგვარების გზაზე მთავარი გზამკვლევი იყო IUPAC-ის შესაბამისი რეკომენდაციები. შესაბამისად, პირველი ნაბიჯები გადაიდგა „ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონის“ (2004) მომზადებისას, თუმცა ბევრი ტერმინი მოითხოვდა გადასინჯვას. ასევე ქიმიის სხვადასხვა მიმართულების განვითარების კვალდაკვალ ახალი ტერმინების შემოტანის აუცილებლობაც იდგა.

სტატიაში შევეცადეთ პრობლემების მიხედვით წარმოგვეჩინა როგორც სიახლეები, ასევე ლექსიკონის ძირითადი პრინციპები.

კვლევის შედეგები

ა. არსებული ტერმინების რედაქტირება და საერთაშორისო ტერმინებთან შესაბამისობის დადგენა.

წლების განმავლობაში მიღებული იყო „რთული ეთერი“ და „მარტივი ეთერი“, რომელთა საერთაშორისო ანალოგებია „ესტერი“ და „ეთერი“. ესტერის უპირატესობა ეთერთან შედარებით ცალსახაა ქიმიური თვალსაზრისით. ამასთანავე, განმარტებები/მსაზღვრელები „რთული“ და „მარტივი“ *ეთერის* წინ არაფერს აჩვენებს იმ მოლეკულურ-სტრუქტურული შინაარსიდან გამომდინარე, რომლითაც განსხვავდება ერთმანეთისგან *ესტერი* და *ეთერი,* არც ანალოგი მოეპოვება სხვა ენებში. ენობრივადაც, ტერმინშემოქმედებითი თვალსაზრისითაც, რაც გულისხმობს ტერმინის სიმარტივეს, გამჭვირვალობას და ლაკონურობას, აშკარაა *ესტერისა* და *ეთერის* უპირატესობა „რთული ეთერისა“ და „მარტივი ეთერის“ (შესიტყვების) მიმართ.

სხვადასხვა ტერმინთან შეწყვილებული სახით ინგლისურენოვან ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი threshold, რომელიც ქართულენოვან ლიტერატურაში ითარგმნება „*ზღვრულის*“ მნიშვნელობით. ტერმინი *ზღვრული მნიშვნელობა*, თავის მხრივ, ასევე გამოიყენება *უკიდურესად განაპირა,* „სასაზღვრო“-ს მნიშვნელობით. ამისგან განსხვავებით, ტერმინი threshold უშვებს, რომ შეიძლება არსებობდეს მასზე დიდი (ან ნაკლები) სიდიდეც, მაგრამ იგი წარმოადგენს „ბარიერულ“ სიდიდეს, რომლის გადალახვას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. მაგალითად, რადიოქიმიაში გამოყენებული ტერმინისათვის energy threshold უფრო სწორი ქართული შესატყვისი

იქნება *ენერგეტიკული ზღურბლი* და არა *ენერგიის ზღვარი* ან *ზღვრული ენერგია,* რადგან იგი დაცემული ნაწილაკის ის ზღვრული კინეტიკური ენერგია ან დაცემული ფოტონის ენერგიაა, რომლის მნიშვნელობის ქვემოთაც არ შეიძლება განსაზღვრული პროცესის განხორციელება.

ანალოგიურად, ტერმინი apparent სხვადასხვა ფიზიკურ სიდიდესთან ხშირად იხმარება იმის აღსანიშნავად, რომ გაზომვის მნიშვნელობა „მიახლოებითია". ამიტომ იგი გამოიყენებოდა *„პირობითის"* სახით, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში უმჯობესი იქნება ტერმინის - *„მოჩვენებითი"* გამოყენება. მაგალითად, სითხეებში: apparent viscosity – *„მოჩვენებითი სიბლანტე",* რადგან იგი დაძაბულობის თანაფარდობაა დეფორმაციის სიჩქარესთან და გამოითვლება ძალებისა და სიჩქარეების გაზომვით, თუ ჩავთვლით, რომ სითხე ნიუტონისეულია. თუ სითხე სინამდვილეში არ არის ნიუტონური, მაშინ „მოჩვენებითი სიბლანტე" დამოკიდებულია გამოყენებული აპარატის ტიპსა და ზომებზე.

რედაქტირება შეეხო ქიმიის მიმართულებების აღმნიშვნელ ტერმინებსაც. მაგალითად, liquid chromatography „ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონის" მიხედვით არის *თხევადი ქრომატოგრაფია,* და ბევრი ასეც იყენებს, თუმცა უფრო მართებულია *სითხური ქრომატოგრაფია.* ასევე უფრო სწორია ტერმინი *ატმოსფეროს ქიმია* ნაცვლად *ატმოსფერული ქიმიისა.*

გ. ტერმინების გამართვა ინგლისური ფონეტიკური სისტემის ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის დადგენილი ნორმებით.

ცხადია, გასული საუკუნის 50-იან, 70-იან წლებში შექმნილი ლექსიკონები ემყარებოდა რუსულენოვან ქიმიის ტერმინოლოგიას, რის გამოც რუსული ტრანსლიტერაციით შემოდიოდა ტერმინი. მაგალითად, *ქრაუნ* - (*crown-ether*) რუსულის გავლენით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია *კრაუნ-ეთერის* სახით. საბედნიეროდ, უკვე დამკვიდრდა საერთაშორისო ტერმინების ქართულში შემოტანისას „t"-ს „ტ"-დ და "th"-ს „თ-დ" ჩაწერის წესი (მაგ. *Methane - მეთანი, butane - ბუტანი*), თუმცა ჯერ კიდევ პრობლემატურად რჩება c-ს, cr-ს, ch-სა და q-ს შემცველი ტერმინები და საჭიროებს სტანდარტიზებას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ aquagel. „aqua" ქართულ სამეცნიერო და არასამეცნიერო ლექსიკაში ხშირად გვხვდება *აკვას* სახით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სიტყვის ფუძის ლა-

თინურ წარმომავლობას, სწორი ფორმაა *აქვა* და, შესაბამისად, უნდა იყოს *აქვაგელი.* ცხადია, ენაში მოქმედებს ე.წ. ტრადიცია/უზუსი/ჩვევა, რის გამოც მიზანშეწონილად არ მიიჩნევა უკვე დამკვიდრებული ფორმების დაწერილობის შეცვლა, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ახალ ტერმინებში, განსაკუთრებით ვიწროდარგობრივ სიტყვებში ახალი ნორმა უნდა იქნეს გათვალისწინებული, მაგალითად, aquation აღნიშნავს წყლის ერთი ან მეტი ინტეგრალური (მთლიანი) მოლეკულის სხვა ნაწილაკებთან შეერთებას ერთი ან რამდენიმე სხვა ატომის ან ჯგუფის ჩანაცვლებით ან მის გარეშე. ქართულად უნდა აღინიშნოს ტერმინით *აქვანირება.*

გ. ახალი ტერმინების შემოღებისა და დამკვიდრების საკითხი

ბოლო პერიოდში ახალი ტერმინების შემოტანასთან დაკავშირებული ტენდენციებია: პირდაპირ გამოიყენება ნასესხები ტერმინების სახით, ან ქართული ტექსტის (სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელო...) ავტორი მას საკუთარი გემოვნებით (ზოგჯერ შეიძლება სწორადაც) ნათარგმნი/მისადაგებული ფორმით იყენებს, თუმცა ვერ პოვებს საყოველთაო აღიარებას დარგში. ამავე დროს IUAPAC-ის მიერ დადგენილი ქიმიის ძირითადი ტერმინების კრებული (Compendium of Chemical Terminology. Gold Book), რომელიც 5000-ზე მეტი ტერმინისგან შედგება, 10%-მდე ახალ ტერმინსა და განახლებულ ფორმულირებას/განმარტებას მოიცავს. მაშასადამე, ქართულ მეტაენაში ტერმინების ეს წილი საერთოდ არაა გადმოტანილი.

რა თქმა უნდა, სრულიად ახალი ტერმინების ადეკვატური შესატყვისების შექმნა ყოველთვის ვერ მოხერხდება და სესხებაც გარდაუვალია. ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პროცესი სწორედ ესაა, ამიტომაც სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ტერმინთა წარმოების წესებზეც.

ქართული შესატყვისები

ბუნებრივია, ტერმინთა ქართული შესატყვისების შექმნა უპირატესია, თუმცა საკამათოც. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ტერმინი attenuance, რომელიც absorbance-ის ანალოგს წარმოადგენს, თუმცა, მისგან განსხვავებით, ითვალისწინებს გაბნევისა და ლუმინესცენციის შედეგად გამოწვეულ ეფექტებს და უფრო მცირე ფიზიკუ-

რი მნიშვნელობა შეესაბამება. ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია, თუ ქართულში იგი დამკვიდრდება *შესუსტების* სახით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტერმინმა attenuance თავად ინგლისურ ენაშიც ჩაანაცვლა მანამდე ფართოდ დამკვიდრებული ტერმინი extinction, რომელიც ქართულში ან პირდაპირ *ექსტინქციის* ან *ჩახშობის* სახით გამოიყენებოდა.

ატმოსფეროს ქიმიაში გამოყენებული ტერმინისათვის entrainment, რომელიც აღნიშნავს ბურუსის ან ნისლის წარმოქმნის პროცესში სითხის წვეთებს, რომლებიც წარიტაცება მდუღარე სითხის ორთქლიდან ან სითხიდან მასში სწრაფად გამავალი აირის ან ორთქლის ბუშტებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტერმინის *წარტაცება* დამკვიდრება ქართულში.

შერეული მოდელი

ტერმინშემოქმედებაში გამოცდილი მეთოდია, როცა ტერმინის ფუძე და აფიქსები სხვადასხვა ენობრივი ერთეულია, ჩვენ შემთხვევაში – ინგლისურ-ქართული. თეორიული და გამოყენებითი ქიმიის ბოლო წლების მიღწევების შედეგად საერთაშორისო ლიტერატურაში გაჩენილი ახალი ტერმინების სრულყოფილი ქართული შესატყვისი ფორმების მოძიება/მისადაგება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამიტომ, სადაც შესაძლებელი იყო, მაქსიმალურად შევეცადეთ ტერმინის წარმოებისას გამოგვეყენებინა ქართული ფუძე. მაგალითად, სტერეოქიმიაში იხმარება ტერმინები antarafacial და suprafacial, რომლებიც აღწერს მოლეკულის სივრცულ სპეციალურ აღნაგობას. აღნიშნული ტერმინები ბევრ ენაში ნასესხები ფორმითაა აღებული, თუმცა მიგვაჩნია, რომ *ანტარაფაციალურის* და *სუპრაფაციალურის* ნაცვლად აჯობებს ქართულში დამკვიდრდეს *ანტარასახოვანი* და *სუპრასახოვანი.*

ტერმინის წარმოებისას ხდება პირუკუ: ფუძე უცხო ენისაა, ხოლო მაწარმოებელი აფიქსი – ქართული. მაგალითად, ერთ-ერთი ახალი ტერმინია anation, რომელიც საკოორდინაციო რგოლში წყლის ლიგანდის ანიონით ჩანაცვლებას აღნიშნავს და მისი შესაბამისი ქართული ტერმინი იქნება *ანიონირება.*

ზოგიერთ შემთხვევაში ახალი ქართული ტერმინის შექმნა მოგვიწია განმარტების შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად, ქიმიური რეაქციის აღსანიშნავად, რომელშიც გარკვეული კანონზომიერები-

თა და თანმიმდევრობით სინქრონულად მიმდინარეობს რამდენიმე ქიმიური ბმის გაწყვეტა და ახალი ბმების წარმოქმნა ერთ საფეხურად, იყენებენ ტერმინს concerted reaction. მივიჩნიეთ, რომ მოცემული პროცესის გამოსახატად უკეთესი ქართული შესატყვისი იქნებოდა *ორკესტრირებული რეაქცია.* მართალია, ეს სიტყვებიც ისტორიულად ნასესხებია, მაგრამ უკვე დამკვიდრებულია და ქართული ენისთვის ბუნებრივია.

ტერმინის სესხება

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტერმინის სესხებაც ერთ-ერთი ხერხია ტერმინშემოქმედების გზაზე და ამ მხრივ, ჩვენც ვერ ავუარეთ გვერდი ასეთ სიტყვებს. მაგალითად, ტერმინი effluent ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინლექსიკონში გადმოცემულია მხოლოდ ეკოლოგიაში მიღებული მნიშვნელობით *ჩამდინარე წყლები.* ქიმიაში, კერძოდ კი, ქრომატოგრაფიულ ანალიზში იგი ასევე აღნიშნავს მოძრავ ფაზას, რომელიც ტოვებს სვეტს. ამდენად, გადაწყდა, რომ ქიმიურ ტექსტებში ეს სიტყვა პირდაპირ ყოფილიყო ნასესხები *ეფლუენტის* სახით.

მექანიზმების ქიმიაში კარგად ცნობილია ტერმინი *წამსვლელი ჯგუფი* - leaving group. მაგრამ ქიმიის ამ დარგის განვითარებამ კიდევ რამდენიმე ახალი ტერმინი შემოგვთავაზა. ესენია electrofuge და nucleofuge. ორივე მათგანი ასევე *წამსვლელი ჯგუფის* აღსანიშნავად გამოიყენება, თუმცა ახალი ტერმინი აზუსტებს წამსვლელი ჯგუფის სახეს და უფრო მეტად ნათელს ხდის რეაქციის მექანიზმს. კერძოდ, electrofuge აღნიშნავს ისეთ წამსვლელ ჯგუფს, რომელიც არ ატარებს შემაკავშირებელ ელექტრონულ წყვილს. მაგალითად, NO_2^+-ით ბენზოლის ნიტრირებისას H^+ არის *ელექტროფუჯი (და არა ძველი დაწერილობით - ელექტროფუგი),* შესაბამისად, ელექტროფუჯის ზედსართაული წარმოება იქნება *ელექტროფუჯური.*

ტერმინი effector წლებია გამოიყენება ბიოქიმიაში ისეთი მცირე ზომის მოლეკულის აღსანიშნავად, რომელიც ზრდის (აქტივატორი) ან ამცირებს (ინჰიბიტორი) (ალოსტერული) ცილის აქტიურობას, კავშირის წარმოქმნით ცილის რეგულატორულ უბანთან (რომელიც განსხვავდება სუბსტრატის დაკავშირების კატალიზური უბნისაგან). ეს ტერმინი არც ერთ ტექნიკურ ლექსიკონში არ შედიოდა, თუმცა არაფორმალურად მაინც გამოიყენებოდა. ახლა კი ჩვენი ლექსიკონის საშუალებით ტერმინი *ეფექტორი* ოფიციალურადაც დამკვიდრდება.

დ. ტერმინოლოგიაში პარალელიზმისა და სინონიმიის დაძლევა

მნიშვნელოვანია სპეციალისტების კონსესუსი, რომ დაიძლიოს პარალელიზმი და სინონიმია, სადაც ეს შესაძლებელია. სინონიმებად შეიძლება გვქონდეს როგორც ქართული წარმოების, ასევე ნასესხები ტერმინები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის მივმართეთ შემდეგ გზას. ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიასთან განსახილველად გავიტანეთ პარალელური ფორმები და უბრალო კენჭისყრით გამოვავლინეთ შესარჩევი ლექსიკური ერთეული. მაგალითად, *solid support* ტერმინისთვის არსებული პარალელური ფორმებიდან: *მატარებელი, მყარი მატარებელი, მყარი მატრიცა, მყარი სარჩული* საბოლოო ფორმად მიღებული იქნა *მყარი სარჩული* (71.4%), *penetrants* ტერმინისთვის წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმები: *პენეტრანტები, შემღწევი ნივთიერება, შემღწევი ნაერთები, შეღწევის აგენტი.* კომისიაზე განხილვის შემდეგ უპირატესობა მიენიჭა (ხმათა 50%-ზე მეტი) საერთაშორისო ტერმინთან ახლოს მდგომ ფორმას –*პენეტრანტები.* თუ პირველ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა ქართულ შესატყვისს, ამჯერად ტერმინის სესხების მოსაზრებამ გადაწონა.

სტერეოქიმიაში მოლეკულების კონფორმაციული ფორმების აღნიშვნისათვის გამოიყენება არაერთი ტერმინი. ამჯერად ორ მათგანზე გვინდა შევჩერდეთ, როგორებიცაა: eclipsed და bisecting. პირველ მათგანს პრაქტიკულად ორგანული ქიმიის ყველა სახელმძღვანელოში ვხვდებით, თუმცა სხვადასხვა ქართული შესატყვისით: *ჩამოფარებული, დაეკრანებული* და *ეკრანირებული.* მიზანშეწონილად მიგვაჩნია eclipsed-ის შესატყვისად ტერმინის - *ჩამოფარებული* დამკვიდრება, რადგან გარდა იმისა, რომ ქართული სიტყვაა, ზედმიწევნით ზუსტად აღწერს კონფორმაციის იმ ფიზიკურ არსს, რომლისთვისაც იგი გამოიყენება. ანალოგიური მიდგომით ტერმინი bisecting-ისათვის ქართულში უნდა დამკვიდრდეს *დაცურებული.*

აქვე შევნიშნავთ, რომ სამედიცინო და ქიმიურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია გამოიყენება ტერმინი *ლეტალური დოზა, ლეტალური კონცენტრაცია* და ა.შ. მიგვაჩნია, რომ *ლეტალური* სიტყვის ჩანაცვლება სრული ქართული შესატყვისით *სასიკვდილო* უფრო უპრიანია.

ე. ტერმინის განმარტების ცვლილება.

ქიმია მუდმივად და სწრაფად განვითარებადი მეცნიერებაა და ზოგჯერ ამა თუ იმ ტერმინის, ცნების, კანონის და ა.შ. განსაზღვრება იცვლება/იხვეწება მეცნიერების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად. ერთ-ერთი მაგალითის სახით შეიძლება დასახელდეს საყოველთაოდ ცნობილი *მენდელეევის პერიოდულობის სისტემა*, რომლის საერთაშორისო ანალოგიაა *ელემენტების პერიოდულობის ცხრილი*. შეიცვალა და დაზუსტდა ქიმიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნების, *მოლის*, განსაზღვრება, კერძოდ, IUPAC-ის ბოლო რეკომენდაციის თანახმად, „*მოლი* არის სისტემის ნივთიერების რაოდენობა, რომელიც შეიცავს იმდენივე ელემენტარულ ერთეულს, რამდენი ატომიცაა 0.012 კგ ნახშირბად-12-ში.“

ლექსიკონი განმარტებითია, შესაბამისად, ითარგმნება სიტყვა-სტატიები შემდეგი პრინციპით:

ა. თუ განმარტება ვრცელია და ენციკლოპედიური ხასიათისაა, მას ვამოკლებთ და ვტოვებთ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ტერმინს ეხება.

ბ. ზოგჯერ განმარტებას ახლავს შენიშვნები. აქაც ანალოგიურად საჭიროების მიხედვით ვთარგმნით ამ შენიშვნებსაც.

თარგმნა რთული პროცესია, რასაც განაპირობებს როგორც მრავალწევრა ტერმინოლოგიური ფრაზები, ასევე ინგლისური და ქართული ენების განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებიც. ვცდილობთ, თავი ავარიდოთ კალკირებას, თუმცა ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. ზოგჯერ ტერმინი მთელი წინადადებაა, მაგალითად, *„გაუმჯობესებული კანონიკური ვარიაციული გარდამავალი მდგომარეობის თეორია“,* შდრ.: ინგლ. improved canonical variational transition-state theory, ასევე განმარტებაშიც გვაქვს მრავალწევრა ტერმინები: „კანონიკური ვარიაციული გარდამავალი მდგომარეობის თეორიის მოდიფიკაცია, რომლის დროსაც *ზღვრული ენერგიის* ქვემოთ ენერგიებისთვის *გამყოფი ზედაპირის პოზიცია* გამოიყენება/მიიჩნევა *მიკროკანონიკური ზღვრული ენერგიის პოზიციად. შდრ.:* A modification of canonical variational transition-state theory in which, for energies below the threshold energy, the position of the dividing surface is taken to be that of the microcanonical threshold energy...“

მნიშვნელოვანია ტერმინის აზრის გადმოსაცემად განმარტებაში ქართული ლექსიკის ჩანაცვლება. მაგალითად, ტერმინი *იმობილიზებული ფაზა* ბიოქიმია-ბიოტექნოლოგიაში დამკვიდრებულია, მაგრამ განმარტების ნაწილში *იმობილიზაცია* ჩავანაცვლეთ ქართული შესატყვისით *დამყნობა:* „უძრავი ფაზა, რომელიც *დამყნობილია* სარჩულის ნაწილაკებზე ან სვეტის მილის შიდა კედელზე...“ შდრ.: A stationary phase in which is *immobilized* on the support particles, or on the inner wall of the column tubing...“

დასკვნა

ამრიგად, ლექსიკონში აისახა 5000-ზე მეტი ტერმინი თავისი განმარტებით. ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი არის ქიმიის პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი. მასში თავმოყრილი ტერმინები ტერმინოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ამ ლექსიკონის შექმნა ეფუძნება მეცნიერულ კვლევას როგორც ქიმიის მიმართულებების მიხედვით, ასევე ქართულ ტერმინშემოქმედებით გამოცდილებას. სტატიაში წარმოდგენილი საკითხებით ვცადეთ ლექსიკონის კვლევითი სიახლეების წარმოჩენა. ერთი მხრივ, რედაქტირებულია არსებული ტერმინების დიდი ნაწილი როგორც შინაარსის დაზუსტების, ასევე მართლწერის (ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია) გამართვის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, შემოტანილია ახალი ტერმინები სესხებისა და ქართული შესატყვისების შექმნის გზით.

ვფიქრობთ, ეს ლექსიკონი შეავსებს დარგში არსებულ ხარვეზებს. გარდა ამისა, ონლაინლექსიკონი საშუალებას იძლევა მომხმარებელთა და სპეციალისტთა შენიშვნების კვალდაკვალ შევიტანოთ მასში ცვლილება.

ლიტერატურა

ელიზბარაშვილი და სხ., 2023 – ე. ელიზბარაშვილი, ლ. ეზუგბაია, გ. ხატისაშვილი, მ. ბუკია, თ. ბუთხუზი, თ. ხატისაშვილი, *ქიმიის ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული განმარტებითი ტერმინოლოგიური ონლაინლექსიკონი (სამეცნიერო ან-*

გარიში/პრეზენტაცია), თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VIII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, თბილისი.

კიკვიძე 1995 – მ. კიკვაძე, *ქიმიის ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.* დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 12-34.

მეტრეველი 2020 – ლ. მეტრეველი, *ქიმიის სასკოლო ტერმინოლოგიის საკითხისათვის,* ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები – IV“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 282-285.

ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი 2004 – რედ. გ. ციციშვილი, რ. ღამბაშიძე, თბილისი.

ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი (https://techdict.ge/ka/about/).

ქაროსანიძე 2020 – ლ. ქაროსანიძე, *სიტყვარი – ქართული ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი - 100 წლისაა,* ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები - IV“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 4-32.

მადლიერება

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის. ნაშრომი წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის #SL-22-339 ფარგლებში. ავტორები ასევე მადლიერებით მოიხსენიებენ აკად. გ. ციციშვილს, დოქტ. ც. რამიშვილს, პროფ. შ. ჯაფარიძეს, დოქტ. ქ. ლომსაძეს, პროფ. გ. ტიტვინიძეს და დოქტ. გ. ადამიას კვლევის პროცესში აქტიური თანადგომისა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის.

Lali Ezugbaia
Tbilisi Free University, Georgia
l.ezugbaia@freeuni.edu.ge

Gia Khatisashvili
Agricutural University of Georgia, Georgia
g.khatisashvili@agruni.edu.ge

Tinatin Butkhuzi
Agricutural University of Georgia, Georgia
t.butkhuzi@agruni.edu.ge

Tamar Khatisashvili
Agricutural University of Georgia, Georgia
khatisashvilit@gmail.com

Manana Bukia
TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgia
manbuki2008@gmail.com

Elizbar Elizbarashvili
Agricutural University of Georgia, Georgia
e.elizbarashvili@agruni.edu.ge

Keywords: Chemistry Modern Term, Explanatory Online Dictionary, Terminological Dictionary

The Main Principles of the English-Georgian and Georgian-English Explanatory Online Dictionary of Chemistry Terminology

Summary

The new English-Georgian and Georgian-English explanatory online dictionary has been development on the base of the recommendations and proposals provided by the permanent commission of the esteemed International Union of Pure and Applied Chemistry (IUPAC), responsible for ensuring the accuracy and international recognition of chemistry terms, concepts, laws, and definitions.

The created online dictionary represents the Georgian version of the compendium of chemical terminology published by IUPAC in 2014 as a so-called Gold Book. The Georgian version of the English dictionary is built on the same collocation principle as the English version. In particular, under a lexical unit is indicated a sub-branch of chemistry or a related discipline; next follows the definition of the

term/article; After the definition comes the “See. Also" section and finally - the references. Each of these options is presented as needed. In some cases, a completely new Georgian term was created.

While working on the dictionary, the issues of purely sectoral appropriateness of terms and language normalization-standardization were highlighted.

In the direction of the field, it became necessary:

1. Editing of the definition and writing of the existing terms (in accordance with the rules of transliteration, as well as considering the use of punctuation).

2. Agreement/establishment of new terms, in particular, new terms that were not used in the Georgian terminological system of chemistry entered the scientific circulation.

3. Clarifying and correcting the definitions of terms, taking into account the Georgian scientific knowledge of chemistry.

The dictionary contains about 4,500 terms that meet the standards of modern chemical terminology. Work on the online dictionary will continue continuously and new terms will be added or edited the existing ones due to the new recommendations of IUPAC.

რუსუდან ზექალაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი
rusudan.zekalashvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტერმინოლოგია, მასდარი, სიტყვაწარმოება, ერთსიტყვიანი ტერმინები, შესიტყვება ტერმინად

ნაზმნარი არსებითი სახელი ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში

შესავალი

გავრცელებულია აზრი, რომ სპეციალურ ტერმინოლოგიურ ქვესისტემებში ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ „პროცესებს, მოქმედებებს, მდგომარეობებს, მიმართებებს რეალურ სამყაროში“, ნაკლებადაა განხილული და შესწავლილი, ხოლო „მათი ტერმინოლოგიური სტატუსი დიდხანს იყო საკამათო“ (Kazarina 2018:122-123). რაც შეეხება ნაზმნარ არსებით სახელებს (ანუ საწყისებს), ფიქრობენ, რომ სამეცნიერო და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ისინი საერთოდ არ გამოიყენება ან შედარებით იშვიათად, თუმცა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში მასდარები საკმაოდ გავრცელებულია, უფრო მეტადაც კი, ვიდრე სხვა ენებში.

რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, ძირითადი ისაა, რომ ქართულ ენაში არ გვაქვს ინდოევროპული ენების მსგავსი ინფინიტივი. ნაზმნარი სახელი უმეტესად *მეორეულია* (გარდა, ე. წ. პირველადი საწყისებისა), *ინფინიტივი* არ არსებობს და *ნაზმნარი სახელი* მისგან განსხვავებულია (ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი 2009: 40-44).

2. ნაზმნარი სახელი და ევროპული ენების ინფინიტივი

2.1.მასდარი და ინფინიტივი

ქართულში მასდარი, მართალია, ზოგჯერ ასრულებს ევროპული ენების ინფინიტივის მსგავს ფუნქციას, მაგრამ ის არსებითი სახელია და არა ზმნის ამოსავალი ფორმა, მას ზმნური ნიშნები თითქმის დაკარგული აქვს და ადვილად იქცევა ტერმინად. მაგ.: შევადაროთ

გერმანული სამედიცინო ტერმინი die Verdauung („მონელება“), რომელიც ზმნური ფუძისგან -ung სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელია; რაც შეეხება das Verdauen-ს, გაარსებითებული ინფინიტივია, ხოლო verdauen – ინფინიტივი, რომელიც თითქმის არ გამოიყენება ტერმინად. ქართულში ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება – ნაზმნარი არსებითი სახელი „მონელება“.

უამრავი ასეთი მაგალითი მოიძებნება ქართულსა და ევროპულ (რუსულ, გერმანულ, ინგლისურ თუ სხვა) ენებში: ქართული მასდარის ეკვივალენტად გამოდის ორი (ან სამი) ლექსიკური ერთეული: ერთი მხრივ, ინფინიტივი (ზმნის განუსაზღვრელი ფორმა) და, მეორე მხრივ, ნაზმნარი სახელი.

სქემა №1ა – ქართული მასდარის გადმოტანა უცხოურ ენებზე[1]

ქართულად	რუსულად	გერმანულად	ინგლისურად
აცრა (<აიცრის, აიცრება)	прививать	impfen	to vaccinate, to inject
აცრა	прививка	(die) Impfung	vaccination, injection, immunization
ბოდვა (<ბოდავს სიცხის დროს)	бредить	im Fieber sprechen	to be delirious (with fever)
ბოდვა	бред	der Fieberwahn, das Delirium	delirium
გამოფიტვა (<გამოიფიტება)	истощаться	sich erschöpfen	to deplete, to exhaust
გამოფიტვა (ან არაქათის გამოცლა, დაუძლურება)	истощение	die Erschöpfung	exhaustion, prostration

[1] ტერმინთა სათარგმნად მოვიშველიეთ შემდეგი ლექსიკონები: ქართ.-ინგლ. ლექსიკონი 2020; გერმ.-რუს. ლექსიკონი და ინგლ-გერმ. ლექსიკონი (იხ. ლიტერატურის სია).

გაცივება (<გაცივდება)	простудиться	sich erkälten	to constipate
გაცივება	простуда	die Erkältung	cold, chill
გულისრევა (<გული ერევა)	тошнит	übel sein, erbrechen	to vomit
გულისრევა	тошнота	die Übelkeit, der Brechreiz	vomiting

სქემა №1ბ ქართული მასდარის გადმოტანა უცხოურ ენებზე

ქართულად	რუსულად	გერმანულად	ინგლისურად
გულისცემა (<გული უცემს)	сердце бьется	das Herz klopft (schlägt)	the heart beats
გულისცემა	сердцебиение	das Herzklopfen	palpitation
დაავადება (<დაავადდება)	заболеть	erkranken (an D)	to sicken
დაავადება	заболевание	die Erkrankung	disease, illness
დაბჟენა (<დააბჟენს), *დაპლომბვა* (<დაპლომბავს)	пломбировать	plombieren, füllen	to fill (up) a tooth
დაბჟენა, დაპლომბვა	пломбирование	die Plombierung, die Füllung	plugging
მოწამვლა (<იწამლება)	отравиться	sich vergiften	to poison oneself
მოწამვლა	отравление	die Vergiftung	poisoning
ოფლიანობა (<ოფლიანობს)	потеть	schwitzen	to sweat

ოფლიანობა	потение	das Schwitzen	perspiration
(კუჭის) *აშლა* (<კუჭი ეშლება)// აშლილობა	расстройство желудка	die Magenverstimmung, die Verdauungsstörung, der Durchfall	dyspepsy
ქავილი (<ექავება)	чесаться, зудеть	jucken	to itch
ქავილი	зуд	das Jucken, der Juckreiz	itching, itchiness

სქემა №1გ ქართული მასდარის გადმოტანა უცხოურ ენებზე

ქართულად	რუსულად	გერმანულად	ინგლისურად
ღებინება (<აღებინებს)	рвать	erbrechen	to vomit
ღებინება	рвота	das Erbrechen	vomiting
წვა (<ეწვის)	жечь	brennen	to burn
წვა	жжение	das Brennen	burning
ხველა (<ახველებს)	кашлять	husten	to cough
ხველა	кашель	der Husten	cough, coughing
ხველა (ბატონები) –	коклюш	der Keuchhusten	pertussis
ხვრინვა (<ხვრინავს)	храпеть	schnarchen	to snore
ხვრინვა	храп	das Schnarchen	snoring
ხროტინი (<ხროტინებს), *ხიხინი* (<ახიხინებს)	хрипеть	röcheln	to rattle
ხროტინი, ხიხინი	хрип	das Röcheln	(death) rattle

ჩამოთვლილთაგან განვიხილოთ ორი ლექსიკური ერთეული: *ხველა და ხველება. ხველას* ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ის დაავადების სიმპტომის სახელია და შენარჩუნებული აქვს ზმნური თვისებები;

შდრ. *ხველა* (ამბობენ *ხველებასაც*): მაგ.: „ბრონქიტის ძირითადი სიმპტომებია: *ხველა,* ნახველი (ზოგჯერ ნახველის გარეშეც), სისუსტე, დაღლილობა“. https://vidal.ge/health/bronqiti-da-misi-formebi. შდრ. „ბევრია, ვისაც სურდო, ცემინება, *ხველება* გაციებისა და ვირუსის სიმპტომები ჰგონია“. https://www.mshoblebi.ge/article/10704-rogor-gavarchiot-surdo-da-bronkiti-alergiisgan-rchevebi-alergolog-imunolog-nino-lomizisgan/. ხველა ბავშვთა ინფექციური დაავადების სახელიცაა, მაგრამ მას ამატებენ სიტყვას „ბატონები“ (სამედიცინო ენაზე ესაა „ყივანახველა“). ამ შემთხვევაში ლექსიკური ერთეული *გაარსებითებულია* და მხოლოდ სამედიცინო ტერმინია. მედიცინაში გამოიყოფა *ხველის* სახეობებიც: მშრალი ხველა, სველი ხველა, შემაწუხებელი ხველა, სისხლიანი ხველა, ხრინწიანი ხველა და სხვ.

შეიძლება დავასახელოთ ასევე სამედიცინო ტერმინი *ანთება.* მისი, როგორც ტერმინის, სემანტიკა განსხვავდება ნაზმნარი სახელის მნიშვნელობისაგან (*აანთებს, აინთება* ზმნებისგან ნაწარმოები; მაგ., რამისთვის ცეცხლის მოკიდება, ქურის ანთება და სხვ.).

მედიცინაში *ანთება* (ლათ. Ammatio, რუს. Воспаление, ინგლ. Inflammation, გერმ. die Entzündung) აღნიშნავს „ორგანიზმის დამცველობით რეაქციას სხვადასხვა პათოგენური გამღიზიანებლების მიმართ. ქსოვილის ან ორგანოს დაზიანების ადგილას ვლინდება სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რასაც თან ახლავს ქსოვილების დისტროფია“ (გოგიჩაძე ლექსიკონი, 2009). ჩამოვთვლით *ანთების* ზოგიერთ სახეს ინტერნაციონალურ სინონიმურ დუბლეტებთან ერთად:

სქემა №2 სხვადასხვა ტიპის *ანთება* და შესატყვისი თარგმანები

ქართულად	ლათინურად	რუსულად	გერმანულად	ინგლისურად
აპენდიციტი – ბრმა ნაწლავის ანთება	appendicitis	аппендицит	die Blinddarmentzündung	appendicitis
ბრონქიტი – ბრონქების ანთება	bronchitis	бронхит	die Bronchitis, Entzündung der Schleimhaut in den Bronchien	bronchitis
გინგივიტი – ღრძილე-	gingivitis	гингивит	die Gingivitis, die Entzündung des	gingivitis

ბის ანთება			Zahnfleisches	
გლოსიტი – ენის ანთება	glossitis	глоссит	die Glossitis, Zungenentzündung	glossitis
ოფთალმიტი – თვალების ანთება	ophthalmitis	офтальмит, Воспаление глаза	die Augenentzündung	ophthalmitis, eye inflammation
პნევმონია – ფილტვების ანთება	pneumoniae	пневмония	die Lungenentzündung	pneumonie
ტონზილიტი – ნუშურა ჯირკვლების ანთება	tonsillitis	тонзиллит	die Mandelentzündung	tonsillitis
ქოლეცისტიტი – ნაღვლის ბუშტის ანთება	cholecystitis	холецистит	die Cholezystitis, die Gallenblasenentzündung	cholecystitis

2.2. მასდარი მრავლობით რიცხვში

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ნაზმნარი არსებითი სახელის თავისებურებაა მისი გამოყენების შესაძლებლობა მრავლობით რიცხვში: „მასდარი სამეცნიერო ენაში ადვილად იკეთებს მრავლობითი რიცხვის ფორმას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სალიტერატურო ქართულში ამგვარი მოვლენა უკავშირდება მხოლოდ იმ მასდართ, რომელთაც ზმნური ნიშნები დაუკარგავთ, წარმოდგენილი ვითარება ამ ფუნქციური სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ მრავლობითი ეწარმოება იმგვარ მასდართაც, რომელთა ზმნური ნიშნები ცოცხლად შეიგრძნობა“ (კვარაცხელია 1990:85-86). მსგავსი მაგალითები დადასტურდა სამედიცინო ლიტერატურაშიც, თუმცა შედარებით იშვიათად: დაჩრდილვები, ცხელებები, შიშები, შუილები, შეგუებები, შეტევები, ხუთვები და სხვ. გამოიყოფა პათოლოგიური *ცხელებები; შიშების* სხვადასხვა სახეობა: ბუნებრივი და პათოლოგიური *შიშები,* ბიოლოგიური, სოციალური, ეგზისტენციალური, ბავშვთა და მოზრდილ-

თა *შიშები;* https://dendroni.ge/statiebi/article/59344-shishi-da-fsiqikuri-janmrtheloba; არსებობს გულის პათოლოგიური *შუილები;* სულის *ხუთვები;* პანიკური *შტევები...*

დავასახელებთ მრავლობით რიცხვში გამოყენებულ ორიოდე მასდარს სამედიცინო ტექსტებიდან: „ფილტვის ქსოვილში გამოვლენილი *დაჩრდილვები* დაიყოფა ორ კატეგორიად: მცირე და დიდი ზომის *დაჩრდილვები“.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/54430?publication=0 „სისხლის უმცირესი *შეგუბებები* წარმოიქმნება სისხლძარღვებში, თუმცა ორგანიზმი მათ შლის“ https://rchevebi.com/index.php?newsid=22605 და სხვ.

2.3. ახალ ტერმინთა წარმოება მასდარებისგან

გაარსებითებული ნაზმნარი არსებითი სახელისაგან ზოგჯერ დერივაციული საშუალებებით იწარმოება ახალი ტერმინებიც (უმეტესად ზედსართავი სახელები), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ასეთი სიტყვაწარმოება ძალზე გავრცელებულია: ანთება > ანთებითი. მაგ., *ანთებითი* პროცესი, კანის *ანთებითი* რეაქცია, ჯირკვლების *ანთებითი* ხასიათის დაზიანება, *ანთებითი* არაგადამდები დაავადება, *ანთებითი* ადგილი, *ანთებითი* ჰიპერემია;

ანთება > ანთებადი: ანთებადი (ადგილი, არე);

(დაავადების) შებრუნება: შებრუნებითი ტიფი;

(დასნებოვნების) განმეორება: განმეორებითი დასნებოვნება და ა. შ.

3. ქართული სამედიცინო ტერმინ-მასდარების აგებულება

ქართულ სამედიცინო ტერმინებში გამოყენებული მასდარები შესაძლებელია დავაჯგუფოთ *აგებულების* მიხედვით[1] (სამედიცინო ტერმინოლოგიაში მასდარების ფორმებისა და გამოყენების შესახებ იხ. ზექალაშვილი 2005:91-93).

[1] ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიტყვაწარმოების შესახებ იხ. ღამბაშიძე 1987.



ერთსიტყვიანი მასდარები არის *ნაწარმოებფუძიანი და რთულ-ფუძიანი (ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი).*

ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები შესიტყვებებია.

ეს ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, გამოიყენება სალიტერატურო ენაშიც, რადგან წმინდა ტერმინოლოგიური მნიშვნელობა მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს. ამას გარდა, ისიც პირობითია, როცა გამოვყოფთ ერთსიტყვიან მასდარებს. ხშირად ისინი ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში დასტურდება.

3.1. ერთსიტყვიანი მასდარები

აქ შედის ე. წ. *პირველადი* საწყისები, უმეტესად სიმპტომების სახელები.

*-ინ-*სუფიქსიანი: ბოყ-ინ-ი, ქოშ-ინ-ი, სლოკ-ინ-ი, ხიხ-ინ-ი, ხროტ-ინ-ი...

*-ილ-*სუფიქსიანი: ქავ-ილ-ი, (ყურებში) შუ-ილ-ი, წივ-ილ-ი...

*-იალ-*დაბოლოებიანი: (გულის) ფრიალი

3.2. ერთსიტყვიანი ნაწარმოებფუძიანი ნაზმნარი სახელები

ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამოყენებულია ნაზმნარი არსებითი სახელების ყველა წარმოება:

ა- სუფიქსიანი (მათ შორის: ე. წ. *ნარ*იანი, *ომ*იანი, *ოლ*იანი), თუმცა შედარებით იშვიათად: თრთ-ოლ-ა, ჟრჟ-ოლ-ა... გახდ-ომ-ა, კრთ-ომ-ა...

ერთსიტყვიანი მასდარები: შიში, ბოდვა, გუდვა, კრუნჩხვა, სუნთქვა... ჩამოთვლილი ერთეულებიც ნაწარმოებია: **-ა-**სუფიქსიანი, რომლის წინ დგას -ავ თემის ნიშნის ნაშთი *-ვ.* ამათგან ბევრი ფორმა უზმნისწინოა: ბოდ-ავს > ბოდ-ვ-ა, გუდ-ავს > გუდ-ვ-ა, კრუნჩხ-ავ-ს (იკრუნჩხება) > კრუნჩხ-ვ-ა, სუნთქ-ავ-ს > სუნთქ-ვ-ა, ძმარ-ავ-ს > ძმარ-ვ-ა, ჭინთ-ავ-ს*/იჭინთ-ებ-ა >ჭინთ-ვ-ა, ხუთავ-ს*/(სული) ეხუთ-ებ-ა > (სულის) ხუთ-ვ-ა... ჭარბობს *ზმნისწინიანი* ფორმები: აქერც-ვ-ლ-ა, გადა-ნერგ-ვ-ა, გადმო-კარკ-ვ-ლ-ა, გამო-ჟონ-ვ-ა, გამო-რეცხ-ვ-ა, გა-თხიერ-ებ-ა, და-ჭიმ-ვ-ა, თუმცა ამჯერად ჩვენ არ შევჩერდებით მასდარ-ტერმინებში ზმნისწინების სემანტიკურ ნიუანსებზე, რადგან ვფიქრობთ, ეს ცალკე შესწავლის საკითხია (მაგ.: ამო-ხველ-ებ-ა, ამო-სახს-ვ-რ-ა, გა-რბილება, გა-ორება, გა-ორკაპება, გა-ლბობა, გან-ტვირთვა, გან-მუხტვა, გან-შტოება, გადა-ციება, გადა-ხარშვა, მო-თესვა, და-ტოტიანება, და-სენიან-ებ-ა, შე-შუპ-ებ-ა...).

3.3. თემის ნიშნები ტერმინ-მასდარებში

გამოყენებულია *-ებ, -ობ, -ავ, -ამ* თემის ნიშნები, რომელთაც ემატება **-ა** სუფიქსი:

-ებ + ა: ა-გზნ-ებ-ა//აღ-გზნ-ებ-ა, ალაგ-ებ-ა, აჩქარ-ებ-ა, გა-თხელ-ებ-ა, გა-კორძ-ებ-ა, გა-რბილ-ებ-ა, გა-რქოვან-ებ-ა, გა-ძვალ-ებ-ა, ზმორ-ებ-ა, მო-ლოგინ-ებ-ა, მო-ნელ-ებ-ა, შე-ვიწრო-ებ-ა, შე-ხორც-ებ-ა, ცი-ებ-ა, ცხელ-ებ-ა...

-ობ + ა: გამო-შრ-ობ-ა, მშობიარ-ობ-ა...

-ავ+ა > ვ+ა (იხ. ჩამონათვალი წინა მონაკვეთში).

-ამ+ა > მ+ა: (ენის) და-ბ-მ-ა...

ფუძედრეკადი ზმნებისგან ნაწარმოები: ამო-გლეჯ-ა, გამო-ფხეკ-ა, და-ბჟენ-ა, შე-წყვეტ-ა, მო-წყვეტ-ა (ძუძუდან)...

3.4. ერთსიტყვიანი რთულფუძიანი მასდარები

ა) ე. წ. *პირველადი* მასდარები:

ფუძეგაორკეცებული: ბუტბუტი, დუდღუნი, კანკალი, ხამხამი...

საწყისისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია: კანკალი > კანკალა (დამბლა).

იშვიათად დასტურდება ორცნებიანი (ნაირფუძიანი) კომპოზიტიც: ციებ-ცხელება...

ბ) ერთსიტყვიანი ნაირფუძიანი მასდარ-კომპოზიტები

რთულფუძიან სიტყვებში პირველი კომპონენტი *არსებითი სახელია,* მეორე კი – *ნაზმნარი სახელი:* აირცვლა (აირ + ცვლა), გულყრა (გულ + ყრა: გულს შემოეყრება), გულძმარვა (პიროზისი), თავბრუსხვევა, თბოწარმოება, თიაქარკვეთა, პირღებინება, სისხლდენა, სისხლხველება, ცრემლდენა, ყელჭირვება...

3.5. ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები (ტერმინოლოგიური შესიტყვებები)

ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი შესიტყვებები (მასდარი მეორე კომპონენტია): ატრიბუტად გამოყენებულია მარტივი ან ნაწარმოები ზედსართავი სახელი, მათგან ნაწილი უცხოური წარმოშობისაა:

-ურ (ულ) სუფიქსიანი უცხოფუძიანი ზედსართავი სახელის შემცველი: ემოციური ბოდვა, ატაქსიური სიარული, ისტერიული სიარული...

ბ) ქართულფუძიანი და ქართულსუფიქსიანი მასდარები:

-ოვან: ცხიმოვანი გადაგვარება, წერტილოვანი ქავილი...

-ოვ(ა)ნ+ურ: ხელოვნური მოთესვა...

-ით: თრთოლვითი სუნთქვა...

-ებრ-აფიქსოიდიანი: იხვისებრი სიარული...

გ) მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები:

ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში ეს სახეობა ყველაზე გავრცელებულია: არტერიის შევიწროება, გაზების დაგროვება, გაზების ცვლა (შდრ. აირცვლა), გულის აჩქარება, გულის შენელება, გულის შეტევა, ელენთის გასკდომა, ენის დაბმა, ვენების გაგანიერება, კუჭის აშლა, მზის დაკვრა, მუცლის შებერვა, ნაწლავების გადაგრეხა, ნაწლავის გამოვარდნა, ნივთიერებათა ცვლა, სასულის გაორკაპება, საშვილოსნოს გამოვარდნა, საჭმლის მონელება, სისხლის გადასხმა, სისხლის

გათხელება, სისხლის გაწყალება, სისხლის შედედება, სისხლის ჩაქცევა, ცილების ცვლა...

დ) სამსიტყვიანი შესიტყვებები:

ამათგან პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტული, ისე მართული მსაზღვრელი: მინისებრი სხეულის შემღვრევა, საშვილოსნოს ყელის გახევა, საჭმლის მონელების დარღვევა, სისხლის შედედების დარღვევა და სხვ.

4. ერთსიტყვიანი უცხოური ტერმინები მასდარის ფუნქციით

4.1. -ცია, -ირება/-იზება სუფიქსიანი ტერმინები

სამედიცინო ტერმინოლოგიაში ისევე, როგორც ნებისმიერი სამეცნიერო-ტექნიკური დარგის ლექსიკაში, ძალიან გავრცელებულია *-ცია* -სუფიქსიანი (ლათ. -tio, რუსული -ция) ნასესხები ტერმინები. მათ ზოგჯერ აქვთ *-ირება/-იზება*-სუფიქსიანი[1] სინონიმური დუბლეტებიც (მართალია, სამედიცინო სფეროში *-ცია* სუფიქსიანი ფორმები ჭარბობს, მაგრამ მაინც გვხვდება *-ირება/-იზება*-სუფიქსიანი სიტყვაწარმოებითი დუბლეტები). *изирова(ть)/-изова(ть)/)/-ирова(ть)* სუფიქსები რუსულ ენაში მიიჩნევა გერმანული *-isieren* ზმნური სუფიქსის რუსიფიცირებულ ვარიანტად (თავის მხრივ, ის ფრანგული სუფიქსია -iser) და მე-19 საუკუნიდან გამოიყენება. ქართულ ენაში როგორც *-ცია,* ისე *-იზება/-ირება* სუფიქსები რუსულის გზითაა შემოსული შესაბამის ტერმინთან ერთად.

-ირ+ება: ბალზამირება, დოზირება, სინთეზირება, სტენტირება, სტიმულირება, შუნტირება...

-იზ+ება-ზე დაბოლოებული უცხოური სიტყვებია: სტერილიზება, ნეიტრალიზება, იმუნიზება... (გვხვდება გაქართულებული ვარიანტებიც: გასტერილება, განეიტრალება...).

მაგ.: *აკლიმატიზაცია* – „ადამიანის, ცხოველის ან მცენარის შეგუება ახალ კლიმატურ (ეკოლოგიურ) პირობებთან“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009). უცხო სიტყვათა ლექსიკონში აკლიმატიზაციის სინონი-

[1] ამ ტერმინებს რუსულში აქვს სუფიქსები *-ир/-из ან -из+ир + -овать:* бальзамировать, дозировать, синтезировать, стентировать, стимулировать, шунтировать, стерилизовать, неитрализовать, иммунизировать...

მად დასახელებულია აკლიმატიზება“. http://www.nplg.gov.ge/publishers/foreign/index.php?do=view&id=1064

გენერალიზაცია – „ავადმყოფობის ან მისი გამომწვევი აგენტის ერთი რომელიმე კერიდან მთელ ორგანიზმსა ან ორგანოში გავრცელება; ავადმყოფობის გართულება“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009). მედიცინაში არ დადასტურდა *გენერალიზება,* სამაგიეროდ გამოყენებულია მისგან ნაწარმოები მიმღეობა: *„გენერალიზებული* შფოთვითი აშლილობა ხასიათდება სხვადასხვა საქმიანობასთან ან მოვლენასთან დაკავშირებით მოჭარბებული, ჩვეულებრივ, ყოველდღიური ნერვიულობით და ღელვით, რაც, სულ მცირე, 6 თვე გრძელდება“. https://merki.mkurnali.ge/sections/961/generalizebuli-shpotviti-ashliloba/

გენერაცია – „წინა თაობების ინდივიდების ყველა უშუალო შთამომავალი. ერთი პოპულაციის ან ჯგუფის შთამომავლობა“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

გენერირება - დამკვიდრებულია განსხვავებული სემანტიკით, თუმცა ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონში generation სიტყვის განმარტებისას ერთ-ერთ სინონიმადაა მიჩნეული: 1. გენერაცია, თაობა; 2. გამრავლება, რეპროდუქცია; 3. რისამე გენერირება, წარმოქმნა (ინგლ-ქართ. ბიოლ. ლექსიკონი).

დეგაზაცია – „მომწამლავ ნივთიერებათა მოცილება ტანსაცმლის, სურსათის, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკისაგან, აგრეთვე მოწამლული ადგილის გაწმენდა, გაუსნებოვნება“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009; აბაშიძე, ლექსიკონი 1973).

დეგაზირება – „წინასწარი დამუშავების ფორმა, რომლის დროსაც კატალიზატორს ვაკუუმში აცხელებენ ადსორბირებული ან გახსნილი აირის მოსაცილებლად“ (ქიმიის ლექსიკონი).

დეგრადაცია – „1. რაიმე თვისების თანდათანობითი გაუარესება (მაგ., ფსიქიკური დეგრადაცია). 2. ცხოველებისა და მცენარეების მორფოლოგიური და ფუნქციური მაჩვენებლების გამარტივება არსებობის პირობების შეცვლის გამო“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009). რაც შეეხება *დეგრადირება* ფორმას, ის არ დადასტურდა სამედიცინო ტექსტებში.

დეგენერაცია – „1.ორგანოთა ან ქსოვილთა სტრუქტურის გამარტივება ონტოგენეზში... 2.ცალკეულ ორგანოთა ან სისტემების რედუქცია ფილოგენეზის პროცესში. 3. ქსოვილის ან ორგანოს სტრუქტურული შედგენილობის ცვლილება, რომლის დროსაც ქვეითდება მათი

სიცოცხლისუნარიანობა ან უარესდება მათი ფუნქციონირება“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

დეგენერირება – ფიზიკის ტერმინია. მაგ., „*დეგენერირება მაშინ ხდება, როცა ნაწილაკებს შორის მანძილი გარკვეულ ზღვარს მიაღწევს*“ http://astronet.ge

იმუნიზაცია – „ხელოვნური ან ბუნებრივი იმუნიტეტის შექმნა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009). *იმუნიზება* უცხო სიტყვათა ლექსიკონში დასახელებულია იმუნიზაციის სინონიმად.

სტერილიზაცია – „1.მიკროორგანიზმების მოსპობა გამოხარშვით, ფილტრაციით, ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებით (რძის სტერილიზაცია, შპრიცის სტერილიზაცია). 2.ადამიანისა და ცხოველების განაყოფიერების უნარის მოსპობა ოპერაციის საშუალებით ან რადიოაქტიური დასხივებით“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009). უცხო სიტყვათა ლექსიკონში *სტერილიზებაც* დასახელებულია სტერილიზაციის სინონიმად.

ზოგჯერ გვხვდება *უზმნისწინო* წარმოებაც მხოლოდ რთული სუფიქსის, *-ირ+ება*-ს, გამოყენებით: ბალონირება, სექვენირება, სტენტირება, შუნტირება და სხვ.

მაგ.: „კუჭის *ბალონირება* 30-წუთიანი ენდოსკოპიური პროცედურაა, რომელიც ჭარბი წონის მოშორების უახლესი მეთოდია“ https://nlife.ge/full-article/kuchis-balonireba-gatavisufldi-charbi-wonisgan/31772

„სრული გენომის *სექვენირება* (WGS) წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანის დნმ-ის მთლიანი თანმიმდევრობის როგორც ცილების მაკოდირებელი, ასევე არამაკოდირებელი – „მდუმარე“ რეგიონების შესწავლა“ https://kromos.ge/ka/genome/

„კორონარული *სტენტირება* (ანგიოპლასტიკა) არის პროცედურა, რომელიც გამოიყენება დახშული ან შევიწროებული კორონარული არტერიების სანათურის გაფართოების მიზნით“ https://www.new-hospitals.ge/ka/services/koronaruli-stentireba-angioplastika/

„თუ დაბლოკილი სისხლძარღვის გამტარობის აღდგენა სხვა გზით შეუძლებელია, ავადმყოფის გადარჩენის ერთადერთი გზა *შუნტირებაა*“ https://www.aversi.ge/ka/cnobari/2076/shuntireba-damatebiti-gza-gulis-gadasarchenad

-ირება სუფიქსი გამოიყენება ქართულ ენაში უცხო სიტყვებისგან მასდარების წარმოების დროს, ხშირად იშველიებენ და- ზმნის-

წინსაც, თუმცა ზოგჯერ -იზება/-ირება-სუფიქსების გარეშეც იწარმოება ტერმინი (მაგ.: დატამპონება, დაცეტრიფუგება...). ასეა ნაწარმოები, ჩვეულებრივ, გაქართულებული უცხოურძირიანი ბევრი სხვა სიტყვა: დაფორმატება, დაპროგრამება, დაპროექტება, კონსულტირება... (შდრ. კომპიუტერულ სლენგში: დალაიკება, დაპოსტვა, დასინვა, დაიგნორება და სხვ.).

4.2. *-ინგ*-სუფიქსიანი ტერმინები

ამ ბოლო დროს მომრავლდა ინგლისურიდან ნასესხები ***-ინგ*** სუფიქსიანი ტერმინები, რასაც ხელს უწყობს ახალი ტერმინების შემოტანა ინგლისურიდან და სამედიცინო ლიტერატურის ინტენსიური თარგმნა.

-ინგ: დოპინგი, ინბრიდინგი, მონიტორინგი, პროცესინგი, სკრინინგი, ჰომინგი და სხვ.

დოპინგი – (ინგლ. doping ნარკოტიკის მიღება) „ფარმაკოლოგიური საშუალებები, რომლებიც დროებით ასტიმულირებენ ორგანიზმის ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალებს“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

ინბრიდინგი – (ინგლ. inbreeding; inbred „სისხლისმიერ ნათესაობაში მყოფი მშობლებისაგან დაბადებული) ახლონათესაურ კავშირში მყოფი ინდივიდების შეჯვარება“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

სკრინინგი – (ინგლ. screening გადარჩევა, ამორჩევა) „ავადმყოფების გადარჩევის მეთოდი პათოლოგიური პროცესის გამოვლენის მიზნით“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

სპლაისინგი – (ინგლ. splice-დან – რაიმეს ბოლოების შეერთება ან შეწებვა) „რნმ-ის მოლეკულებიდან გარკვეული ნუკლეოტიდური თანმიმდევრობების ამოჭრისა და რნმ-ის პროცესინგის დროს უფრო „მომწიფებულ“ მოლეკულაში შენახული თანმიმდევრობების შეკავშირების პროცესი“ https://ka.wikipedia.org/wiki

ჰომინგი (ინგლ. homing; home სახლი) – „მოვლენა, რაც ახასიათებს გადანერგილი ძვლის ტვინის უჯრედებს“ (გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009).

დასკვნა

დასახელებული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასდარი ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში საკმაოდ გა-

ვრცელებულია და ხშირად აღნიშნავს დაავადებათა სიმპტომებს, სამკურნალო პროცედურებს ან მეთოდებს (იშვიათად – თვით დაავადებებს).

ქართულ სამედიცინო ტექსტებში მასდარ-ტერმინები ზოგჯერ გამოყენებულია მრავლობით რიცხვში, რაც ტერმინად ქცევის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა.

დადასტურებულია ნაზმნარი სახელების თითქმის ყველა წარმოება; აგებულების მიხედვით გამოიყოფა როგორც ერთ-, ისე ორსიტყვიანი ტერმინ-შესიტყვებები (თუმცა ერთსიტყვიანი ტერმინებიც ხშირად შედის შესიტყვებათა შემადგენლობაში).

ერთსიტყვიანებში არსებობს ნაწარმოებ- და რთულფუძიანები (მათ შორის –ფუძეგაორკეცებულები), *ორსიტყვიანებში – ატრიბუტულ- და მართულმსაზღვრელიანები.*

რაც შეეხება სიტყვათა წარმომავლობას, ჭარბობს *ქართულფუძიანი* მასდარები, ინტერნაციონალური ტერმინების ქართული სინონიმური დუბლეტები; იმატა -ინგ,-ცია, -იზ+ება/-ირ+ება სუფიქსებიანმა სიტყვებმა, ასევე უცხოურ ფუძეზე ქართული ზმნისწინებისა და თემის ნიშნების დართვით ნაწარმოებმა ტერმინებმა.

ლიტერატურა

ზექალაშვილი 2005 – რუსუდან ზექალაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები (რედ.: ლ. კინწურაშვილი, მ. შავდია), თბილისი.

ზექალაშვილი 2009 – რუსუდან ზექალაშვილი, ინფინიტივის გადმოცემის საშუალებები ქართულში: აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 40-44.

Kazarina 2018 – Kazarina Svetlana Georgjevna, On Advantages of a Verbal Word as a Special Nomination (By the Example of Medical Terminology): Philological Sciences. Issues of Theory and Practice, №12(90), Tambov: Gramota, 122-126. ISSN 1997-2911. https://doi.org/10.30853/filnauki.2018-12-1.25

კვარაცხელია 1990 – გუჩა კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ღამბაშიძე 1987 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლექსიკონები

აბაშიძე, ლექსიკონი 1973 – სიმონ აბაშიძე, ლადო აბაშიძე, რუსულ-ლათინურ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი = Русско-латинско-грузинский медицинский толковый словарь (რედ. თ. გონიაშვილი), თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გოგიჩაძე, ლექსიკონი 2009 – გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი (რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი), თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

გერმ.-რუს. ლექსიკონი – Gesundheitswörterbuch Deutsch-Russisch – Немецко-русский словарь элементарных медицинских терминов. https://www.orthodiakonia.de/wp-content/uploads/Slovar_Ru-De.pdf

ინგლ-გერმ. ლექსიკონი – English-German and Multilingual Dictionary. https://www.dict.cc/

ინგლ-ქართ. ბიოლ. ლექსიკონი – https://bio.dict.ge/ka

ქართ.-ინგლ. ლექსიკონი 2020 – მედიცინის ტერმინთა ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (მედიცინა, ბიოქიმია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია), დელტას მთარგმნელობითი ჯგუფი (6000 ტერმინი). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/359033/1/MedicinisTermintaQartulInglisuriLeqsikoni.pdf

ქიმიის ლექსიკონი – https://chemistry.ge/dictionary/view

ინტერნეტრესურსები

https://ka.wikipedia.org/wiki
https://vidal.ge/health/bronqiti-da-misi-formebi
https://www.mshoblebi.ge/article/10704-rogor-gavarchiot-surdo-da-bronkiti-alergiisgan-rchevebi-alergolog-imunolog-nino-lomizisgan/
https://dendroni.ge/statiebi/article/59344-shishi-da-fsiqikuri-janmrtheloba
https://matsne.gov.ge/ka/document/view/54430?publication=0
https://rchevebi.com/index.php?newsid=22605
http://www.nplg.gov.ge/publishers/foreign/index.php?do=view&id=1064
https://merki.mkurnali.ge/sections/961/generalizebuli-shpotviti-ashliloba/

http://astronet.ge
https://nlife.ge/full-article/kuchis-balonireba-gatavisufldi-charbi-wonisgan/31772
https://kromos.ge/ka/genome/
https://www.newhospitals.ge/ka/services/koronaruli-stentireba-angioplastika/
https://www.aversi.ge/ka/cnobari/2076/shuntireba-damatebiti-gza-gulis-gadasarchenad

Rusudan Zekalashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
rusudan.zekalashvili@tsu.ge

Keywords: Medical Terminology, Verbal Noun (Masdar), Derivation, single-word terms, complex-stem terms

The Place of Verbal Nouns in Georgian Medical Terminology

Summary

Georgian does not have two different forms – infinitives and verbal nouns. However, it is more inclined to function as a noun.

Verbal nouns are used quite frequently in Georgian, especially as medical terms, but many tend to lose verbal features and are converted into nouns. For example, *anteba* 'inflammation' as a medical term has a broader meaning, namely, as inflammation of several parts of the human body. The medical term with this word: *filt'vebis anteba* 'pneumonia' or 'lung inflammation' is frequently used too, but this can more easily be replaced by Latinate words such as *p'nevmonia* and many others (*naghvlis busht'is anteba* or *koletsist'it'i* 'inflammation of the gallbladder' or 'cholecystitis'). In addition, new terms are derived from it: *antebiti daavadeba (p'rotsesi, tsvlileba)* – 'inflammatory disease' ('process', 'change'), *antebadi* (*midamo, ksovili*...) 'inflammatory area' ('tissue'), etc.

Semantical differentiation can also take place; for example, *khvela* is the verbal noun 'coughing', *khveleba* 'cough', 'having cough' – denoting a symptom of disease, and *khvela-bat'onebi (=q'ivanakhvela)* – in the meaning of the certain infection, 'chin cough' or 'pertussis'. In these words, and several others, like *boq'ini* 'belch(ing)', *slok'ini* – 'hiccups', some kinds of reactions as symptoms of illnesses.

We can group some verbal nouns among the medical terms according to their structure – such as single-word terms (consisting of one word only with a derived stem and compound ones), and terminological collocations. In compound words, the first component is mostly a noun, and the second is a verbal noun. Examples of complex-stem terms are *airtsvla* 'gas exchange', *siskhlkhveleba* 'hemoptysis', *p'irghebineba* 'vomit'... In complex root words, a noun is the first word, and the second word is a verbal noun, for example, terms with attribute-determining – *emotsiuri bodva* 'emotional delirium'; terms with genitive-determining: *siskhlis shededeba* 'blood thickening', *venebis gaganiereba* 'varicose veins'…

In Georgian medical terminology, almost all kinds of verbal nouns, having gone through some processes, are used – with the help of the suffixes *-a, -il, -in* (such as *koshini* 'anhelation', 'dyspnea', *kavili* 'itchiness', 'itching'...). In terms of their origin, most of the suffixes are of Georgian provenance. However, some are of foreign origin: *-iz+eba//ir+eba: st'erilizeba* 'sterilize', *neit'ralizeba* 'neutralize', *dozireba* 'dosage', 'dose'. The terms, on the aforementioned types, have their synonyms with the suffix *-tsia*: *neit'ralizatsia* 'neutralization', and several others.

In some cases, a Georgian preverb is added directly onto foreign stems; hence, we have foreign medical terms with Georgian preverbs and so-called thematic markers.

დავით იობიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
d.yo777bi@gmail.com

საკვანძო სიტყვები: წმინდა წერილი, ტერმინოლოგიური სინონიმია, რჯული, აღთქმა

საღვთისმეტყველო ტერმინების νόμος და διαθήκη ქართული ეკვივალენტები წმინდა წერილის ძველ ქართულ თარგმანებში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში *აღთქმა* განმარტებულია, როგორც *საზღვრის დადება.* მასთან *აღთქმა* არ არის *დაპირების, შეთანხმების* ცნების გამომხატველი (ორბელიანი 2013: 91). *სჯული* განმარტებულია, როგორც *სიტყვა* ან რაიმე *გრძანება*, რომელიც უნდა შესრულდეს, ხოლო *შჯულის* სალექსიკონო სტატიაში მითითებულია, რომ იგი არის ღვთის მიერ მოსესთვის მიცემული ათი მცნება (ორბელიანი 2013: 162, 395).

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში *აღთქმა* განმარტებულია, როგორც: *დაპირება, აღთქმის დადება, აღიარება* (ლოცვა), *შჯული, პირობა, ზავი, ანდერძი. შჯულის* განმარტებაა: *კანონი, სარწმუნოება, აღთქმა, მოძღვრება, საშჯელი, სამართალი, დამცნილი* (დამცნება). თავის მხრივ, *დამცნილი* (დამცნება) განმარტებულია, როგორც: *შჯული, აღთქმა, დაბარება, გრძანება.* მკვლევარს იქვე აქვს დამოწმებული კონტექსტები (აბულაძე 1973: 14, 118, 510).

დვორეცკის ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონში διαθήκη, ἡ განმარტებულია, როგორც: განწყობა, მდგომარეობა, ანდერძი, შეთანხმება, აღთქმა (ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა), ხოლო ტერმინის νόμος ὁ *ძირითადი* მნიშვნელობებია: *დადგენილება, ჩვეულება, კანონმდებლობა, კანონი* (Дворецкий 1958: 369, 1138).

ბერძნული საღვთისმეტყველო ტერმინი διαθήκη ლამპეს პატრისტიკულ ლექსიკონში განიმარტება, როგორც *ანდერძი, აღთქმა, ნება.* პატრისტიკულ ძეგლებში διαθήκη გამოყენებულია წმინდა წერილის ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის აღსანიშნავად (Lampe 1961: 348). ამავე ლექსიკონში νόμος განიმარტება, როგორც: I. დადგენილი პრინციპი, ჩვეულება; II. კანონი: A. ადამიანური ან საერო კანონი (სამართა-

ლი); B. საღვთო კანონი: 1. ღვთის ზნეობრივი კანონი, 2. ბუნებითი კანონი, 3. ბუნების კანონი, 4. ადამისთვის მიცემული კანონი, 5. ნოესთვის, აბრაამისთვის, მოსესთვის მიცემული კანონი, რომლებიც დასრულდა ქრისტეს სწავლებით, 6. მოსეს კანონი, 7. ქრისტიანული კანონი, 8. ეკლესიის კანონები; C. ცოდვის კანონი; III. სხვადასხვა სახის წესი და სტანდარტი (Lampe 1961: 920-922).

საღვთისმეტყველო ტერმინები νόμος და διαθήκη აქტიურად არის გამოყენებული წმინდა წერილის ძველბერძნულ ტექსტებში. ისინი ორი სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი ტერმინებია. νόμος არის წესი, კანონი, რომელიც ღმერთისგან მიეცა ადამიანს. იგი განსაზღვრავს ადამიანის ღმერთთან, ადამიანთან და, ზოგადად, სამყაროსთან დამოკიდებულებას. διαθήκη არის დაპირება, შეთანხმება, მისაგებელი, რომელიც უნდა მიიღოს ადამიანმა νόμος-ის აღსრულების შემდეგ. ამდენად, დასახელებული ტერმინები ცნებითად სრულიად გამიჯნულია ერთმანეთისგან, კერძოდ, νόμος არის შესასრულებელი, ხოლო διαθήκη არის მისაგებელი, ანუ აღთქმული, რომელიც უნდა მიიღო νόμος-ის აღსრულების შემდეგ. ამდენად, ბერძნულ საეკლესიო ტერმინოლოგიურ აპარატში საღვთისმეტყველო ტერმინები διαθήκη და *νόμος* თავიანთი სემანტიკური დატვირთვით გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ისინი არ გადაფარავენ ერთმანეთს და გამოხატავენ კონკრეტულ ცნებებს. როდესაც აღსანიშნი არის ცნება *აღთქმა* (შეთანხმება დაპირება), აღმნიშვნელი ყოველთვის არის ტერმინი διαθήκη, ხოლო, თუკი აღსანიშნია *რჯული* (შესასრულებელი წესი ან კანონი), აღმნიშვნელად ყოველთვის გვაქვს νόμος.

მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ ბერძნულისაგან განსხვავებული ვითარებაა ძველ ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიურ აპარატში. ქართული ტერმინები *რჯული* და *აღთქმა* ხშირად გამოიყენება ბერძნული ტერმინის διαθήκη შესატყვისად. ასეთ შემთხვევებში ისინი ერთი ცნების გამომხატველი ტერმინოლოგიური ერთეულებია და სემანტიკურად ენაცვლებიან ერთმანეთს. მეორე მხრივ, *რჯული* νόμος-ის უცვლელი შესატყვისია. ასეთ ვითარებაში, ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში *რჯული* ორი დამოუკიდებელი ბერძნული ტერმინის (διαθήκη და νόμος) ეკვივალენტად გამოიყენება – იგი ზოგჯერ *νόμος*-ის ცნებას გადმოსცემს, ზოგჯერ კი – διαθήκη-ს ცნებას.

სხვაგვარი ვითარებაა ტერმინის νόμος ქართულ შესატყვისთან მიმართებით, რომლის ქართული ეკვივალენტი უგამონაკლისოდ არის *რჯული*. შედეგად ვიღებთ ასეთ სურათს: ტერმინთან διαθήκη მიმარ-

თებით გვაქვს ორი ქართული ეკვივალენტი – *აღთქმა* და *რჯული*, ხოლო *νόμος* ყოველთვის თარგმნილია, როგორც *რჯული*. ეს აჩვენებს იმას, რომ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში არ არის განსაზღვრული ბერძნული ტერმინის διαθήκη ზუსტი ეკვივალენტი, ამიტომაც გადმოიცემა ის სინონიმური ტერმინოლოგიური ერთეულებით – *აღთქმა* / *რჯული*.

გელათის მთარგმნელობითი სკოლა სხვაგვარ სურათს აჩვენებს. გელათელ მთარგმნელ-მწიგნობრებთან მკაცრად არის განსაზღვრული ბერძნული ტერმინების ქართული ეკვივალენტები: διαθήκη ითარგმნება, როგორც *აღთქმა*, ხოლო νόμος – როგორც *რჯული*. აქ არ გვაქვს *აღთქმისა* და *რჯულის* სინონიმური გამოყენება, ისინი ცალ-ცალკე გადმოსცემენ დამოუკიდებელ ცნებებს.

ახალი აღთქმის ტექსტებიდან ნიმუშების განხილვისას ვიყენებთ ძველბერძნულ კრიტიკულ ტექსტს – THE GREEK NEW TESTAMENT, DEUTSCHE BIBELGESELLSCHAFT UNITED BIBLE SOCIETIES (Aland... 1994, IV revised edition). ნიმუშები ძველი აღთქმის ძველბერძნული ტექსტებიდან დამოწმებული გვაქვს „სეპტუაგინტას“ კრიტიკული გამოცემიდან (რედ. Alfred Rahlfs, 1979). ქართული ტექსტებისთვის ნიმუშები დამოწმებული გვაქვს წმინდა წერილის წიგნების კრიტიკული გამოცემებიდან. მათ აღვნიშნავთ იმავე პირობითი ნიშნებით, რომლებიც გამომცემლებს აქვთ მითითებული.

ქართულ ოთხთავში რამდენჯერმე არის გამოყენებული ლექსიკური ერთეული *აღთქმა*. ჩვენთვის საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს აქვს ტერმინოლოგიური დატვირთვა. ასეთი მასალის განხილვამდე ვაჩვენებთ *აღთქმის* არატერმინოლოგიური მნიშვნელობით გამოყენების ნიმუშებს:

და მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 22, 29, DECFGHIK). κἀγὼ διατίθεμαι ὑμῖν καθὼς διέθετό μοι ὁ πατήρ μου (Aland... 1994: 296, λκ. 22, 29);

ანუ არა დრაჰკანი ერთი აღგითქუ შენ? (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მთ. 20, 13, DECFGHIK).[1] οὐχὶ δηναρίου συνεφώνησάς μοι (Aland... 1994: 75, μθ. 20, 13);

[1] ნიმუშებში წარმოდგენილია FG ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ პარალელური ვერსიები განსხვავებულადაც იკითხება ვარიანტების დამოწმებისას აქცენტს ვაკეთებთ ჩვენთვის საინტერესო ლექსიკურ ერთეულზე. მაგალითად, HIK-ში გვაქვს: *ანუ არა ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ?* ვერსიებს შორის ასეთი განსხვავებების ასახვას ჩვენი კვლევა არ ითვალისწინებს.

ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოოს (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მთ. 14, 7, DECFGHIK). ὅθεν μεθ᾽ ὅρκου ὡμολόγησεν αὐτῇ δοῦναι ὃ ἐὰν αἰτήσηται (Aland... 1994: 53, μθ. 14, 7);

და აღუთქუა მათ თითოეულად სასყიდელი (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მთ. 20, 2 DECFGHIK). συμφωνήσας δὲ μετὰ τῶν ἐργατῶν ἐκ δηναρίου (Aland... 1994: 74, μθ. 20, 2);

აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მრ. 14, 11, DECFGHIK). ἐπηγγείλαντο αὐτῷ ἀργύριον δοῦναι (Aland... 1994: 177, μρ. 14, 11);

აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 22, 5, DEFGHIK). συνέθεντο αὐτῷ ἀργύριον δοῦναι (Aland... 1994: 294, λκ. 22, 5);

და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 24, 49, DECFGHIK). καὶ [ἰδοὺ] ἐγὼ ἀποστέλλω τὴν ἐπαγγελίαν τοῦ πατρός μου ἐφ᾽ ὑμᾶς (Aland... 1994: 311, λκ. 24, 49).

აღთქმას რომ შეთანხმების (შეთქმულების) მნიშვნელობა აქვს, კარგად ჩანს ასეთ ნიმუშში: *რამეთუ შეთქმულ იყვნეს ჰურიანი, რაჲთა აღ-თუ ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განჴადონ იგი* (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ინ. 9, 22, DEFGHIK). *რამეთუ აღთქუმა ეყო ჰურიათა მათგან: უკუეთუ აღ-ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, განჴდეს კრებულისაგან* (შანიძე 1945, ინ. 9, 22, C). ἤδη γὰρ συνετέθειντο οἱ Ἰουδαῖοι ἵνα ἐάν τις αὐτὸν ὁμολογήσῃ Χριστόν ἀποσυνάγωγος γένηται (Aland... 1994: 356, ιν. 9, 22).

წმინდა წერილში διαθήκη ხშირად იხმარება ტერმინოლოგიური ფუნქციით. ქართულ ტექსტებში διαθήκη-ს თარგმნისას მერყეობა შეინიშნება. მისი ეკვივალენტი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულია. მაგალითად, διαθήκη თარგმნილია როგორც *შჯული:*

რამეთუ ესე არიან ორნი იგი შჯულნი (ძოწენიძე... 1974, გალ. 4, 24, ABCD). αὗται γάρ εἰσιν δύο διαθῆκαι (Aland... 1994: 648, γαλ. 4, 24);

რომელმან-იგი შემძლებელ გუყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა (ძოწენიძე... 1974, 2 კორ. 3, 6, ABCD). ὃς καὶ ἱκάνωσεν ἡμᾶς διακόνους καινῆς διαθήκης (Aland... 1994: 616, 2 κορ. 3, 6);

რამეთუ ვიდრე დღენდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ძუელისა შჯულისასა ჰგიეს აღუძარცუველად (ძოწენიძე... 1974, 2 კორ. 3, 14, ABCD). ἄχρι γὰρ τῆς σήμερον ἡμέρας τὸ αὐτὸ κάλυμμα ἐπὶ τῇ ἀναγνώσει τῆς παλαιᾶς διαθήκης μένει μὴ ἀνακαλυπτόμενον

(Aland... 1994: 616, 2 кор. 3, 14);

ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა და მოკსენებად შჯულისა წმიდისა მისისა (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 1, 72, DEFG). ποιῆσαι ἔλεος μετὰ τῶν πατέρων ἡμῶν καὶ μνησθῆναι διαθήκης ἁγίας αὐτοῦ (Aland... 1994: 199, λκ. 1, 72). გიორგი მთაწმინდელისა და ადიშის რედაქციებში დიαθήκη თარგმნილია, როგორც *აღთქმა*: *ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა და მოკსენებად აღთქუმისა წმიდისა მისისა* (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 1, 72, CHIK).

როდესაც სათარგმნი ერთეულია διαθήκη, *აღთქმა* და *შჯული* ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, მათ შორის – ერთსა და იმავე კონტექსტში:

ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მათ. 26, 28, DECFGHIK). τοῦτο γάρ ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς διαθήκης (Aland... 1994: 102, μθ. 26, 28);

ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, მრ. 14, 24, DECFGHIK). τοῦτό ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς διαθήκης (Aland... 1994: 178, μρ. 14, 24);

ესე სასუმელი – ახალი შჯული სისხლისა ჩემისა (შანიძე 1945, იმნაიშვილი 1979, ლკ. 22, 20, DECFGHIK). τοῦτο τὸ ποτήριον ἡ καινὴ διαθήκη ἐν τῷ αἵματί μου (Aland... 1994: 295, λκ. 22, 20);

ესე სასუმელი ახალი შჯული არს სისხლისა ჩემისაჲ (ძოწენიძე... 1974, 1 კორ., 11, 25, ABCD). τοῦτο τὸ ποτήριον ἡ καινὴ διαθήκη ἐστὶν ἐν τῷ ἐμῷ αἵματι (Aland... 1994: 593, 1 кор. 11, 25);

რომელმან ძჳ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყოს და სისხლი იგი აღთქუმისაჲ არაღირსად შეჰრაცხოს (ძოწენიძე... 1974, ებრ. 10, 29, ABCD). ὁ τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ καταπατήσας καὶ τὸ αἷμα τῆς διαθήκης κοινὸν ἡγησάμενος (Aland... 1994: 762, ευρ. 10, 29);

რომელმან აღმოიყვანა მკუდრეთით მწყემსი იგი ცხოვართაჲ დიდი სისხლითა მით აღთქუმისაჲთა საუკუნოჲთა (ძოწენიძე... 1974, ებრ. 13, 20, ABCD). ὁ ἀναγαγὼν ἐκ νεκρῶν τὸν ποιμένα τῶν προβάτων τὸν μέγαν ἐν αἵματι διαθήκης αἰωνίου (Aland... 1994: 772, ευρ. 13, 20);

კიდობანი იგი შჯულისაჲ ... და ფიცარნი იგი შჯულისანი (ძოწენიძე... 1974, ებრ. 9, 4, ABCD). τὴν κιβωτὸν τῆς διαθήκης ... καὶ αἱ πλάκες τῆς διαθήκης (Aland... 1994: 756, ευρ. 9, 4);

და იხილვა კიდობანი იგი აღთქუმისა ღმრთისაჲ ტაძარსა შინა მისსა (იმნაიშვილი 1961, გამოც. 11, 19, გიორგ. რედ.). καὶ ὤφθη ἡ κιβωτὸς τῆς διαθήκης αὐτοῦ ἐν τῷ ναῷ αὐτοῦ (Aland... 1994: 857, αποκ. 11, 19);

და შჯულისა მის ახლისა შუვა-მდგომელისა იესუჲსა (ძოწენიძე... 1974, ებრ. 12, 24, ABCD). καὶ διαθήκης νέας μεσίτῃ Ἰησοῦ (Aland... 1994: 769, ευρ. 12, 24).

ზემოთ დასახელებული ნიმუშები წმინდა წერილის სხვადასხვა წიგნიდანაა დამოწმებული. განხილულ ნიმუშებში *διαθήκη*-ს ქართული ეკვივალენტის განსაზღვრის თვალსაზრისით ტერმინოლოგიური მერყეობა შეინიშნება. ერთსა და იმავე კონტექსტშიც კი ბერძნული ტერმინი *διαθήκη* ქართულ თარგმანებში გადმოცემულია ორი ტერმინოლოგიური შესატყვისით – *რჯული* და *აღთქუმა.* ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ტერმინოლოგიური სინონიმებია.

აღთქმისა და *შჯულის* მონაცვლეობაა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც διαθήκη რამდენჯერმე მეორდება ერთ მსჯელობაში:

...და აღვასრულო სახლსა მას ზედა ისრაჱლისასა და სახლსა მას ზედა იუდაჲსსა აღთქუმაჲ ახალი, არა აღთქუმისა მისებრ, რომელი იგი აღუთქუ მამათა მათთა ... რამეთუ იგინი არა დაადგრეს შჯულსა ჩემსა... რამეთუ ესე არს აღთქუმაჲ... (ძოწენიძე... 1974, ებრ. 8, 8-10, ABCD). ...καὶ συντελέσω ἐπὶ τὸν οἶκον Ἰσραὴλ καὶ ἐπὶ τὸν οἶκον Ἰούδα διαθήκην καινήν, οὐ κατὰ τὴν διαθήκην, ἣν ἐποίησα τοῖς πατράσιν αὐτῶν ... ὅτι αὐτοὶ οὐκ ἐνέμειναν ἐν τῇ διαθήκῃ μου... ὅτι αὕτη ἡ διαθήκη... (Aland... 1994: 755, ευρ. 8, 8-10);

და ამისთჳს ახლისა აღთქუმისა შუვა-მდგომელ არს, რაჲთა სიკუდილი რაჲ მოიწიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შჯულისა გარდასრულთა (ძოწენიძე... 1974, ებრ. 9, 15, ABCD). καὶ διὰ τοῦτο διαθήκης καινῆς μεσίτης ἐστίν, ὅπως θανάτου γενομένου εἰς ἀπολύτρωσιν τῶν ἐπὶ τῇ πρώτῃ διαθήκῃ παραβάσεων (Aland... 1994: 758, ευρ. 9, 15).

ამავე ტექსტის შემდეგ ნაწილში კიდევ ორჯერ იხმარება διαθήκη და მის შესატყვისად სხვადასხვა ლექსიკური ერთეული გვაქვს. სრული ტექსტი: *და ამისთჳს ახლისა აღთქუმისა შუა-მდგომელ არს, რაჲთა სიკუდილიღა მოიწიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შჯულისა გარდასრულთა, აღთქუმაჲ იგი მოიღონ ჩინებულთა მათ საუკუნოჲსა მის მკჳდრობისათა; რამეთუ სადა-იგი წიგნის წერაჲ არს, სიკუდილი უნებლიად ზედა-აც წიგნისმწერალსა მას, რამეთუ ანდერძი დაწერილი მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს; უკუეთუ არა, ვერსადა მტკიცე არნ, ვიდრე ცოცხალღა არნ ანდერძისმწერალი იგი* (ძოწენიძე... 1974, ებრ. 9, 15-17, ABCD). καὶ διὰ τοῦτο διαθήκης καινῆς μεσίτης ἐστίν ὅπως θανάτου γενομένου εἰς ἀπολύτρωσιν τῶν ἐπὶ τῇ πρώτῃ δια-

θήκῃ παραβάσεων τὴν ἐπαγγελίαν λάβωσιν οἱ κεκλημένοι τῆς αἰωνίου κληρονομίας; ὅπου γὰρ διαθήκη θάνατον ἀνάγκη φέρεσθαι τοῦ διαθεμένου διαθήκη γὰρ ἐπὶ νεκροῖς βεβαία ἐπεὶ μήποτε ἰσχύει ὅτε ζῇ ὁ διαθέμενος (Aland... 1994: 758, ευρ. 9, 15-17).

როგორც გამოჩნდა, ქართულ ტექსტში διαθήκη-ს შესატყვისად გვაქვს: *აღთქმა, შჯული, წიგნი, ანდერძი.* ამავე ტექსტში გამოყენებულია ლექსიკური ერთეულები διαθεμένου და διαθέμενος. ქართულ თარგმანში ორივე ერთეული სხვადასხვა სიტყვითაა გადმოღებული – *წიგნისმწერალი, ანდერძისმწერალი.* აქ διαθ ფუძის შესატყვისებია *წიგნი* და *ანდერძი.* შეიძლება ვიფიქროთ, რომ მწიგნობარი გაურბის ტავტოლოგიას და კეთილხმოვანებისათვის სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით გადმოაქვს ტერმინი διαθήκη. ამ ვარაუდს აბათილებს ტერმინის νόμος ქართულ თარგმანში გადმოღების ნიმუშები. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც νόμος ერთ წინადადებაში გამოყენებულია რამდენჯერმე, იგი ყოველთვის გადმოდის ერთი ტერმინოლოგიური შესატყვისით – შჯული:

რომელი ძჯრსა იტყოდის ძმისათჳს და განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა, განიკითხავს შჯულსა და სჯის შჯულსა; უკუეთუ შჯულსა ჰსჯი, არა ხარ მყოფელ შჯულისა, არამედ განმკითხველ (ლორთქიფანიძე 1956, იაკ. 4, 11, ABCD). μὴ καταλαλεῖτε ἀλλήλων ἀδελφοί ὁ καταλαλῶν ἀδελφοῦ ἢ κρίνων τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ καταλαλεῖ νόμου καὶ κρίνει νόμον εἰ δὲ νόμον κρίνεις οὐκ εἶ ποιητὴς νόμου ἀλλὰ κριτής (Aland... 1994: 781, ιακ. 4, 11);

რამეთუ წარმართთა, რომელთა შჯული არა აქუნ, და ბუნებითსა მას შჯულსა ჰყოფდეს; ამათ რამეთუ შჯულ არა აქუს, თავისა თჳსისათჳს შჯულ არიან (ძოწენიძე... 1974, რომ. 2, 14 ABCD). ὅταν γὰρ ἔθνη τὰ μὴ νόμον ἔχοντα φύσει τὰ τοῦ νόμου ποιῶσιν οὗτοι νόμον μὴ ἔχοντες ἑαυτοῖς εἰσιν νόμος (Aland... 1994: 523, ρομ. 2, 14);

და უწყით, რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან შჯულისათა ... რაჲთა განვმართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა და არა საქმეთაგან შჯულისათა, რამეთუ საქმეთაგან სჯულისათა არა განმართლდეს ყოველი ჴორციელი (ძოწენიძე... 1974, გალ. 2, 16, ABCD). εἰδότες [δὲ] ὅτι οὐ δικαιοῦται ἄνθρωπος ἐξ ἔργων νόμου ... ἵνα δικαιωθῶμεν ἐκ πίστεως Χριστοῦ καὶ οὐκ ἐξ ἔργων νόμου ὅτι ἐξ ἔργων νόμου οὐ δικαιωθήσεται πᾶσα σάρξ (Aland... 1994: 642, γαλ. 2, 16);

რამეთუ შჯული რისხვასა შეიქმს, ხოლო სადა არა არს შჯული, მუნ არცა შჯულისა გარდასლვაჲ (ძოწენიძე... 1974, რომ. 4, 15, ABCD).

ὁ γὰρ νόμος ὀργὴν κατεργάζεται· οὗ δὲ οὐκ ἔστιν νόμος οὐδὲ παράβασις (Aland... 1994: 529, ρομ. 4, 15).

დამოწმებულ ნიმუშებში ჩანს, რომ მწიგნობარი არ გაურბის ტავტოლოგიას. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ მის ცნობიერებასა და ტერმინოლოგიურ აპარატში νόμος-ის უცვლელი შესატყვისია შჯული. διαθήκη-სთვის ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ერთადერთი შესატყვისი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, ამიტომაც მის შესატყვისად გამოიყენება სხვადასხვა ლექსიკური ერთეული.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, ბერძნული ტერმინის νόμος-ის ერთადერთი შესატყვისია შჯული. რამდენიმე ნიმუში:

რამეთუ შჯულისა თჳნიერ ცოდვაჲ მკუდარ იყო (ძოწენიძე... 1974, რომ. 7, 8, ABCD). χωρὶς γὰρ νόμου ἁμαρτία νεκρά (Aland... 1994: 535, ρομ. 7, 8);

რამეთუ საქმეთაგან შჯულისათა არა განმართლდეს ყოველი ჴორციელი წინაშე მისა, რამეთუ შჯულისაგან არს გამოცნობაჲ ცოდვისაჲ (ძოწენიძე... 1974, რომ. 3, 20, ABCD). διότι ἐξ ἔργων νόμου οὐ δικαιωθήσεται πᾶσα σὰρξ ἐνώπιον αὐτοῦ διὰ γὰρ νόμου ἐπίγνωσις ἁμαρτίας (Aland... 1994: 526, ρομ. 3, 20);

რამეთუ შჯულისა მოწევნადმდე ცოდვაჲ იყო სოფელსა შინა და ცოდვაჲ იგი არად შერაცხილ იყო, რამეთუ არღა იყო შჯული (ძოწენიძე... 1974, რომ. 5, 13, ABCD). ἄχρι γὰρ νόμου ἁμαρτία ἦν ἐν κόσμῳ ἁμαρτία δὲ οὐκ ἐλλογεῖται μὴ ὄντος νόμου (Aland... 1994: 531, ρομ. 5, 13);

...რომელი აღუთქუა სახლსა ისრაჱლისასა შემდგომად დღეთა ამათ, იტყჳს უფალი: მივსცნე შჯულნი ჩემნი... (ძოწენიძე... 1974, ებრ. 8, 10, ABCD). ...ἣν διαθήσομαι τῷ οἴκῳ Ἰσραὴλ μετὰ τὰς ἡμέρας ἐκείνας, λέγει κύριος· διδοὺς νόμους μου... (Aland... 1994: 755, ευρ. 8, 10);

ესე არს აღთქუმაჲ ჩემი, რომელი აღუთქუა მათ შემდგომად დღეთა ამათ, იტყჳს უფალი: მივსცნე შჯულნი ჩემნი (ძოწენიძე... 1974, ებრ. 10, 16, ABCD). αὕτη ἡ διαθήκη ἣν διαθήσομαι πρὸς αὐτοὺς μετὰ τὰς ἡμέρας ἐκείνας, λέγει κύριος· διδοὺς νόμους μου (Aland... 1994: 761, ευρ. 10, 16);

იგულე, თავი შენი შეხებასა შინა კეთრისასა დაიცვა ფრიად ქმნად ყოველთაებრ შჯულისა (ბიბლია 2017, 2 რჯ. 24, 8, G). Πρόσεχε σεαυτῷ ἐν τῇ ἁφῇ τῆς λέπρας· φυλάξῃ σφόδρα ποιεῖν κατὰ πάντα τὸν νόμον (Rahlfs 1979, δευτ. 24, 8). ამ ფრაგმენტის სხვა ქართულ რედაქციებში ტერმინი *შჯული* არ დასტურდება: *ეკრძალე თავსა შენსა, იგულე, ერიდებოდე კეთროვანებისაგან, დაიმარხო და ჰყო* (ბიბლია 2017, 2 რჯ. 24, 8, BDES).

ბერძნული ტერმინის διαθήκη ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა აქვს გელათის სამწიგნობრო სკოლის მთარგმნელობით ტრადიციას. გელათელ მთარგმნელ-მწიგნობრებს მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული ბერძნული διαθήκη-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისი. გელათურ თარგმანებში διαθήκη-ს შესატყვისად გვაქვს *აღთქმა*, სხვა ქართულ რედაქციებში – *შჯული:*

დღესა შაბათსა დააგოდით წინაშე უფლისა მარადის ძეთაგან ისრაელისათა შჯულად საუკუნოდ (ბიბლია 2017, ლევ. 24, 8, AKSB).	დღესა შაბათსა დააგოდით წინაშე უფლისა მარადის ძეთაგან ისრაელისათა შჯულად საუკუნოდ (ბიბლია 2017, ლევ. 24, 8, AKSB).	τῇ ἡμέρᾳ τῶν σαββάτων προθήσεται ἔναντι κυρίου διὰ παντὸς ἐνώπιον τῶν υἱῶν Ισραηλ διαθήκην αἰώνιον (Rahlfs 1979, λευ. 24, 8).
და გითხრობდა თქუენ მცნებათა მათ, რომელ-იგი გამცნო თქუენ ყოფად მისა (ბიბლია 2017, 2 რჯ. 4, 13, ABEKS).	და მიგითხრა თქუენ აღთქუმაჲ თჳსი, რომელ გამცნო თქუენ ქმნად (ბიბლია 2017, 2 რჯ. 4, 13, G)	καὶ ἀνήγγειλεν ὑμῖν τὴν διαθήκην αὐτοῦ, ἣν ἐνετείλατο ὑμῖν ποιεῖν (Rahlfs 1979, δευτ. 4, 13).
და არა თუ თქუენ ხოლო დაგიდებ მცნებასა ამას სჯულისასა (ბიბლია 2017, 2 რჯ. 29, 13, BDES).	და არა თქუენ მხოლოთა აღგითქუამ მე აღთქუმასა ამას (ბიბლია 2017, 2 რჯ. 29, 13, G).	καὶ οὐχ ὑμῖν μόνοις ἐγὼ διατίθεμαι τὴν διαθήκην ταύτην (Rahlfs 1979, δευτ. 29, 13).

საიდუმლო სერობაზე ევქარისტიის საიდუმლოს დაწესების დროს მაცხოვრის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩაწერილია მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებში. ზემოთ სახარების ტექსტებიდან დავიმოწმეთ აღნიშნული ფრაგმენტი, რომელშიც διαθήκη-ს შესატყვისია *აღთქმა* და *შჯული*. ევქარისტიის დაწესების ფორმულა ასახულია პეტრეს, იაკობის, იონესა (ოქროპირი) და ბასილის ლიტურგიებში. ქვემოთ დამოწმებულ ტექსტებში ჩანს, რომ მხოლოდ გელათური ტრადიცია (K-657) თარგმნის διαθήκη-ს, როგორც *აღთქმას*, სხვა რედაქციებში გვაქვს *შჯული:*

Sin 89 (B) (XII ს.)	S 4980 (C) (XII ს.)	K-657 (XVI ს.)
სუთ ამისგან თქუენ ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ (ქაჭაია 1992: 290, 9-10, ბას. ლიტ.).	[სუთ ამისგან] თქუენ ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა [შჯული]საჲ (ქაჭაია 1992: 310, 34-35, ბას. ლიტ.).	სუ[თ] ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა (კაკიაშვილი 2016: 130, ბას. ლიტ.).
Sin. geo. 89/o (XII ს.) სუთ ამისგანი თქუენ ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ (კაკიაშვილი 2016: 180, იოან. ლიტ.).		K-657 (XVI ს.) სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა (კაკიაშვილი 2016: 198, იოან. ლიტ.).

Sin.geo 26/N; (IX-X სს.) Graz 2058/4; Prague DJ VI 1 (X ს.)	Borg. iber. 7 (XIII-XIV სს.) A81 (XVIII ს.)
სუთ ამისგანი თქუენ ყოველთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ (კაკიაშვილი 2016: 25, 51, იაკ. ლიტ.).	მიიღეთ და სუთ ამისგან ყოველთა, რაჲმეთუ ესე არს სასუმელი სისხლისა ჩემისაჲ, ახალი და საუკუნოჲ შჯული (კაკიაშვილი 2016: 84, 91, პეტ. ლიტ.).

არსებობს მცირე გამონაკლისი, როდესაც გელათურ თარგმანში *διαθήκη*-ს შესატყვისად ნაცვლად *აღთქმისა,* გვაქვს *შჯული* და *ანდერძი:*

და-თუ-იმარხონ შვილთა შენთა შჯული ჩემი და წამებანი ჩემნი (ბიბლია 2017, ფს. 131, 12, ABCDEFGHL). ἐὰν φυλάξωνται οἱ υἱοί σου τὴν διαθήκην μου καὶ τὰ μαρτύριά μου ταῦτα (Rahlfs 1979, φσ. 131, 12);

მიყო კელი მისი, რაჲთამცა მიაგო მათ, რამეთუ მათ შეაგინეს შჯული მისი (ბიბლია 2017, ფს. 54, 21, ABCDEFGHL). ἐξέτεινεν τὴν

χεῖρα αὐτοῦ ἐν τῷ ἀποδιδόναι· ἐβεβήλωσαν τὴν διαθήκην αὐτοῦ (Rahlfs 1979, ფσ. 54, 21);

წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან არა ისმინნეს სიტყუანი ამის შჯულისანი (ბიბლია 2017, იერ. 11, 3 OJ). *წყეულ იყავნ კაცი, რომელმან არა ისმინნეს სიტყუანი ამის ანდერძისანი* (ბიბლია 2017, იერ. 11, 3, GW). Ἐπικατάρατος ὁ ἄνθρωπος, ὃς οὐκ ἀκούσεται τῶν λόγων τῆς διαθήκης ταύτης (Rahlfs 1979, ιερ. 11, 3). მსგავსი ნიმუშები იშვიათი გამონაკლისია, რომელიც საერთო ტენდენციას ვერ ცვლის.

განხილულმა მასალამ ცხადყო:

- ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ბერძნული საღვთისმეტყველო ტერმინის διαθήκη ზუსტი შესატყვისი არ არის განსაზღვრული. ის ქართულ თარგმანებში გადმოდის სხვადასხვა შესატყვისობით: *აღთქმა, შჯული, მცნება, წიგნი, ანდერძი;*
- გელათური რედაქციის თარგმანებში διαθήκη-ს შესატყვისად განსაზღვრულია ერთი ტერმინი – *აღთქმა* (მცირე გამონაკლისის გარდა);
- ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, მათ შორის გელათურში, ბერძნული საღვთისმეტყველო ტერმინისთვის *νόμος* მკაცრად არის განსაზღვრული ქართული ეკვივალენტი. მისი ერთადერთი, უცვლელი შესატყვისია *შჯული*.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბიბლია 2017 – ძველი აღთქმა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი.

იმნაიშვილი 1961 – ივანე იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, თბილისი.

იმნაიშვილი 1979 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი.

კაკიაშვილი 2016 – ბასილი კაკიაშვილი, ჟამისწირვათა კრებული ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით, ბუდაპეშტი.

ლორთქიფანიძე 1956 – ქეთევან ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი.

ორბელიანი 2013 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი.
ქაჯაია 1992 – ნინო ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი.
შანიძე 1945 – აკაკი შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი.
ძოწენიძე... 1974 – ქეთევან ძოწენიძე, კორნელი დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბილისი.
Дворецкий 1958 – Иосиф Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Т. I-II, Москва.
Aland... 1994 – B. Aland..., The Greek New Testament, Stuttgart.
Lampe 1961 – G. Lampe, A Patristic Greek Lexicon. Oxford.
Rahlfs 1979 – Alfred Rahlfs, *Septuaginta*, All rights reserved. Stuttgart.

Davit Iobidze
Akaki Tsereteli State University
d.yo777bi@gmail.com

Keyword: Holy Scripture, terminological synonym, law, covenant

Georgian Equivalents of the Theological Terms *νόμος* and *διαθήκη* in Ancient Georgian Translations of the Holy Scriptures

Summary

This research aims to explore and analyze the Georgian equivalents of theological terms (*νόμος, διαθήκη*) found in ancient scripture translations.

The Greek theological term *διαθήκη, ἡ* is defined in Lampe's Patristic Dictionary as *testament, covenant,* or *will*. In sacred theological writings, *διαθήκη* refers to both the Old and New Testaments of the Holy Scripture (Lampe1961: 348).

The Greek theological term *νόμος, ὁ* is defined in Lampe's Patristic Dictionary as follows: I. An established principle or custom; II. Law: A. Human or secular law (law); B. Divine Law: 1. God's moral Law, 2. Natural Law, 3. The Law of Nature, 4. The law given to Adam, 5. The law given to Noah, Abraham, and Moses, culminating in the teaching of Christ, 6. The Law of Moses, 7. The Christian law, 8. The laws of the Church; C. The law of sin; III. Various rules and standards (Lampe 1961: 920-922).

In Greek ecclesiastical terminology, the theological terms *διαθήκη* and *νόμος* maintain separate meanings, devoid of overlap, and convey specific concepts.

The analysis of the material reveals a difference in ancient Georgian ecclesiastical terminology. The Georgian terms *რჯული* (law) and *აღთქმა* (covenant) are frequently used to translate the Greek term *διαθήκη.* In these instances, they function as terminological units expressing a single concept, with some semantic overlap. Conversely, *რჯული* (law) consistently translates to *νόμος.* In this context, the Georgian translation tradition employs the term *რჯული* (law) as the equivalent of two distinct Greek terms (*διαθήκη* and *νόμος*): It may convey the concept of *νόμος* or *διαθήκη,* depending on the context.

The situation differs concerning the Georgian equivalent of the term *νόμος,* which consistently translates to *რჯული* (law). Consequently, while *διαθήκη* has two Georgian equivalents – *აღთქმა* (covenant) and *რჯული* (law), *νόμος* is uniformly translated as *რჯული* (law). This observation suggests that within the Georgian translation tradition, the precise equivalent of the Greek term *διαθήκη* lacks definition, thus being rendered by synonymous terminological units – *აღთქმა* (covenant) | *რჯული* (law).

The Gelati school of translations offers a different perspective. The Georgian equivalents of the Greek terms were determined with the assistance of Gelati translator-scribes. Specifically, the term *διαθήκη* is translated as *აღთქმა* (covenant), while *νόμος* is rendered as *რჯული* (law). Importantly, it's worth noting that *აღთქმა* (covenant) and *რჯული* (law) are not used interchangeably, as they convey distinct concepts.

ზაალ კიკვიძე
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
zaal.kikvidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ენის სახელწოდება, ლინგვონიმი/ლინგვანიმი, გლოსონიმი/გლოტონიმი, ლოგონიმი, სოციოტერმინოლოგია

ენის სახელწოდების აღმნიშვნელი ტერმინები: *ლინგვონიმი/ლინგვანიმი, გლოსონიმი/გლოტონიმი, ლოგონიმი* და ა.შ.

ენათა სახელწოდებებთან დაკავშირებული პრობლემები დროდადრო ხვდებოდა და ხვდება მკვლევართა ინტერესის სფეროში, მაგრამ არასოდეს გამხდარა ცხოველი სჯა-ბაასის საგანი ენათმეცნიერებაში. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება ვივარაუდოთ ის გარემოება, რომ ადამიანები მათ (ენათა სახელწოდებებს), ალბათ, აღიქვამენ, როგორც მზა მოცემულობას და ამიტომაც სარკვევიც თითქოს აღარაფერია. არადა, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, პოლიტოლოგიურ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის ტექსტებში არცთუ იშვიათად ვკითხულობთ მათ შესახებ. აქვე ჩანს, რომ საკამათო ბევრია; მეტიც, ენათა სახელწოდებები სხვადასხვა სახის მანიპულაციისათვისაც კი გამოიყენება. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ შესაბამისი დარგის (ენათმეცნიერების ფარგლებში) თუ ქვედარგის (ონომასტიკის ფარგლებში) ჩამოუყალიბებლობით სულ უფრო მეტად გაეხსნება გზა გაურკვევლობასა და არაჯანსაღ ორაზროვნებას ტერმინთან თუ რომელიმე ნომენთან მიმართებით. თავის დროზე ამგვარი მოვლენების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით რამდენიმე პუბლიკაციაში (კიკვიძე 2012; 2013).

წინამდებარე ნაშრომში ვიხილავთ არა ამა თუ იმ კონკრეტული ენის ან ენების სახელდებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ ენის სახელწოდების აღმნიშვნელ ტერმინებს. თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, რა არის ენის სახელწოდება. მასში შედის შემდეგი: 1. ცალკეულ ენათა სახელწოდებები; 2. ენათა გენეტიკური და არეალური დაჯგუფებების სახელწოდებები; 3. ენის ტერიტორიული, ქრონოლოგიური და სოციალური ნაირსახეობების სახელწოდებები. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული შესა-

ბამისი დარგი ან ქვედარგი; ამ გარემოებასთან არსებით კავშირშია ის ფაქტი, რომ ენის სახელწოდების აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მათი სიჭარბე წარმოადგენს. არსებული მრავალფეროვნებიდან უპირატესის გამოსავლენად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმი, მათ შორის, ფორმობრივი და შინაარსობლივი შესაბამისობა ცნებასთან, ერთეულის სიძველე, სიხშირე და მისთანანი. ამ ნაირგვარი თავისებურებების გასაანალიზებლად უთუოდ შესაფერის პლატფორმად მივიჩნევთ სოციოტერმინოლოგიას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს აღწერით მიდგომას და რომლის ეფექტურობაც არაერთხელ წარმოვაჩინეთ აქამდე (კიკვიძე 2017; 2022-2023).

ენის სახელწოდების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინის განხილვისას ქრონოლოგიურ პრინციპს დავეყრდნობით; ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველად ყველაზე ადრე შექმნილ და გაჩენილ ტერმინოლოგიურ ერთეულებს შევეხებით. როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ამ პრინციპის განუხრელად დასაცავად დიდი სიფრთხილე და სიმკაცრეა აუცილებელი, რათა უნებლიეთ არ მოგვიხდეს ტირაჟირება გადაუმოწმებელი ინფორმაციისა, რომელიც ამა თუ იმ ავტორის დეკლარაციულ განცხადებას ეყრდნობა. აღნიშნულის პრეცედენტები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პირველი ტერმინი, რომელიც თავდაპირველად უნდა განვიხილოთ; ეს არის *ლინგვონიმი*. იგი თხზული წარმოებისაა და შედგება ორი კომპონენტისაგან: ლათინური *lingua* „ენა“ + ბერძნული *ὄνυμα* „სახელი“. 1977 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში დ. გოლდი წერს, რომ ეს ტერმინი მან შექმნა აღნიშნულ ნაშრომში განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით (გოლდი 1977: 14). სამიოდე წლის შემდეგ იგი იმოწმებს თავისივე პუბლიკაციას და ამტკიცებს, რომ თავდაპირველად მან შექმნა ეს ტერმინი (გოლდი 1980: 38). არათუ მომდევნო წლებში, ჩვენს დროშიც კი ზოგიერთი ავტორი დაეჭვების გარეშე იმეორებს, რომ სწორედ დ. გოლდი გახლდათ პიონერი ამ საქმეში (იხ. მაგ., პეეტერმანსი 2020: 116). ღირსსაცნობია, რომ 1973 წელს ესპერანტისტთა საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა აშხაბადელი ენათმეცნიერის, ალექსანდრ დულიჩენკოს, სტატია, რომელიც მთლიანად ენის სახელწოდებების შემსწავლელ დისციპლინას ეძღვნება. ამ დროისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ეს არის ყველაზე ადრეული პუბლიკაცია, რომელშიც არა მარტო ნახსენებია *ლინგვონიმი*, არამედ გან-

მარტებულიცაა იგი: „ლინგვონიმი წარმოადგენს ენის (თავისი ვარიანტებითურთ) ან ენის ამა თუ იმ ნაირსახეობის კონკრეტულ სახელწოდებას“ (დულიჩენკო 1973: 84). ასე რომ, თუკი არ აღმოჩნდა უფრო ადრე გამოცემული ნაშრომი, რომელშიც ეს ტერმინი ფიგურირებს, მისი შექმნის თარიღად 1973 წელი უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მის შემქმნელად, რა თქმა უნდა, ა. დულიჩენკო ჩაითვლება.

ამჯერად კი უნდა შევეხოთ მის აგებულებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *ლინგვონიმი* თხზული ტერმინია; იგი ჰიბრიდია: შედგება სხვადასხვა ენის (ლათინურისა და ბერძნულის) კომპონენტებისაგან. ეს გარემოება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის საწინააღმდეგო არგუმენტად (პეეტერმანსი 2020: 117). უნდა ითქვას, რომ იმავე გარემოებას (ჰიბრიდულ წარმოებას) არ შეუშლია ხელი სხვადასხვა დარგის არაერთი ტერმინის დამკვიდრებისათვის[1]. და მაინც, დღესდღეობით *ლინგვონიმი* არ წარმოადგენს ისეთ ტერმინოლოგიურ ერთეულს, რომელსაც გამორჩეულ უპირატესობას ანიჭებენ ენათმეცნიერები საერთაშორისო მასშტაბით; და მაინც, იგი არცთუ იშვიათად გვხვდება ქართულ საენათმეცნიერო ტექსტებში (იხ. მაგ., ომიაძე 2018; კოჭლამაზაშვილი 2019; გაბესკირია 2022). მის პარალელურად არსებობს შედგენილობით იგივე, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ტერმინოლოგიური ერთეული *ლინგვანიმი* (ლათინური *lingua* „ენა“ + ბერძნული *ὄνομα* „სახელი“). როგორც ვხედავთ, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში მოკვეცილია მეორე კომპონენტის თავკიდური ხმოვანი, ხოლო პირველის შემთხვევაში – წინამავალი კომპონენტის ბოლოკიდური ხმოვანი. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, როდის გაჩნდა ეს ერთეული. რაც მთავარია, იგი უაღრესად იშვიათად გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მიზეზის გამო მას (*ლინგვანიმს*) ვერ მივიჩნევთ სხვა, სინონიმური ტერმინების საპირწონე ერთეულად.

ენის სახელწოდების აღმნიშვნელ მომდევნო ტერმინოლოგიურ ერთეულებად უნდა განვიხილოთ *გლოსონიმი* (ბერძნული *γλῶσσα* „ენა“ + ბერძნული *ὄνυμα* „სახელი“) და *გლოტონიმი* (ბერძნული *γλῶττα* „ენა“ + ბერძნული *ὄνυμα* „სახელი“). როგორც ვხედავთ, გამო-

[1] აღნიშნულის საუკეთესო თვალსაჩინოებას წარმოადგენს ოგიუსტ კონტის მიერ ჯერ კიდევ 1834 წელს შემოღებული ტერმინი *სოციოლოგია* (ლათინური *socius* „ამხანაგი, მეგობარი“ + ბერძნული *λογία* „ცოდნა“).

ხატულების პლანში მათ შორის არსებული განსხვავება მინიმალურია, რაც ძველი ბერძნულის დიალექტურ სხვაობასთანაა დაკავშირებული: *γλῶττα* „ენა“ იონიურია, ხოლო *γλῶσσα* „ენა“ ატიკური. რახან განხილვის თანამიმდევრობის საფუძვლად ქრონოლოგიური პრინციპი ავირჩიეთ, ჯერ სწორედ ის უნდა აღვნიშნოთ, სად და როდის ჩნდება ეს ტერმინები თავდაპირველად. ჩვენ მივაკვლიეთ მხოლოდ *გლოტონიმის* (glottonym) ყველაზე უწინდელი გამოყენების დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემს: ყველაზე ადრე ეს ტერმინი 1976 წელს გამოქვეყნებულ სტატიაშია ნახსენები; იგი აქ გვხვდება ორჯერ და განმარტების გარეშე (კეჰეინი & კეჰეინი 1976: 28, 31). მის შესახებ სხვა რამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას. ღირსსაცნობია, რომ 1979 წელს დაბეჭდილი სტატიის ავტორი, რომელიც ამ და სხვა, მასთან დაკავშირებულ ცნებებსა და ტერმინებს განიხილავს, აცხადებს, რომ *გლოტონიმია* (Glottonymie) ნეოლოგიზმად უნდა ჩავთვალოთო (გობლი 1979: 8). ეს იმას ნიშნავს, რომ, თუკი სადმე არსებობს ზემოდასახელებულზე უფრო ადრეული წყარო, რომელშიც ნახსენებია *გლოტონიმი* ან *გლოსონიმი*, იგი 1976 წელზე დიდად უწინდელი ვერ იქნება. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრებისათვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს მის სიტყვაწარმოებითსა და საკოლოკაციო შესაძლებლობებს. ვეთანხმებით სალომე ომიაძის შენიშვნას, რომელიც მან ჩვენს ნაშრომზე გააკეთა: „ერთეულთა სიჭრელის მიზეზებზე მსჯელობისას იკვეთება ავტორის პოზიცია, იგი უპირატესობას ანიჭებს ტერმინ გლოსონიმს. მართალია, ამ არჩევანის მოტივზე საგანგებო მსჯელობა დასახელებულ სტატიაში არ გვხვდება, თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოტივი აღნიშნული ტერმინის დერივაციული პოტენციალი და მისი რეალიზებაა“ (ომიაძე 2018: 155). მართლაც, *ლინგვონიმის* მსგავსად, *გლოტონიმსა* და *გლოსონიმს* ამ მხრივ შეზღუდულობა არ ახასიათებს. რაც მთავარია, მათი მეშვეობით ადვილად იწარმოება ტაქსონომიური მიმართებების აღმნიშვნელი ერთეულები. ასეთებად მიგვაჩნია შემდეგი: *ავტოგლოსონიმი/ენდოგლოსონიმი* (resp. *ავტოგლოტონიმი/ენდოგლოტონიმი, ავტოლინგვონიმი/ენდოლინგვონიმი*) – „სახელი, რომელსაც მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი უწოდებს თავის ენას“ და *ალოგლოსონიმი/ეგზოგლოსონიმი* (resp. *ალოგლოტონიმი/ეგზოგლოტონიმი, ალოლინგვონიმი/ეგზოლინგვონიმი*) – „სახელი, რომლითაც სხვა ენებზე მოლაპარაკენი აღნიშნავენ ამ ენას.“ ენათა სახელწოდებების შემსწავლელ დისციპლი-

ნას ეწოდება *გლოსონიმიკა* (resp. *გლოტონიმიკა*, *ლინგვონიმიკა*). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ *გლოსო* და *გლოტო* კომპონენტების შემცველი ტერმინები საკმაოდ გვხვდება ენათმეცნიერებაში; მაგალითად, *გლოტოგენეზი, გლოტოქრონოლოგია, გლოტოფაგია* და ა. შ. || *გლოსოლალია, დიგლოსია, იზოგლოსა* და ა. შ. უნდა შევნიშნოთ, რომ ენის სახელწოდების აღმნიშვნელი ტერმინებისაგან განსხვავებით, აქ იშვიათად ვაწყდებით პარალელიზმის შემთხვევებს. რომელიმე მათგანის პოვნიერება ამა თუ იმ ვარიანტის მიერ ფეხის მოკიდებასა და, შესაბამისად, მათს ამგვარად დამკვიდრებას უნდა მივაწეროთ. ენის სახელწოდებების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინის განვითარების კვალად გარდაუვლად გაჩნდება ახალი ტერმინების შექმნის საჭიროება. კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ს. ომიაძის სიტყვებს, რომ ამა თუ იმ ერთეულისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი შეიძლება იყოს „ტერმინის დერივაციული პოტენციალი და მისი რეალიზება“ (ომიაძე 2018: 155). რაც შეეხება ტერმინთა ზემოხსენებულ სამეულს (*ლინგვონიმი, გლოტონიმი, გლოსონიმი*), სიტყვაწარმოებითი პოტენციალი მეტ-ნაკლებად ყველა მათგანს უჩანს, მაგრამ, ამ პოტენციალის განხორციელების თვალსაზრისით, *გლოსონიმი* აშკარად აღემატება საპირწონე ერთეულებს. სანიმუშოდ დავასახელებთ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: *ეთნოგლოსონიმია, ჰეტეროგლოსონიმია, გლოსონიმიზაცია, ბიბლიოგლოსონიმი, ფსევდოგლოსონიმი* და ა. შ. რასაკვირველია, *გლოსო* ძალიან ადვილად შეიძლება ჩაანაცვლოს *გლოტო*-მ და პირიქით, ოღონდ, ჯერ ერთი, ასე ყოველთვის არ ან ვერ ხდება, ხოლო მეორე გარემოება ის გახლავთ, რომ მთავარია, თავდაპირველად რომელი ვარიანტის გამოყენებით იქმნება და ფეხს იკიდებს ესა თუ ის ტერმინოლოგიური ერთეული.

მიუხედავად იმისა, რომელი ტერმინის უპირატესობა იკვეთება სიტყვაწარმოებითი დიაპაზონისა თუ სიხშირის მიხედვით, ოდესმე მაინც უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც ამ უაღრესად ჭარბი ტერმინოლოგიური სინონიმიის დაძლევა. სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართული ერთგვარი ძალისხმევა იყო კიდევ ერთი, მანამდე არსებულებისაგან განსხვავებული ტერმინის შემოღების მცდელობა ენის სახელწოდების აღსანიშნავად. ეს გახლავთ *ლოგონიმი* (ბერძნული *λόγος* „სიტყვა, მეტყველება“ + ბერძნული *ὄνυμα* „სახელი“). ხსენებული ტერმინი ამ მნიშვნელობით გამოიყენა ჰოლანდიელმა ენათმეცნიერმა მარიან კლამერმა, ოღონდ შესაბამის ნაშრომში არც მისი განმარტებაა მოწოდებული და არც ისაა ახსნილი, რატომ შე-

აჩერა მან თავისი არჩევანი ამ ერთეულზე (კლამერი 2010: 3, 7, 11, 13). ეს არც იქნებოდა გასაკვირი, სწორედ მ. კლამერს რომ არ მიეწერებოდეს მისი შემოღება ზოგიერთი მიმდევრისა და კოლეგის წყალობით (იხ. მაგ., ფედენი 2011). მართლაც, სინამდვილეში *ლოგონიმი* მანამდეც (ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში) გვხვდება ზოგიერთ საენათმეცნიერო ტექსტში, სადაც მას *გლოსონიმის* სინონიმის გარდა ენის და მისი ნაირსახეობის აღნიშვნის ფუნქცია აკისრია (ლორანდო 1994: 135). ვერც პოვნიერების სიხშირით და ვერც სიტყვაწარმოებითი და კოლოკაციური პოტენციალით იგი ვერ შეედრება უფრო ადრე გაჩენილ ტერმინოლოგიურ ერთეულებს; უფრო მეტიც, მისი შემოღებით კიდევ უფრო გაიზარდა ენის სახელწოდების აღმნიშვნელი სინონიმური ტერმინების რიცხვი, რამაც არა პრობლემის გადაჭრამდე, არამედ მის გართულებამდე მიგვიყვანა. ამასთანავე, აქ ისიცაა მისაღები მხედველობაში, რომ *ლოგონიმი* პოლისემიური ტერმინია და იგი სხვადასხვა დისციპლინაში გამოიყენება; მაგალითად, იგი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების სათაურის აღმნიშვნელ ტერმინს (რუმი 1996: 57). ამგვარად, მიუხედავად იმისა, ვინ და როდის ითავა მისი შემოღება, ამ ტერმინის დამკვიდრების მცდელობა ენის სახელწოდების აღსანიშნავად თავიდანვე წარუმატებელი ძალისხმევა იყო.

იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე სხვა ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმის შესახებ, რომელთა შემოღებით კიდევ უფრო გართულდა და აირია ენის სახელწოდების აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებული ვითარება.[1]

მიუხედავად იმისა, როდის იქნა შემოღებული ზემოგანხილული ტერმინები და რამდენად დაიმკვიდრა თავი რომელიმე მათგანმა, მათ ერთი საერთო ნიშან-თვისება აქვთ: ყოველი მათგანი უცხოური წარმოშობისაა და ქართულში ნასესხობას წარმოადგენს. რა არის მათი შესატყვისი ქართული ტერმინი? მას ჩვენ წინამდებარე ნაშრომის თითქმის ყველა აბზაცში ვიყენებთ (სათაურშიც კი); ეს გახლავთ *ენის სახელწოდება*. მისი დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქართულია, შესაბამისად, გამჭვირვალე და ადვილად გასაგებია. როგორც ვხედავთ იგი ტერმინოლოგიური შესიტყვებაა; როგორც

[1] ზემოთქმულის ერთ-ერთ მკაფიო თვალსაჩინოებას წარმოადგენს *ლოკონიმი* (ლათინური *locus* 'ადგილი' + ბერძნული *ὄνυμα* „სახელი"), რომელიც ტოპონიმებისაგან მომდინარე ენის ან მისი ნაირსახეობის სახელწოდების აღსანიშნავად იქნა შემოთავაზებული (მატისოვი 1986).

როგნედა ღამბაშიძე (1986: 19) აღნიშნავს, ასეთ შემთხვევაში „თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და საერთო მნიშვნელობა კი ცალკეული კონპონენტების მნიშვნელობისაგან გამოიყვანება. ასეთი მოდელი – სახეობითი ცნების გამომხატველი შესიტყვება – მოტივაციის სიცხადით ხასიათდება.“ ნათელია, რომ, სემანტიკური თვალსაზრისით, ეს ამ ტერმინის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს. არის თუ არა პრობლემატური ეს ტერმინოლოგიური შესიტყვება სტრუქტურული თვალსაზრისით. თავისთავად ის ფაქტი, რომ ტერმინი შესიტყვებაა, რა თქმა უნდა, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა, თუ ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ იგი სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან შემდგენილი კონსტრუქციაა, ადვილად შევამჩნევთ იმ კანონზომიერ შესაძლებლობას, რომ, არა მხოლოდ საზღვრული იწარმოებს მრავლობით რიცხვს (რაც ბუნებრივი და აუცილებელიცაა), არამედ მსაზღვრელიც (*ენის – ენების/ენათა*). ჩვენი აზრით, ეს გარემოება ვერ ჩაითვლება მის კიდევ ერთ უპირატესობად. ისიც თვალშისაცემია, რომ მისი საშუალებით ჯერჯერობით ძნელდება როგორც (ქვე)დარგის სახელწოდების, ასევე მასთან დაკავშირებული სხვა, მეტაენობრივი ერთეულების წარმოება. კიდევ ერთ საორჭოფო ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შესაბამისი ცნება არა მხოლოდ საკუთრივ ენის, არამედ ენათა გენეტიკური და არეალური დაჯგუფებების, ასევე ენის ნაირსახეობებისა და მისთანათა სახელწოდებებსაც მოიცავს. მიუხედავად რამდენიმე ხარვეზისა, შესიტყვება *ენის სახელწოდება* ჩვეულებრივ იხმარება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (სხვა საკითხია, რამდენადაა იგი უკვე გატერმინებული). და მაინც, თუკი შესაძლებელია გაუმჯობესება, არაგონივრული იქნება მასზე უარის თქმა. 2022 წელს, ტერმინოლოგიის მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე ამ პრობლემის შესახებ ჩვენი მოხსენების შემდეგ გამართული სჯა-ბაასისას შემოთავაზებულ იქნა ასეთი ერთეული; ეს გახლავთ *ენათწოდება*.[1] რა არის მისი დადებითი მხარეები? პირველ რიგში, მას აქვს ყველა ის დადებითი მახასიათებელი, რაც მის საპირწონე ტერმინოლოგიურ შესიტყვებას: იგი ქართულია და სემანტიკურად მოტივირებულია, შესაბამისად, გასაგებია. ამასთანავე, მას არ აქვს ზოგიერთი ზემოხსენებული ხარვეზი; მართალია, იგი ენდოცენტრული კომპოზიტია (ე. ი. მსაზღვრელ-საზღვრუ-

[1] ეს ტერმინი შემოგვთავაზა ქალბატონმა ნათელა მუზაშვილმა, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ.

ლის კომბინაციას წარმოადგენს), მაგრამ აქ (კომპოზიტის ფარგლებში) მსაზღვრელი მორფოლოგიურ სახეცვლილებას აღარ ექვემდებარება და, შესაბამისად, მრავლობითის აფიქსებს მხოლოდ მთლიანი კონსტრუქცია დაირთავს (*ენათწოდებები/ენათწოდებანი*). ამავე მიზეზის გამო (რომ მსაზღვრელი ამჯერად თხზული სიტყვის კომპონენტია და არა შესიტყვებაში შემავალი სიტყვა) უფრო ადვილია, რომ ამ ტერმინმა მოიცვას არა მხოლოდ საკუთრივ ენის, არამედ ენათა გენეტიკური და არეალური დაჯგუფებების, ასევე ენის ნაირსახეობებისა და მისთანათა სახელწოდებებიც. ჩამოთვლილ დადებით ნიშან-თვისებებთან ერთად იგი კომპაქტური და მოქნილია.

რჩება მეტაენობრივი და ტაქსონომიური ერთეულების წარმოების პრობლემა. მართლაც, ნაკლებად შედეგიანად მიგვაჩნია *ენათწოდება*-ზე ისეთი ელემენტების დართვა, როგორც ეს მისი საპირწონე უცხოური ტერმინების შემთხვევაში გვაქვს (ასე, მაგალითად, *ავტოგლოსონიმი/ენდოგლოსონიმი, ალოგლოსონიმი/ეგზოგლოსონიმი*). უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული არ გახლავთ ინდოევროპული ენა და არც ტიპოლოგიურად აქვს ამ ოჯახის ენებთან ჭარბი საერთო მახასიათებლები; შესაბამისად, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ზემოაღნიშნული სახის ტერმინოლოგიური ერთეულები ვაწარმოოთ არსებული უცხოენოვანი ყალიბების მიხედვით. მაშ, როგორი შეიძლება იყოს ისინი? ამ ეტაპზე პრესკრიპტული ხასიათის წინადადებების წამოყენებისაგან თავს შევიკავებთ. ამის მიზეზები შემდეგია: პირველი ის გახლავთ, რომ წინამდებარე ნაშრომი არსებული ვითარების სოციოტერმინოლოგიურ ანალიზს ისახავს მიზანს, რაც აღწერით მიდგომას გულისხმობს. რაც შეეხება პრესკრიფციას, სოციოტერმინოლოგიური კვლევის შედეგებმა შესაძლოა მიგვითითოს ამ საჭიროების შესახებ; მეორე მიზეზი ისაა, რომ ენათწოდებათა შემსწავლელი დარგი თუ ქვედარგი ჯერ არცაა განვითარებული სათანადოდ; როდესაც ეს მოხდება, შესაბამისი ტერმინოლოგიაც უსათუოდ გაჩნდება და იმედია, რომ იგი ქართული ენობრივი მასალით იქნება წარმოებული.

ლიტერატურა

გაბესკირია 2022 – შალვა გაბესკირია, ქართველთა თვითსახელწოდება „ქართველის“ ეტიმოლოგიის შესახებ, *თავისუფალი უნივერ-*

სიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი, 4; https://www.journals.org.ge/index.php/asianstudies/article/view/111/51

გობლი 1979 – Gobl, Hans. Glottonymie, Glottotomie und Schizoglossie: Drei sprachpolitisch bedeutsame Begriffe. *Ladinia* 3: 7-38.

გოლდი 1977 – Gold, David L. Dzhudezmo. *Language Sciences* 47; 14-16.

გოლდი 1980 – Gold, David L. The Spanish, Portuguese and Hebrew Names for Yiddish and the Yiddish Names for Hebrew. *International Journal of the Sociology of Language* 24; 29-42.

დულიჩენკო 1973 – Duličenko, Alexander D. La Lingvonimiko – ĝlaj esenco kaj problemoj. *Scienca Revuo de Internacia Scienca Asocio Esperantista*, 24/2-3: 83-90.

კეჰეინი & კეჰეინი 1976 – Kahane, Henry & Kahane, Renée. "Lingua Franca": The story of a term. *Romance Philology* 30/1: 25-41.

კიკვიძე 2012 – ზაალ კიკვიძე, ენათა სახელწოდებები: ტერმინოლოგია და იდეოლოგია, *კავკასიოლოგიური ძიებანი*, IV.

კიკვიძე 2013 – Kikvidze, Zaal. Lost and acquired in translation: shades of meaning in language names, *General and Specialist Translation/ Interpretation: Theory, Methods, Practice. 6th International Conference Proceedings*. Kyiv.

კიკვიძე 2017 – Kikvidze, Zaal. On the socioterminological approach to sociolinguistic terminography, 1: Idiolect, *Language in Professional Dimension: Communicative and Cultural Aspects.* Kharkiv: NUCZU; 167-169.

კიკვიძე 2022-2023 – ზაალ კიკვიძე, ინტერფიქსი როგორც ტერმინი და ცნება: სოციოტერმინოლოგიური მიდგომა, *ტერმინოლოგიის საკითხები,* V; 206-224.

კლამერი 2010 – Klamer, Marian. *A Grammar of Teiwa*. Berlin/New York: De Gruyter Mouton.

კოჭლამაზაშვილი 2019 – ლევან კოჭლამაზაშვილი, ქართველურ ენაკილოთა ინგლისურენოვანი სახელდების პრინციპები, *XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*; 46-48.

ლორანდო 1994 – Laurendeau, Paul. Le concept de Patois avant 1790, vel vernacular lingua. Mougeon, Raymond and Edourad Beniak, eds. *Les origines du français québécois*. Sainte-Foy: Les Presses de l'Université Laval.

მატისოვი 1986 – Matisoff, James A. (1986). The languages and dialects of Tibeto-Burman: An alphabetic/genetic listing, with some prefatory remarks on ethnonymic and glossonymic complications. In J. McCoy & T. Light (eds.), *Contributions to Sino-Tibetan studies*, 3–75. Leiden: Brill.

ომიაძე 2018 – სალომე ომიაძე, ლინგვონიმების საკითხისათვის აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში, *ტერმინოლოგიის საკითხები,* III; 154-158.

პეეტერმანსი 2020 – Peetermans, Andy. *The Art of Transforming Traditions: Conceptual developments in early modern American missionary grammar writing*. PhD Dissertation in Linguistics. KU Leuven.

რუმი 1996 – Room, Adrian. *An Alphabetical Guide to the Language of Name Studies*. Lanham, MD: Scarecrow Press.

ფედენი 2011 – Fedden, Sebastian. *A Grammar of Mian*. Berlin/Boston: Walter de Gruyter.

ღამბაშიძე 1986 – ღამბაშიძე, როგნედა. *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები*. თბილისი: მეცნიერება.

Zaal Kikvidze
Arnold Chikobava Institute of Linguistics, TSU, Georgia
zaal.kikvidze@tsu.ge

Keywords: language name, linguonym/linguanym, glossonym/glottonym, logonym, socioterminology

Terms for a Language Name: *linguonym/linguanym, glossonym/glottonym, logonym*, etc.

Summary

Language names have never attracted due attention in the linguistics literature. It happens not because authors believe that they do not matter very much but because they take them for granted. The

present paper does not deal with names of individual languages and their implication; it is concerned with terms for a language name as such. One of the principal problems associated with terms for a language name is their abundance. In order to identify the most preferential from the extant diversity, various authors employ various criteria, among them, formal and semantic equivalence with the notion, their age, frequency of occurrence, etc. I consider socioterminology, preferring a descriptive approach, a truly adequate platform for analyzing the aforementioned features.

Chronologically, the earliest of all is the term *linguonym* (Lat. *lingua* 'language' + Gr. *ὄνυμα* 'name'). Initially, it occurred in A. Duličenko's paper published in 1973 in an Esperanto journal. The term sometimes gets criticism owing to the fact that it is a centaur (Latin+Greek) coinage (similar centaur formations are numerous in linguistics, and not only). As for its parallel version *linguanym*, it is made of the same constituents, with a single difference that the initial vowel of the second constituent is syncopated in it (which as a rule, occurs rarely in onomastic literature). Another notable characteristic feature is the fact that it is rather infrequent in the literature.

Much more frequent among other items are the terms *glossonym* (Ion. Gr. *γλῶσσα* 'language' + *ὄνυμα* 'name') and *glottonym* (Att. Gr. *γλῶττα* 'language' + *ὄνυμα* 'name'). There is only this, minimum difference between them. As for their occurrence in scholarly circulation, *glottonym* is the earliest of the two, attested in H. Kahane and R. Kahane's paper published in 1976.

A certain attempt to avoid terminological diversity and heterogeneity was an attempt to introduce of the term *logonym* (Gr. *λόγος* 'word' + *ὄνυμα* 'name') by P. Laurendeau; however, the term failed to gain much currency.

As for *ენის სახელწოდება* ([*en.is saxelc'odeba.Ø*] 'language.GEN name.NOM') as a terminological unit, its advantage is that it is Georgian, although a multi-word term; another problematic aspect is associated with the fact that the notion in point comprises names for both a language as such and its genetic and areal groupings, besides, names for language varieties. During the discussion, following my presentation at

the 3rd International Conference on Terminology in 2022, Dr. Natela Muzashvili suggested a new coinage *ენათწოდება* ([*ena.t.c'odeba.Ø*] 'language.PL/GEN-title/name.NOM') which is devoid of the aforementioned shortcomings, pertaining to its multi-word counterpart, and is prospectively a rather handy terminological item to refer to a language name in Georgian.

ჰენრი კუპრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
h.kuprashvili@gtu.ge

საკვანძო სიტყვები: უშიშროება, უსაფრთხოება, ტერმინოლოგია, ტექნიკური ტერმინი, სწავლის სფერო, კლასიფიკატორი

აკადემიურ სასწავლო და სამეცნიერო კვლევებში ზოგიერთი ტერმინის გამოყენების საკითხისათვის

ქართულ ენაში ტერმინი *უსაფრთხოება* ხელოვნურად დამკვიდრდა მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, როდესაც გადმოაქართულეს რუსული ტერმინი Техника безопасности. „ბეზოპასნოსტის“ შესატყვისად დამკვიდრდა ტერმინი *უსაფრთხოება*, შედეგად შესიტყვება „Техника безопасности“ ითარგმნა, როგორც *უსაფრთხოების ტექნიკა*. აქედან გამომდინარე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე 1932 წელს კათედრას ეწოდა „უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის კათედრა“. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების 2019 წელს დამტკიცებულ კლასიფიკატორში ეს ტექნიკური ტერმინი სასწავლო სფეროს შინაარსობრივი კონტექსტის გაუთვალისწინებლად მიაკუთვნეს სოციალურ მეცნიერებებს, სადაც, ინგლისური დედნისაგან განსხვავებით, დამატებულია სპეციალობა ამ სახელწოდებით „0312.2.2 უსაფრთხოების კვლევები Security Studies, ანუ განიხილება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებად (კოდი 03), რომელთა შესწავლის საგანია არა ტექნიკური საქმიანობის სფერო, არამედ მმართველობა, პოლიტიკური პრინციპები და პრაქტიკა. მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ არა ტექნიკური, არამედ ქართული ენისათვის ტრადიციული, სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის დატვირთვის სიტყვა *უშიშროება* (კლასიფიკატორი 2019).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესა-

ხებ“ (№69/ნ; 2019 წლის 10 აპრილი)[1] დარღვეულია ტექნიკური ტერმინის, *უსაფრთხოების*, გამოყენების შინაარსობრივი კონტექსტი. კერძოდ, ინგლისური დედნისაგან განსხვავებით, სწავლის 03 სფეროში (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია) დამატებულია კოდი: „0312.2.2 უსაფრთხოების კვლევები Security Studies“ (ამასთან, რატომღაც ინგლისური ტერმინი Security თარგმნილია, როგორც *უსაფრთხოება* და არა, როგორც *უშიშროება*), ანუ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ბლოკში, სწავლების სფეროში (კოდი: 03), რომლის შესწავლის საგანია არა ტექნიკური საქმიანობის სფერო (მაგალითად, კოდი: 07, კოდი: 10), არამედ სფერო, რომელიც „შეისწავლის მმართველობასა და პოლიტიკურ პრინციპებს ან პრაქტიკას. მოიცავს მოქალაქეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესწავლას“ არამართებულად გამოყენებულია წმინდა ტექნიკური შინაარსის სიტყვა *უსაფრთხოება*, იმის მაგივრად, რომ გამოყენებულიყო არა ვიწროდარგობრივი ტექნიკური, არამედ ზოგადსამეცნიერო ტერმინი *უშიშროება* (კუპრაშვილი 2020).

ყოვლად დაუშვებელია სწავლების ამ სფეროში (კოდი 03 – სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია) გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევების გათანაბრება და აღრევა მისგან არსობრივად და ფუნქციურად განსხვავებულ სწავლების სხვა სფეროებთან, ტექნიკური სფეროს კვლევებთან, კერძოდ, კოდი 07 – ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა და კოდი 10 – მომსახურებები. ვფიქრობთ, არამართებულადაა გამოყენებული ტექნიკური შინაარსის ტერმინი *უსაფრთხოება*, ნაცვლად შინაარსობრივად მართებული ზოგადსამეცნიერო ტერმინისა *უშიშროება.* აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სფეროებში ტერმინი *უსაფრთხოება* ტექნიკური საქმიანობის შინაარსის შესაბამის კონტექსტშია მართებულად გამოყენებული, მაგ.: კოდი 0712.3.1 – *შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები*, კოდი 0712 – *გარემოს დაცვის ტექნოლოგია;* კოდი 1022.1.1 –

[1] კლასიფიკატორს საფუძვლად უდევს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტი: „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია - განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) – დეტალური სფეროების აღწერა“ (INTERNATIONAL STANDARD CLASSIFICATION OF EDUCATION. Fields of education and training 2013 (ISCED F 2013). Detailed field descriptions) და მასზე დაყრდნობით ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროფესიული უსაფრთხოება; კოდი 103 – *უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები.*

ეს ტერმინოლოგიური უზუსტობა, ვფიქრობთ, დაბნეულობას იწვევს სოციალური მეცნიერებების შემსწავლელ სასწავლო სტრუქტურებში. ამ ტერმინთა აღრევის გამო ზოგჯერ იწვევენ ადამიანებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ, მაგალითად, „პროფესიული უსაფრთხოების დოქტორის“ (კოდი: 1022.1.1) აკადემიური ხარისხი, ანუ რომელთა კვლევის საგანია ტექნიკური ტერმინით, *უსაფრთხოებით,* აღნიშნული სფერო, კერძოდ, სამუშაო გარემოს კომფორტული პირობებით უზრუნველყოფა; შრომის ჰიგიენის, საწარმოო სანიტარიის, სახანძრო, ფეთქებად-, რადიაციულ- და ელექტროუსაფრთხოების საკანონმდებლო და უფლებრივი აქტები და სხვა.

ტერმინ *უშიშროების* მოწინააღმდეგეთა არგუმენტი, რომ *უშიშროება* საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (КГБ-სთან) ასოცირდება და ამიტომ არ უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი აზრით, არ არის დამაჯერებელი (კუპრაშვილი 2020: 235-254).

თუ რა იგულისხმება ტერმინ *უშიშროების* შინაარსში, ამის შესახებ, ქართულმა ისტორიოგრაფიამაც ასახა მისი ისტორიულად ტრადიციული გაგება. მეცნიერული და ისტორიული ტრადიციის საფუძველზე უკვე დამოუკიდებელ საქართველოში პირველად ოფიციალურად გაჩნდა ტერმინი *ეროვნული უშიშროება*, ანუ, როდესაც 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციის 73-ე მუხლში ჩაიწერა *ეროვნული უშიშროების საბჭო* (კონსტიტუცია 2014), ხოლო 1996 წლის 24 იანვარს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ (კანონი 1996) (კუპრაშვილი 2020: 235-254).

ცნობილია, რომ ტერმინი National security (*ეროვნული უშიშროება*) თანამედროვე გაგებითა და შინაარსით ამერიკელებმა დაამკვიდრეს. სწორედ ეს შინაარსი იგულისხმეს ახალი ქართული პოლიტიკური ტერმინის – *ეროვნული უშიშროების* – სახელწოდებაში. მაშასადამე, საქართველოში 1995 წელს შემოღებულ ტერმინში *ეროვნული უშიშროება* გაითვალისწინეს საქართველოში სიტყვა *უშიშროების* გამოყენების ტრადიცია და ამავე დროს ინგლისურ ტერმინთან მისი შინაარსობრივი თანხვედრა (კუპრაშვილი 2020: 235-254).

ინგლისურ ენაშიც ტერმინი Security (*უშიშროება*) იხმარება უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში: *ეროვნული უშიშროების* (National security), *უშიშროების საბჭოს* (Security Council), *საინფორმაციო უშიშროების* (Security information) და სხვ. ხოლო ტერ-

მინ Safety-ს (*უსაფრთხოება*) ინგლისურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, საკუთარი ადგილი აქვს და გამოიყენება „წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების“ (Industrial safety), „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების“ (Road safety), „უსაფრთხოების ღვედების“ (Safety belts), „ტექნიკური უსაფრთხოების წესების“ (Safety code regulations) გამოსახატავად.

შედარებისათვის გამოდგება ავტორიტეტული და ცნობილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) დოკუმენტები, რომლებშიც ტერმინი Security ქართულ *უშიშროებას* შეესატყვისება. სწორედ ეს შინაარსია გამოხატული ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებაშიც: 1. პოლიტიკური საკითხებისა და უშიშროების პოლიტიკის სამმართველო (Political Affairs and Security Policy Division); 2. განვითარებადი უშიშროების გამოწვევების სამმართველო (Emerging Security Challenges Division); 3. მეცნიერება მშვიდობისა და უშიშროებისათვის (Science for Peace and Security); 4. თანამშრომლობისა და რეგიონული უშიშროების სამმართველო (Cooperation and Regional Security Division) და სხვ., ხოლო ტერმინი Safety (*უსაფრთხოება*), იმავე ნატოს დოკუმენტებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყუმბარების აფეთქებასთან და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ შრომის უსაფრთხოების კონტექსტშია გამოყენებული; ნატოში არსებობს კიდეც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიც: CNAD საბრძოლო მასალის უსაფრთხოების ჯგუფი (AC/326 (The CNAD Ammunition Safety Group (AC/326) და საბრძოლო მასალის უსაფრთხოების ინფორმაციის ანალიზის ცენტრი (Munitions Safety Information Analysis Center (MSIAC).

ტერმინ *უშიშროების* შინაარსობრივი გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, როგორც ქართულ და ინგლისურ ენებშია, განსხვავებული მდგომარეობაა რუსულ ენაში, რომლებშიც ორივე მოვლენის გამოსახატავად ერთსა და იმავე სიტყვას იყენებენ. მაგალითად, რუსულ ენაში ორივე ტერმინის, როგორც *უშიშროების* (Security), ისე *უსაფრთხოების* (Safety) გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოდ ერთი ტერმინი Безопасность.

ტერმინები *კიბერუშიშროება* და *კიბერუსაფრთხოება*

კიდევ ერთი საკითხია საყურადღებო. ცნობილია, რომ კიბერსივრცის დაცვის პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საინ-

ფორმაციო-საკომუნიკაციო და კიბერტექნოლოგიების წარმოუდგენლად არნახული განვითარების ფონზე კიბერთავდასხმების განუსაზღვრელი მასშტაბების შეუქცევადი პროცესებით, რომლებიც მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს უშიშროების უზრუნველყოფის ზომების გაძლიერების აუცილებლობას. პრობლემის გადასაჭრელად, თუ მანამდე, კომპიუტერის დაბადების შემდგომ მოკლე პერიოდში, საკმარისი იყო ინფორმატიკის სპეციალისტების მიერ მიღებული ტექნიკური ზომები, დღეს უკვე პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი და სოციალური ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ახალი რეალობიდან გამომდინარე კიბერსივრცის კვლევაში ინფორმატიკოსებთან ერთად ჩაებნენ კვლევების საკუთარი სპეციფიკის შესაბამისად უკვე სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სამეცნიერო სფეროების სპეციალისტებიც.

კიბერუშიშროებისა და კიბერდაცვის შვეიცარიელი სპეციალისტი, დოქტორი *რობერტ დიუარი* (Robert Dewar) აღნიშნავს, რომ სულ უფრო მზარდია კიბერსივრცისადმი ყურადღება პოლიტიკოსებისა და სამხედროების მხრიდან, რადგანაც კიბერუშიშროება უკვე სამართლებრივი, სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევაა (დიუარი 2022). საინფორმაციო ეპოქაში კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური პრობლემა ტექნიკური ხასიათის საქმიანობიდან თანდათან გაფართოვდა, გამრავალფეროვნდა და გადაიქცა პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის პრობლემად. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიის სამეცნიერო სფეროს გარდა, საქმეში ებმება სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროებიც.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის ბოლოდან ვირუსები არა მხოლოდ კომპიუტერების ვიწრო სამიზნედ, არამედ არაპროგნოზირებად დამაზიანებელ იარაღად იქცა და მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგების მომტანი უზარმაზარი პრობლემა გახდა. ვირუსების შემქმნელთათვის კიბერსივრცის ბრძოლის ველზე კომპიუტერი უკვე არა მიზანი, არამედ საშუალება ხდება, ხოლო მრავალმხრივი კომბინაციური სამიზნე – ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახელმწიფო და თავდაცვის სამხედრო ინფრასტრუქტურები.

ამ პრობლემაზე სულ უფრო მეტი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას: „რამდენადაც ეს ტექნიკური სისტემები მჭიდროდაა დაკავშირებული და აერთიანებს საზოგადოებისა და ეკონომიკის მეტ ასპექტს, კიბერუშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემები გარდა-

უვლად გავრცელდება პოლიტიკის სულ უფრო მეტ სფეროებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს მოვლენები შექმნის ახალ მოთხოვნებს ტექნიკური და ორგანიზაციული კვლევებისათვის, რომლებიც უკეთესად უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიდგომებთან“ (დან კაველტი, ვენგერი 2022). *მ. დან კაველტი* და *ა. ვენგერი* ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ,,სულ უფრო თვალსაჩინო ხდება პოლიტიკური და სოციალური ასპექტები, რომლებიც გავლენას მოახდენს თანამშრომლობისა და კონფლიქტის მოდელებზე პოლიტიკასა და საზოგადოებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე“ (დან კაველტი, ვენგერი 2019).

ცხადია, პრობლემა გასცდა ინფორმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ კომპიუტერების ტექნიკურად დაცვისათვის ანტივირუსების შექმნის ვიწრო სფეროს. გლობალურმა საშიშროებამ ბრძოლის ველზე გამოიყვანა პოლიტიკოსები და სამხედროები, ასევე – მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევრები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფერო და არეალი. შექმნილია რეალობა:

პირველი, კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის საკითხებს, ძირითადად, იკვლევდნენ და იკვლევენ მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები;

მეორე, კიბერუშიშროების პრობლემების კვლევაში ფართოდ ჩაებნენ სოციალური, ჰუმანიტარული, სამართლის, სამხედრო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ამ პროცესში საქართველოც არის ჩართული. კიბერსივრცის პრობლემებს იკვლევენ არა მხოლოდ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სამეცნიერო დისციპლინის სფეროში, არამედ საგრძნობლად გაიზარდა „არაინფორმატიკოს“ მკვლევართა რიცხვი და მნიშვნელოვნად გაფართოვდა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის არეალი (სოციალური, ჰუმანიტარული და სხვ.), მრავალი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა და არაერთი დისერტაცია იქნა დაცული. ამ სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტები საკუთარი სამეცნიერო დისციპლინის „გადასახედიდან“ „შეიჭრნენ“ სრულიად განსხვავებულ ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროში, სადაც ტექნიკური შინაარსის ტერმინი *უსაფრთხოება*, ძირითადად, გამოიყენება ამ დისციპლინაში დამკვიდრებულ შესაბამის ტრადიციულ კონტექსტში, ანუ როდესაც კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (ქსელები, კომპიუტერები, პროგრამები, მო-

ნაცემები, მოწყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) ტექნიკურად დაცვაზეა საუბარი.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ შემთხვევაში უფრო „ტექნიკის“ საქმეა, „ტექნიკური“ საფრთხისაგან დაცვაა. მაგალითად, იგი უფრო ცნობილი „შრომის უსაფრთხოების დაცვასთან“ ასოცირდება და არა სოციალურ-პოლიტიკური მიზნების დასახვასთან. ე. ი. მოცემულ ობიექტზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები: განისაზღვროს კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროს (ქსელები, კომპიუტერები, მოწყობილობები, პროგრამები, მონაცემთა ბაზები) ექსპლოატაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და დაინერგოს შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების სისტემა, ანუ საქართველოში კომპიუტერული სამეცნიერო სფეროს დისციპლინები (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, გამოთვლითი მანქანებისა და სისტემების თეორია და სხვ.) სრულიად მართებულად იყენებენ ტექნიკური შინაარსის ტერმინ *უსაფრთხოებას (კომპიუტერული უსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება*), რომელშიც იგულისხმება კომპიუტერული და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო სფეროში შემავალი კომპონენტების (ქსელები, კომპიუტერები, პროგრამები, მონაცემები, მოწყობილობები) კიბერშეტევებისაგან (ციფრული თავდასხმები, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა და სხვ.) ტექნიკურად დაცვის ტექნოლოგიების, მეთოდიკისა და პროცესების ერთობლიობა (კუპრაშვილი 2022).

ცხადია, რომ კომპიუტერული სამეცნიერო სფეროს დისციპლინებისაგან განსხვავებით, სოციალური, ჰუმანიტარული და სხვა მეცნიერებების წინაშე დგას ამოცანა საკუთარი დარგის სამეცნიერო სფეროში შეიტანოს წვლილი არა ტექნიკის, არამედ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. თეორიის განვითარების კონტექსტით. ამ რეალობამ აშკარა გახადა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროებაც, რადგან ინფორმატიკის კონტექსტში გამოყენებული ტექნიკური ტერმინი *უსაფრთხოება* არ არის სოციალური მეცნიერების თეორიისათვის დამახასიათებელ შინაარსობრივი და ფუნქციური დატვირთვის მქონე.

რაც შეეხება კომპიუტერულ სამეცნიერო სფეროში მისი გამოყენების საკითხს: როდესაც საქართველოში, კერძოდ, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო კომპიუტერული მეცნიერების დანერგვა, გაჩნდა კომპიუტერები, ქსელები და ვირუსები, მაშინ, კომპიუტერების ვირუსებისაგან ტექნიკურად დაცვის უზრუნველყოფის პროცესში, გამოიყენეს ამავე ინსტიტუტში 1932 წელს ხელოვნურად შექმნილი ტექნიკური ტერმინი *უსაფრთხოება*, რაც ზუსტად შეესაბამებოდა პროცესის შინაარსს და დღესაც მართებულად გამოიყენება მეცნიერების ამ სფეროში.

რაც შეეხება სოციალურ, ჰუმანიტარულ და სხვ. მეცნიერებებს, ინფორმაციულ ეპოქაში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, კარდინალური და მასშტაბური ცვლილებების ფონზე, როდესაც საქმე გვაქვს არსობრივად ახალ პროცესთან, ანუ ხდება კიბერუსაფრთხოების, როგორც ტექნიკური პრობლემის განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად (კიბერუშიშროებად) გადაწყვეტაზე გადასვლა, წმინდა ტექნიკური კონცეპტუალური გაგების ტერმინი *კომპიუტერული* (საინფორმაციო, კიბერ-) *უსაფრთხოება*, რომელსაც სწორად იყენებდა და იყენებს ამჟამადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სამეცნიერო სფერო, უკვე სოციალური მეცნიერებების კონტექსტში ვეღარ ასახავს სრულად და ვერ გადმოსცემს მომხდარი ცვლილებების არსს და ვერ გამოხატავს მის შინაარსს.

შესაბამისად, ორი განსხვავებული პროცესის გადმოსაცემად ერთი და იმავე ტერმინის გამოყენება იწვევს გაუგებრობას. რადგან უკვე კვლევის საგანი ხდება არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საქმიანობა, არამედ სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, როდესაც ქვეყნის ხელისუფლების - ეროვნული უშიშროების შესაბამისი სამსახურებისა და ინსტიტუტების მიერ მუშავდება კიბერსაფრთხეებზე თავდაცვითი რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკა, ყალიბდება ეროვნული ინტერესების დასაცავად კიბერსაფრთხეების გაუვნებელყოფის ეროვნული უშიშროების სტრატეგია, რომელიც დამყარებულია კიბერსივრცისა (საინფორმაციო სივრცის) და კიბერსაშიშროების პრობლემების გადაჭრის სისტემურ გააზრებაზე, რეაგირებისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობების გაანალიზებაზე და სხვ. ამდენად, საქმე გვაქვს პროცესთან, როდესაც ხელისუფლებამ უნდა დასახოს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები: მოხდეს კანონების, სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, მათ შორის - ეროვნული ინტერესების

დაცვა, მართვის პროცესის სრულყოფა, სახელმწიფო უწყებებს შორის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, კოორდინაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმების დახვეწა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის დადგენა და სხვ. ამ პროცესების თეორიული კვლევა სოციალური მეცნიერებების საგანია და შესაბამისი ტერმინის გამოყენებას მოითხოვს.

ამრიგად, ახალ რეალობაში გაჩნდა შესაბამისი ტერმინის გამოყენების აუცილებლობა, როდესაც გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად კომპიუტერების ტექნიკურად დაცვის პროცესში უკვე გადამწყვეტ როლს თამაშობს შინაარსობრივად განსხვავებული ფართო მასშტაბის სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა, ხოლო კვლევებში სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სპეციალისტები არიან ჩართული. ამ რეალობას კი ზუსტად მიესადაგება ქართულ ენაში არსებული ძირძველი სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი *უშიშროება*, ვიდრე ტექნიკური ტერმინი *უსაფრთხოება*.

ამიტომ აუცილებელია აზრობრივი და შინაარსობრივი აღრევისა და მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად სოციალურ-პოლიტიკურ პროცესების აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდეს *კიბერუშიშროება* (*საინფორმაციო უშიშროება*). ამავე დროს, კიბერუშიშროების უზრუნველყოფის პროცესი მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ქვესისტემა (სახე, კომპონენტი), ხოლო, რაც შეეხება *კიბერუსაფრთხოებას* (კომპიუტერული, საინფორმაციო), იგი არის და დარჩება *კიბერუშიშროების* შემადგენელ კომპონენტად (კუპრაშვილი 2024).

ნათელია, რომ ინფორმატიკოსისაგან განსხვავებით, სოციალური მეცნიერების სფეროს მკვლევარმა კიბერსივრცეში ტერმინი *უშიშროება* უნდა გამოიყენოს მაშინ, თუ მოსალოდნელი საფრთხის (საშიშროების) თავიდან არიდება (გაუვნებელყოფა) მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობას, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას (პოლიტიკის შემუშავება, კონცეფცია, დაგეგმვა და სხვ.), ანუ დაკავშირებულია ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან.

კიბერსივრცის სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს დისციპლინების კვლევებში, რაც შეეხება შიფრს. იგი უნდა იყოს გამოყენებული შემდეგნაირად:

1. ტერმინი *უსაფრთხოება* ტრადიციულად უნდა გამოიყენებოდეს გ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით: 06 (061: 0611-0613, 0619) - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები.

2. ტერმინი *უშიშროება* უნდა გამოიყენებოდეს გ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით: 03 – სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები; 0311 – ეკონომიკა; 0312 – პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები (0312.1.1 - პოლიტიკის მეცნიერება, 0312.1.2 – საერთაშორისო ურთიერთობები); 0413.1.3 – საჯარო მმართველობა; 0421 – სამართალი და სხვ.

დასკვნა

ტერმინ *უშიშროების* შინაარსი და მისი გამოყენების სფეროები (ჰუმანიტარული მეცნიერებები - კოდი 02; სოციალური მეცნიერებები - კოდი 03 და სხვ.) არსობრივადაა განსხვავებული ტერმინ *უსაფრთხოების* შინაარსისა და გამოყენების სფეროებისაგან (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები – კოდი 06; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა - კოდი 07; ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა – კოდი 09; მომსახურებები – კოდი 10 და სხვ.). ამასთან, ცალ-ცალკე თითოეული მათგანის შინაარსი და გამოყენების სფეროები იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, რომ მათი ხელოვნურად ერთი რომელიმე ტერმინის სახელწოდებაში, მაგალითად, *უსაფრთხოებაში* გაერთიანება, როგორც კლასიფიკატორშია, არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც იწვევს საქმიანობის სფეროების, მათი სპეციფიკის აღრევასა თუ სხვა გაუგებრობებს.

რამდენადაც კლასიფიკატორის დამტკიცებიდან გასულია ხუთი წელი და 2024 წელს იგეგმება მისი განახლება, აუცილებელია, ჩასწორდეს შეცდომა. 03 სფეროში (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია), სადაც არამართებულად გამოყენებულია წმინდა ტექნიკური შინაარსის ტერმინი *უსაფრთხოება*, ვფიქრობთ, მას უნდა ჩაენაცვლის ქართული ენისათვის ტრადიციული, სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი, კონტექსტურად მართებული, ზოგადსამეცნიერო ტერმინი *უშიშროება*. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შესიტყვება „ეროვნული უშიშროება“ არსობრივად უფრო შეესაბამება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში კვლევის პროცესს, შესაბამისად, უნდა ჩაიწე-

როს „0312.2.2 ეროვნული უშიშროების კვლევები National Security Studies“ (იხ., დიაგრამა 1). ხოლო, რაც შეეხება 10 სფეროს (მომსახურებები), აქ უნდა დაემატოს კოდი: “1022.1.2 პროფესიული უსაფრთხოების კვლევები Occupational Safety Studies” (იხ., დიაგრამა 2).

მით უმეტეს, ამისი კარგი პრაქტიკა და დიდი ტრადიცია არსებობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მაგ., სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე არსებობს საგანმანათლებლო პროგრამები (ფართი სფერო 10 მომსახურებები): საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა); პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (დოქტორანტურა, სადაც ტარდება კვლევები და ანიჭებენ პროფესიული უსაფრთხოების დოქტორის ხარისხს). ე.ი. მათთვის შექმნილ ტექნიკურ ტერმინს *უსაფრთხოებას* იყენებენ სრულიად მართებულად 92-წლიანი ტრადიციის შესაბამისად, საკუთარი სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო ვიწრო სფეროს შესაბამის კონტექსტში. ასევე, სტუში არსებულ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ დეპარტამენტში (ფართო სფერო 03 – სოციალური მეცნიერებები) მომზადებულია სილაბუსები: „ეროვნული *უშიშროების* სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა (SOS20711G1-LS) და „ეროვნული *უშიშროების* საფუძვლები“ (SOS24211G2-LS), რომელთა საფუძველზე მრავალი წელია იკითხებოდა ლექციები ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტზე, ხოლო ამჟამად იკითხება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

შექმნილ ვითარებაში კიბერსივრციდან მომდინარე გლობალური საშიშროების პრობლემის გადაჭრის პროცესში გამოიკვეთა საქართველოს სამეცნიერო სფეროს მკვლევართა მიერ კიბერსივრცეში ტერმინების გამოყენების საკითხის დაზუსტების საჭიროებაც: ა) კომპიუტერული ვირუსების საფრთხეებისაგან კომპიუტერის (ქსელების) ტექნიკურად დაცვის უზრუნველსაყოფად კვლავ ტრადიციულად უნდა გამოვიყენოთ ტექნიკური ტერმინი *უსაფრთხოება* (*კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, კომპიუტერული უსაფრთხოება*); ბ) ბოლო ათწლეულებში კიბერსაფრთხეების, როგორც ტექნიკური პრობლემის, განხილვიდან მის პოლიტიკურ ამოცანად გადაწყვეტაზე გადასვლის შემდეგ კიბერსივრცეში გაზრდილი საშიშროების თავიდან ასარიდებლად შინაარსობრივად ახალი სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის გამოსახატავად უნდა გამოიყენებოდეს ზოგადსამეცნიერო ტერმინი *უშიშროება*, ანუ სამეცნიერო კვლევებში

მართებულია სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებების თემატიკის შესაბამის კონტექსტში – ტერმინების, *კიბერუშიშროების* და *საინფორმაციო უშიშროების* გამოყენება.

დანართები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებიდან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, №69/ნ; 2019 წლის 10 აპრილი):

სწავლის ფართო სფერო 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

ფართო სფერო	ვიწრო სფერო	დეტალური სფერო	
03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია Social Sciences, Journalism and Information	031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები Social and Behavioural Sciences	0311 ეკონომიკა Economics	
		0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები Political Sciences and Civics	
		0312.1.1 პოლიტიკის მეცნიერება Political Science 0312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები International Relations	0312.2.1 დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics 0312.2.2 ეროვნული უშიშროების კვლევები National Security Studies 0312.2.3 ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები Nationalism and Etnicity Studies 0312.2.4 ევროპული ინტეგრაცია European Integration

დიაგრამა 1

სწავლის ფართი სფერო 10 მომსახურებები/Services

ფართო სფერო	ვიწრო სფერო	დეტალური სფერო
10 მომსახურებები Services	102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
		1022.1.1 *პროფესიული უსაფრთხოება* Occupational Safety
სასურველია დაემატოს		1022.1.2 *პროფესიული უსაფრთხოების კვლევები* Occupational Safety Studies
	103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები	1031.1.1 თავდაცვა და უსაფრთხოება
		1039 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები – არაკლასიფიცირებული

დიაგრამა 2

ლიტერატურა

დან კაველტი, ვენგერი 2019 – Myriam Dunn Cavelty, Andreas Wenger. Cyber security meets security politics: Complex technology, fragmented politics, and networked science. Contemporary Security Policy, გვ. 22-23. https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/Dunn%20Cavelty_Wenger_2019_Contemporary%20Security%20Policy_Cyber%20security%20meets%20security%20politics%20Complex%20technology%20fragmented%20politics%20and%20networked%20science.pdf

დან კაველტი, ვენგერი 2022 – Myriam Dunn Cavelty, Andreas Wenger (Eds). Cyber security politics: socio-technological transformations and political fragmentation. New York, NY: Routledge, https://www.routledge.com/Cyber-Security-Politics-Socio-

Technological-Transformations-and-Political/Cavelty-Wenger/p/book/9780367626747

დიუარი 2022 – Robert Dewar. Cyberspace is a Consensual Hallucination. https://www.researchgate.net/publication/325216608_Cyberspace_is_a_Consensual_Hallucination

კანონი 1996 – საქართველოს კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ. 1996 წლის 24 იანვარი.

კლასიფიკატორი 2019 – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებიდან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, №69/ნ; 2019 წლის 10 აპრილი)

კონსტიტუცია 2014 – საქართველოს კონსტიტუცია (2014 წლის 15 მაისის მდგომარეობით). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

კუპრაშვილი 2020 – ჰენრი კუპრაშვილი, ტერმინები უსაფრთხოება და უშიშროება და მათი გამოყენების წესი, კრებული ტერმინოლოგიის საკითხები, IV, თბილისი.

კუპრაშვილი 2022 – ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, მონოგრაფია, მთ. რედ. ი. გაბისონია. რედ.: ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ა. გეგეშიძე, ა. გვენეტაძე, ი. კვესელავა, თ. კიკნაძე, თ. ლომინაძე, ნ. ოდიშელიძე, ა. სიჭინავა, გ. სოფაძე, ი. ქართველიშვილი, ნ. ჩიტაძე, მ. ჯიქია. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“,702 გვ.

კუპრაშვილი 2022 – ჰენრი კუპრაშვილი, კიბერსივრცე და ტერმინები: კიბერუშიშროება და კიბერუსაფრთხოება. სტუ-ის შრომები – Work of GTU, №2 (524), გვ. 167-177.

კუპრაშვილი 2024 – ჰენრი კუპრაშვილი, აკადემიური სამეცნიერო კვლევების სფეროსა და არეალის გაფართოება ინფორმაციულ ეპოქაში. სტუ-ის შრომები – Work of GTU, №1 (531), გვ. 108-120.

სააგენტო 2013 – პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი ირინა იმერლიშვილს ღია წერილით მიმართავს. ახალი ამბების სააგენტო "GHN", 20:45 – 18.12.2013, http://www.ghn.ge/news-100523.html

სტუ 2024 – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/mining/about/structure/departments/dep3.php

Henri Kuprashvil
Georgian Technical University
h.kuprashvili@gtu.ge

Keywords: Terminology, Security, Safety, Technical Term, Field of Study, Classification

Regarding the Issue of the Use of Some Terms in the Fields of Academic Studies and Scientific Researches

Summary

The topic refers to the analysis of the use of some terms in the fields of academic studies and scientific researches. In particular, the term *Securit*y was artificially introduced into use in the Georgian language in the 20-30s of the 20th century, when the Georgian language began to be filled with translated technical terms. For example, for this purpose, the Russian term "Техника безопасности" was transferred into Georgian language without translation. According to *bezopasnost* the term *security* was translated into Georgian as *Security Technique*. The context of its use was also determined: technical safety, labor safety, etc. For example, in 1932, at the Mining and Geological Faculty of the Polytechnic Institute, the chair was named "Chair of Safety Techniques and Industrial Sanitation". It should be noted that in "The 2011 classification of UNESCO's qualification framework and fields of study", the term *safety* is correctly used in the context of the content of technical activities. For example: code: 0712.3.1 Labor safety and environmental technologies, 0712 Environmental protection technology; 1022.1.1 *occupational safety*; 103 *security services*. This technical term, is also included in the field of social sciences, without the content context of the field of study. So here is added the specialty with the name 0312.2.2 *Security Studies*, unlike English language. So, it is included in the field of social and political sciences (03), whose subject of study is not the field of technical activity, but governance, political principles and practice. In this case, there should be used not a technical term but a traditional, socio-political term for Georgian language, that is

the indigenous Georgian scientific term *security* which considers the appropriate content and context. Accordingly, there should be written "0312.2.2 Security studies". This serious mistake often leads to an absurd situation. In the learning structure of social sciences, due to this field-wide name, sometimes there are invited people, who have been awarded, the academic degree "Doctor of professional safety" (1022.1.1). Their research subject is the technical term "Safety Field" which includes: Provision of working environment with comfortable conditions; Legislative and legal acts of labor hygiene, Industrial sanitation, fire, explosive-, radiation- and electrical safety and so on. The analysis of both terms shows that the content and fields of application of the term *security* (humanities - code 02; social sciences - code 03, etc.) are essentially different from the content and fields of application of the term *security.* (Information and communication technologies - code 06; engineering, production and construction - code 07; health care, social welfare - code 09; services - code 10, etc.). However, the content and fields of application of each of them separately are so wide and diverse that their artificial combination under the name of one term, for example, under *Security* is not appropriate, as it leads to confusion of the fields of activity and specificity, and other misunderstandings.

ლია ლურსმანაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
l_lursmanashvili@gtu.ge

საკვანძო სიტყვები: ზედა სამოსი, ჩოხა, კაბა, კვართი, ვოსარ, ჯუბა, უბიანი ჩოხა

სასულიერო პირთა ზედა სამოსის კვლევის საკითხები (ჩოხა)

მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა სამოსის ფორმებს მოეპოვებათ საერთო ნიშნები, რაც გამომუშავებულია ხანგრძლივი, მჭიდრო სულიერი და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე. თუმცა, ეს არ გამორიცხავს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა სამოსში თვითმყოფადი ელემენტების არსებობას.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, სასულიერო პირთა შესამოსელის ნაწილების შემდეგ ტერმინებს ვხვდებით: *ოლარი, კუართი, საბეჭური, ჩოხა, სამხარი, კუნკული, სქემა, მოწესეთა სამოსელი, კუართფილონი, ომფორი, პალეკარტი* (ქართული პროზა 1982: 164, 214, 326, 327, 369, 370, 424, 425,512).

ტერმინთა უმეტესობა სასულიერო პირთა სამოსის ნაწილებს აღნიშნავს დღესაც. ზოგმა კი დროთა განმავლობაში ან მნიშვნელობა შეიცვალა, ანდა სულაც გაქრა სასულიერო პირთა სამოსის კომპლექტიდან. ჩამოთვლილი ტერმინებიდან *ჩოხა* და *კუნკული* მონაზონის სამოსის, დანარჩენი კი მღვდელმოძღვართა შესამოსლის ნაწილებს შეადგენს.

მიუხედავად ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებისა, მიზეზთა გამო, მე19 საუკუნიდან ღვთისმსახურთა სამოსის კომპლექტიდან დაიკარგა უმნიშვნელოვანესი და უძველესი ელემენტი – *ჩოხა,* რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით.

ქართველ ბერმონაზვნებს რომ შესამოსლად *ჩოხა, საბეჭური* და *კუართი* ჰქონიათ, ხოლო თავზე *კუნკული* ხურებიათ, ეს გიორგი მთაწმინდელის საისტორიო თხზულებიდანაც ჩანს: „მრავალგზის გვხილავს, რომელ გინა საბეჭურნი იყვნიან, გინა შესამოსელი, ანუ, თუ კუნკული, ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა შინა“, „უბრძანა მოღება

ცეცხლისაი და თვისითა ხელითა შთააგდო კუართი იგი ცეცხლსა და ესრეთ დაიწუა“; „და ძმამან მან თაყვანის სცის და განირთხის თავი თვისი და ერთი ძმაი თავსა უმჭირავნ და ერთი ფერხთა და ერთთა ჩოხათა ზედა მიამთხვიან ღვედითა...”; ექვთიმე მთაწმინდელს წესად ჰქონდა, რომ დამნაშავე ბერების დასჯის შემდეგაც “ნუგეშინის სცის და აღაშენის: ანუ ჩოხითა, ანუ საბეჭურითა, ანუ სხვითა რაითმე სახმრითა” (ქართული პროზა-წიგნი I 1982: 370-424).

„ქართლის ცხოვრებაში” ვკითხულობთ: „თანა ეყო ბასილი უჯარმელი დედოფალსა ესუქანს და არა რიდა საწოლსა... მეფისასა და ჩოხანიცა აღიხადა და მთავრობა მიიტაცა”... (ყაუხჩიშვილი 1955:182)

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია: „და ვითარ მიიწია მოციქული იგი ადარნერსესი ფერსათს, სადაცა არს აწ საფლავი მისი და იხილა დედუფალი იგი თვისი დიდსა შინა მონაზონებასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა ხელმწიფისაი, რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი ჩოხაი და ემოსა მას წმიდაი სქემაი...“ (ქართული პროზა-წიგნი I,1982).

ისტორიკოს ფ. გორგიჯანიძეს მოთხრობილ ეპიზოდში, როცა რევაზ ბარათაშვილი მისმა სიძემ – როინ ჯავახიშვილმა – ვერაგულად შეიპყრო და როსტომ მეფეს წარუდგინა, რომელმაც მას თვალები დასთხარა: „რა როინის ჯალაბმან ძმა ნახა თვალებდათხრილი, ქმარი გაუშვა, ჩოხანი ჩაიცვა და რა ცოცხალ იყვნენ, ქმარი თვალით აღარ იხილა ძმის დაჭირვის ჯავრითა” (ციციშვილი 1954: 136).

XVIII საუკუნის მემუარისტი ოსე ოსეშვილი წერდა: „სამოცის წლისა რომ შევსრულდები, დავუტოვებ სოფელსა და წავალ. ჩემს სულს მოუვლი. აქავ სიონში ჩოხას ვიკურთხებ, აქავ განვიძრცვი სამხედროსა ყოველსავე” (კაკაბაძე, 1913: 140).

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცნობა, რომელთაგან ერთი X საუკუნის ძეგლიდანაა, მეორე – XI, მესამე – XIII, მეოთხე და მეხუთე – XVII საუკუნის, ადასტურებს, რომ ტერმინი *ჩოხა* საქართველოში აღნიშნავდა ბერმონაზონთა ზედა სამოსს როგორც მამაკაცის, ისე ქალისას.

სიტყვა *ჩოხა* ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „რაკი ჩოხა ქართულში IX-X საუკუნეებში ჩნდება, უფრო საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი სპარსულითგან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულითგან, რომლის გავლენა ამაზე უფრო გვიან ხდება საგრძნობი” (ჯავახიშვილი1962: 390).

სულხან-საბას ლექსიკონში „ჩოხა მატყლის სამოსელია“ (ორბელიანი, 1949: 583). ლექსიკოლოგი *ჩოხის* წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა აღნიშნავს, რომ *საჩოხე* – „შალია მსხვილი, გინა წმინდა საკაბედ მონაზონთა და გლეხთა „ჩასაცმელი“.

უფრო მოგვიანებით, ტერმინი *ჩოხა* საქართველოში არა მარტო ბერმონაზონთა სამოსის აღმნიშვნელად გვევლინება, არამედ წყაროებში ის უკვე საერო პირთა ჩაცმულობის აღმნიშვნელიცაა. „ერთ ღამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა და საფრთე შვილდისარი შემოირტყა, ბოხოხის თუშური ქუდი დაიხურა და ციხიდამ ჩამოვიდა” (ციციშვილი 1954: 136).

ჩოხა ვახუშტი ორბელიანის ქონების 1707 წლის სიაშიც არის აღნიშნული: „საის ჩოხა იისფერი ერთი, ჩაფრასტი ასხია წყვილი თხუთმეტი” (ჯავახიშვილი,1962: 390).

ვახუშტი ბატონიშვილი აგვიწერს რა ქართველთა ჩაცმულობას, ამბობს: „ტანს კაბა მოსიათ ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისაო“, ე.ი. *ჩოხა* ვახუშტი ბატონიშვილს შალის შესატყვისად აქვს ნახმარი (ბატონიშვილი ვახუშტი, 1941: 356).

მაშასადამე, ტერმინმა *ჩოხამ* XVIII - XIX საუკუნეებში უკვე სასულიერო პირთა სამოსის გარდა, საერო ჩაცმულობის დატვირთვაც შეიძინა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ის გამოიყენებოდა როგორც მამაკაცის, ისე ქალის ზედა ტანსაცმლის აღმნიშვნელად, ისევე როგორც ორივე სქესის ბერმონაზონთა სამოსის შემთხვევაში.

მამაკაცთა და ქალთა ზედა სამოსის აღმნიშვნელად საერთო ტერმინის გამოყენება არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს და, ჩვენი აზრით, იგი განპირობებული იყო იმით, რომ ქალისა და კაცის კოსტუმები უმნიშვნელოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. განსხვავება გამოიხატებოდა ნაწარმის სიგრძესა და ზოგიერთ თავისებურებაში. ამ მხრივ საინტერესოა თუში ქალის სამოსი, რომელსაც *უბიან ჩოხას* უწოდებდნენ. ის მსგავსი იყო კაცის ჩოხისა. ქალის კოსტუმის ასეთივე ელემენტს ატარებდნენ მთიან რაჭაშიც. ხევსურეთში მსგავსი ჩასაცმელის აღმნიშვნელი ტერმინი იყო *სადიაცო* და *ჩოხის ძველი,* თუმცა *ჩოხაც* ხშირად იყო გამოყენებული.

საყურადღებოა, რომ სვანეთში ჩოხას *ვოსარ* და *კაბ* ეწოდება. აქედან, *ვოსარი* უფრო ძველი ტერმინია, ვიდრე *კაბ* და იგი, როგორც ჩანს, თავდაპირველად პერანგის აღმნიშვნელი იყო. მეგრულ ენაზე *ჩოხის* სინონიმია *კვართი,* რომელიც ზემო რაჭაში ნაბადს აღნიშნავს

(სოხაძე, 1974: 67-77).

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სვანური ტერმინი *ვოსარ//ოსარ*, რომელიც იცვლება ტერმინით *კაბ*, გვიჩვენებს აშკარა გენეტიკურ კავშირს ჩოხასა და პერანგს შორის, ხოლო მეგრული *კვართი* ჩოხის (კაბის) ნაბადთან (პერანგზე უფრო ძველი ელემენტის) ურთიერთკავშირის დამადასტურებელი მაჩვენებელია.

ამგვარად, *ჩოხას* აქვს ოთხი დასახელება: *ჩოხა, კაბ, კვართი, ვოსარ*. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ *ვოსარ* და *კვართი* ქართული ტერმინებია, ხოლო *ჩოხა* და *კაბ* – არაქართული (სოხაძე, 1974: 67-77).

ტერმინის *ჩოხა* სქემატური განმარტება საინტერესოდაა გადმოცემული მკვლევარ ა. სოხაძის მიერ დამუშავებულ სქემაში (სქემა 1-4).

პირველი სქემა გვიჩვენებს, რომ ქართულ ენაში შალის ქსოვილის აღმნიშვნელი სამი არაქართული წარმოშობის ტერმინი არსებობდა. ესენია: *შალი, სკლატი* და *ჩოხა*. აქედან, *ჩოხა* XVIII საუკუნის ბოლომდე აღნიშნავდა როგორც შალის ქსოვილს, ასევე მატყლის სამოსელს.

მას შემდეგ, რაც ქართულ ენაში შემოვიდა ტერმინები *კაბა* და *ჯუბა, ჩოხამ* თანდათან მიიღო იგივე მნიშვნელობა. ე.ი. გახდა საერთო, კრებითი სახელი შალის ზედა სამოსისა. XIX საუკუნეში ტერმინი *ჩოხა* ძალიან ვიწრო მნიშვნელობით იხმარებოდა. ამიერიდან იგი მხოლოდ ქართული ზედა ტანსაცმლის განსაზღვრული სახის აღმნიშვნელია (სქემა 2).

მე-3 სქემაზე მოცემულია სხვადასხვა სახის ჩოხის დასახელებები. მე-4 სქემა გამოხატავს შემდეგ ვარაუდს: *ოსარ//ვოსარ//ოსარე* - თავდაპირველად მხოლოდ პერანგის აღმნიშვნელი ტერმინები იყო, ხოლო შემდეგ კი მიიღო ზედა სამოსის აღმნიშვნელი ტერმინების – *კაბ (კაბა)* და *ჩოხის* – მნიშვნელობა (სოხაძე 1974: 67-77).

ტერმინი *კვართი* „ნაბდის“, „მოსასხამის“ აღმნიშვნელია. მოგვიანებით მეგრულში *კვართმა* მიიღო ზედა სამოსის – ჩოხის – მნიშვნელობა (სოხაძე 1974: 67-77).

ჩვენ მიერ შესწავლილი ისტორიული, ლიტერატურული და იკონოგრაფიული მასალების მიხედვით, დროთა განმავლობაში სასულიერო პირთა სამოსის ნაწილმა შეიცვალა არა მარტო სახელწოდება, არამედ სახეც.

ტერმინის „ჩოხა“ სქემატური განმარტება

სქემა 1



სქემა 2



სქემა 3



სქემა 4



თანამედროვე სასულიერო პირთა სამოსის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია ე.წ. *კაბა* (ნახ. 1). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგი XIX საუკუნიდან დამკვიდრდა ჩვენთან რუსული მართმადიდებელი ეკლესიის გავლენით და თანდათან ხმარებიდან განდევნა სასულიერო პირთა ზედა სამოსი – *ჩოხა*[1].

ჩვენ მოვიძიეთ და შევისწავლეთ სასულიერო პირთა სამოსში გავრცელებული, ე.წ. ბერძნული კაბის სამი ვარიანტი (ნახ. 2; ნახ. 3; ნახ. 4). აქედან პირველი მოდელი (ნახ.2) თავისი კონსტრუქციული ხაზებითა და სტილით განსხვავდება დანარჩენი ორისაგან და კონსტრუქციულად უახლოვდება ატენისა და გელათის ფრესკებზე გამოსახული ბერების სამოსს. მე-2 მოდელი შეესაბამება ე.წ. *ბერძნული კაბის* კონსტრუქციას (ნახ.3), ხოლო მე-3 მოდელის (ნახ.4) წარმომავლობა დაუზუსტებელია.



[1] კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერძენი ბერები შემოსილნი არიან ჩოხით, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, წარსულში იქ მოღვაწე ქართველ ბერთა სამოსი იყო. ქართულ საეკლესიო სამოსში ჩოხის არსებობას ამოწმებს ლევილიდან ჩამოტანილ საეკლესიო განძში არსებული ჩოხაც.

ნახ.1 სასულიერო კაბის თარგი



ნახ. 2 სასულიერო კაბის თარგი



ნახ. 3 სასულიერო კაბის თარგი



ნახ. 4. სასულიერო კაბის თარგი

სასულიერო პირთა ზედა სამოსის – ჩოხის – თარგის თავისებურებების აღსადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ ჩო-

ხის განვითარების პროცესები. როგორც ვიცით, ტერმინი *ჩოხა* ქართულში IX - XII საუკუნეებში ჩნდება და თუ უფრო ადრე არა, XVIII-XIX სს-დან დღემდე განპირობებულია მამაკაცის ზედა სამოსად. ტერმინის სინომიმიც *ჯუბა*. ისტორიულად ორივე სქესის სამოსის ზოგადი ტერმინთაგანია. იგი არაბული სიტყვიდან „djobban" – იღებს სათავეს (ბეზარაშვილი 1974:140).

ძეგლთა მიხედვით, *ჯუბა* კოჭებამდე გრძელი ყოფილა. ჯუბის თარგს ქმნიდა ერთიანი შალის (ტოლის) ქსოვილისგან, მხრებზე გაუკერავი მთლიანი ტანი, რომელიც სახელოსთან ერთად იყო აჭრილი და ქალისა და მამაკაცის ტანს მთლიანად ფარავდა (ჯავახიშვილი 1962: 390). ყელის ადგილმდებარეობა მრგვალად იყო ამოჭრილი. კონსტრუქციულად ჯუბის ეს ტიპი მამაკაცისა და ქალისათვის განსხვავებული არ ყოფილა (ნახ. 5). დროთა ვითარებაში, ჯუბა თანდათან გართულდა და მას უკვე გულისპირი, ანუ ფარაგი, უკეთდებოდა. ტერმინი *ფარაგი//ფარაქი* საბას ჯიბის მნიშვნელობით აქვს განმარტებული. ქართული საისტორიო მწერლობა ამ ტერმინს მონაზვნის სამოსად იცნობს (ჯავახიშვილი 1962: 390). *ფარაგი* მართკუთხედის ფორმის გულისპირში დუგმებით ან საჰაერო ღილითა და ღილკილოთი მაგრდებოდა. (ნახ.6). შემდგომში *ჯუბას* ახალი ნაწილები შეემატა და კონსტრუქციული თვალსაზრისით კიდევ უფრო გართულდა. წინა და უკანა ტანის სწორ სილუეტს გვერდებში ოთხივე მხარეს უბეს უდგამდნენ. გულისპირს ისევ ფარაგით ამუშავებდნენ. სახელო კი ცალკე დეტალად გამოეყო და ჯერ ერთ ნაწილად, ხოლო შემდეგ ორ ნაწილად დაიყო. ასეთი ჯუბა უკვე *უბიანი ჩოხის* სახელწოდებით გახდა ცნობილი (ნახ. 7; ნახ. 8).

განვითარების შემდგომ ეტაპზე *ჯუბამ* მიიღო დახვეწილი სახე, „ჯუბის თარგს ქმნიდა ერთიანი შალის (ტოლის) ქსოვილი, „წინაობის და უკანაობის ერთობით" სახელის გარეშე (კაკაბაძე 1913: 140). სახელო მუშავდებოდა მანჟეტით, ანუ სახელ-ქუროთი. გაგანიერებული გვერდულებით, წინ გახსნილი, ერთმანეთზე გადადებული კალთებით. ყელის ამოღებულობა მომრგვალებული ფორმის იყო. გვერდის განაჭერი ნაპირები მუშავდებოდა ჯიბით. ჯუბის ეს სახეც *უბიანი ჩოხის* სახელს ატარებდა (ნახ. 9).



ნახ. 5 ჯუბის თავდაპირველი თარგი
ნახ. 6 *ფარავიანი ჩოხის* თარგი



ნახ. 7, ნახ. 8 *უბიანი ჩოხის თარგები*



ნახ. 9 *წინგახსნილი უბიანი ჩოხის თარგი*

სასულიერო პირთა ზედა სამოსი *ჩოხა* კონსტრუქციულად დარჩა თავდაპირველი ჯუბის მსგავსი, სადა. თუმცა, არქაულობის მიუხედავად, მანაც განიცადა მცირედი ცვლილება, ყელდახშული და გაუჭრელი ჯუბისაგან განსხვავებით, ის ორი ერთმანეთზე გადადებული კალთისაგან შედგებოდა. კალთა წელის ხაზზე ქამრით მაგრდებოდა. ჩოხის ეს სახეა მოცემული ატენის სიონისა და გელათის მონასტრის მოხატულობაში.

თარგების შესწავლისას იკვეთება ქართული სასულიერო *ჩოხის* მსგავსება *ჯუბის* პირველად სახეებთან. ხოლო ე.წ. *გერძნული ჩოხა* კი *უბიანი ჩოხის* კონსტრუქციას შეესაბამება.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავახასიათოთ სასულიერო პირთა ზედა სამოსი – ჩოხა. იგი კოჭებამდე გრძელი სამოსი ყოფილა, რომელიც ორი ასიმეტრიული კალთისაგან შედგებოდა. კალთები იკვრებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. სიმბოლურად მარჯვენა მხარე სულიწმიდას განასახიერებს, ხოლო მარცხენა –

ეშმაკს. სულიწმიდა ამარცხებს ეშმაკს. სწორედ ამიტომ ღვთისმსახურთა სამოსი იკვრება *საერო ჩოხისაგან* განსხვავებით, რომელსაც მამაკაცები ჩვეულებრივ მარცხნიდან მარჯვნივ იკრავდნენ. სახელო გრძელი, ჩაკერებული იღლიის ამოღებულობაში, მხრის ხაზზე განიერი, ბოლოში დავიწროვებული. საყელო ოდნავ ამაღლებული. გვერდის განაჭერ ნაპირში მუშავდებოდა ჯიბის ჭრილი, ჯიბის პარკის გარეშე. კალთებზე, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, გულმკერდის ხაზზე უკეთდებოდა 5 - 5 ქილა, 10 მცნების სიმბოლოთი[1]. ჩოხას წელის ხაზზე იკრავდნენ სარტყლით.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღვადგინეთ სასულიერო პირთა ზედა სამოსის – ჩოხის – ესკიზი და შევქმენით თარგი.



ჩოხის ესკიზი

[1] ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერების კაბას ორივე კალთაზე, გულმკერდის ხაზზე აქვს ზედნადები ჯიბე, რომლის სამკუთხედად ჩადგმული ნაწილი 5 გვირისტითაა დამუშავებული. ჩვენი ვარაუდით, ჯიბის ეს ფორმა საქილის იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს.

მოძიებული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. ადრეფეოდალური პერიოდიდან, კერძოდ, მე-9 საუკუნიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით *ჩოხა* ორივე სქესის ბერმონაზონთა ზედა სამოსის და *საჩოხე შალის* აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

2. XVIII-XIX საუკუნეებში ტერმინმა *ჩოხამ* სასულიერო პირთა სამოსის გარდა, საერო ჩაცმულობის დატვირთვაც შეიძინა. ის გამოიყენებოდა როგორც მამაკაცის, ისე ქალის ზედა ტანსაცმლის აღმნიშვნელად;

3. თარგების შედარებებიდან იკვეთება ქართული სასულიერო *ჩოხის* მსგავსება ჯუბის პირველად სახეებთან, ხოლო ე.წ. *გერძნული ჩოხა* შეესაბამება *უბიანი ჩოხის* თარგს;

4. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ღვთისმსახურთა სამოსში გამოყენებულია 4 სხვადასხვა ტიპის ე.წ. *კაბა*, რომელთაგან ერთი შეესაბამება *რუსული კაბის* კონსტრუქციას, მეორე – *გერძნული კაბისას,* მესამე მოდელის წარმომავლობა დაუზუსტებელია და ერთიც, თავისი კონსტრუქციული ხაზებითა და სტილით განსხვავდება დანარჩენებისაგან და კონსტრუქციულად უახლოვდება ატენისა და გელათის ფრესკებზე გამოსახულ ბერების სამოსს – *ჩოხას.*

ლიტერატურა

ბატონიშვილი 1941 – ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (საქართველოს გეოგრაფია), თსუ.

ბეზარაშვილი 1974 - ბეზარაშვილი ციალა, „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბეზარაშვილი, ჯალაბაძე 1988 - ბეზარაშვილი ციალა, ჯალაბაძე გიორგი, ქართული ხალხური ტანსაცმელი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

კაკაბაძე, 1913 - „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“. ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი.

ორბელიანი 1949 - სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.

სოხაძე 1974 – Сохадзе А.К., Типы грузинской верховной одежды Чоха, ареал их распространения и термины, აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXX-B, თბილისი.

ქართული პროზა 1982 – ქართული პროზა, წიგნი I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ყაუხჩიშვილი, 1955, – ყაუხჩიშვილი სიმონ, “ქართლის ცხოვრება“ ტ. I, თბილისი.

ციციშვილი, 1954 – ციციშვილი ივანე, “მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის”. გამომცემლობა “ხელოვნება”, თბილისი.

ჯავახიშვილი 1930 – ჯავახიშვილი ივანე, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I, გამომცემლობა “ქართული წიგნი”, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1962 – ჯავახიშვილი ივანე, „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის” IIIIV, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

Lia Lursmanashvili
Georgian Technical University, Tbilisi
l_lursmanashvili@gtu.ge

Keywords: upper garment, chokha, kaba, quarti, vosar, juba, ubiani chokha

Research Issues on the Upper Garment of the Clergy (*chokha*)

Summary

In the history of human culture, making and using clothes is an ancient and important achievement. It has played the role of a social sign since the beginning. Representatives of the high and low circles of society, clergymen, and warriors dressed in different ways.

The main types of clothing were historically created according to economic, religious, social and ethnic characteristics. We are focused on the Georgian Orthodox Church clergy clothing, they wore in the past

and in what form it has reached till today, what were the structural features of the clothing elements, what materials were used to produce and shape it.

Clothing of the Orthodox Church clerics from the different countries have common features, which have been developed on the basis of a long, close spiritual and cultural-historical relationship. According to *Archipieraticon*, such elements of the shared fund are: *stikar, philon, gingila, olar*, *anchor, omphor, bison, knee pad* etc. However, this does not exclude the existence of self-contained elements in the clothing of the clergy of the Georgian Orthodox Church.

According to Georgian written sources, we find the following terms for the parts of clergy clothing: *Olar, Quarti, Sabechuri, Chokha, Samkhari, Kunkul, Schema, Mister's garment, Quart-filon , Omfori, Palekarti* and others.

Most of the terms still refer to parts of nowadays clerical clothing, but some have either changed meaning or have completely disappeared over time. From the listed terms, *chokh*a and *kunkula* are parts of nun's garment and the rest are parts of priest's clothing.

Due to some reasons, from the 19th century, the most important and ancient element *chokha* was lost from the set of clothes, which led to our interest in the mentioned issue.

The term *chokha* can be found in Georgian written sources since the 9th century. From the materials we have researched, it became clear that from the pre-feudal age, in particular, from the 9th to the 18th century, it was a term denoting the upper garment and wool used for *chokha* of the clergy of both sexes. Later, this term is also used to denote the clothing of secular public.

On the basis of the conducted research, we reconstructed the sketch of the upper garment of the clergy and developed its construction.

ნათელა მუზაშვილი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
natelamuza@yahoo.com
მარინე ოსაძე
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
marineosadze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო ტერმინები, სესხების პროცესი, უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელი, აფიქსები, მორფოლოგიური ადაპტაცია

უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელები ქართულ ენასა და სამეცნიერო ტერმინოლოგიაში

ცნობილია, რომ ტერმინი გარკვეული მნიშვნელობის სიტყვაა, ამიტომ მის გადმოსაცემად სხვადასხვა მეტყველების ნაწილია შერჩეული: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და სახელზმნა.

სამეცნიერო ტერმინოლოგიაში განსაკუთრებით დიდია ზედსართავი სახელების ფუნქცია. შეუძლებელია მათ გარეშე ტერმინოლოგიური მუშაობის სრულყოფა. ლექსიკონებში ისინი დასტურდება არა მარტო ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში, არამედ გვხვდება დამოუკიდებელ ტერმინოლოგიურ ერთეულებად.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ტერმინების ძირითად ნაწილს არსებითი სახელები წარმოადგენს, დანარჩენი მეტყველების ნაწილები კი, თუ ისინი არ არიან ტერმინოლოგიური შესიტყვების კომპონენტები, საჭიროა მხოლოდ გარკვეული ცნების ფორმათა ხმარების დროს, მეცნიერული თხრობის პროცესში. ზოგი მკვლევარი კატეგორიულად უარყოფდა ზედსართავ სახელთა ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში შეტანას, მათ მიაჩნდათ, რომ ზედსართავი სახელი დამაზუსტებელი დომინანტია ტერმინისათვის და სხვა არაფერი [რ. ღამბაშიძე, 1986].

მიუხედავად ასეთი არაერთგვაროვანი თვალსაზრისისა, უცხო წარმომავლობის ზედსართავი სამეცნიერო ენასა და ტერმინოლოგიებში მრავლადაა წარმოდგენილი. არ არსებობს არც ერთი დარგის ტერ-

მინოლოგია, რომელშიც ზედსართავ სახელებს არ ჰქონდეს გამოხატული ტერმინოლოგიური ხასიათი, განსაკუთრებული ტერმინოლოგიური დატვირთვა.

უცხო წარმომავლობის ზედსართავთა რიცხვი ტერმინოლოგიაში და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში სულ უფრო იზრდება. ეს ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, რომლისგანაც თავის დაღწევა ისევე შეუძლებელია, როგორც, საზოგადოდ, უცხო სიტყვათა სესხებისაგან. უცხო წარმომავლობის ზედსართავი ამა თუ იმ ენაში და, მათ შორის, ქართულშიც, შემოდის ან პირდაპირ წყარო ენის ზედსართაული ფუძით, ან არსებითი სახელით. სწორედ ეს არის მორფოლოგიური ასიმილაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს მსესხებელ ენაში (ქართულში) უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელების ქართული აფიქსით გაფორმებას, ანუ შეგუებას.

უცხო წარმომავლობის ზედსართავთა გაფორმება ქართულში კარგად შესწავლილი პროცესია. უპირველესად საჭიროა, დაზუსტდეს ტერმინის წარმომავლობა. როცა არსებითი სახელია ნასესხები, მისი ქართულად გაფორმება უფრო მარტივია, მაგრამ ზედსართავი სახელების მორფოლოგიური შეთვისება რთულ მექანიზმს გულისხმობს. აქ გვერდს ვერ ავუვლით თვით წყარო ენის მასალას, მის მორფოლოგიურ დანაწევრებას. უნდა დაზუსტდეს უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელის აგებულება, ანუ როგორ დაიშლება, რა აფიქსები გამოიყოფა.

უცხო წარმომავლობის ზედსართავების ქართულად გაფორმებისას დერივაციულ აფიქსთა შორის ყველაზე დიდი დატვირთვა *-ურ (-ულ)* სუფიქსს აქვს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ *-ურ (-ულ)* სუფიქსიანი ზედსართავისათვის ამოსავალი როგორი ფუძეა: ა) უცხო წარმომავლობის სუბსტანტივი, თუ ბ) ისეთი ზედსართაული ფუძე, რომელსაც სათანადო არსებითი სახელი არ მოეპოვება მსესხებელ ენაში (ჯანაშია 1970). მიუხედავად მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმებისა, დღესდღეობით ტერმინოლოგიაში, სამეცნიერო ენასა თუ, ზოგადად, სასაუბრო ენაში ხშირად შეინიშნება დარღვევები უცხო წარმომავლობის ზედსართავთა გაფორმებისას. კიდევ ერთხელ საჭიროა, დაზუსტდეს, რომელია სწორი ფორმა: *ჰიპოთეტური* თუ *ჰიპოთეზური; პნევმატური* თუ *პნევმატიკური; სინთეტური* თუ *სინთეტიკური* (ოსაძე 2016).

როდესაც უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელების მორფოლოგიურ ადაპტაციაზე ვმსჯელობთ, ბუნებრივია, დაისმის საკი-

თხი, ხომ არ სჯობს ქართული შესატყვისების მოძიება და უცხო ტერმინების მათით ჩანაცვლება. ეს, რა თქმა უნდა, სწორი მიმართულებაა, ზოგადად, სალიტერატურო ენასა და ტერმინოლოგიაშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ უცხო სიტყვათა სესხების პროცესი ასე ადვილად დასაძლევი არ არის სამეცნიერო ენაში. ქართული ტერმინი დროთა განმავლობაში ჩაენაცვლება, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია. ამდენად, უცხო წარმომავლობის ზედსართავთა მორფოლოგიური გაფორმების საკითხი დღეს მეტად აქტუალურია, მიუხედავად ენაში შემუშავებული ნორმებისა. შევჩერდებით უცხო წარმომავლობის ზედსართავთა ისეთ გაფორმებებზე, რომლებიც სალიტერატურო და სამეცნიერო ენასა და ზოგჯერ ტერმინოლოგიაშიც კი არასწორადაა დამკვიდრებული.

განსაკუთრებით გამოვყოფთ უცხო წარმომავლობის *-ურ, -ულ* სუფიქსიან ფორმებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, ზოგადად, უცხო წარმომავლობის სახელების შეგუება მსესხებელ ენაში მოითხოვს გარკვეული ნორმის შემუშავებას. ეს პროცესი კი გულისხმობს, უპირველესად, თვით უცხო სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინებას. ისიც აღინიშნა, რომ *-ურ, -ულ* სუფიქსიანი უცხო სიტყვების ადაპტაციის საკითხი განსაკუთრებულად არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად ამ საკითხის აქტუალურობისა, დღემდე არსებობს სიჭრელე *-ურ,-ულ* სუფიქსით გაფორმებულ ტერმინთა ხმარებისას. ჩვენ აქ განვიხილავთ კონკრეტულ ჯგუფს.

თავდაპირველად კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში ნასესხები უცხო წარმომავლობის სახელებიდან გაზედსართავების პროცესი გულისხმობს სხვადასხვა აფიქსით მათ გაფორმებას. ჩვენ მხოლოდ *-ურ, -ულ* სუფიქსით გაფორმებულ სახელებს განვიხილავთ. უნდა გამოიყოს რამდენიმე ტიპი. 1. ისეთი უცხო წარმომავლობის ზედსართავები, რომლებიც მხოლოდ ზედსართაული ფუძით არის ნასესხები და ამ ფუძიდან არსებითი სახელი ენაში არ დასტურდება. ასეთი ფორმები ენაში ნორმად არის მიღებული. მაგ.: *მედიალური* (ლათ. *medialis*)- სხეულის შუა ხაზთან ახლოს მდებარე; შუა – შუათანა; *მედულარული* (ლათ. *medullaris*)- ტვინისა; *მობილური* (ლათ. *mobilis)* -მოძრავი; *ნივალური* (ლათ. *nivalis*)- დიდ სიცივესთან დაკავშირებული; *ოპტიმალური* (ლათ. *optimus*), ასევეა: *ორდინალური, ოფიციალური, პლენალური, პუნქტუალური, ტოტალური, ლატერალური* და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ ზედსართავ სახელთა ისეთი წარმოება, როდე-

საც მათი ფუძეებიდან არსებითი სახელიც დასტურდება დამოუკიდებლად, მაგრამ ზედსართაული ფუძით დამკვიდრდა ენაში და ნორმადაა მიჩნეული, როგორებიცაა: *მუსიკალური, ფენომენალური, თეატრალური, ცენტრალური* და სხვ. ასეთი ტერმინები ტრადიციით არის დამკვიდრებული ენაში.

მეორე ტიპში გავაერთიანეთ არსებითი სახელებიდან ნაწარმოები უცხო წარმომავლობის ზედსართავები. კერძოდ კი, აქ, უპირველესად, გამოვყოფთ ისეთ ზედსართავებს, რომლებიც წყარო ენაში *-იკ* სუფიქსით არის ნაწარმოები. *-იკ* ბერძნულის წარმომავლობის სუფიქსი დაერთვის მდედრობითი სქესის არსებით სახელებს. *-იკ* აფიქსიანი ფორმების გამოყენებისას ხშირად ირღვევა ნორმები. *-იკ* სუფიქსი *-ურ, -ულ* სუფიქსის დართვისას უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ხშირად ნორმა ირღვევა და უმართებულოდ მკვიდრდება არა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო და სალიტერატურო ენაში, ტერმინოლოგიებსა და სხვადასხვა ლექსიკონში. თვით ენათმეცნიერებიც კი მართებული *ლინგვისტიკურის* ნაცვლად იყენებენ *ლინგვისტურს* (რა თქმა უნდა, *ლინგვისტური* მართებულია, როდესაც ის სიტყვა *ლინგვისტიდან* მოდის). აქ არ შევჩერდებით ერთი და იმავე ფუძიდან ნაწარმოებ *-ურ, -ულ* სუფიქსიან ფორმებზე, როგორებიცაა: *სისტემა – სისტემური, სისტემატიკა – სისტემატიკური; მეთოდი – მეთოდური, მეთოდიკა – მეთოდიკური.*

ამ ტიპის დარღვევის კონკრეტულ მაგალითებს წარმოვადგენთ. უპირველესად გვინდა შევჩერდეთ უცხო წარმომავლობის ზედსართავ სახელზე – *ავთენტური,* რომლის სწორი ფორმაა *ავთენტიკური* (ბერძნ. *authentikos*). ეს ზედსართავი არამართებული ფორმით შესულია სხვადასხვა ლექსიკონში (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, სინონიმების ლექსიკონი, უნივერსალური ლექსიკონი, ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი და სხვ.). ასევე, *პნევმატიკური* და არა *პნევმატური; სინთეტიკური* და არა *სინთეტური; დიალექტრიკული* და არა *დიალექტრული; დინამიკური* და არა *დინამიური, ეგზოტექტონიკური* და არა *ეგზოტექტონური (ტექნ.); დემოტიკური (ბერძნ. demotikos)* და არა *დემოტიური; ეზოტერიკული* (ბერძნ. *esoterikos*) და არა *ეზოტერიული.*

დასტურდება საპირისპირო პროცესიც, როცა *-იკ* სუფიქსი ზედმეტია. მაგალითად, ზედსართაული ფორმა *ევანგელიკური,* რომელიც ამ ფორმით არის შესული უცხო სიტყვათა ლექსიკონსა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, *მომდინარეობს ბერძნული euangelion*, ამდენად ქართულად გაფორმებული ზედსართავის ფორმა უნდა იყოს

ევანგელური, რადგან *-ურ,-ულ* დაერთვის არსებით სახელს, *ევანგელეს.* ფორმა *ევანგელური* დასტურდება არაერთ ლექსიკონში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ისეთ ტერმინებზე, რომლებიც მორფოლოგიური ასიმილაციისას არასწორად ფორმდება, რადაგან *-ურ, -ულ* მაწარმოებელი დაერთვის არა არსებით სახელს, რომელიც დამოუკიდებლად დასტურდება მსესხებელ ენაში, არამედ უცხო წარმომავლობის ზედსართაულ ფუძეს. აქ კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, რომ ქართულში ზედსართავის გაფორმებისას, თუ დამოუკიდებლად არსებობს უცხო წარმომავლობის სახელი, ზედსართაული მაწარმოებელი სწორედ მას უნდა დაერთოს.

აქ უნდა შევჩერდეთ ისეთ ფორმებზე, როდესაც ზედსართავისათვის ამოსავალია *-ცია, -აცია* დაბოლოებიანი უცხო წარმომავლობის სახელები, რომლებშიც *-ურ, -ულ* სუფიქსით გაფორმებული ზედსართავის პარალელური ფორმები დასტურდება, მაგ.: *დიზიუნქტიური* და *დიზიუნქციური; სელექტიური* და *სელექციური.* ამგვარი დუბლეტების არსებობა არამართებულია. ქართული ზედსართაული ფუძე უნდა იყოს ნაწარმოები სახელისაგან. .

დღეს გააქტიურებულია ისეთი არამართებული ფორმები, როგორებიცაა: *ინტუიტიური* ნაცვლად *ინტუიციურისა; კორპორატიული* ნაცვლად *კორპორაციულისა; დისტრიბუტული* ნაცვლად *დისტრიბუციულისა.*

არასწორად არის უცხო სიტყვათა ლექსიკონში *პრევენტიული* (ლათ. *praeventus),* ნიშნავს პრევენციის ხასიათს, ამდენად სწორი ფორმაა *პრევენციული. პრევენტიული* დასაშვებ ფორმადაა მიჩნეული ორთოგრაფიულ ლექსიკონში. საყურადღებოა ასევე უცხო სიტყვათა ლექსიკონში ზედსართაული ფორმა *პუბერტატიული* (ლათ. ნიშნავს სქესობრივ მოწიფულობას), რაც სქესობრივ მოწიფულობასთან არის დაკავშირებული. ამდენად, მისთვის არის ამოსავალი *პუბერტაცია* (ლათ. *pubertatio),* ამიტომ ზედსართაული ფორმა იქნება *პუბერტაციული* და არა *პუბერტატიული.* არასწორად დამკვიდრდა *ვალიდური* ფორმაც, რომელიც უნდა გაფორმდეს სახელისაგან *ვალიდაცია,* ამდენად სწორი ფორმაა *ვალიდაციური.*

არასწორად დამკვიდრდა და დაშორდა ამოსავალ სახელებს ისეთი ზედსართავი, როგორიცაა *აპოკალიპტური,* რომლის ამოსავალია *აპოკალიფსი,* ამიტომ უნდა იყოს *აპოკალიფსური,* ასევე არასწორადაა *ჰიპოთეტური,* ამოსავალია *ჰიპოთეზა,* უნდა იყოს *ჰიპოთეზური, ინ-*

ტუიციური და არა *ინტუიტიური; ქაოსური* და არა *ქაოტური; ვაკანსიური* და არა *ვაკანტიური.*

მასალის ანალიზმა წარმოაჩინა ის სიჭრელე, რომელიც დღემდე არსებობს უცხო წარმომავლობის ზედსართაული სახელების გაფორმებისას, ანუ მორფოლოგიური ადაპტაციისას. გარდა იმისა, რომ შევუდარეთ ლექსიკონებს, მასალის თვალსაზრისით საინტერესო იყო ინტერნეტსივრცეც, რადგან ყველაზე ფართო მომხმარებელი სწორედ მას ჰყავს. ბუნებრივია, ყველაზე დიდი სიჭრელე სწორედ ინტერნეტში წარმოდგენილ მასალაში ჩანს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უცხო წარმომავლობის ზედსართავები სამეცნიერო ენიდან შემოდის სალიტერატურო ენაში, შემდგომ კი – ზეპირმეტყველებაში და ხშირად არასწორად მკვიდრდება. ორთოგრაფიულ ლექსიკონში უცხო წარომავლობის ზედსართავი სახელები სრულად შეუძლებელია იყოს შესული, ასევე უცხო სიტყვათა ლექსიკონში ძირითადად არსებითი სახელებია წარმოდგენილი. ერთი კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსიკონში შემდგენელმა არაერთ ზედსართაულ ფორმაზე გაამახვილა ყურადღება და სწორი ნორმები მიუთითა. ფაქტობრივად, ქართულ ლექსიკოგრაფიაში, მიუხედავად მრავალი საინტერესო ლექსიკონისა, ვერ დავასახელებთ ლექსიკონს, რომელშიც უცხო წარმომავლობის სახელები და მათგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები სრულად იყოს წარმოდგენილი.

დაბოლოს, გვინდა ენაში არსებული ნორმების მიხედვით, კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს უცხო წარმომავლობის *-ურ (-ულ)* ზედსართავების ფორმების წესი. ძირითადად, გამოყოფენ ორ ყალიბს. 1. როდესაც ნასესხებია უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელი და მას დაერთვის *-ურ (-ულ)* სუფიქსი. ასეთი ტერმინები მხოლოდ ზედსართაული ფუძით არის ნასესხები. მათი ფუძიდან არსებითი სახელები ქართულ ენაში არ დასტურდება. 2. მეორე ყალიბი კი ისეთი წარმოებაა *-ურ (-ულ)* სუფიქსით გაფორმებული ტერმინებისა, როდესაც ის მსესხებელ ენაში ეყრდნობა არსებით სახელს. ეს ნორმა არის მიჩნეული სწორ ფორმად. ჩვენ სწორედ ეს წარმოება მიგვაჩნია ერთადერთ ფორმად. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ტერმინის სემანტიკური მნიშვნელობა უფრო გამჭვირვალეა და, მოგეხსენებათ, ტერმინისათვის ეს ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელია.

ლიტერატურა

ჯანაშია 1970 – ს. ჯანაშია, ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი.

ღამბაშიძე 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები, თბილისი.

ზექალაშვილი 2000 – რ. ზექალაშვილი, ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი.

ოსაძე 2016 – მ. ოსაძე, ტერმინთა სესხება- ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში, თბილისი.

ლექსიკონები

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციის), თბილისი.

ქეეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: http://gnc.gov.ge/gnc/page

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2022.

სინონიმთა ლექსიკონი, 1978, თბილისი.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006, თბილისი.

ხელოვნების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი, 2004, თბილისი.

ხელოვნების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი, 1985, თბილისი.

Natela Muzashvili
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
natelamuza@yahoo.com

Marine Osadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
osadzemarine@gmail.com

Keywords: Scientific terms, borrowing process, adjective of foreign origin, affixes, morphological adaptation.

Adjectives of Foreign Origin in the Georgian Language and Scientific Terminology

Summary

It is common knowledge that a term carries a specific meaning; therefore, various parts of speech, such as nouns, adjectives, and verbal nouns, are used to convey it.

In scientific terminology, the role of adjectives is particularly significant. It is impossible to conduct terminological work without them. In dictionaries, they are found not only within terminological expressions but also appear as independent terminological units.

The number of adjectives of foreign origin in terminology and, consequently, in literary language is permanently increasing. This progression is a natural and inevitable phenomenon akin to the general trend of borrowing foreign words, from which there is no escape. Adjectives of foreign origin in various languages, including Georgian, typically enter the language either directly with the adjectival stem from the source language or through association with a noun. This process is known as morphological assimilation, whereby adjectives of foreign origin are formed in the borrowing language (such as Georgian) by incorporating a Georgian affix, the process termed adaptation.

The formation of adjectives of foreign origin has been thoroughly studied in Georgian linguistics. Primarily, it is crucial to specify the origin of the term. While the formation of borrowed nouns is easier in Georgian,

the morphological assimilation of adjectives involves a complex mechanism. The morphological segmentation of the source language cannot be ignored in this case. It is imperative to specify the structure of adjectives of foreign origin, i.e., how they are broken down and which affixes are singled out.

Among the derivational affixes involved in forming adjectives of foreign origin in Georgian, the suffix -ur (-ul) has a significant load. The crucial consideration lies in determining the type of stem that serves as the origin for adjectives with the suffix -ur(-ul): a) a substantive of foreign origin, or b) an adjectival stem lacking a corresponding noun in the borrowing language.

The borrowing language does not simply mechanically adopt the borrowed word but rather focuses on a structural-semantic analysis of adjectives.

Despite the firmly established norms within the language, violations in the formation of adjectives of foreign origin are frequently observed today in terminology, scientific language, or colloquial speech. Hence, we deemed it necessary to address this issue publicly. Once more, it is imperative to clarify which form is correct: hiṗoteṭuri or hiṗotezuri; ṗnevmaṭuri or ṗnevmaṭiḳuri; sinteṭuri or sinteṭiḳuri; avtenṭuri or avtenṭiḳuri; vegeṭaṭiuri or vegeṭaciuri.

მარიამ ორკოდაშვილი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი
morkoda@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; სამეცნიერო ტერმინთ-ბანკი; ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეული; დიდი ენობრივი მოდელები; ელექტრონული ტვინი; მანქანური სწავლა.

სამეცნიერო ტერმინოლოგია ინგლისურსა და ქართულში

თანამედროვე სამყაროში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესთან და სამეცნიერო ტექსტებისა და დისკურსების ფართოდ გავრცელებასთან ერთად, სამეცნიერო ფრაზეოლოგიზმების და ლექსიკური ერთეულების რიცხვიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. სოციალური მედიის საშუალებით კი ეს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები ენიდან ენაში სწრაფად გადადის.

ინგლისური ენიდან გავრცელებული ტერმინები და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები განსაკუთრებით სწრაფად იკიდებს ფეხს სხვადასხვა ენაში (Maasen and Weingart, 2000; Maasen, Everett and Weingart, 1995), და მათ შორის, ქართულშიც. შესაბამისად, სამეცნიერო ტერმინების სწრაფი გავრცელება ენაში მოითხოვს დროულად მათი ქართული შესატყვისების მიძიებასა და მისადაგებას.

ინგლისურ სამეცნიერო დისკურსებში ხშირად მეტაფორები, მეტონიმიები, ეპითეტები და ახლად შექმნილი სიტყვათშეთანხმებები გვხვდება (Hüppauf and Weingart, 2008; Mischler, 2013; Sternberg, 1990; Weingart, 2001), ამიტომ ისინი ქართულშიც მრავალფეროვანი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოიცემა. ასეთ შემთხვევებში, სამეცნიერო ტერმინოლოგიური შესატყვისობების მოძებნა ხშირად რთულია და ლექსიკური ერთეულები ინგლისურიდან ქართულში ვრცელი განმარტებით, შესაფერისი ფრაზით ან ახლად შექმნილი სიტყვათშეთანხმებით გადმოიცემა, რომელიც შეიძლება ენისთვის ჯერ უცხო ან უჩვეულოც კი იყოს. ასეთ დროს, შესაბამისი კონტექსტის მოხმობაც მნიშვნელოვანია, რათა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულის ახსნა-განმარტება უფრო ზუსტი და შესატყვისი იყოს.

სტატიაში განხილულია სამეცნიერო ენისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები და ტერმინები ქართული და ინგლისური ენების მიხედვით:

AI fizzle - ადამიანის ტვინის ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლების საშუალებით ახალი შესაძლებლობების შექმნა;

Bing AI – GPT + Microsoft Search - ხელოვნური ინტელექტის პროგრამა, რომელიც მაიკროსოფტის საძიებო სისტემას იყენებს;

Causal chains – მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვები;

Chatbot – ადამიანის ხმის მიმბაძველი პროგრამა, რომელიც ხმის ან ტექსტის სახით ესაუბრება ადამიანებს; მათთან წარმართავს საუბრებს.

Chat GPT (Generative Pre-trained Transformers) – ხელოვნური ინტელექტის პროგრამა, რომელიც იყენებს მანქანური სწავლის ალგორითმებს და წარმართავს დიალოგს;

Contingency table – დამოკიდებულებების, ფაქტორების ცხრილი;

Deep learning - სიღრმისეული სწავლა, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ადამიანური ტვინის მსგავსად ახორციელებს ხშირად გაუკონტროლებელი და არასტრუქტურირებული მონაცემთა ბაზიდან;

Electronic brain – ელექტრონული ტვინი;

Emergent behavior - ხელოვნური ინტელექტის გამოუცნობი ქმედება;

Enqueue – შეტყობინებების თანმიმდევრობა;

Fansubbing – სუბტიტრების შექმნა;

Feedforward language modeling – სრულად ურთიერთდაკავშირებული ქსელი;

Generative AI – ხელოვნური ინტელექტის მიერ ტექსტების, ვიზუალური ან ვიდეო-მასალის, კოდების წარმოება დიდი მონაცემთა ბაზის გამოყენებით;

Hyperconnectivity – სოციალურ ქსელებში მრავალი სისტემით ჩართვა;

Hyperparameter – პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ სწავლობს ხელოვნური ინტელექტის მოდელი;

Image recognition – ვიდეოვიზუალური (სახეების) ამომცნობი ხელოვნური ინტელექტი;

Key factors – ძირითადი ფაქტორები;

Key findings – მთავარი მიგნებები;

Large Language Model (LLM) – დიდი ტექსტური მასალის ამომცნობი ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც შეუძლია ტექსტებისა და ადამიანის ენის გაგება;

Machine learning – მანქანური სწავლება;

Neural network – ადამიანის ტვინის მსგავსი კომპლექსური ქსელი, რომელიც დიდ მონაცემთა ბაზებს იყენებს კალკულაციებისა და მონაცემების დამუშავებისთვის;

Organoid intelligence – ორგანოიდული ინტელექტი;

Predictive analytics – წარსულის მონაცემებზე დაყრდნობით მომავალი მოვლენების განვითარების განჭვრეტა;

Prescriptive analytics – მონაცემების გაანალიზება იმ ფაქტორების და წინადადებების დასამუშავებლად, რომლებიც სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისათვის არის საჭირო.

Quantum computing – კვანტური კალკულაციების გამოყენება სიღრმისეული სწავლისას;

Radix sort – მონაცემთა ციფრული დახარისხება ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებად მნიშვნელოვანისკენ;

Reinforcement learning – გარემოზე დაფუძნებული სწავლება, რომლის დროსაც ხელოვნური ინტელექტი დადებით ან უარყოფით შედეგს იღებს;

Sentiment analysis – ტექსტის ტონისა და მოსაზრების ამომცნობი ხელოვნური ინტელექტი;

Set procedures – დადგენილი პროცედურები;

Stochastic parrots / large language models / LLMs – დიდი ენობრივი მოდელები;

Structured data – საძიებო სისტემაში არსებული მონაცემები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია ადვილად;

Taking a step further – ერთი ნაბიჯით წინსვლა;

Testing reliability – სანდოობის შემოწმება;

The cosmos is like a string symphony – კოსმოსი სიმებიანი ინსტრუმენტებისთვის შექმნილი სიმფონიასავით არის;

To reiterate the chain – ჯაჭვის (ცდების, ექსპერიმენტების) განმეორება;

Transfer learning – მანქანური სწავლების სისტემა, რომელიც ადრინდელ მონაცემებსა და ინფორმაციას იყენებს ახალი დავალებების შესასრულებლად;

Trial and error – ცდა და შეცდომა;

Unstructured data – საძიებო სისტემაში ძნელად მოსაპოვებელი მასალა (სურათები, ფოტოები, ვიდეოები);

Voice recognition – ხმის ამოცნობის პროცესი ადამიანის და კომპიუტერის საუბრის დროს, როდესაც ადამიანი კომპიუტერს კარნახობს წინადადებებს, ხოლო კომპიუტერი ტექსტად გარდაქმნის ხმით ნაკარნახებ გამონათქვამებს;

Walking a tightrope between data and opinion – მონაცემებსა და მოსაზრებას შორის რთული არჩევანი / რთული სიტუაცია;

Zoomland – ონლაინშეხვედრების სივრცე;

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები განსაკუთრებით სწრაფად იცვლება და ვრცელდება ინგლისურსა და სხვა ენებში. ამიტომ ეს საკითხი მუდმივ განახლებასა და განვრცობას მოითხოვს. შესაბამისად, არ არის საკმარისი ტერმინების ბეჭდური ლექსიკონები. ვფიქრობთ, საჭიროა ელექტრონული მასალის არსებობა, რომელიც მუდმივად განახლდება.

ლიტერატურა

მაასენი, ევერეტი, უაინგარტი 1995 – Maasen, Sabine; Everett Mendelsohn; and Peter Weingart. (eds.). (1995). *Biology as Society, Society as Biology: Metaphors.* Sociology of the Sciences, Yearbook 1994. Kluwer Academic Publishers: Dordrecht, Boston, London.

მაასენი, უაინგარტი 2000 – Maasen, Sabine and Peter Weingart. (2000). *Metaphors and the Dynamics of Knowledge*. Routlegde: Taylor and Francis Group, London and New York.

მიშლერი 2013 – Mischler, James J. III (2013). *Metaphor across Time and Conceptual Space. The interplay of embodiment and cultural models*. Cognitive Linguistic Studies in Cultural Contexts 3, Ning Yu and Farzad Sharifian (eds.). John Benjamins Publishing Company: Amsterdam / Philadelphia.

სტერნბერგი 1990 – Sternberg, Robert J. (1990). *Metaphors of mind. Conceptions of the nature of intelligence*. Cambridge University Press.

უაინგარტი 2011 – Weingart, Peter. (2001). *Die Stunde der Wahrheit? Zum Verhältnis der Wissenscheft zu Politik, Wirtschaft und Medien in der Wissensgesellschaft*. Velbrück Wissenschft.

ჰუპაუფი 2008 – Hüppauf, Bernd and Weingart, Peter. (eds.). (2008). *Science Images and Popular Images of the Sciences.* Routledge: Taylor & Francis, New York, London.

Mariam Orkodashvili
Georgian-American University, Tbilisi
morkoda@yahoo.com

Keywords: Artificial Intelligence; scientific termbank; lexical phraseological unit; Large Language Models; electronic brain; machine learning.

Scientific terminology in Georgian and English

Summary

Fast appearance and spread of new terms in science sphere in English requires their timely translation and transfer into Georgian.

Tsiakmakis, E. (2017). To morfima -iasi sto lexilogio tis pathologias tis Neas Ellinikis. *Hellenic Language and Terminology: 11th Conference Papers* (pp. 41–51). ELETO. http://www.eleto.gr/download/Conferences/11th%20Conference/Papers-and-speakers/11th_01-02-01_TsiakmakisEvripidis_Paper2_V05.pdf

Valeontis, K. (1988). *Analysi ton vasikon archon tis technikis orologias*. ELOT. http://www.eleto.gr/download/BooksAndArticles/1988_AnalysiTwnVasikwnArxwnTisTechnikisOrologias_KValeontis.pdf

Valeontis, K. (1997). O 'analogikos kanonas' stin ypiresia tis synchronis ellinikis orologias. *Hellenic Language and Terminology: 1st Conference Papers* (pp. 1–20). ELETO. http://www.eleto.gr/download/BooksAndArticles/AnalogueRuleOfNaming-Ed1_GR.pdf

Valeontis, K. (2005). The 'Analogue Rule': a useful terminological tool in interlingual transfer of knowledge. *Infoterm Newsletter, 117*, 2–9. http://www.eleto.gr/download/BooksAndArticles/AnalogueRuleOfNaming-Ed2_EN_InfotermNewsletterNo117.pdf

Valeontis, K., & Filopoulos, V. A. (2001). Prosfates allages gia ti dimiourgia ellinikon oron kai i Elliniki Etaireia Orologias. *Hellenic Language and Terminology: 3rd Conference Papers* (pp. 305–323). ELETO.

http://www.eleto.gr/download/Conferences/3rd%20Conference/3rd_28-Valeontis-Filopoulos-Paper2_V02.pdf

Valeontis, K., Krimpas, P. G., Toraki, K., Katsoyannou, M., Pantazara, M., Tsiamas, G., Giovani, A., & Anastassiadis-Symeonidis, A. (forthcoming). Terminology in Greece: bodies, works and activities. In K. Warburton & J. Humbley (Eds.), *Terminology throughout history: a discipline in the making*. John Benjamins.

Wexler, P. (1969). Towards a structural definition of 'internationalisms'. *Linguistics, 7*(48), 77–92.

მავინა პანტაზარა
კაპოდისტრიასის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი, საბერძნეთი
mavinap@frl.uoa.gr

საკვანძო სიტყვები: ბერძნული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიური მუშაობა, ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია, ტერმინოლოგიის კოორდინაცია, ტერმინოლოგიური კვლევები, ტერმინოლოგიის საზოგადოება

ტერმინოლოგიური კვლევა საბერძნეთში: მიმოხილვა, გამოწვევები, პერსპექტივები

საბერძნეთში ტერმინოლოგიური მუშაობა რამდენიმე კრიტიკულ გამოწვევას აწყდება, რომელთა მოგვარებაც გადაუდებელი ამოცანაა. ბერძნულ ენაზე ტერმინოლოგიის აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება უპირველესი საზრუნავია. ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის მიღწევა მოითხოვს ტერმინოლოგიის თანმიმდევრული გეგმის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე სხვადასხვა სფეროში. მონაწილეობის გაზრდა გულისხმობს დარგის ექსპერტების, ენის სპეციალისტების, ტერმინოლოგების, აკადემიკოსებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უფრო მეტ ჩართულობას ტერმინოლოგიურ პროცესებში.

ცნობიერების ამაღლება სცილდება ტერმინოლოგიის შექმნასა და სტანდარტიზაციას; ის გულისხმობს ტერმინოლოგიის ინტეგრირებას საგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლო პროგრამებში. ELETO მტკიცედ უჭერს მხარს ტერმინოლოგიის სწავლების ჩართვას საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებში და აქტიურად უძღვება საგანგებო სწავლებას პროფესიონალებისთვის. პრაქტიკოსთა კარგად ინფორმირებული საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური ტერმინოლოგიური მუშაობის შენარჩუნებაში.

ELETO-ს კონფერენციები უზრუნველყოფს პლატფორმას სხვადასხვა სფეროს ტერმინოლოგიური კვლევის წარდგენისთვის, ტერმინოლოგების, მეცნიერებისა და პროფესიონალების თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. ეს ღონისძიებები აყალიბებს დაინტერესებულ მხარეთა ქსელს. მათ შეუძლიათ პროექტებზე თანამშრომლობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცნობიერების ამაღლების მიზნით ELETO იყენებს სოციალურ მედიას, საკომუნიკაციო არხებს ფართო აუდიტორიის ჩასართავად და ხაზს უსვამს ტერმინოლოგიის მნიშვნელობას სხვადასხვა სფეროში. გარდა ამისა, ELETO უზრუნველყოფს ტერმინოლოგიურ რესურსებზე წვდომას მისი ვებგვერდებისა და ღია წვდომის პუბლიკაციების მეშვეობით, რაც ლექსიკონებს, ტერმინების ბაზებსა და დოკუმენტაციას ადვილად ხელმისაწვდომს ხდის საჯარო გამოყენებისთვის.

ELETO-ს ინიციატივების მიუხედავად, საბერძნეთში ტერმინოლოგიის კოორდინირებული ეროვნული გეგმის ჩამოყალიბების რამდენიმე მცდელობა დიდწილად წარუმატებელი აღმოჩნდა. ამისი თვალსაჩინო მაგალითია 1990 წელს ტერმინოლოგიაში სამუშაო ჯგუფის არსებობა, რომლის მუშაობა, სამწუხაროდ, არ გასცდენია საბოლოო ანგარიშებს. მისი შექმნის მოთავე იყო კვლევებისა და ტექნოლოგიების გენერალური სამდივნო (GSRT). 2000 წელს ELETO მონაწილეობდა ტერმინოლოგიური კოორდინაციის ეროვნული პროგრამის (EPOS) საკოორდინაციო კომიტეტში, რომელიც საბოლოოდ არ დამტკიცდა. ანალოგიურად, 2006 წლის კონფერენციამ შეისწავლა საფრანგეთის ტერმინოლოგიის გამდიდრების სისტემა (Commission d'enrichissement de la langue française) და კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა მსგავსი სისტემის დაარსების შესაძლებლობა საბერძნეთში, რასაც უნდა მოჰყოლოდა კანონპროექტი ტერმინოლოგიის ეროვნული ორგანოს შექმნის შესახებ, თუმცა პარლამენტის წინაშე ის ჯერაც არ წარუდგენიათ.

ეს მაგალითები ხაზს უსვამს ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობას, რაც ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობის გამო ELETO-ს მძიმე გამოწვევის წინაშე აყენებს.

ამ მაგალითების გვერდით ტერმინოლოგიის კოორდინაციის ზოგიერთი წარმატებული პრაქტიკაც უნდა აღვნიშნოთ. 1990 წელს კომიტეტებმა, როგორებიცაა: ELOT/TC 21, MOTO, ELOT/TC 48/WG1 და სხვ. ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბერძნული ტერმინების ჰარმონიზაციის შესახებ სფეროებსა და კომიტეტებში. კიდევ ერთი მაგალითია ტერმინოლოგიის საბერძნეთის ქსელი (EDO), რომელიც დააარსა ევროკომისიის თარგმანის გენერალურმა დირექტორატმა. EDO-მ ხელი შეუწყო ევროკავშირის მთარგმნელებს, ბერძნულ ტერმინოლოგებსა და ექსპერტებს შორის თანამშრომლობას, ადასტურებდა ტერმინებს მრავალენოვანი IATE მონაცემთა ბაზაში შესატანად. წარმატების მიუხედავად, EDO-მ შეწყვიტა ფუნქციონირება 2023 წლის ბოლოს.

საბერძნეთში ტერმინოლოგიის მუშაობის მომავალი მიმართული უნდა იყოს ყოვლისმომცველი ეროვნული ტერმინოლოგიური გეგმისა და ენობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის მისაღწევად. აუცილებელია პროფესიული სწავლების წახალისება და პარტნიორობის ხელშეწყობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პრიორიტეტულია ეროვნული ტერმინალური ბანკის შექმნა ტერმინოლოგიურ რესურსებზე ცენტრალიზებისა და ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ტერმინოლოგიის კვლევებისა და განვითარების ინოვაციური მიდგომების დამუშავება უზრუნველყოფს ბერძნული ტერმინოლოგიის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად მომხმარებლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ცნობიერების ამაღლებით, მონაწილეობის გაზრდით და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობით, საბერძნეთს შეუძლია გააძლიეროს ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოს თავისი ადგილი საერთაშორისო ტერმინოლოგიურ გარემოში.

მანანა რუსიეშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
manana.ruseishvili@tsu.ge

ლია ქაროსანიძე
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისი
L.karosanidze@gmail.com

მანანა ხაჩიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
manana.khachidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: თარგმნითი ლექსიკოგრაფია, თემატური ლექსიკონი, იდეოგრაფიული ლექსიკონი, ქართულ-ინგლისური შესატყვისები

თარგმნითი ლექსიკოგრაფიის გამოწვევები

როგორც ცნობილია, თარგმნითი ლექსიკოგრაფიის განვითარება დამოკიდებულია ენათა ბუნების მეცნიერულ, სიღრმისეულ შესწავლაზე, მათი ლექსიკური თუ გრამატიკული ურთიერთმიმართებების დადგენაზე, ორი ენის ცნებათა და ტერმინთა გაანალიზებასა და შეხამებადობაზე (ჰარმონიზაციაზე). ენათა შედარებითი კვლევები საქართველოში ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნისთანავე იწყება. მთარგმნელთა მიერ ხელნაწერ ძეგლებზე გაკეთებული შენიშვნები თარგმნითი ლექსიკოგრაფიის უადრეს სამეცნიერო კვლევებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამ სამეცნიერო დაკვირვებებს ეყრდნობოდა მთარგმნელობითი საქმიანობა ძველ საქართველოში. ცნებათა სიღრმისეული ცოდნა, გააზრება, ქართული ენის ბუნებასთან მისადაგება – ძველი ქართული მთარგმნელობითი მეთოდის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია. სწორედ ამ მიდგომით შეიქმნა უმდიდრესი თარგმნითი ქართული ლიტერატურა. ძველ ქართველ მთარგმნელთა დაკვირვებები, ბერძნული და ქართული ენების შედარებითი ანალიზი დღემდე ანგარიშგასაწევია ქართველ მეცნიერთათვის. სამწუხაროდ, ქართულ ხელნაწერებზე დადასტურებული კიდურწერილობების

ენობრივ-ლექსიკოგრაფიული შენიშვნები ჯერ ბოლომდე გამოკვლეული არ არის.

სამეცნიერო დაკვირვებებს, ნაშრომებს ეყრდნობოდა ქართულ-რუსული ლექსიკოგრაფიაც მოგვიანო საუკუნეებში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ-რუსული ლექსიკური და გრამატიკული პარალელები დაწვრილებითაა შესწავლილი. პირველი რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონების ხელნაწერები მე-18 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. ქართულ-რუსული ენობრივი პარალელების კვლევა საქართველოში გააქტიურდა მე-19 საუკუნეში და გაგრძელდა მეოცე საუკუნეშიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1957 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება. განყოფილებას ამოცანად დაესახა თარგმნითი (ორენოვანი) ლექსიკოგრაფიის დარგში სათანადო სპეციალისტების მომზადება და ორენოვანი ლექსიკონების შედგენაზე სისტემური მუშაობის გაშლა. თარგმნითი ლექსიკონები სამეცნიერო ნაშრომების დასკვნებს ეყრდნობოდა. სწორედ ამის წყალობით დაგვრჩა თარგმნითი ლექსიკონების მდიდარი მემკვიდრეობა, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, გაუციფრულებელი, შეუსწავლელი და, შესაბამისად, საზოგადოებისათვისაც უცნობია. იგივე საქმე, სამწუხაროდ, ვეღარ გაგრძელდა 90-იან წლებში, სწორედ მაშინ, როცა გააქტიურდა ქართულ-ინგლისური ენობრივი ურთიერთობა და ქართველ მეცნიერთა, ტერმინოლოგთა, ლექსიკოგრაფთა წინაშე დაისვა ახალი ამოცანები. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფუნქციების შესუსტებამ განაპირობა ის, რომ თარგმნით ლექსიკოგრაფიაში უკვე გაკვალული გზა ვეღარ განვითარდა, ვეღარ შევძელით ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლაც. დღეს ქართულ ტერმინოლოგიურ მუშაობასა და თარგმნით ლექსიკოგრაფიაში გარკვეული პრობლემებია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება ამ მიმართულებით კვლევებს საჭირო ტემპით კადრების სიმცირის გამო ვეღარ აგრძელებს, კვლევები ქართულ-ინგლისური ლექსიკური თუ გრამატიკული პარალელების შესასწავლად უფრო არაკოორდინირებულად და ფრაგმენტულად მიმდინარეობს, შესაბამისად, გაგვიჭირდება იმისი თქმა, რომ დღეს შესწავლილი და დადგენილი გვაქვს ქართულ-ინგლისური დარგობრივი ტერმინოლოგია თუ სხვა ლექსიკური ცნებები სრულყოფილად. მართალია, არსებობს რამდენიმე ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული თარგმნითი ლექსიკონი, რომლებიც დღეს გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუმცა სრუ-

ლად, სამწუხაროდ, ვერა. გაუმართავი და დაუდგენელია მრავალი დარგის ტერმინოლოგია, არ არის დამუშავებული ქართულ-ინგლისური თემატური მასალა. ციფრული რეალობა კი დღეს სრულიად განსხვავებულ მიდგომებსა და ტემპს მოითხოვს, თანამედროვე ეპოქაში ბეჭდური ლექსიკონების ციფრული ვერსიები, ცხადია, საკმარისი არ არის.

ქართული მასალა თემატურად პირველად სულხან-საბას ლექსიკონშია წარმოდგენილი. სულხან-საბა ორბელიანის (1958-1725) „სიტყვის კონა“ არის ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი ლექსიკონი, ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის სათავე. მნიშვნელოვანია ის, რომ „ქართულ ლექსიკონში“ სიტყვების უმეტესობას მითითებული აქვს წყაროები. როგორც ალექსანდრე ღლონტი აღნიშნავს, „უწყაროოდ საბას არც ერთი სიტყვა არ დაუმოწმებია ლექსიკონში, მაგრამ ყველა ერთეულისთვის ამის მითითება, ჩანს, საჭიროდ არ მიუჩნევია“ (ღლონტი 1971:220-221).

დღეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი განსხვავებულ ყურადღებას იქცევს, მისი აგების პრინციპები საინტერესოა თანამედროვე ციფრული ლექსიკონების შემუშავებისას. ღირებული და მნიშვნელოვანია დღემდე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებისას. ამას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასასრულს აღნიშნავდა აკაკი შანიძე (ლექსიკონი 1928, წინასიტყვაობა: XXI).

საბას ლექსიკონში შეტანილია ყველა თანრიგის სიტყვა: სახელები (არსებითი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები), ზმნები, სახელზმნები, ზმნიზედები, ნაწილაკები, კავშირები, თანდებულები, შორისდებულები, თავმოყრილია და ერთნაირი წესითაა ანბანზე განლაგებული ძირეული და წარმოქმნილი, მარტივი და რთული სიტყვები. დაცულია მონათესავე სიტყვების ბუდეთა სისტემა. წარმოქმნილი ფუძეებიდან აღებულია უფრო გავრცელებული ვარიანტები. მონათესავე სიტყვები დაყოფილია სემანტიკურ ბუდეებად, ხოლო მონათესავე ერთეულები გატანილია სათანადო ანბანის რიგზე, მაგალითად, საბელი მიჩნეულია მონათესავე სიტყვათა საერთო მნიშვნელად და აქვე ჩამოთვლილია მონათესავე სემანტიკის სიტყვები:

„ საბელი ზოგადი სახელი არს ყოელთა შეგრეხილთა:
მკედის უსხოთა და გრძელთა ეწოდების *ხეზი*;
ხეზისა უსხოსა - *ბაწარი*;
ხოლო *ლარო* ხეზისა მსგავსი არს;

შიშთვლი არს საბელი სარჩობელი და თოკი მასზედ უსხოსი;
საკოჭავი არს საბელი საპალნის შესაკრავი;
ჭაპანი არს საბელი სხვილი და ურემთა აღსატვირთველი,
გაგირი არს საბელი ყოელთ უსხოსი, ნავთა ღუზათა მოსაბმელი;
წალაები არს თოკი კარავთა გასაბმელი;
მუკუდი არს საბელი ცხენის ყელზედ მოსაბმელი;
ტოილო არს საბელი ცხენის ფერხზედ მოსაბმელი;
გუარლი არს საბელი თივათაგან შეგრეხილი;
ავრიტი არს საბელი ხის ხრალთაგან შეგრეხილი;
საგდებელი არს საბელი შორით შესატყორცნი, რემათა შესაპყრობელი“ (ლექსიკონი 1928).

მონათესავე სიტყვების დიდი უმეტესობა გატანილია ლექსიკონის თავ-თავის ადგილას. ყველა ბუდის ასე გაშლა ავტორს ვერ მოუხერხებია და ეს სამუშაო შემდეგ დაამთავრეს იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ საბას ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაში, რომლის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე წერს: „არც ერთი სულხანის მიერ ახსნილი სიტყვა რომ არ დაჰკარგოდა ლექსიკონის ჩვეულებრივ მომხმარებელს, ამიტომ შემოკრებილი ადგილებიდან საჭირო იყო „განყოფილებათა“ სახელების, ანუ მეთაური სიტყვებში შემავალი სიტყვების გატანა და თავ-თავის ადგილას ჩვენება. ეს სამუშაო ნაწილობრივ თვით სულხანს გაუკეთებია. იოსებ ყიფშიძემ განაგრძო შევსება და მე სულ მოვათავეო“. სემანტიკურ ბუდეებადაა თავმოყრილი ზმნებიც: „გახეჩა - განპობა, განკუეთა, გაჭრა, გაპობა, გახევა, გაფრეწა, გაგლეჯა, გაწყვეტა, განტეხა“ (ლექსიკონი 1928).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, სულხან-საბას ლექსიკონში ცნებათა ბუდეებია. საბა იღებს (როდესაც ეს შესაძლებელია) გვარეობითი ცნების აღმნიშვნელ სიტყვას და მასთან ათავსებს სახეობითი ცნების აღმნიშვნელ სიტყვებს განმარტებებითურთ. „სხვათა შორის, – აღნიშნავს ბიძინა ფოჩხუა, – რაკი ცნებებს ეხება საქმე, უფრო ზუსტი იქნებოდა გველაპარაკა არა განმარტების, არამედ განსაზღვრის შესახებ. სიტყვის ახსნა არსებითად წარმოადგენს ბუდეში შესული სიტყვებით აღნიშნულ ცნებათა განსაზღვრას“ (ფოჩხუა 1987).

ცალკეულ უზუსტობათა მიუხედავად, საბა არ ღალატობს თანმიმდევრულ პრინციპს: სახეობითის ცნებებს აჯგუფებს გვარეობითის ბუდეში და ბუდის გარეთაც განმარტავს. ცდილობს, სრულად აღწე-

როს ქართული ენის ლექსიკური ფონდის სრული სემანტიკური სურათი. სემანტიკურად ახლო მდგომი ბუდეები საბას თავმოყრილი აქვს ასამდე ბუდეში. ამ ბუდეთა სასათაურო სიტყვებია, მაგალითად, ბადე, გიჟი, გულისწყრომა, ზოდიაქო, ზღუდე, თმა, კაცი, სიცივე, სიცხე, ურემი, ღვინო, ჭურჭელი, ხიდი და სხვ. (ს. იორდანიშვილი 1949).

სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოყოფილი ცნებათა თემატური ჯგუფები, რომლებიც მე-20 საუკუნეში შეივსო და ახლებურად დამუშავდა. 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა სათანადო პროგრამა, სახელწოდებით „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი“. ეს პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგი დარგების მიმოხილვას: *აღმშენებლობა, თავდაცვითი ნაგებობანი, ავეჯი, საკრავები, ჭურჭელი, ქსოვა და ხელსაქმე, ტანისამოსი, თავსახურავი, ფეხსამოსი და ფეხსაცმელი, პურის ცხობა, დიასახლისობა, საჭმლის მომზადება, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთება, მებოსტნეობა* და *მებაღეობა, მევენახეობა* და *მეღვინეობა, მერწყველობა* და *მეწისქვილეობა, მეთევზეობა, მონადირეობა, კრამიტის, აგურის* და *წყლის მილების გაკეთება, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, მეტივეობა, მეშუშეობა, მენახშირეობა* (ღამბაშიძე 1986).

ცალკეული თემატური ჯგუფების შესწავლა ივანე ჯავახიშვილის შემდეგაც გაგრძელდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეისწავლეს ნათესაობის სახელები, ზოოლოგიური ნომენკლატურა, სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი. აღწერილ-დახასიათებულია ცალკე დარგების ლექსიკა, პურეულისა, მევენახეობა-მეღვინეობისა (ღამბაშიძე 1988:28-57).

ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა და 1987 წელს გამოიცა ბიძინა ფოჩხუას მნიშვნელოვანი ნაშრომი „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“. „იდეოგრაფიული ლექსიკონი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის ლექსიკონისაგან. მასში სიტყვები ლაგდება არა ანბანთრიგის მიხედვით, არამედ თემატურად, საგნობრივი მნიშვნელობის საფუძველზე. მართალია, ბიძინა ფოჩხუამ ამოსავლად აიღო გერმანელი ენათმეცნიერების რ. ჰალიგისა და ვ. ფონ ვარტბურგის სქემები, მაგრამ იმდენი ცვლილება, შესწორება და დაზუსტება შეიტანა მათში, რომ საბოლოოდ მივიღეთ იდეოგრაფიული ლექსიკონის ახალი მისეული სქემა“, – წერს ლექსიკონის წინასი-

ტყვაობაში ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი თინათინ შარაშენიძე (ფოჩხუა 1949:7).

საინტერესო და განსხვავებულია ქართველი ლექსიკოგრაფის, ბიძინა ფოჩხუას, მიერ გამოყოფილი ცნებათა სისტემები, მაგალითად, ადამიანი თემატური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ასეა წარმოდგენილი:

ადამიანი – ფიზიკური არსება: 1.სქესი, 2. რასა, 3 გარეგნობა, 4. ორგანოები, 5. ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7 აქტივობა.

ადამიანის სიცოცხლე – 1. დაბადება, 2 ასაკი, 3 სქესობრივი ცხოვრება, 4. ორგანოები, 5 ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7. აქტივობა სხვის მიმართ.

ადამიანის სულიერი ცხოვრება – 1. ჭკუა, ნიჭი, 2. აღქმა, წარმოდგენა, 3. აზროვნება, 4. გრძნობები, 5. ნებელობა, 6.მორალი, 7. რწმენა, 8. ხელოვნება.

ფორმა, საქმიანობა – 1. მეოჯახეობა, 2. მიწათმოქმედება, 3. მესაქონლეობა, 4. ხელოვნება, 5. ვაჭრობა, 7. ტრანსპორტი, 8. კავშირგაბმულობა.

საზოგადოება – 1.ოჯახი, 2. ტომი, ენა, 3. ურთიერთობა, 4 სახელმწიფო, 5. ადმინისტრაცია, 6. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია, 7. სასამართლო, 8. საგარეო ურთიერთობა, 9. სამხედრო საქმე.

გამოყოფილია ფრინველთა შემდეგი ჯგუფები: *შინაური, დეკორატიული, გარეული, მობუდარი, მობინადრე, მოზამთრე, გადამფრენი, შემომფრენი, იშვიათი, წყლისა და ჭაობის, სანადირო, მონადირე, მგალობელი, მტაცებელი* და სხვ. (ფოჩხუა 1949:7)

ქართული ენის სალექსიკონო ფონდი, შეიძლება ითქვას, რომ კარგადაა შესწავლილი საქართველოში, თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენის მასალაც მისამატებელია და ამ მხრივ მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამ უნიკალურ მასალებს უნდა დაეყრდნოს ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი, რადგან თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ამ უიშვიათესი ღირებულების მასალის ინგლისური შესატყვისების დადგენა უმნიშვნელოვანესი იქნება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ასახული ქართული კულტურის სრულად წარმოსაჩენად, თანამედროვე ციფრულ სამყაროში ქართული ენის ადგილის დასამკვიდრებლად.

პროექტს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს დაიწყო, საგანგებოდ „საბასეული“ ვუწოდეთ სწორედ იმი-

ტომ, რომ სულხან-საბა ორბელიანის მე-17 საუკუნეში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ლექსიკონი ქართული ენის ცნებებად დამუშავების პირველი ცდაა. ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებების მეცნიერთა თანამშრომლობით მიმდინარეობს. პროექტში სტუდენტების, პროფესორებისა და ენათმეცნიერების მკვლევრების ჩასართავად მუშავდება საგანგებო პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სალექსიკონო მასალაზე მუშაობა სასწავლო პროცესში გამოვიყენოთ, რედაქტირებული მასალა კი – ვრცელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიის შესაქმნელად, რომელსაც თანდათან გამოვაქვეყნებთ კიდეც.

ლიტერატურა

ლექსიკონი 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ს. იორდანიშვილი 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართულ რომელ არს ლექსიკონი, წინასიტყვაობა, თბილისი.

ფოჩხუა 1987 – ბიძინა ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ღამბაშიძე 1987 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

ღამბაშიძე 1988 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია: ნორმისა და უზუსის საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 8, თბილისი.

ღლონტი 1971 – ალექსანდრე ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საფუძვლები, თბილისი.

Manana Rusieshvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
manana.ruseishvili@tsu.ge

Lia Karosanidze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi
l.karosanidze@gmail.com

Manana Khachidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
manana.khachidze@tsu.ge

Keywords: Translation lexicography, thematic dictionary, ideographic dictionary, Georgian-English correspondences

Extensive Georgian-English Thematic Dictionary (New Project at Tbilisi State University)

Summary

Georgian material was thematically presented for the first time in Sulkhan-Saba Orbeliani's (1658-1725) dictionary. This dictionary, "Sitkvis Kona," becomes the center of attention again in the digital age as the principles of its construction are significant and valuable regarding the development of modern digital dictionaries and scientific terminology.

As correctly noted in the special literature, the material in this dictionary is organised in "nests" (clusters) of concepts. Sulkhan-Saba employs (where possible) a word denoting a genus (generic idea) and arranges words denoting the concepts related to it, with their definitions, in clusters. Semantically close meanings are grouped in about a hundred "nests" (clusters). The headwords of these clusters are, for example, net, crazy, indignation, zodiac signs, hedge, hair, man, coldness, heat, cart, wine, vessel, bridge, etc.

The thematic groups of concepts identified by Sulkhan-Saba Orbeliani, supplemented and processed in a new, modern way in the 20th century, have acquired new significance for the exploration of the

lexical fund of literary Georgian. In the 1930s, Ivane Javakhishvili created a program "The method of collecting materials for the history of domestic industry and small handicrafts". This program included an overview of the following fields: Construction work, Defence structures, Furniture, Musical instruments, Dishes, Weaving and needlework, Clothing, Headgear, Footwear and shoemaking, Bread-making, Housekeeping, Cooking, Cattle-breeding, Silk-making, Manufacture of agricultural tools, Gardening and horticulture, Viticulture and winemaking, Irrigation and milling, Fishing, Hunting, Tiling, Brick and water-pipe making, Blacksmithing, Goldsmithing, Rafting, Glassmaking, Coal mining.

The exploration of individual thematic groups continued after Ivane Javakhishvili. Kinship, Zoological and body parts terms were studied at the Arn. Chikobava Institute of Linguistics. In addition, the vocabulary of some fields of knowledge (Grains, Winemaking and viticulture) was described and analysed.

Bidzina Pochkhua's significant work "Ideographic Dictionary of the Modern Georgian Language" was prepared and published in 1987 in the Institute of Linguistics. The ideographic dictionary is essentially different from all other types of dictionaries. In this dictionary, the words are not arranged alphabetically but thematically based on the meaning of a headword.

Bidzina Pochkhua's systems of concepts are also interesting and arranged uniquely; for example, people are presented according to the following thematic groups and subgroups:

Man – a physical being: 1. Gender, 2. Race, 3. Appearance, 4. Body parts, 5. Functions of body parts, 6. Movement, 7. Activities.

Human life – 1. Birth, 2. Age, 3. Sex life, 4. Body parts, 5. Functions of body parts, 6. Movement, 7. Activity towards others.

The spiritual life of a person – 1. Intelligence, talent, 2. Perception and imagination, 3. Thinking, 4. Feelings and emotions; 5. Will, 6. Morality, 7. Faith, 8. Art.

Form and activity – 1. Household, 2. Farming, 3. Cattle breeding, 4. Art, 5. Craft, 6. Trade, 7. Transport, 8. Communication systems.

Society – 1. Family, 2. Tribe, language, 3. Relationships, 4. State, 5. Administration, 6. Organization of education and healthcare; 7. Court, 8. Foreign Affairs, 9. Military Affairs.

Although the dictionary fund of the Georgian language is well-studied in Georgia, the material of the modern literary language needs to be added to it, and therefore, work should be continued in this regard. It is on this unique material that an extensive Georgian-English thematic dictionary should be based. In translation lexicography, determining the English equivalents of this priceless material is of the utmost importance to fully represent the Georgian culture reflected in the lexical fund of the Georgian language, to establish the place of the Georgian language in the modern digital world.

The project, which started at Tbilisi State University in 2020, was symbolically called *Sabaseuli*, which implies that the dictionary created by Sulkhan-Saba Orbeliani and published in the 17th century was the first attempt to process the Georgian language into concepts. The creation of an extensive Georgian-English thematic dictionary is underway at Tbilisi State University with the cooperation of researchers from the Department of Translation Dictionaries and Scientific Terminology of the Arn. Chikobava Institute of Linguistics together with staff and students of the Departments of English Philology and Computer Sciences of Tbilisi State University. A special program is being developed to involve students, professors and researchers in the project, which will allow us to use the dictionary material in the academic process, and the compiled and edited material will enable us to create an electronic version of an extensive Georgian-English dictionary which will be published gradually.

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
medeasagliani@yahoo.com nataliashavreshiani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: სვანური ენა, მეტროლოგია, ტერმინოლოგია

მეტეოროლოგიურ მოვლენათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ეთნოლინგვისტიკური ანალიზი სვანურში

„რა გინდა რომ აქ არ იყოს, -
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! -
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა“.

ყოველი ენის ლექსიკაში კარგად აისახება როგორც ძველი ვითარება, ისე ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებაში დროთა ვითარებაში ხდება, ხოლო *ლექსიკის შესწავლა სემანტიკურ (დარგობრივ) ჯგუფებად საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ენის სიტყვიერი სიმდიდრე და სათანადო საზოგადოებრივი რეალიები.* აკად. არნ. ჩიქობავა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: *„აუცილებელია დარგობრივი ლექსიკის რაც შეიძლება სრული აღრიცხვა როგორც ენებში, ისე დიალექტებში, იმ სპეციალურ გამოთქმებთან (//ფრაზებთან) ერთად, რომლებშიაც ისინი იხმარებიან და შესაბამისი რეალიების სათანადო გათვალისწინებით, – აუცილებელია როგორც ლინგვისტური, და საერთოდ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ისე შესაბამისი სალიტერატურო ენების განვითარების ინტერესთა თვალსაზრისითაც“.* მიუხედავად ცნობილი მეცნიერის ამ სამართლიანი განცხადებისა, სვანურის დარგობრივი ლექსიკის სრული აღრიცხვა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი (სხვა ქართველურ ენებთან შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით) დღემდე არ განხორციელებულა, რაც ქართველური ენათმეცნიერების ერთგვარ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს.

ამჯერად სწორედ დარგობრივი ლექსიკის ერთ-ერთი საინტერესო და ისტორია-ეთნოლოგიისა და ენათმეცნიერებისათვის მეტად

მნიშვნელოვანი ლექსიკური ჯგუფის – *მეტეოროლოგიური (ატმოსფერული და ციური) მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების* შესახებ გვექნება მსჯელობა სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველების მონაცემების მიხედვით.

წინამდებარე გამოკვლევაში სათანადო რელევანტურ კვლევებზე დაყრდნობითა და ახალი მიდგომა-ინტერპრეტაციებით წარმოვადგენთ არაერთი სვანური მეტეოროლოგიური ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ანალიზს სათანადო ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით. კვლევის მეთოდად კი გამოყენებულია *სინქრონიულ-დიაქრონიული, დესკრიფციული (აღწერითი), ისტორიულ-შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდები,* რომლებიც განსაზღვრულია დასახული ამოცანების არსით.

ჩვენ მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება დიდძალ სვანურ როგორც ტექსტობრივ და სალექსიკონო, ასევე საველე პირობებში მესტიისა და ლენტეხის რაიონის სოფლებში მოძიებულ სათანადო მასალებს და დალაგებულია შემდეგი პრინციპით:

- ნასესხები მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულები
- საერთოქართველური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ძირ-ფუძეები
- საკუთრივ სვანური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი მასალა
- მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ჰიბრიდული ლექსიკური ერთეულები

1. სვანური ენა, მიუხედავად იმისა, რომ უმწერლობო ენაა, საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა დარგის ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარეობს. ამ მასალის გვერდით დიდი რაოდენობით მოიპოვება როგორც ქართულ-ზანური ენებიდან უშუალოდ მომდინარე მასალა, ისე ქართულ-ზანურის გზით შემოსული ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილოკავკასიური, რუსული და სხვა

ენათა მონაცემები. გარდა ამისა, ხშირია უშუალოდ ბერძნულიდან, რუსულიდან, ადიღეურიდან... შეთვისებული არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელთაც სესხების პროცესში მეტად საყურადღებო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდიათ. სესხება, როგორც წესი, განპირობებულია გარკვეული კონტაქტებით დროსა და სივრცეში. ბუნებრივია, სვანურში მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი უცხოენოვანი მასალაც დასტურდება, რომელიც სესხება-ადაპტაციის, მათი შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დასადგენად დაიყო შემდეგ ქვეჯგუფებად:

ა) უშუალოდ ქართულ-მეგრულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები:

ამინდ (ზს., ქს.)/*ჳმინდ* (ბქ., ლნტ.) < ქართ. *ამინდ-ი* „ატმოსფეროს მდგომარეობა (წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, სიცივე და სხვ.) განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, _ დარი“ სიტყვისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი* სახით (*ამინდ*), ასევე *ფუძისეულ ხმოვანთა* (ა + ი = ჳ) *უმლაუტით* (*ჳმინდ*).

ამინდობ (ლშხ., ჩოლ.) „დარიანობა (ზედმიწ. _ **ამინდ*-ობ-ა)“ < ქართ. *ამინდ-ი* „ატმოსფეროს მდგომარეობა (წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, სიცივე და სხვ.) განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, – დარი“ ფორმისაგან *ანლაუტისეული ხმოვნის მოკვეცით.*

არჳი/აჰაჳი (ჩოლ.) < ქართ. *არავ-ი* „სამხრეთის თბილი ქარი“ ლექსემისაგან შემდეგ ფონეტიკურ პროცესთა – *ხმოვანთა სიგრძისა* და *თანხმოვანთა მონაცვლეობის* გზით. აღნიშნულ პოზიციაში *(არჳი)* ხმოვნის სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს (შდრ.: ბზ., ლშხ. *ამენ*, ლშხ. *ბულთ*, ლშხ. *კინჩხ*, ბზ. *რჳზ*...).

ბორიო/ბორია (ჩოლ.) „ძლიერი ქარი“ < ახ. ქართ. *ბორიო* „ცივი ძლიერი ქარი (ჩრდილოეთისა)“, კუთხ. *ბორია* „სიო, ნიავი“ (შდრ. ძვ. ქართ. ბორია-{ჲ} „ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ“) ფორმებისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

ბური (ზს.)/*ბურ* (ლშხ.)/*ბგრი* (ლნტ., ჩოლ.) „ნისლი, ბურუსი; ბნელი“ < ქართ. *ბურ-ი* 1. „სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი, რაც ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს“, 2. „ანაორთქლი, ბურუსი“. ზემოსვანურ დიალექტებში საანალიზო ლექსიკური ერთეული *ფონეტიკურად სრულიად უცვლელი* სახით არის შეთვისებული ქართულიდან, ლაშხურში, როგორც წესი, *მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის ნიშანი*, ლენტეხურსა და ჩოლურულში კი ხდება *ხმოვანთა რედუქცია.*

ბურისჳ (უშგ.) < ქართ. *ბურუს-ი* „ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, რომელიც თეთრ-მონაცრისფროდ ფარავს ყველაფერს და ჰაერს გამჭვირვალობას უკარგავს, – ნისლი, ჯანღი“ (შდრ. ზს. *ბინტჳ* „ნისლი, ბურუსი“) სიტყვისაგან *უმლაუტისა* და *მეტათეზისის* განხორციელებით.

გაგანიაჲ (ლშხ.) < ქართ. (იმ., გურ.) *გაგანია-ი/ჲ* „დიდი, ძლიერი (სიცხე, პაპანაქება), _ იგივეა, რაც გაგანია“ ფორმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

გირგაჷლ (ბზ.)/*გირგალაჲ* (ლშხ., ჩოლ.)/*გირგალ* (ლშხ., უშგ.) 1. „გრიგალი (ზედმიწ. _ *გრიგალ-ა*)“, 2. *გადატ.* „ავი სული“ < ქართ. გრიგალ-ი „ძლიერი, გამანადგურებელი ქარი, _ ქარიშხალი“ ლექსემისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, მეტათეზისისა* და *ბგერათა განვითარების*) გავლით.

ლი-*გრილ*-ე (ჩოლ.) < ქართ. ა-გრილ-ებ-ა „სიგრილის დადგომა“. ნასესხებია მასდარული ფორმის ძირი *გრილ-*, *ლი- -ე* კი სვანური მასდარის მაწარმოებელი ცირკუმფიქსია.

გურჰუნ/გგრჰგნ/გგრხგნ/გგრმგნ (ბზ.)/*გურჰუნ/გგრჰგნ* (ბქ., ლშხ.)/*გგრხგნ* (ბქ., ლნტ.)/*გგრმგნ* (ლშხ.)/*გურხუნ* (ლნტ.) 1. „გრიალი, ზათქი, გრგვინვა“, 2. „ხარხარი, ხორხოცი“, 3. „ერთად მოთქმით ტირილი“ < ქართ. გრუხუნ-ი „გამაყრუებელი ხმაური, – გუგუნი, გრიალი, ქუხილი“.

ქართულის გზით შეთვისებული *გრუხუნ*-ის აღმნიშვნელი სვანური ფონეტიკური ვარიანტები საკმაოდ სახეცვლილია, ხდება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: *ხმოვანთა სიგრძე, რედუქცია, თანხმოვანთმონაცვლეობა, მეტათეზისი* და ა. შ., თუმცა, როგორც ხმაბაძვითი ფორმა, შესაძლოა სვანურში დამოუკიდებლად გაჩენილიყო.

გუჳლი (ბზ.)/*გუჳლი* (ბქ., ლნტ.)/*გუჳალი* (ლშხ., უშგ.) 1. „გვალვა“, 2. ბქ. „მოწმენდილი ცა“ < ქართ. გვალ-ვ-ა „ხანგრძლივი უწვიმობითა და სიცხით გამოწვეული ნიადაგის სიმშრალე, მცენარეების განადგურება“ ლექსიკური ერთეულისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, აუსლაუტში მარცვლის მოკვეცისა* და *ბგერის გაჩენის*) გავლით. გასარკვევია საიდან გაჩნდა სვანური საზოგადო არსებითი სახელის აუსლაუტში *ი* ხმოვანი, რომელიც ქართულ შესაბამის ფუძეში არ დასტურდება? სვანურში, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშანი სესხებისას იკარგება. ჩვენი აზრით, საანალიზო ძირ-ფუძეები საკმაოდ ძველ ნასესხობას უნდა წარმოადგენდნენ და უნდა მომდინარეობდნენ ქართული მიმღეობური ფორმებისაგან – გამო-გვალ-ულ-ი,

და-გვალ-ულ-ი „გადამწვარი, სიცხისაგან (გვალვისაგან) გამომშრალი, გადამხმარი (მიწა)“. შესაძლოა, სვანურს სწორედ ქართული მიმღეობური ფორმების აუსლაუტისეული -ი ხმოვანი გადმოჰყვა (შდრ. ასევე აბსტრაქტული სახელები – *გუ̈ა̈ლიობ* (ბზ.)/*გუ̈ა̈ლიობ* (ბქ., ლნტ.)/ *გუ̈ალუ̈ობ* (ბქ.)/*გუ̈ალიობ* (ლშხ., უშგ.) „გვალვის პერიოდი, გვალვიანობა, ზედმიწ. – **გვალვ-ობ-ა*)“; *გუ̈ა̈ლდანობ* (ბზ.) „გვალვის პერიოდი“ < ქართ. *გვალვ-იან-ობ-ა* „იგივეა, რაც გვალვა“ და ქონების აღმნიშვნელი – *გუ̈ა̈ლიდა̈ბ* (ბზ.) < ქართ. გვალვ-იან-ი „რასაც გვალვა ახასიათებს, რასაც გვალვა სდევს თან (წელიწადი, თვე...)“...).

სვანურში *გვალვა* ფუძისაგან ნაწარმოები მასდარული ფორმაც გვხვდება, მაგ. *ლი-გუ̈ა̈ლ-ა̈ლ* (ბზ.)/ლი-*გუ̈ალ-ალ*ა̈ლ (ბქ.) „გამოდარება, კარგი ამინდის დადგომა (ზედმიწ. – გა-მო-*გვალ*-ვ-ა)“ < ქართ. გვალვა *„ხანგრძლივი უწვიმობითა და სიცხით გამოწვეული ნიადაგის სიმშრალე, მცენარეების განადგურება“ ფორმისაგან და გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.*

დანწყუ̈ა (ჩოლ.) „გრიგალი, ქარიშხალი“ < სავარაუდოდ ზან. (მეგრ.) დო-ნწყუ-ალ-ა „დანგრევა, დაქცევა, ჩაქცევა“, *გადატ.* „საშინელი ამინდი; გაბრაზება, გაავება...“ სიტყვისაგან *რედუქციითა* და *ხმოვანთმონაცვლეობით*. ზმნისწინიანი ფორმის სესხება (მონათესავე ქართველური ენებიდან) იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სვანურში.

> *შენიშვნა*: სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ ენათა მონაცემების (შდრ. ქართ. *წყვ-* გა-*წყვ*-ა „მოისპო“; გა-მ-*წყვ*-არ-ი „მომსპარი“ : მეგრ. *ნწყვ-/წყ-* ბ-*ნწყ*-გნ-ქ „ვანგრევ; ვსპობ“; ი-მ-*წყ*-უ-ქ „ვიღუპები“; მა-*ნწყ*-უ-ალ-ი „დამქცევი“; *ნწყვ*-ირ-ი „დაქცეული“; ო-*ნწყ*-უ „დასაქცევი“... : სვან. *ნწყუ̈ა̈* ლი-*ნწყუ̈ა̈*-ე „განადგურება; მოსპობა“, ხ-ა-*ნწყუ̈ა̈*-ე „სპობს“, ლა-ხ-*ა̈*-*ნწყუ̈ა̈* „მოსპო“... – ფენრიხი, სარჯველაძე 2000:658 და, ასევე, ქართ. *წყვ-* გა-წყვ-ა, გა-მ-*წყვ*-არ-ი „მომსპარი“ : ზან. (მეგრ.) *ნწყუ*-ალ-ა „მოსპობა; დაქცევა“, დი-*ნწყვ*-ი „ჩაიძირე“, დო-ბ-*ნწყვ*-ი „დავაქციე, მოვსპე; ჩავძირე“, მუკო-*ნწყვ*-ილ-ი „ჩამოშლილი“ : სვან. *ნწყ*-ლი-*ნწყუ̈ა̈*-ე „განადგურება; მოსპობა“, ხ-ა-*ნწყუ̈ა̈*-ე „სპობს“ – ჩუხუა 2017:533-534) რეკონსტრუირების საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღდგენილია **წყუ̈ა̈* „წყდომა, დაქცევა; მოსპობა“ არქეტიპი. რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩოლურულ მეტყველებაში გამოვლენილ *და-ნწყუ̈ა̈*-ა „გრიგალი, ქარიშხალი“ ფორმას, რომელიც არცერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ არის შესადარებლად მოხმობილი, შედარებით ახა-

ლი შეთვისებული უნდა იყოს ზანურისაგან, რასაც გვავარაუდებინებს სვანურ-ზანურ ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა. როგორც სვან. და-*ნწყუ̈*-ა, ასევე მეგრ. დონწყუ-ალ-ა სწორედ *ცუდი ამინდის, გრიგალის, ქარიშხლის; დაქცევის, დანგრევის, წარღვნის* და ა. შ. მნიშვნელობით გამოიყენება.

სვანურ და-*ნწყუ̈*-ა'ში გამოვლენილი *და-* ზმნისწინი ფორმით ქართული *და-* ზმნისწინის ტოლფარდია, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ იგი მეგრული დო-ნწყუ-ალ-ა'დან არის ნასესხები, შესაბამისად, ჯერ უნდა გვქონოდა დო-*ნწყუ̈*-ა და შემდგომ ო > ა გადასვლით მივიღეთ *და-* ზმნისწინი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სვანური საანალიზო ზმნური ძირი ყველა დროს ვერ აწარმოებს და ამდენად დეფექტურ ზმნათა რიგში შეიძლება მოექცეს.

დარ̈ (ზს., ლნტ.)/*დარ* (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. *დარ-ი* „ამინდი, ტაროსი" სიტყვისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი* სახით (*დარ*), ასევე *უმლაუტის* მეშვეობით *(დარ̈);* ქართული *დარ-* ძირისაგან იწარმოება აგრეთვე მასდარული და მიმღეობური ფორმები, მაგ. ლი-*დარ*-ე (ბქ.) „გამოდარება", ლგ-*დარ*-ე „გამოდარებული"...

ელჭექ (ქს.) < ქართ. *ელ-ჭექ-ი* „ცუდი ამინდი, – ელვა და ჭექა" რთული შედგენილობის სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

ენქერ/დენქერ/დენქირ (ჩოლ.) < ქართ. *ლენქერ-ი* „იგივეა, რაც ძვ. ქართ. ლანქერი", ლეჩხ. „მომატებული, ამღვრეული მდინარე, – ლიაღვი" (შდრ. ახ. ქართ. *ნამქერ-ი*) ლექსემისაგან *ანლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვით, იოტიზაციითა* და *ხმოვანთმონაცვლეობით.*

ენქეროგ/დენქეროგ/დენქეროგ (ჩოლ.) „წყალდიდობა (ზედმიწ. – **ლენქერ-ოგ-ა*)" < ქართ. *ლენქერ-ი* „იგივეა, რაც ლანქერი", ლეჩხ. „მომატებული, ამღვრეული მდინარე, – ლიაღვი", ლანქერ-ი „თოვლის ღვარი, თოვლის წვენი" (საბა). საინტერესოა, რომ აბსტრაქტულობის მაწარმოებელი *-ოგა* სუფიქსიანი ფორმები ქართული ენის ლექსიკონებში არ დასტურდება.

თაგაროგ{ა} (ლშხ., ჩოლ.) „კარგი დარი; ადგილობრივთა განმარტებით, ძველისძველი პერიოდი, როდესაც ზამთარი საერთოდ არ არსებობდა (ზედმიწ. – **მთა-გარ-ოგ-ა*)" < ქართ. მთა-ბაროება „მთა და ბარიანი ადგილები" (შდრ. ბქ. *ლილახუ̈-ლიგარუ̈* და *გაროგ)* კომპოზიტისაგან *ანლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვითა* და *აუსლაუტისე-*

ული ხმოვნის მოკვეცით.

ლი-*თქორ*-ე (ჩოლ.) < ქართ. თქორ-ვ-ა „ცრა, ჟინჟღვლა“. სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული *-თქორ-* ძირი უცვლელადაა შეთვისებული ქართულიდან.

ლი-*მერხ*-ჴლ (ბზ.) „გამოდარება (ზედმიწ. – **მერეხ*-ობ-ა)“ < ქართ. *მერეხ*-ი „თავსხმა, დელგმა“ ლექსიკური ერთეულისაგან რო-გორც *ხმოვანთა სიგრძით,* ასევე *სემანტიკური გადაწევით.* ნასესხები სიტყვა სვანურმა საკუთარ მორფოლოგიურ ყალიბში მოაქცია და გა-ასვანურა**.** მსგავსი შემთხვევები სხვა ენათაგან შეთვისებულ მასალაში ძალზე ხშირია.

მისრ (ბქ.) „მზის ჩასვლის წინ, საღამოსკენ (ან მზის ამოსვლისას) დამდგარი ერთგვარი ნისლი“ < ქართ. ნისლ-ი 1. „ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, რომელიც თეთრ-მონაცრის-ფროდ ფარავს ყველაფერს, – ბურუსი, ჯანღი“, 2. *გადატ.* „ბუნდი, ბუ-რანი“ სიტყვისაგან *სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობით.*

ნანქერ (ბზ.) < ქართ. *ნამქერ*-ი „თოვლი, ქარისაგან ჰაერში ატანი-ლი ან სადმე შეგროვებული, მოგროვებული, მიყრილი“ ფორმისაგან *სონორ თანხმოვანთა* (*ნ*/*მ*) *მონაცვლეობით.*

ნეტიჟ (ჩოლ.) „წვიმიანი, ნოტიო ამინდი“ < ქართ. ნოტიო „ნეს-ტიანი, ნამიანი...“ ლექსემისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, მეტათეზისისა* და *აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცის*) შედეგად.

ნიაჟ (უშგ.) 1. „ნიავი“, 2. *გადატ.* „ალღო“ < ქართ. *ნიავ-ი* „ნელი ქარი, – სიო“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით. ქართუ-ლიდან შეთვისებული *ნიაჟ-* ძირი ასევე გამოიყენება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ., *ნიაჟ იყერ* „ალღო აიღო (ზედმიწ. – *ნიავ*-ი ირტყა)“.

ნისლ (ზს., ქს.) < ქართ. *ნისლ*-ი „ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთე-ბად დამდგარი ორთქლი, რომელიც თეთრ-მონაცრისფროდ ფარავს ყველაფერს, – ბურუსი, ჯანღი“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლე-ლი* სახით.

ჲალბუზ (ლშხ.) *გადატ.* „ცუდი ამინდი“ < ქართ. იალბუზ-ი 1. „კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი“, 2. ქართლ. *გადატ.* „ცივი, ჩრდი-ლოეთის ქარი“ ლექსემისაგან *იოტაციითა* და *სემანტიკური გადაწე-ვით.*

ლი-ჰალტ-ე (ბზ.) „ხვავრიელად თოვა“ < ქართ. *{გა}-ფანტ-ვ-ა* „ბნევა, მიმოფანტვა“ ფორმისაგან *სუბსტიტუციის, სონორთა მონაც-*

ვლეობისა და *ხმოვანთა სიგრძის* მეშვეობით (შდრ. ასევე გურ. პანტ-ვ-ა, პანტ-ავ-ს, თუმცა ბალსზემოური საანალიზო ლექსიკური ერთეულის სალიტერატურო ფორმისაგან სესხება უფრო სავარაუდოა).

ლი-პრწს-ე (ჩოლ.) 1. „წვრილად და სწრაფად თოვა“, 2. *გადატ.* „სწრაფად და სუფთად თიბვა“ < ქართ. {გა}-პარს-ვ-ა „სახელი გაპარსავს, გაიპარსება ზმნათა მოქმედებისა“ ფორმისაგან როგორც სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*ხმოვანთა სიგრძისა* და *მეტათეზისის*), ასევე *სემანტიკური ცვალებადობის* გზით.

სატყუ (ჩოლ.) < ქართ. *სეტყვა* „ატმოსფერული ნალექები, რომლებიც ყინულის პატარა მარცვლების სახით მოდის“ სიტყვისაგან *აუსლაუტის მოკვეცითა* და *ფუძისეულ ხმოვანთა მონაცვლეობით.*

სჷლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/*სჷლ* (ბქ., ლნტ.) „სივილი (ქარისა)“ < ქართ. *სისინ-ი* „ქარის, ნიავის და მისთ. ქროლის ხმა“ ლექსიკური ერთეულისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა გავლით.

უჭიატ (ლშხ.) „გადაუღებელი წვიმა (ზედმიწ. _ *უ-ჭიატ-ი ანუ *გა-მო-უ-ჭიატ-ებ-ელ-ი*)“ < ქართ. (ლეჩხ.) *უჭიატ-არ-ი* (< *ჭიატ-ი* „ღრუბლებიდან, ნისლიდან გამოშუქება მზისა“) „ხანგრძლივი წვიმიანობა“ ფორმისაგან *აუსლაუტის გამარტივებითა* და *სემანტიკური ცვალებადობით.*

ლი-ფჷლტ-ე (ჩოლ.) „ხვავრიელად, ფანტელებით თოვა (ზედმიწ. – **ფანტელ-ობ-ა*)“ < ქართ. ფანტელ-ი/ფანტელ-ა „თოვლის ფიფქი“ სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესით (*ხმოვანთა სიგრძის, მეტათეზისისა* და *ბგერათა დაკარგვის*) ნასესხები ძირი გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ელემენტებით.

ლი-ფინთლ-ჲუ-ი (ბქ.) „თოვა დიდი და ხშირი ფიფქებით (ზედმიწ. – **ფთილ-ვ-ა*)“ < სავარაუდოდ ქართ. ფთილა „გაჩეჩილი ან გაპენტილი მატყლი (ბამბა) ხელის გულის ოდენა..., – ფარო, ფარტენა“ ფორმისაგან, შდრ. ბზ. *ფითუ* „თოვლის ფთილა“.

ქისოტ (ჩოლ.) „მსუსხავი ქარი“ < ქართ. (მესხ.) *ქსიტ-ვ-ა* (ქარისა) „მსუსხავი ქარის ქროლა = ქარი ქსიტამს“ სიტყვისაგან მეტათეზისითა და ხმოვნის გაჩენით (?). სემანტიკური იდენტურობა აშკარად თვალსაჩინოა.

ქარჲფ (ზს., ლნტ.)/*ქრჲფ* (ბქ.)/*ქრაფ* (ლშხ., ჩოლ.)/*ქჳრაფ* (ჩოლ.)/*ქჳრფ* (ლხმ.) 1. ზს., ქს. „ქარაფი კლდე, ხრამი“, 2. ქს. „ნამქერი, თოვლის დიდი კედელი“, შდრ. ლხმ. *სარჲჭტი* < ქართ. ქარაფ-ი „კლდის ქიმი“ ფორმისაგან *უმლაუტისა* და *რედუქციის* მეშვეობით.

ქცეჲა (ჩოლ.) „წვიმა, ავდარი“ < ქართ. *{და}-ქცევა* „ნგრევა, შლა,

რღვევა; განადგურება...“ ლექსემისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით, შდრ. ასევე ჩოლ. ზმნისწინიანი *დაქცაუ̂* „ქცევა; ცუდი ამინდი“ < ქართ. *და-ქც-ევ-ა* „დანგრევა, დაშლა, დარღვევა“, *გადატ.* „განადგურება, ამოგდება, დანგრევა (ქვეყნისა, ოჯახისა...); დაღუპვა, წახდენა, გაუბედურება (ქვეყნისა)“ სიტყვისაგან *ფუძისეულ ხმოვანთა მონაცვლეობითა* და *აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცით.* შეფარდება სემანტიკურ დონეზე წ ვ ი მ ა / ა ვ დ ა რ ი ~ დ ა ქ ც ე ვ ა ბუნებრივია.

ყელობ (ჩოლ.) < ქართ. *ყელ-ობ-ა* „წვიმახშირობა“ (საბა) ლექსიკური ერთეულისაგან *აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცით.*

შმოთ (ჩოლ.) „ცუდი ამინდი“ < ქართ. (ლეჩხ.) *შმოთ-ი* „?“ ფორმისაგან ფონეტიკურად სრულიად უცვლელი სახით.

შხეფ (ლშხ., ჩოლ.) „შხაპუნა ხანმოკლე წვიმა“ < ქართ. *შხეფ-ი* 1. „სწრაფად გატყორცნილი სითხის ხშირი წვეთები, წინწკალი; წუწი“, 2. „შხაპი“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

შხიუ̂ (ჩოლ.) „თოვლიანი უფსკრული; დიდი ბზარი მყინვარში“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) *შხივ-ი* „მდინარიდან მონაბერი ცივი ქარი; ხრამიდან მომავალი ქარი; კლდოვანი ადგილი, სადაც მდინარე შხუილით გადმოდის და აქაფებულია, ჩანჩქერი, წყალვარდნილი...“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

ძანძა̈ხ (ზს., ლტ.)/*ძანძახ* (ლშხ., ჩოლ.) 1. „წვიმიანი, ნესტიანი (ამინდი)“, 2. „გადაუღებელი, ძლიერი წვიმა“ < ქართ. (ქართლ.) ძანძახ-ი „დიდი ტალახი, ჭყაპი“, შდრ. მესხ. *ძან-ძაღ-ი* „წვიმა და დიდი ტალახი“ ლექსემისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი* სახით, ასევე *უმლაუტის* მეშვეობითა და მინიმალური *სემანტიკური გადაწევით.*

ჭანჭახ (ჩოლ.) „თავსხმა წვიმა, რომელსაც თან ახლავს ჭექა-ქუხილი“ < ქართ. ჭანჭახ-ი „თხელი ტალახი, – ჭენჭეხი“ ფორმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

ჭუ̈ალ (ბქ.) „ავდრიანობა“ < ქართ. *ჭვალ-ი* „მჩხვლეტავი ტკივილები გვერდში (ან მკერდში)“.

ჭყლა̈პ (ბზ.)/*ჭყუ̈პ* (ლნტ., ჩოლ., უშგ.) „თოვლჭყაპი“ < ქართ. ჭყვაპ-ი/ჭყაპ-ი „გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორი“ (შდრ. ბქ. *ჟღლა̈პ*) სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობის, უმლაუტის*) გავლით და, ასევე, *ფონეტიკურად უცვლელი* სახით.

ჭყიპა (ჩოლ.) „თავსხმა წვიმა“ < ქართ. ჭყვაპ-ი/ჭყაპ-ი „გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორი“ ლექსიკური ერთეულისაგან ფონეტიკურ-სემანტიკურად ადაპტირებული ფორმით.

ლი-ჭხვნ-ჱლ (ბზ.)/*ლი-ჭხვნ-ალ* (ბქ.) „ჭექა, ქუხილი, ჭექა-ქუხილი“, *ლი-ჭგრხ-გნ-ი* (ბზ.) „ჭექა“, შდრ. ქართ. *ჭახან-ი* „გატეხვის, დაჯახების, თოფის გავარდნისა და მისთ. მკვეთრი ხმა“, აჭარ. *ჭახან-ი* {ამინდები} „ცუდი, უვარგისი ამინდები“. არ გამოვრიცხავთ სვანური საანალიზო ერთეულების, როგორც ხმაბაძვითი ფორმების, დამოუკიდებლად გაჩენას.

ჰაჟა (ზს.) < ქართ. ჰავა „კლიმატი“ ფორმისაგან *ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი* სახით.

ჰაჟდჱრ/ჰჱჟდჱრ (ბზ.)/*აჟდარ* (ლშხ., ჩოლ.)/*აჟდჱრ* (ლნტ.) „ცუდი ამინდი“ < ქართ. ავდარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“. განსახილველ ფონეტიკურ ვარიანტებში სვანურის ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები (*ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, უმლაუტი, სიგრძე...*) განხორციელებულა. ქვემოსვანურ დიალექტებში *ფონეტიკურად უცვლელი* სახითაც არის შეთვისებული. აქვე უნდა ითქვას, რომ სვანურში ქართული *ავდარ-* ძირისაგან ნაწარმოები არაერთი ფორმა დასტურდება, ესენია:

ჰაჟდრჲნ (უშგ.) < ქართ. *ავდრ-იან-ი* „წვიმიანი ამინდი“ სიტყვისაგან *ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვისა* და *უმლაუტის* საშუალებით; *ჰაჟდრიანობ/ჰჱჟდრიანობ* (ბზ.)/*აჟდრიანობ* (ლშხ.) < ქართ. *ავდარ-იან-ობ-ა* „ცუდი ამინდი, წვიმები“ ფორმისაგან *ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვისა* და *სიგრძის* განხორციელებით. ლაშხური ფორმა ფონეტიკურად უცვლელი სახითაა შეთვისებული; *ჰჱჟდრობ/ჰაჟდრობ* (ბზ.)/*აჟდრობ* (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/*აჟდარობ* (ლნტ.) < ქართ. *ავ-დრ-ობ-ა* (/*ავ-დრ-იან-ობ-ა*) „ცუდი ამინდი, წვიმები“ სიტყვებისაგან ხმოვანთა *ფშვინვიერი შემართვის, სიგრძისა* და *უმლაუტის* გზით. ლენტეხური, რომელიც სუსტი რედუქციით გამოირჩევა, წარმოგვიდგენს ქართულ სრულ ფუძეს *(აჟდარობ* < ქართ. **ავ-დარ-ობ-ა*); *ლი-ჰჱჟდრ-ე/ლი-ჰჱჟდრ-ე/ლი-ჰჱჟდჱრ* (ბზ.)/*ლი-აჟდარ/ლი-აჟდრ-ე* (ლშხ.)/*ლი-ჟდჱრ-ე* (უშგ.) < ქართ. გა-ავდრ-ებ-ა/*ავდრ-ობ-ა „ცუდი დარის დადგომა“, შდრ. ბქ. *ჩუ ლიმხე; მე-ჰჱჟდჱრ* (ბზ.)/*მე-აჟდარ{ი}* (ლნტ.) „კარგი ამინდის ნიშანი, ავდრის გამომწვევი (ზედმიწ. _ *მო-*ავდრ-ე*)“ < ქართ. ავ-დარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“ და სხვ.

შენიშვნა: ასევე საინტერესოა სვანური ენის დიალექტებში ძალზე გავრცელებული *ჰ̈ნდურ/ნაჰ̈ნდურ (ბზ.)/ჰ̈ნდურ/ნაჰ̈ნდურ (ბქ.)/ნაჲენდგრ* (ქს.) „სახურავიდან წვეთ-წვეთად მომდინარე ნაწვიმარი წყალი (ზედმიწ. – ნა-ავდრ-ალ-ი)“; *ლიჰანდ{უ}რე/ლიჰენდ{უ}რე (ბზ.)/ლიჰ̈ნდურე (ზს.)/ლიჰ̈ნდური/ლიჰადური (ბქ.)/ლიჲენდრე (ქს.)/ლიენდრე* (ლშხ., ჩოლ.) „წვეთება სახურავიდან (თოვლის ნადნობისა, წვიმისა)“, *ზედმიწ. – *ა-ვდრ-ობ-ა...* ფორმებიც...

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ-ზანურის გზით შეთვისებული არაერთი მეტეოროლოგიური მოვლენის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული დასტურდება სვანურში, რომელთაც სესხებისას სხვადასხვა სახის ფონეტიკური და სემანტიკური ცვალებადობა განუცდიათ.

ბ) *ქართულ-მეგრულის გზით* (*სპარსულიდან, ოსურიდან, ებრაულიდან, ბერძნულიდან...*) *შეთვისებული ლექსიკური ერთეულები:*

ლი-ზთქ-ენ-ე (ჩოლ.) „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – **ზათქ-უნ-ი*)“ < ქართ. *ზათქ-ი* (< სპარს. zatak) „ძლიერი ხმა (ხმაური)“ ფორმისაგან. ჩოლურულ მეტყველებაში გამოვლენილი მასდარული ფორმა, რომელშიც *-ზთქ-* ძირი გამოიყოფა, შედარებით ახალი ნასესხობა ჩანს ქართული *ზათქ-ი* სიტყვისაგან ძირეული ხმოვნის რედუქციით. ქართულ *ზათქს* არ მოეპოვება მასდარული და მიმღეობური ფორმები, მიზეზიც გასაგებია, საენათეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისების მიხედვით (იმედაძე 2014:80-81; ანდრონიკაშვილი 1996:96), იგი ითვლება სპარსულიდან მომდინარედ, თუმცა სიტყვის წარმომავლობისა და სპარსულის გზით შემოსვლის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ მეცნიერთა შორის.

მეხ (ზს., ქს.)/*მგხ* (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. მეხ-ი (< ოს. meγ, შდრ. miğ/meğ – ğ > x სიტყვის ბოლოს) „ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვა დედამიწაზე“ სიტყვისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი*, ასევე *ფონეტიკურად სახეცვლილი* ფორმით. სვანურის ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში რედუცირებულ (*მგხ*) ფუძეს სემანტიკური ტრანსფორმაციაც განუცდია და „ცუდი ამინდის“ მნიშვნელობა მიუღია. ბუნებრივია, აქვე უნდა განვიხილოთ მასდარული ფორმა – ლი-*მხ*-ე (ბქ.) „გაავდრება (ზედმიწ. – *გა-*მეხ*-ებ-ა)“, რომელიც ასევე ქართ. მეხ-ი’საგან არის ნაწარმოები (შდრ. ასევე მგ-*მხ*-ე (ბქ.) „ავდრის გამომწვევი პიროვნება, რომელიც საფასურად გასამრჯელოს იღებდა

(ზედმიწ. – *გა-მ-*მეხ*-ებ-ელ-ი)“ და გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.

როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიურად, ასევე ეთნოგრაფიულად საინტერესო ფორმაა *ჲელია/ელჲა* (ზს., ლნტ.)/*ჲელი* (ზს., ქს.)/*ჲელ/ელ/ელჲა̈* (ბზ.)/*ელი̈* (ბქ., ლნტ.)/*ჲელია* (ლშხ., ჩოლ.) „ამინდის ღვთაება, ღვთაება ავდრიანობისა“ < ქართ. {წმინდა} ელია (< ძვ. ებრ. eliyahu „ღმერთ-ი – სიმაგრე ჩემი“) „ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინასწარმეტყველი“ ანთროპონიმისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესების (*იოტაციის, უმლაუტისა* და *აუსლაუტის გამარტივების*) გავლით. ელია წინასწარმეტყველის სახელთან არის ასევე დაკავშირებული სვანეთში დღემდე ცოცხალი რელიგიური დღესასწაული: *ჲ-ელჲ-ობ* (ბზ.)/*ჲ-ელი-ობ* (ბქ., ქს.)/*ჲ-ელ-ობ/ელ-ობ* (ბქ.) „ამინდის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი დღეობა“ < ქართ. ელია-ობ-ა (< {წმინდა} ელია) და გაფორმებულია სვანური ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური აფიქსებით (საღლიანი 2016:405).

ტარჷეს (ზს., ლნტ.)/*ტარეს* (ზს., ჩოლ.)/*ტარესჷ* (ბზ., ჩოლ.)/*ტაროს/ტაროც* (ლშხ.)/*ტარჷს* (ბზ., ლნტ.)/*ტარჷეც* (ჩოლ., უშგ.)/*ტარისჷ* (უშგ.) 1. „ამინდი“, 2. „გუნება, განწყობილება, ჯანმრთელობა; ბედი“ < ძვ. ქართ., გურ., იმერ. ტაროს-ი (< ბერძ. *ταρωεζ*) „ამინდი“ ფორმისაგან სვანური ენისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (*პალატალიზაცია-დეპალატალიზაციის, აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის, მეტათეზის-ის*...) განხორციელებით.

ტურსინა/ტურსინა (ჩოლ.) „თოვლიანი, ქარიანი ამინდი; ქარბუქი“ < სავარაუდოდ რუს. торос „ყინულის უზარმაზარი თოში, რომელიც წარმოიქმნება ყინულების შეჯგუფების შედეგად ჩრდილოეთის ზღვებში, ტბებსა და მდინარეებში; ხორგი“, თუმცა დარწმუნებული არ ვართ!

გ) *ადიღეურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები:* სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, დიდი ხანია გამახვილებულია ყურადღება სვანურში აფხაზურ-ადიღური ენებიდან შესულ ლექსიკაზე (ს. ჯანაშია, გ. როგავა, ვ. შენგელია, მ. ბუკია, მ. საღლიანი...).გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ს. ჯანაშია სვანური ენის ლექსიკურ ფონდში ქართველურ-ადიღეური საერთო ელემენტების გარდა, მთელ ჩერქეზულ ფენას გამოყოფდა (ჯანაშია 1959:85). მისი აზრით, ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა,

რომ ამ ქართველურს და, ზოგადქართველურის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო ენას რომელიღაც ისტორიულ პერიოდში მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან (ჯანაშია 1959:86). საყურადღებოა ისიც, რომ სვანურში, გარდა ჩერქეზულისა, აფხაზურთან საერთო ლექსიკაც დასტურდება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ურთიერთობის ფაქტებს სამ კატეგორიად აჯგუფებდნენ: 1. საერთო ელემენტები, 2. გავლენები ქართველური ენებისა ჩერქეზულზე და 3. გავლენები ჩერქეზული ენებისა ქართველურზე (ჯანაშია 1959:85).

ვინაიდან ამჯერად მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ძირ-ფუძეების შესახებ გვაქვს მსჯელობა, წარმოგიდგენთ ადიღეურიდან სვანურში შეთვისებულ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს:

მუს{უ} (ზს., ქს.), შდრ. ზს. *შდუუე,* ბქ., ლშხ., ჩოლ. *შდუე,* ლნტ. *შტუე* „თოვს“ < ადიღ. *ჷპჸსჷ* „თოვლი“ (შდრ. ყაბარდ. *ჷპჸს,* აბაზ. *სჷ,* აფხ. *ა-სჷ*).

სვანურ-აფხაზურ ენებში თოვლის აღმნიშვნელი საერთო სიტყვის ქონებაზე ჯერ კიდევ ნ. მარი და პ. ჭარაია მიუთითებდნენ. ამ ფაქტის არსებობამ კი ნ. მარს დაანახვა აფხაზური ფენის მემკვიდრეობა სვანურში და, ასევე, მანვე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ „თოვნა“ ზმნისათვის სვანურში გამოყენებულია ქართველური ძირი „შდვ“ (მარი 1912:28), თუმცა აფხაზური თოვლის აღმნიშვნელი სიტყვის („*სჷ*“) შედგენილობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ს. ჯანაშიას სვანური ფუძე ჩერქეზულიდან შეთვისებულად მიაჩნდა (1959:106). *მუს-* ძირისაგან არის ასევე ნაწარმოები ბზ. *ნა-მუს* და ჩოლ. *ნა-მუს-რ-ან* „ნათოვლი/თოვლნადები“ ფორმები.

უჩხე/უჩხა (ზს., ქს.)/*ჷუჩხე* (ბქ.) < ადიღ. *ჷპჸშხ/ჷპასხჷ* „წვიმა“ (შდრ. ყაბარდ. *ჷპჸშხ*).

სვანური საანალიზო ფორმა, ს. ჯანაშიას აზრით, ჩერქეზულიდან უნდა იყოს მთლიანად შეთვისებული ისევე, როგორც *მუს* „თოვლი“ (იქვე:107). ჩერქეზულის გზით დამკვიდრებული ძირ-ფუძისაგან კი არაერთი ფორმაა ნაწარმოები სვანურში, მაგ.: ბქ., ლნტ. *ლი-ჷჩხ-ე/ლი-ჷჩხ-ე* „წვიმა (ზედმიწ. – გაწვიმება)“; *უ-ჩხ-არ-ოჱ* (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/*უ-ჩხ-არ-ოჱ* (ბქ., ლნტ.) „წვიმიანობა“; *ნა-უჩხ* (ზს., ლნტ.) „ნაწვიმარი“ და ა. შ., რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სვანურმა ადიღეური ფორმა გაითავისა და საკუთარ მორფოლოგიურ ყალიბში მოაქცია.

ჷოლ (ბზ., ქს.)/*ჷოლუ* (ლნტ.) „მყინვარი“ < ადიღ. (როგავა 1966).

2. *საერთოქართველური მეტეოროლოგიური მოვლენების აღმსახველი ლექსიკური ერთეულები,* რომელთაც ფუძეენასთან დაშორების კვალდაკვალ სხვადასხვა სახის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაცია განუცდიათ სვანურში და კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობები მოუციათ, ესენია:

ბინტჷ (ზს.) < ს.-ქართვ. **ბუნდ-* „ნისლი, ბინდი, ბურუსი“ არქეტიპისაგან.

სპეციალურ ლიტერატურაში სვან. *ბინტჷ/ბუნტ* „ნისლი, ბურუსი“ : ქართ. *ბუნდ-ი, ბუნდ-ოვ-ან-ი, ბინდ-ბუნდ-ი*, მთიულ. *ბუნდ-ი* „მუქი ფერისა“ ფორმათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. **ბუნდ-* „ნისლი, ბინდი“ (ჩუხუა 2000-2003:68-69). როგორც მ. ჩუხუა მიუთითებს, „სვანურში *ნდ → ნტ* გადასვლა განხორციელდა ქ. ლომთათიძის წესის მიხედვით (მჟღერ ხშულთა გამკვეთრება სონანტებთან მეზობლობაში)“ და როგორც ვარაუდობს, სვანურშიც ისტორიულად ქართული *ბუნდ-* ტიპის ფუძე უნდა გვქონოდა, საიდანაც **ბუ̈ნდ → *ბუ̈ინდ → *ბინდჷ* საფეხურების გავლით განვითარდა თანამედროვე *ბინტჷ/ბუნტ* ფორმა (იქვე).

ბურდან (ბქ.)/ბურტინა (უშგ.) „თოვლიანი ქარბუქი“, შდრ. ქართ. (იმერხ.) ფურთუნა „ქარიშხალი“.

ადვილი შესაძლებელია საანალიზო ძირ-ფუძეთა საერთოქართველურ დონეზე აღდგენა: ქართ. *ფურთ- ფურთ-ულ-ა* „ქარიშხალი“ : ბქ. *ბურდ-*ან, უშგ. *ბურტ-*ინ-ა „თოვლიანი ქარბუქი“. ქართ. ფურთ-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. *ბურდ-/ბურტ-. ფ → ბ* პროცესი დამახასიათებელია სვანურისათვის (მაგ., შდრ. *ლი-ბუ̈რთ-ა̈ლ/ლი-ბურთ-ა̈ლ/ლი-ბულთ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-ბურთ-ალ/ლი-ფურთ-ა̈ლ/ლი-ფურთ-ალ (ბქ.)/ლი-ბუ̈ლთ-ა̈ლ (ბზ., ლშხ.)/ლი-ბულთ-ან-ა̈ლ/ლი-ბუ̈ლთ-ან-ა̈ლ (ლშხ.)/ლი-ფურთ-ელ* (ლხმ.)*ხლმ.* < ქართ. *ბურთ-ა-ობ-ა* „ბურთის თამაში“, თუმცა სესხებასაც არ გამოვრიცხავთ).

მეჯა̈რ (ზს., ლნტ.)/*მეჯუ̈არ* (ბქ.)/*მეჯარ* (ლშხ.) „გაყინული თოვლი/ყინული“ < ს.-ქართვ. **ზარ-/*მ-ზარ-* „ყინვა“ არქეტიპისაგან.

სვან. *მეჯა̈რ* (ზს., ლნტ.)/*მეჯუ̈არ* (ბქ.)/*მეჯარ* (ლშხ.) „გაყინული თოვლი, ყინული“ : ქართ. *ზარ-/ზრ-, მ-ზრ-ალ-ი, მზარ-ი* „ეწოდება, თუცა შემბალი თოვლი შეყინა“ (საბა) : ზან. (მეგრ.) *გჟგრ-* → || *გჟირ-*აფ-ა „დაზრობა“, *გჟგრ-* || *გჟირ-*აფ-ილ-ი „დამზრალი“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში

აღდგენილია საერთოქართველური *ზარ- || *მ-ზარ- „ყინვა“ არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:153), შდრ. ასევე სვან. ლი-*მჯერ*-ი „გაყინვა“, ლგ-*მჯერ*-ე „გაყინული“ და ა. შ.

მე̄-*ფხ*-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/მე-*ფხ*-ე (ბქ., ლნტ.) „მოწმენდილი ცა; ცის კამარა“ < ს.-ქართვ. **ფხ*- / *მე-*ფხ*-ე- არქეტიპისაგან.

სვან. *ფხ- მე̄-ფხ-ე* (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/*მე-ფხ-ე* (ბქ., ლნტ.) „მოწმენდილი ცა; ცის კამარა“, *ი-მე-ფხ-ა̈ლ* „იდარებს“, *ი-მა̈-ფხ-ა̈ლ-და* „იდარებდა“; *ქ’-ა̈დ-მე-ფხ-ა̈ნ* „გამოიდარა“, შდრ. ასევე: ბზ. *ლი-მე̄-ფხ-ა̈ლ,* ბქ. *ლი-მე-ფხ-ალ* „გამოდარება“ : ლაზ. *ფხ-* მა-*ფხ*-ა „მოწმენდილი ცა; მზიანი; ნათელი დღე“; წა-მა-*ფხ*-ა „წყარო“ ფორმათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენისათვის აღდგენილია **ფხ*- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:480), ხოლო გ. კლიმოვის მიერ *მე-*ფხ*-ე- არქეტიპი (შდრ. ძვ. ქართ. ნეფხუვა „სიცივე, ყინვა, თოში, თრთვილი“).

ლი-*რხ*-უნ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-*რხ*-გნ-ალ/ა̈ლ (ბქ.)/ლი-*რხ*-გნ-ა̈ლ (ლშხ., ჩოლ.) „ჭექა-ქუხილი/გრუხუნი“ < ს.-ქართვ. **რახ*-.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-სვანურ (შდრ. ქართ. *რახ- რახ*-უნ-ი; *რახ-რახ*-ი : სვან. *რხ-* ლი-*რხ*-უნ-ე „ჭექა-ქუხილი“; ლი-*რხ*-უნ-ალ-ი *ხლმ.* „ჭექა-ქუხილი“) სათანადო ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. **რახ*- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:379), თუმცა, ჩვენი აზრით, აქ უფრო სესხებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე შესატყვისობასთან.

ქჳსა (ბზ., ჩოლ.)/*ქჳსა* (ბზ.)/*ქჳსე* (ბქ.)/*ქჳრსრ̄ნა* (ბზ.), შდრ. ბქ. *ქჳქ* „თოვლის ფიფქი, მშრალი თოვლი; ქარბუქი“ < ს.-ქართვ. **ქირს-, *ქირს-ლ-* „თოვა, წვრილ-წვრილი ფიფქი“ არქეტიპისაგან.

სვან. *ქჳსა* (ბზ., ჩოლ.)/*ქჳსა* (ბზ.)/*ქჳსე* (ბქ.)/*ქჳრსრ̄ნა* (ბზ.), შდრ. ბქ. *ქჳქ* „თოვლის ფიფქი, მშრალი თოვლი; ქარბუქი“ : ქართ. (ფშ.) *ქირსლ-*, მთიულ. *ქირსლ-ი* „ქერტლი“, *ქირსლ-ი, ქირსლ-*ავ-ს „წვრილ-წვრილად თოვა“ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია საერთოქართველური **ქირს-*, **ქირს-ლ-* „თოვა, წვრილ-წვრილი ფიფქი“ (ჩუხუა 2000-2003:261).

ლი-შდუ̆ე/შდუ̆ა (ბზ.)/ლი-*შდუ*-ე (ბქ., ლშხ.)/ლი-*შტუ*-ე (ლნტ.) „თოვა“ < ს.-ქართვ. **თოუ̆*- არქეტიპისაგან.

სვან. *შდუ̆- ლი-შდუ̆-ე/შდუ̆-ა* (ბზ.)/ლი-*შდუ*-ე (ბქ., ლშხ.)/ლი-*შტუ*-ე (ლნტ.) „თოვა“... : ქართ. *თოვ- თოვ*-ს; *თოვ*-ა; *თოვ*-ლ-ი... : ლაზ. *მთვ-/მთ- მთ*-უფ-ს „თოვს“; ო-*მთ*-უ „თოვა“, *მთვ*-ა-ს „გათოვდება“; დო-*მთ*-უ „გათოვდა“; გი-ო-*თუნ*-ს „ათოვს“... ფორმათა შე-

დარება-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღდგენილია რეკონსტრუირებული **თოუ̯-* არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:238). შდრ. ასევე *შდუუ̯-* ძირისაგან ნაწარმოები შემდეგი ფორმები: ზს. ნა-*შდუუ̯* „ნათოვლარი“, ზს. ლუ-*შდუ-ე* „ჩამოთოვლილი“.

ჟღერ (ლშხ.)/*ძღარ/ზღარ* (ჩოლ.) „თქეში, თავსხმა, კოკისპირული წვიმა“, შდრ. ასევე გურ. ლე-ზღმ-ა/ლე-ზღვ-ა.

სვან. *ჟღერ* ძირის შესატყვისად სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ქართ. (იმერ.) *ზღველ-ა* „დიდი კოკისპირული წვიმა“ და ზან. (მეგრ.) *ზღვარ-ზღვალ-ი* „კოკისპირული წვიმა“. ფუძეთა რეკონსტრუქციის შედეგად კი ს.-ქართვ. ფუძეენის დონეზე აღდგენილია *ზღველ- „დიდი წვიმა“ არქეტიპი, რომელიც → ქართ. ზღველ-ა : ზან. ზღვარ-ზღვალ-ი (← **ჟღვარ-ჟღვალ-ი*) : სვან. *ჟღერ* ← **ჟღუ̯ელ-*. როგორც მ. ჩუხუა ვარაუდობს, სვანურ ფუძეში დაკარგულია *უ̯* სონანტი *(ჟღუ̯ერ → ჟღერ), ლ/რ* სონორთა მონაცვლეობა კი ხშირი მოვლენაა. რაც შეეხება ლეჩხუმურ დიალექტში დადასტურებულ *ჟღერ-ი* „დიდი წვიმა“ ფორმას, მას სვანიზმად განიხილავს. ზანური გაორკეცებული ფუძის *ზღ* კომპლექსი, ავტორის ვარაუდით, მიღებულია ისტორიული *ჟღ* კომპლესისაგან (ჩუხუა 2000-2003:186).

ვფიქრობთ, აქვე შემოვა სვან. (ჩოლ.) *ძღარ/ზღარ* „თქეში, თავსხმა, კოკისპირული წვიმა“ ფუძეც, რომელიც, შესაძლოა, უფრო მოგვიანებით შეითვისა სვანურმა მეგრულისაგან (შდრ. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტის პირველი შემადგენელი კომპონენტი *ზღვარ-*) და შემდეგ აფრიკატიზაციით მივიღეთ *ძღარ* ფუძე.

ჟღ{ე}ლა̈̆ (ზს.)/ჟღა̈̆ (ბქ.) „თოვლჭყაპი“ : ქართ. გურ. ჟღვიპ-ი „გამუდმებული ნისლიან-წვიმიანი, ნესტიანი ამინდი“ შესატყვისობათა იდენტურობა ფონემათა ამ რიგში დასაშვებია ქართ. *ჟღ* : სვან. *ჟღ,* რაც შეეხება ძირეულ *ა̈̆*ს, პროცესი ასე უნდა წარმართულიყო: ქართ. *ი* → *ე* || *ა̈̆*. ზემოსვანურ ფორმაში დაჩნდება ასევე *ლ* სონორი, რომლის ჩართვაც სვანურში ხშირი მოვლენაა.

3. *საკუთრივ სვანური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულები.* მეტეოროლოგიური ლექსიკური ერთეულების სინქრონიულ-დიაქრონიული თვალსაზრისით განხილვამ აჩვენა, რომ უცხო ენებიდან შეთვისებულ და ამასთანავე საერთოქართველურ მასალას სჭარბობს საკუთრივ სვანური მასალა, რომელთა სრულყოფილი ეტიმოლოგიზაცია ჯერჯერობით მაინც შეუძლებელია

სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი ფუძეების არქონის გამო. ეს ლექსიკური ერთეულებია: *აბ* (ჩოლ.) „ცუდი ამინდი“; *ა̈თუ* (ზს.)/*ათუ̈ი* (ლშხ., ჩოლ.)/*ა̈თუ̈ი* (ლნტ.) 1. „ცხელი“, 2. „სიცხე“; *ნა̈ჲთუ̈ი* (ზს.) „სიცხე“; *ა̈თუ̈ჱროგ/ა̈თუჱროგ* (ბზ.)/*ა̈თუ̈არობ/ა̈თუაროგ* (ბქ.)/*ათუ̈იჱროგ* (ლშხ.)/*ა̈თუ̈იაროგ* (ლნტ.)/*ათუ̈იერუ* (ჩოლ.) „სიცხიანობა, სიცხე, გვალვა“...; *გაგა* (ჩოლ.) „ქვენა ქარი (კალოზე მარცვლის გასანიავებელი)“; *ლი-გა̈გ-ე* (ჩოლ.) „ხვავრიელად თოვა“, შდრ. ბქ. *ლი-გა̈გ-ი* „მიმობნევა, მიმოფანტვა“; *გარძუ̈ა* (ჩოლ.) „ქარიშხალი“; *გერა̈მ* (ლხმ.) „ნამქერი“; *დინდგუ̈ილ* (უშგ.) „ნისლი, ბურუსი“; *თათქ* (ჩოლ.) „მცირე თოვლი“; *თართხუ̈ლა* (ზს., ჩოლ.) „თოვლნარევი წვიმა“; *ლი-თართხუ̈ლ-ე* (ზს., ჩოლ.) „თოვა წვიმანარევი ფანტელებით“ (შდრ. ქართ. (იმ., გურ.) ამო-თართხვ-ლ-ა/ამო-თითხვ-ნ-ა, მოხ. ამო-თართვ-ლ-ა...), შდრ. ასევე ქართ. თერხვ-ი „ზეფიროსისა და ჭალიკონის საშუალ ქარი“ (საბა), ქართლ. „ქარი“ (ჩუხუა, გვ. 212; *თხარსკ* (ბქ.) „სეტყვა“; *თხუ̈ალშაპ* (ჩოლ.) „თოვლჭყაპი“; *კუ̈არემ* (ზს., ლშხ.)/*კუ̈არემ* (ლნტ.) „ყინული“; *კუ̈არმაროგ* (ბქ.)/*კუ̈არმოგ* (ჩოლ.) „ყინვა“; *მადჳრა* (ბზ.) 1. „საავდროდ გამზადებული ღრუბლები“, 2. „ძლიერი (ქარიანი) წვიმა“; *მაოტა* (უშგ.) „ქარიშხალი“ (ფორმით ქართულს ჰგავს, მაგ., მაოტი/მაოტებელი „გამაქცეველი, განმდევნელი“); *მგღირ* (ჩოლ.) „ოდნავ დარი, მოწმენდილი“; *ლი-პინსლ-ა̈უ̈-ი* (ბქ.) „წვრილი ფიფქებით თოვა“; *პისუ̈* (ზს.)/*პის* (ბქ., ლნტ.)/*პჳს* (ლშხ.) 1. „წვრილი თოვლი“, 2. „მტვერი“; *რაპა̈ტ* (ბზ.)/*რაპატ* (ლშხ.)/*რა̈ფ* (ბქ.) „ზვავისა და ქარისაგან ერთად თავმოყრილი თოვლი; ნამქერი, ლავგარდანი“; *სკარხალ* (ბზ., ქს.) „სეტყვა“; *ტრრა* (ჩოლ.) „ქარბუქი (თოვლიანი)“; *ტყურაფ* (ჩოლ.) „სითბოსაგან გამდნარი თოვლი“; *უშუმ* (ბზ.) „ქარი (მთისა, რაღაც სუნის მომტანი)“; *უ̈ეკ* (ლხმ.) „ნისლი; ბუღი“; *ლი-ფიმფლ-აუ̈-ა̈ლ-ი* (ლშხ.) *ხლმ.* „ოდნავ, მცირე ფიფქებით თოვა“; *ლი-ფიმფრს-ე* (ჩოლ.) „მშრალად თოვა“; *ფირფრც* (ლშხ.) „თოვლის ფიფქი“ (შდრ. ქართ. (ლეჩხ.) ფირფიც-ი „იგივეა, რაც ტივტივი, – რაიმე საგნის, სხეულის მოგდება სითხის ზედაპირზე და ცურვა“); *ლი-ფრმფლ-ე̄უ̈-ი* (ლშხ.) „ოდნავ, მცირე ფიფქებით თოვა“; *ფოხ* (ლშხ.) „ნათოვლარი ადგილი“; *ქლა̈უ̈* (ბზ.)/*ქნა̈უ̈* (ბქ.)/*ქლაუ̈* (ლშხ.) „ნიავი“, გადატ. ბზ. *ქლა̈უ̈ ხოდახ* „ნიავმა დაჰკრა, გაცივდა (ზედმიწ. – ნიავი მოერტყა)“; *ყაფნაროგ* (ბქ.)/*ყაფრა̈ნოგ* (ჩოლ.) „სიცხიანობა; პაპანაქება“; *ყაყჩრ/ყაჩა̈რ* (ბზ.)/*ყაჩა{ნ}* (ბქ.)/*ყაყაჩ* (ჩოლ.) „სიცხე, პაპანაქება“; *შიშგარა* (ბქ., ქს.) „ჟუჟუნა წვიმა“; *ჩუ̈ბრა* (ბზ., ლშხ.)/*ჩუ̈ბრა* (ბქ.) „ქვენა ქარი“; ლი-*ძარძღულ*-ე (ჩოლ.) 1. „წვიმანარევი თოვა“, 2. „ცრა, ჟინჟღვლა“; ლი-*ძეძრ*-ე (ჩოლ.) „წვრი-

ლად წვიმა“; ლი-*ძღრგნ*-ე (ბზ.) „ჟინჟღვლა“; *წარდ* (ჩოლ.) „ცუდი ამინდი“; *წიფხჳარა* (ბზ., ლშხ.)/*წიფხარა* (ბქ., ლნტ.) „ცრა (წვიმისა)“, შდრ. ასევე: ლი-*წიფხჳრ*-ე (ბზ., ლშხ.)/ლი-*წიფხარ*-ე (ბქ., ლნტ.) „ცრა (წვიმისა), ჟინჟღვლა“; ნა-*წიფხჳრ* (ბზ., ლშხ.)/ნა-*წიფხარ* (ბქ., ლნტ.) „ოდნავ ნაწვიმარი, ნაჟინჟღლი“...; *ლი-წრჳნწ*-ე (ჩოლ.) „ძლიერი თოვა“; *ჭალანჭყ* (ჩოლ.) „წვიმიან-ტალახიანი ამინდი“, შდრ. ზ.-აჭ., ხევს. *ჭან-ჭახ*-ი „ჭაობი“, ფშ. *ჭან-ჭახ*-იან-ი „ძლიერ დასველებული, გა-ლუმპული“, გურ., აჭარ. *ჭონ-ჭყო* „ჭაობიანი, წყლიანი ადგილი“ (მიუხედავად ქართულ-სვან-ურ ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკური მსგავსებისა, ვფიქრობთ, ჩოლურული საანალი-ზო ლექსიკური ერთეული უნდა განვიხილოთ, როგორც საკუთრივ სვანური ფორმა); ლი-*ჯუჽნ*-ე (ბზ.) „ძლიერ თოვა“, შდრ. ბქ. ლი-*ჯუიჲნ*-ე (ბქ.) „სითხის ბარაქიანად დასხმა“ და ა. შ.

4. ცალკე გამოვყავით *მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ჰიბრიდული ლექსიკური ერთეულები,* სადაც შესიტყვების ერთერთი კომპონენტი ნასესხებია, მეორე კომპონენტი კი _ საერთოქართველური ან საკუთრივ სვანური, მაგ.:

ბიქუბრჳრია (ლშხ., ჩოლ.) „ქარბორია (ზედმიწ. – *ბუქ-ი ბორია*), იგივეა, რაც ბორიო“ < ს.-ქართვ. *ბუქ-ი „ქარი, ქარიანი თოვლი“ და < ძვ. ქართ. *ბორია-*{ი} „ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ“ (შდრ. ახ. ქართ. ბორიო „ცივი ძლიერი ქარი ჩრდილოეთისა“) სიტყვისაგან ხმოვანთა სიგრძის მეშვეობით.

გუალუჳროგ (ბზ.)/*გუალუაროგ* (ბქ.) „გვალვის პერიოდი, გვალვიანობა (ზედმიწ. _ *გვალვ-ებ-ობ-ა*)“ *ხლმ.* < ქართ. *გვალვ-ა* „ხანგრძლივი უწვიმობითა და სიცხით გამოწვეული ნიადაგის სიმშრალე“. ქართულის გზით შეთვისებულ *გუალუ-ჳრ-ობ/გუალუ-არ-ობ* ფორმაში ქართულიდან ნასესხებ ძირსა (*გუალუ-*) და ასევე ქართულ *-ობ* სუფიქსს შორის ჩართულია სვანური მრავლობითობის *-ჳრ/-არ* სუფიქსი. *-ჳრ* სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია მორფემათა ზღვარზე ხმოვანთა შერწყმის შედეგად, რაც დასტურდება გრძელხმოვნიან დიალექტებში. ბალსქვემოურში, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ხმოვანი უკვალოდ იკარგება (იხ. *გუჳლი*).

ქჳრმჳფხ (ბზ., ლნტ.)/*ქარმეფხ* (ლშხ.) „ღრუბლებით სანახევროდ დაფარული ცა (ქარ-დარი); მეჩხერღრუბლიანი ცა (ზედმიწ. – **ქარ*-მე-*ფხ*-ე)“.

საანალიზო ლექსიკური ერთეული, ცხადია, ჰიბრიდული კომპოზიტია (*ქჳრ* + *მჳფხ*//*ქარ* + *მეფხ*), რომლის პირველი კომპონენტი ბზ., ლნტ. *ქჳრ* < ქართ. ქარ-ი'საგან *პალატალური უმლაუტის* საშუალებით, ლშხ. *ქარ* < ქართ. ქარ-ი'საგან *ფონეტიკურად უცვლელი* სახით, ხოლო მეორე კომპონენტი *მჳფხ/მეფხ* საერთოქართველურია (იხ. მე-*ფხ*-ე);

ყჳმი (ბზ.) „უნისლო, უწვიმო ამინდი მოწმენდილი ცით"; *სჳმი-ყჳმი* (ბზ., ლშხ.)/*სჳმი-ყჳმი* (ჩოლ.)/*სჳმი-ყჳმი* (ლნტ.) „თბილი და წყნარი ამინდი", შდრ. გადატ. ფორმით გამოყენებული ზმნისართული *სჳმი-ყჳმი*-დ „დამშვიდებულად, დაწყნარებულად"; *ლი-ყჳმ-ე* (ბზ., ჩოლ.) „წვიმის გადაღება, გამოდარება"; {ქა} *ლჳ-ყჳმ-ე* (ბზ.) „გადაღებული წვიმა". სვანური *ყჳმი/ყჳმი* შესაძლოა დავუკავშიროთ ქართულ, კერძოდ რაჭულ-იმერულ ყუმ-ი'ს, რომელსაც აქვს სიჩუმის სემანტიკა, თუმცა მისი ახსნა უფრო შესაძლებელია სვანურისავე ნიადაგზე, შდრ. მაგ., ზს. ლი-*ყმ*-ე „ხრჩობა, დახრჩობა", ზმნის პირიანი ფორმა (ჩოლ.) ქ'ე*დ-ყჳმ-ჳნ* „გადაიღო წვიმამ, გამოიდარა" თითქოს ამ ფორმიდან მომდინარეობას უჭერს მხარს, თუმცა მაინც საეჭვოა და დამატებით კვლევას საჭიროებს. რაც შეეხება *სჳმი-ყჳმი*/*სჳმი-ყჳმი*/*სჳმი-ყჳმი* ფორმის პირველ შემადგენელ კომპონენტსა და მისგან ნაწარმოებ მასდარულ და მიმღეობურ ფორმებს (შდრ.: ბქ. *ლი-სჳმ-ე,* ჩოლ. *ლი-ლ-ცჳმ-ე* „წვიმისაგან თავის შეფარება", ბზ. ლა-*სრმ,* ბქ. *ლა-სიმ*/*ლა-სჳმ,* ლშხ.-ლნტ. ლა-ლ-*ცჳმ* „თავშესაფარი წვიმისას" და ა. შ.), მათ შესახებ მსჯელობა წარმოდგენილი გვაქვს ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში _ „აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის პროცესები ჩოლურულ მეტყველებაში" (იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLV, თბ., 2017). როგორც საანალიზო ლექსიკურ ერთეულზე დაკვირვებამ ცხადყო, მას შესატყვისები არ ეძებნება სხვა ქართველურ ენებში. აქ ყურადღებას იქცევს ქვემოსვანურ დიალექტებში დადასტურებული ც თანხმოვნის შემცველი ფუძეები. როგორც თავის დროზე განვაცხადეთ, აქ ადგილი აქვს აფრიკატიზაციას იმ შემთხვევაში, თუკი ზემოსვანურ *ლა-სრმ*/*ლა-სიმ*/*ლა-სჳმ-ს* დავუკავშირებთ აჭარულ *სემსე* „ქოლგა" და ხევს. *სიმურ*-ი „წყალი ხატის ენაზე" ფორმებს, თუმცა ხევსურულ ფორმასთან სვანური ლექსემის დაკავშირება ნაკლებ სავარაუდოა სემანტიკიდან გამომდინარე, უფრო სარწმუნოა აჭარულ ფორმასთან მისი დაკავშირება, რომელიც თურქულიდან ნასესხებად ითვლება. აფრიკატიზებული *ლი-ლ-ცჳმ-ე* და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები დადასტურდა ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მასალებშიც. ძირითადი მნიშვნელობის (წვიმისაგან თავშესაფარი)

გარდა, აღნიშნულ ლექსემას აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: ეშ *მალცგმა ლირჟჱლ ი ლაგჟანთე ლრჱზი* (მივლ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 71 წლისა) „ძალიან მაწუხებს/მადარდებს ხვალინდელი დღის გათენება და გასვენებაში წასვლა („ისე მაწუხია თენება და სატირალ{ის}კენ სვლა“)“... (2017:161). შდრ. ასევე ლშხ. *ლი-სჳლ-ყჳმ-ე,* მაგ.: ეჩანღო აჟდარს ლოქ იჩო ეჯკალიბს, ერე დეცე ნაკჟიშ ლოქ გიმდ ანღრჱნი, მარა ჩუ ლოქ *ნოსჯჟ ესჳლყჳმეხ* (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 82:2) „შემდეგ ისე გაავდრდებაო, რომ ქვეყანას წალეკავსო, მაგრამ თავი არაფერს შეაფაროთო (ზედმიწ. – მერე *ავ-დარ-ს-ო* იქმს იმ-*ყალიბ*-ს, რომ *ც*-ი{ს} ნატეხიო მიწად მოდიოდეს, მაგრამ *ნუ*-მცა-ო შეაფარებთ თავს წვიმისაგან)“...

ზოგადი დასკვნები:

1. წინამდებარე გამოკვლევაში სათანადო რელევანტურ კვლევებზე დაყრდნობითა და ახალი მიდგომა-ინტერპრეტაციებით წარმოვადგინეთ არაერთი მეტეოროლოგიური (ატმოსფერული და ციური) მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-ფონოლოგიური, სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველების მონაცემების მიხედვით.

2. სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კომპლექსური კვლევა დაეფუძნა დიდძალ სვანურ ემპირიულ მასალას, რომლის საფუძველზეც მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი მასალა დაჯგუფდა ოთხ ნაწილად: 1. ნასესხები მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულები (თავისი ქვეჯგუფებით), 2. საერთოქართველური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ძირ-ფუძეები, 3. საკუთრივ სვანური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი მასალა და 4. მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ჰიბრიდული ლექსიკური ერთეულები.

3. ნასესხები მეტეოროლოგიური (ატმოსფერული და ციური) მოვლენების ამსახველი ლექსიკა, როგორც უკვე ითქვა, დაიყო ქვეჯგუფებად, რამაც საშუალება მოგვცა გაგვერკვია მათი სვანურში შემოსვლის ვითარება. მასალის ანალიზმა კი აჩვენა, რომ ნასესხები ლექსიკური ერთეულების მეტი წილი ფონეტიკურ-სემანტიკურად სახეცვლილია, ხდება შემდეგ ფონეტიკური პროცესები: *უმლაუტი*, *ხმოვან-*

თა სიგრძე, რედუქცია,ბგერათა ჩართვა-დაკარგვა, ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვა და ა. შ., თუმცა პარალელურად ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც საკმაოდ ხელშესახებია.

4. ერთ-ერთ ჯგუფად გამოიყო საერთოქართველური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ძირ-ფუძეები სათანადო რელევანტურ კვლევებზე დაყრდნობითა და ახალი მიდგომა-ინტერპრეტაციებით. ბგერათშესატყვისობანი კი, როგორც ცნობილია, მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების გარკვევის ერთ-ერთ უმთავრეს და მნიშვნელოვან კრიტერიუმად არის მიჩნეული.

5. ცალკე ჯგუფად იქნა გამოტანილი საკუთრივ სვანური მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულები, რომელთა სინქრონიულ-დიაქრონიული თვალსაზრისით განხილვამ აჩვენა, რომ სხვა ენათაგან შეთვისებულ და საერთოქართველურ მასალას სჭარბობს საკუთრივ სვანური მასალა. ამ მასალის სრულყოფილი ეტიმოლოგიზაცია ამჯერად ვერ მოხერხდა სხვა ქართველურ ენებში ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი ფუძეების არქონის გამო.

6. ერთ-ერთ ჯგუფად გამოვყავით მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ჰიბრიდული ლექსიკური ერთეულები, სადაც შესიტყვების ერთ-ერთი კომპონენტი ნასესხები აღმოჩნდა ქართულიდან, მეორე კომპონენტი კი – საერთოქართველური.

7. ვფიქრობთ, დარგობრივი ლექსიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი ლექსიკური ჯგუფის ამგვარი კვლევა, რომელიც დიდძალ სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზეა დამყარებული და შედარებულია სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან, ასევე,შეძლებისდაგვარად, გარკვეულია ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა სვანურში შემოსვლის ვითარება, საინტერესოა სვანურის ფონოლოგიური და ლექსიკური სისტემების განვითარების ზოგადი სურათის წარმოსადგენად.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, ნაწილი I, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

იმედაძე 2014 – ს. იმედაძე, არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთაისი.

მარი 1912 – Н. Марр, К вопросу о положении абхазскоко языка среди яфетических: ИАН, Санкт-Петерсбург,

ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბილისი.

Medea Saghliani, Nato Shavreshiani
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi
medeasagliani@yahoo.com nataliashavreshiani@gmail.com

Keywords: Svan language, metrology, terminology

Ethnolinguistic Analysis of Terminology Denoting Meteorological Phenomena in Svan

Summary

The study, based relevant prior research and new approaches and interpretations, presents a phonetic-phonological, semantic, and etymological analysis of numerous lexical units denoting meteorological

(atmospheric and celestial) phenomena considering the traditionally known dialects of Svan (Upper Bal, Lower Bal, Lashkhian, and Lentekhian) as well as in Cholur speech. The complex research, conducted on the basis of synchronic and diachronic analysis, is grounded in extensive empirical material from Svan. This material, reflecting meteorological phenomena, has been organised into four sections: 1. Lexical units denoting borrowed meteorological phenomena (with their sub-sections); 2. Common Kartvelian roots denoting meteorological phenomena; 3. Specifically Svan material reflecting meteorological phenomena; 4. Hybrid lexical units denoting meteorological phenomena. The analysis of the material revealed that the majority of borrowed lexical units have undergone phonetic-semantic modifications, involving processes such as umlaut, vowel lengthening, reduction, insertion or loss of sounds, spirantisation of vowels, and etc. However, alongside these, a significant number of borrowed lexical units remain phonetic-semantically unaltered.

ნინო ქემერტელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი
ninokemert@gmail.com

მერი გიორგაძე
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი
maiagiorgadze27@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინი, ბოტანიკური ლექსიკა, იდიომი, მეტაფორა, ეპითეტი, შედარება

ბოტანიკური ლექსიკა იდიომატურ გამოთქმებში

ტერმინოლოგია შეისწავლის დარგთა შორის ურთიერთობების ფუნდამენტურ ასპექტს სხვადასხვა სფეროში და გულისხმობს სტანდარტიზებულ ლექსიკას, რომელიც სპეციალისტებს საშუალებას აძლევს, ზუსტად გადმოსცენ ცნების შესატყვისი მნიშვნელობები. ტერმინის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მისი უშუალო შესაბამისობა მეცნიერების კონკრეტულ დარგთან, სხვადასხვა დისციპლინასთან თუ ხელოვნებაში გამოყენებულ ტერმინთა ერთობლიობასთან.

ცნობილია, რომ ტერმინები სამეცნიერო ენის სტილს მიეკუთვნება, თუმცა მათი გამოყენების არეალი უფრო ფართოა. ტერმინები შეიძლება შეგვხვდეს საგაზეთო, პუბლიცისტურ და პრაქტიკულად ყველა სხვა არსებულ ენობრივ სტილში. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში მათი ფუნქცია იცვლება. ისინი ყოველთვის არ არის დატვირთული მათთვის დამახასიათებელი შეტყობინების ფუნქციით. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის სტილში ტერმინმა შეიძლება შეიძინოს სტილისტური ფუნქცია. ეს ხდება მაშინ, როდესაც ტერმინი გამოიყენება იმ თვალსაზრისით, რომ მისი ორი სხვადასხვა მნიშვნელობა ერთდროულად მატერიალიზდება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ბოტანიკური ლექსიკა. იგი მოიცავს ტერმინების ფართო სპექტრს, რომელიც აღწერს მცენარეების სტრუქტურას, ფუნქციას, კლასიფიკაციასა და ქცევას. ლათინური ან ბერძნული წარმოშობის სამეცნიერო სახელები ქმნის სტანდარ-

ტიზებულ ჩარჩოს ბოტანიკოსებისთვის, რათა მათ ზუსტად განსაზღვრონ და დააჯგუფონ მცენარეთა სახეობები. გარდა ამისა, გავრცელებული ბოტანიკური სახელები ასახავს რეგიონალურ და კულტურულ ვარიაციებს, რომლებიც ამა თუ იმ კუთხის მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას ავლენს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ინგლისური ენა იდიომატურ გამოთქმებში ხშირად იყენებს ბოტანიკურ ტერმინებსა თუ ტერმინოლოგიურ შესატყვისებს. ეს პროცესი ტერმინოლოგიური ლექსიკისა და სალიტერატურო ენის მჭიდრო კავშირს გულისხმობს, რომელიც განტერმინების სახელითაა ცნობილი და ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში.

კვლევის ძირითადი მიზანია ყვავილთა სახელწოდებების შესწავლა ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში. „მეტყველებასა და წერით ენაში, იდიომები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფერები მხატვრისთვის; ფაქტობრივად, ენა მათ გარეშე უფერო და უინტერესოა" (Zhang 2007).

ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე იდიომების კლასიფიკაციის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა ჯგუფი:

1. *წმინდა იდიომები,* მაგალითად,

ა) Under the rose – რაიმეს კეთება საიდუმლოდ, ფარულად, კონფიდენციალურად.

ეს გამონათქვამი სათავეს იღებს ძველი რომაელებისგან, რომლებიც ვარდებს იყენებდნენ კონფიდენციალურობისა და საიდუმლო შეკრებების სიმბოლოდ. იდიომი ასევე გულისხმობს, რომ სენტიმენტალური საკითხები მშვიდად და ზედმეტი ყურადღების მიქცევის გარეშე უნდა მოგვარდეს.

She told me her plans under the rose, so I haven't mentioned them to anyone.

ბ) Pushing up daisies – საფლავში, იმქვეყნად, გარდაცვლილი, და ა. შ.

აღნიშნული იდიომი არის სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი და, გარკვეულწილად, იუმორისტულ ევფემიზმადაც შესაძლოა მივიჩნიოთ. საფლავზე ამოსული გვირილები სიმბოლურად განასახიერებს იმ მოვლენას, რომ მიცვალებული მშვიდად განისვენებს. იდიო-

მი პირველად ჩნდება, დაახლოებით 1918 წელს, უილფრედ ოუენის ერთ-ერთ ლექსში პირველი მსოფლიო ომის შესახებ.

საგულისხმოა, რომ მოცემული იდიომი უმთავრესად არაოფიციალურ იუმორისტულ კონტექსტში გამოიყენება.

After eating all those unhealthy snacks, you'll be pushing up daisies sooner than you think!

გ) To gild the lily – ეს შესიტყვება სათავეს იღებს შექსპირის პიესიდან „მეფე ჯონი": To gild refined gold, to paint the lily, გულისხმობს სრულყოფილების მიუღწევლობას. იდიომი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ ზოგჯერ ბუნებრიობა უმჯობესია, ვიდრე ხელოვნური ჩარევა, რამაც შესაძლოა უარყოფით, არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

2. *იდიომები, როგორც მეტაფორა,* მაგ.,

ა) Shrinking violet – უწყინარი, ჩუმი ადამიანი.

იდიომი ***shrinking violet*** ასევე არის მეტაფორული გამონათქვამი, რომელიც გამოიყენება მორცხვი, მორიდებული ან ინტროვერტი ადამიანის აღსაწერად, განსაკუთრებით სოციალურ სიტუაციებში. იგულისხმება ადამიანი, რომელიც თავს არიდებს ყურადღების ცენტრში ყოფნას. ეს იდიომი პირველად ამერიკაში, შემდეგ კი, 1820-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში გაჩნდა. აღნიშნული მეტაფორული იდიომი პოპულარული გახდა ვიქტორიანულ ეპოქაში, იმ დროს, როდესაც მოკრძალებასა და თავმდაბლობას ძალიან აფასებდნენ, განსაკუთრებით კი ქალებში.

ტერმინის shrinking violet წარმომავლობა უკავშირდება პაწაწინა ყვავილს, იას, რომელიც ხშირად ჩრდილში, მიტოვებულ ადგილებში იზრდება. მცენარის ეს თვისება გადატანილია ადამიანზე.

Despite her brilliant ideas, she's a bit of a shrinking violet and rarely shares them in meetings.

წარმოდგენილი მაგალითი ნათლად ასახავს ზემოთქმულს.

განხილული იდიომი ხშირ შემთხვევაში უარყოფითი კონოტაციის მატარებელიცაა, რაც მიანიშნებს იმას, რომ ადამიანს ზედმეტი სიმორცხვის გამო თავდაჯერებულობა აკლია.

ბ) Sunflower smile – გადამდები, ხალისიანი სიცილი.

მოცემული მეტაფორული იდიომი sunflower smile ასოცირდება ემოციასთან, რომელსაც მზესუმზირის ყვავილი იწვევს. აღწერს ლაღ, ხალისიან, გადამდებ სიცილს, რომელიც სიხარულით ავსებს გარემოს.

მისი სიმბოლური დატვირთვა განპირობებულია მზესუმზირის ყვავილის თვალში საცემი, კაშკაშა ფურცლებით, და მცენარისთვის დამახასიათებელი თვისებით - მზის მიმართულებით ყურება/გადახრა. სწორედ ამიტომ, ფრაზა სიმბოლურად სითბოსა და ბედნიერებას აღნიშნავს.

Her sunflower smile brightened everyone's day at the office.

გ) Tulip mania – ფასების მკვეთრი ზრდა.

იდიომი მიუთითებს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ფასები, სპეკულაციისა თუ სხვა აჟიოტაჟის გამო ზედმეტად გაზრდილია, რაც ხშირად ეკონომიკური კოლაფსით მთავრდება. ამ შესიტყვების წარმოშობა უკავშირდება ჰოლანდიაში ოქროს ხანის ისტორიულ მოვლენას, როდესაც ტიტების ბოლქვების ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვიდრე მისი ფასის მკვეთრად არ დაეცა 1637 წელს. მეტაფორული იდიომი გამოიყენება ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში და აღწერს მოვლენას, როდესაც ბაზარზე ე.წ. *სპეკულაციური ბუშტი* ჩნდება.

წინადადებაში The cryptocurrency market is experiencing a tulip mania, პარალელი გავლებულია მე-17 საუკუნის მოვლენასთან (იმ პერიოდისთვის ბაზარზე არსებულ ირაციონალურ და არამდგრად სიტუაციასთან).

3. *იდიომები, როგორც სტილისტური შედარება,* მაგალითად,

ა) Scattered like asters in the breeze – მიმოფანტული, მიმობნეული.

მოცემული იდიომატური გამოთქმა, შესაძლოა, გამოიყენონ რაღაც შემთხვევით გაფანტულის ან გაბნეულის აღსაწერად. შედარებულია ქარის მიერ გაფანტული ასტრის ყვავილებთან. ფრაზის მნიშვნელობა ასევე დაკავშირებულია სპონტანურობასა და არაორგანიზებულობასთან.

As the children ran through the field, their laughter scattered like asters in the breeze, light and carefree.

განხილული იდიომატური შედარება ფართოდ გამოიყენება პოეზიასა და პროზაში, როდესაც მწერალს სურს, გადმოსცეს დაკარგვის ან დეპრესიის გრძნობით თუ ბედნიერების განცდით გამოწვეული მძაფრი ემოციები.

ბ) Memories like forget-me-nots – დაუვიწყარი მოგონებები.

აღნიშნული იდიომატური შედარება ძნელად დასავიწყებელი მოგონებების აღსაწერად გამოიყენება. ყვავილის სახელწოდებაც forget-me-not სიმბოლურად ასახავს იმ მოცემულობას, რომ, ჟამთა სვლის მიუხედავად ,მოგონებები რჩება. პატარა, ლურჯი ყვავილები ისტორიულად ასოცირდება ხსოვნასთან, მარადიულ სიყვარულთან და ერთგულებასთან. მაგალითად,

Her childhood memories were like forget-me-nots, blooming with a gentle beauty that time could not fade.

გ) To bloom like a snowdrop - მოულოდნელი ზრდა.

იდიომატური შედარება to bloom like a snowdrop ეყრდნობა ყვავილ ენძელას მახასიათებლებსა და სიმბოლიკას კონკრეტული ტიპის ზრდის ან ტრანსფორმაციის გადმოსაცემად. ფრაზა შეიძლება გამოყენებულ იქნას გადატანითი მნიშვნელობით და გადმოსცემდეს იმედის, განახლებისა და ოპტიმიზმის განცდას, განსაკუთრებით კი რთული ან სტაგნაციის პერიოდის შემდეგ; ისევე, როგორც ენძელა ჩნდება და ხარობს ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულის მძიმე პირობებში. მაგ.,

After facing adversity, she began to bloom like a snowdrop, finding strength and resilience she didn't know she had.

4. *იდიომები, როგორც ეპითეტი,* მაგალითად,

Orchid beauty – განსაკუთრებული სილამაზე.

მოცემული გამონათქვამი შესაძლოა ასევე განვიხილოთ როგორც იდიომატური ეპითეტი. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაკუთრებული სილამაზისა და ელეგანტურობის მქონე ადამიანის ან ნივთის აღსაწერად. ორქიდეა ასოცირდება ისეთ თვისებებთან, როგორებიცაა: მოხდენილობა, დახვეწილობა და გამორჩეულობა, მაგალითად,

The poem was written with an orchid beauty, weaving together words in a way that was both delicate and profound.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი იდიომების ქართულ თარგმანში არ ვლინდება მათი იდიომატური დატვირთვა, უფრო მეტიც, არცერთ მათგანში არ ჩანს ყვავილის სახელწოდება.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ყვავილთა სახელწოდებების გამოყენება იდიომებში ნათელს ჰფენს ენასა და ბუნებრივ სამყაროს შორის არსებულ მუდმივ კავშირს. იდიომებში მათი გამოყენება ამდიდრებს ენობრივ გამონათქვამებს და ასახავს კულტურულ ღირებულებებს. გარკვეულწილად, იდიომატური გამონათქვამები შესაძლოა კულტურულ კატეგორიადაც განვიხილოთ მათი წარმოშობის ისტორიის გათვალისწინებით.

ლიტერატურა

Ifill 2002 – Ted Ifill, Seeking the Nature of Idioms: A Study in Idiomatic Structure, Haverford College.

Kachru, Smith 2008 – Yamuna Kachru, Larry E. Smith, Cultures, Contexts and World Englishes, New York: Routledge.

Langlotz 2006 - Andreas Langlotz, Idiomatic Creativity: A Cognitive-Linguistic Model of Idiom Representation and Idiom-Variation in English, Amsterdam: John Benjamins.

Liu 2012 - Zhengyuan Liu, Analysis of Idiom Variation in the Framework of Linguistic

Subjectivity, English Language Teaching, 5(6), China.

Zhang 2007 – Ji-xian Zhang, Study of Idiomatic Origins in Cultural Perspective, Sino-US English Teaching, 4 (10), Šiauliai.

Nino Kemertelidze
Independent researcher, Tbilisi
ninokemert@gmail.com

Meri Giorgadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
maiagiorgadze27@gmail.com

Keywords: Term, botanical vocabulary, idiom, metaphor, epithet, simile

Botanical Terms in Idiomatic Expressions

Summary

Terminology serves as a fundamental aspect of communication across various fields and disciplines, providing a standardized vocabulary that enables professionals to convey precise meanings and concepts efficiently within their respective domains. The research deals with botanical vocabulary. Within botany, botanical terminology plays a crucial role, encompassing a vast array of terms that describe the structure, function, classification, and behavior of plants. Scientific names derived from Latin or Greek roots offer a standardized framework for botanists worldwide to identify and classify plant species accurately. Additionally, common names reflect regional and cultural variations, contributing to our understanding of the diverse flora.

In contemporary literary English, botanical terms frequently find their way into idiomatic expressions. This phenomenon, known as determinization, illustrates the close relationship between specialized terminology and the broader literary language.

The study focuses on the integration of flower names into idiomatic expressions, exploring the intricate relationship between language and culture. Through linguistic analysis, idioms are classified into various categories, including pure idioms, e.g.**,** *under the rose, pushing up daisies, to hold the lily*, etc.; idioms as metaphors, e.g., *shrinking violet, daisy chain, orchid dance, snowdrop of hope,* etc.; idioms as

similes, e.g., *scattered like asters in the breeze, memories like forget-me-nots, rare as edelweiss,* etc.; idioms as epithets, e.g., *orchid beauty,* etc.

It is noteworthy that while comparing the analyzed idioms with their Georgian translations, it became clear that their Georgian versions do not reveal idiomatic load; moreover, they do not contain flower names.

This systematic analysis revealed the diverse linguistic mechanisms through which flowers are employed as symbolic constructs within language. By examining the usage and significance of flower names in idiomatic expressions, the rich tapestry of associations and meanings attributed to flowers in human discourse is unveiled.

Overall, the findings contribute to a deeper understanding of the symbolic significance of flowers in human communication, shedding light on the enduring connection between language and the natural world. Flowers serve as powerful symbols and metaphors, enriching our linguistic expressions and reflecting cultural values and beliefs. Through the presented research, we have illuminated the multifaceted role of flowers in shaping human discourse, highlighting their timeless appeal and universal significance across cultures and languages.

ნინო ღამბაშიძე
თბილისის ივ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი
nino.ghambashidze@tsc.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ნანა, იავნანა, ტერმინები, ეთნოფსიქოლოგია, სარწმუნოება

ტერმინები *ნანა* და *იავნანა*
(ზოგიერთი მოსაზრება)

აკვნის ნანა, ალბათ, დედა-შვილს შორის ურთიერთობის განსაკუთრებულად მგრძნობიარე, თბილი, ყველა დროის ნებისმიერი საზოგადოების მიერ აღიარებული ფორმა იყო. დღეს ურთიერთობის ეს ფორმა, ალბათ, მინავლების გზაზეა შემდგარი. დღეისათვის ჩატარებულმა თანამედროვე გამოკვლევებმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა, თუ რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს აკვნის ნანებს, ერთი მხრივ, დედა-შვილის ურთიერთობაზე და, მეორე მხრივ, როგორი ზეგავლენა შეიძლება მათ იქონიონ პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მისი ინტრაფსიქიკური პროცესების ბუნებრივ დინამიკაზე, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ბედ-იღბლის განმსაზღვრელია.

რა ინფორმაციას გვაწვდის დედა-შვილს შორის ამ ურთიერთობის ამსახველი ქართული ტერმინები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ქართული ენის ლექსიკონებს. მართალია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი *ნანას* და *იავნანას* სინონიმებად მოიხსენიებს, ქართული ხალხური მუსიკის სპეციალისტები მათ, როგორც ჰანგის, ასევე დანიშნულების მიხედვით ასხვავებენ და არ აიგივებენ. წინამდებარე სტატიის შეზღუდული ფორმატის გამო ჩვენ აქ არ შევეხებით მოცემული საკითხის მუსიკალურ მხარეს.

გასულ წელს, აკვნის ნანებისა და ნინო კალანდაძე-მახარაძისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე თბილისში, ქეთევან ბაიაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ნანებისა და იავნანების განსხვავების შესახებ ქართულ მუსიკალურ ტრადიციაში“, რომელშიც იგი ამ ორი ტერმინის გაიგივებას აკაკი წერეთელსა (იმერული ნანინა) და იაკობ გოგებაშვილს (იავნანამ რა ჰქმნა?) მიაწერს (ბაიაშვილი 2023).

შეძლებისდაგვარად, გავადევნოთ თვალი ამ ორი ტერმინის დროში განვითარებას. *იავნანა,* როგორც ამას ქართული ენის განმარ-

ტებითი ლექსიკონი გვიხსნის, „ბავშვის დასაძინებელი სიმღერაა; ასეთი სიმღერის მისამღერი, რეფრენი, – ნანა, იავ-ნანინაა.“ იგივე ლექსიკონი ნანას შემდეგნაირად განგვიმარტავს: „ნანა (ნანასი) 1. დედა; დედის მიმართვა თავისი შვილისადმი. 2. იგივეა, რაც ი ა ვ - ნ ა ნა. 3. ძილი, დაძინება (ბავშვის ენაზე). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. იავ-ნანა. ვარდო-ნანა“ (ჩიქობავა, ჭაბაშვილი 1986). ის, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს მოცემული ლექსიკონის მიხედვით, რომელიც შედგენილია გასული საუკუნის 80-იან წლებში არნოლდ ჩიქობავასა და მიხეილ ჭაბაშვილის მიერ, ნანას ერთი მნიშვნელობა, *ნანინა* და *იავნანაც* ბავშვის დასაძინებელი აკვნის ნანაა.

გამოქვეყნებულ და ხელნაწერების სახით არსებულ V-XI სს. ძეგლებზე დაყრდნობით, ილია აბულაძის მიერ შედგენილ ძველი ქართული ენის ლექსიკონში ვერ ვხვდებით ვერც *ნანას* და ვერც *იავნანას* განმარტებას. შესაძლოა, ეს ხსენებულ ძეგლთა შინაარსმაც განაპირობა, რომლის ლექსიკურ მასალასაც ეფუძნება ლექსიკონი.

სულხან-საბას მიერ შექმნილ ლექსიკონში, რომელიც მან XVI-XVII სს-ში ირანისა და ოსმალეთის შემოსევების შედეგად ქართული ენის დასაცავად შექმნა, ვკითხულობთ: ნან - *დაანანა, დანანება, ინანე, მენანე, მოუნანებელი, სანანელი, სინანული, უნანელი, შენანება, შეუნანებელი.* ნანა -*სანდომი, საამო* (აბულაძე 1991: 575). 1884 წელს გამოცემულ ამავე ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ *ნანას* განმარტებას ემატება *დანანა.* ამ სიტყვის განმარტება საბას არ აქვს მოცემული, თუმცა აქვს *დანანება* (სულხან-საბა 1884: 222). შესაძლოა, *დანანაც* სინანულს ნიშნავს, რაც *ნან-ის* ერთ-ერთი მნიშვნელობიდანაც (*დაანანა*-დანაც) უნდა ჩანდეს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ *დანან-ებ-ა* დანანას მრავლობითი ფორმაა?

ნიკო ჩუბინაშვილის მიერ XIX ს-ში შედგენილ ლექსიკონში არ დასტურდება *იავნანა,* ხოლო *ნანა* განმარტებულია, როგორც „ჩჩვილთ დასაძინებელი სიმღერის ხმა“. სინანულის მნიშვნელობით მას მოჰყვანილი აქვს *ნანვა,* რომელსაც განმარტავს, როგორც „(ვნანობ, ვინანი, მენანება) მწუხარება გავლილის საქმისთვის“ (ჩუბინიშვილი 1961). თედო სახოკიას ლექსიკონში „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანი“ ვკითხულობთ: „იავნანა (იავნანას გვიმღერის (ნ.ღ.)) გაჭირვების, უბედურების მივიწყებინება, მიძინება, მიფერება“, „ნანის მოხვედრა, დანანება, დანაღვლება, წუხილი, რომ ვერ დავეუფლეთ იმას, რაც გვინდოდა, ან, როცა რასმე ვიტყვით ან წამოგვცდება ისეთი, რაც არ უნდა გვექნა ან გვეთქვა“ (სახოკია 1979: 284, 452). *ნანი* ქართული ენის თუშურ დი-

ალექტშიც სინანულს ნიშნავს. ფშაურში იგივე მნიშვნელობა სიტყვა *ნანულობს* ფორმითაა გადმოცემული, ქართლურში (თ. ბეროზაშვილისეული) კი – *ნანად* (ნანად სანანებლად). ჯავახურ დიალექტურ ლექსიკონში ვხვდებით *ნანეს,* რაც დედას, ბებიას ნიშნავს (მარტიროსოვი 1984). ინგილოურში მხოლოდ *ნანად/ნენა* გვაქვს, რაც დედას ნიშნავს (ღამბაშიძე 1988: 338), ხოლო ალექსი ჭინჭარაულის ხევსურულ დიალექტურ ლექსიკონში კი მხოლოდ *ნანას* განმარტებაა. ამ სიტყვას აქ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. „ნანა სინანული. აგრეთვე: ანანს, ენანის, ინანს, მაინანიავებს, მანანიავება, მანანური, ნანა აქვ, ნანას დაიტანს, ნანას იტანს, სამანანურო, სამანანუროობა, ღნანებივ.“ 2. „ნანა დედა.“ 3. „ნანა/ნანაო ლოგინი (ბავშვის ენაზე).“ „ნანა აქვ, გრძნობს, რომ წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის დაემართა ცუდი საქმე.“ „ნანას დაიტანს/ნანას იტანს, ისეთ რასმეს გააკეთებს, რაც შემდეგ სანანებლად გაუხდება“ (ჭინჭარაული 2005). მერაბ ჩუხუას კვლევის მიხედვით, საერთოქართველური „ნა „დედა“ (შორისდ.)“ არა მარტო უძველესი ძირია, არამედ დედის მნიშვნელობით რიგ კავკასიურ ენებშიც გვხვდება. ნან ს.-ქართულსა და ზოგიერთ კავკასიურ ენაში ჯიხურის, საბძლის, სართულის, ფარდულის მნიშვნელობითაც ვხვდებით (ჩუხუა 2017: 298-290). ხსენებული ავტორის მიერვე გამოქვეყნებულ ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში მოცემულია, რომ *ნან* ქართულსა და ზანურში დედის აღმნიშვნელია, რაც *ნენა-ი, ნენე-ის* ფორმას იღებს გურულ, აჭარულ დიალექტებში და ქართულში (ჩუხუა 2003).

ამგვარად, ზემოთ განხილული სხვადასხვა სახის ლექსიკონის მიხედვით, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი დათარიღებით V-XI, XVI-XVII, XIX და XX საუკუნეების ენობრივ მასალას შეიცავს, სიტყვა *იავნანა* XIX, XX ს.ს.-მდე არ ჩანს. იგი თ. სახოკიასთან ჩნდება, როგორც გაჭირვების, უბედურების მივიწყებინება, მიძინება, მიფერება, ხოლო XX ს. 80-იანი წლების განმარტებით ლექსიკონში *ნანა* და *იავნანა* სინონიმებია და ბავშვის დასაძინებელ სიმღერას ნიშნავს. ნანას მნიშვნელობ,ა ძირითადად, მათ შორის ქართული ენის დიალექტებში, სინანულს ნიშნავს. მას შემდეგი მნიშვნელობები ემატება: სანდომი, საამო, ჩვილთა დასაძინებელი სიმღერის ხმა, დედა, რომელმაც საერთო ქართულში *ნენე/ნენას* ფორმა მიიღო, დიდი დედა, ბებია.

მხოლოდ ხსენებული მასალიდან გამომდინარე, ვარაუდის სახით მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რომ განსახილველი ტერმინებიდან *ნანა* ლექსიკურ ერთეულად XVI- XVII სს საბასეული ლექსიკონიდან

იჩენს თავს. შესაძლოა სიტყვა *ნან/ნანა* თავდაპირველად სინანულს, ღვთაებისგან შენდობის თხოვნას გულისხმობდა, რაც მოგვიანებით განზოგადდა და სხვადასხვა ფორმით გამოჩნდა ენაში. სიტყვა *ნანა-ძ* გზადაგზა სანდომის, საამოს, დედის, ბებიის, ბავშვის დასაძინებელი მელოდიის მნიშვნელობა შეიძინა. ქართველურ ენებში დედის, ბებიის, დიდი დედის, დიდედას მნიშვნელობა *ნანა/ნან/ნენე/ნენენას* ფორმამ მიიღო. *ნენნენა/ნენ/ნენალ* ფორმით მან ენის მნიშვნელობა შეიძინა. თუკი ამ კუთხით განვიხილავთ სიტყვა *ნენ(-)ნენა*-ს, შესაძლოა სიტყვა-სიტყვით ის *დედის ნათქვამს, დიდი დედის/დიდედის ნათქვამს* ნიშნავდეს, რომელშიც წინაპრის მნიშვნელობაც უნდა იკითხებოდეს. თუ ეს მოსაზრება სწორია, *ნენნენა* შესაძლოა დედის მიერ შვილისადმი ნამღერს, *ნანას* გულისხმობდეს. ჩვენში ხომ ასეც ამბობენ: სიმღერა ვთქვათო. როგორც ცნობილია, პორფირი უსპენსკის საგულისხმო ცნობა აქვს ქართველ ათონელ ბერებზე, რომლებიც, მისი თქმით, ღვთისმშობლის სადიდებლად *„ნენნენას“* მღეროდნენ. ამდენად, ჩემი აზრით, ათონელი ბერების ნამღერი *ნენნენა* ჩვილი იესოს აკვანთან ნამღერ ღვთისმშობლის იავნანას უნდა ნიშნავდეს. ამის გარკვეულ დასტურად შესაძლოა ბაია ჟუჟუნაძის საგულისხმო და საინტერესო კვლევაც გამოდგეს. სტამბოლის ქართული კათოლიკური ფონდის ბიბლიოთეკაში დაცულ სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის XX ს.-ის დასაწყისის სამგალობლო პრაქტიკის ამსახველ სანოტო ნიმუშებს შორის მან მიაკვლია საგალობელს, სახელწოდებით *„ნანნი იესოს“*, რაც ტექსტის მიხედვით ყრმა იესოსადმი მიძღვნილი იავნანაა. ქართველ კათოლიკეთა შორის მას *იესოს ნანისაც* უწოდებდნენ. ბ. ჟუჟუნაძის თქმით, საშობაო სიმღერები, სახელწოდებით *იესოს იავნანა* დღევანდელ დასავლეთ ევროპულ საშობაო ტრადიციებშიც გვხვდება. ავტორის აზრით, *ნანნი იესოს* არის ევროპული პირველწყაროს ან მისი სტილისტური გავლენით შექმნილი ქართულტექსტიანი ვარიანტი. იგი ასევე მიიჩნევს, რომ ორივე ერთი და იგივე საგალობელია და ქართველ კათოლიკეთა მსახურებაში ლიტურგიული ნანას შესრულებას 150 წლის ტრადიცია აქვს (ჟუჟუნაძე 2023). მართალია, ხსენებულს ზოგადქრისტიანულ შეხედულებებთან მივყავართ, მაგრამ ორივე ეს მოვლენა ჩემთვის ორი ქრისტიანული დენომინაციის მიმდევარი ქართველი ქრისტიანების საერთო ეთნიკური მსოფლხედვის მაჩვენებელიც არის, რასაც წინარესაერთოქართული რელიგიური აზროვნება უნდა უმაგრებდეს საფუძველს. შევეცდები განვმარტო ჩემი შეხედულება.

ვფიქრობ, ენობრივ მასალაზე დაყრდნობით, თავდაპირველად *ნანა* უნდა ყოფილიყო სინანულის შემცველი სავედრებელი ლოცვა *დიდი დედა ნანას* მიმართ აღვლენილი, რომელსაც ადრესატის სახელი უნდა დარქმეოდა. დროთა ვითარებაში ტერმინის მნიშვნელობა საკრალურ-რელიგიურ ჩარჩოებს უნდა გასცდენოდა და საერო ცხოვრებასაც მისადაგებოდა, როგორც ეს მის მელოდიას დაემართა და როგორც ამას მართებულად აღნიშნავს ნ. კალანდაძე. *ნანამ* სამგლოვიარო, საგმირო-ისტორიული და სხვ. სიმღერების მელოდიაშიც შეაღწია. დიდი დედის საერთო ქართველურ ხატს ხორციელი დედის ხატი უნდა გამოჰყოფოდა და ყოფაში ხორცშესხმულიყო. ამ პროცესს ტერმინ *ნანას* სემანტიკური მნიშვნელობა უნდა გაეფართოებინა და დედის, შემდგომ კი ბავშვის დასაძინებელი სიმღერის, დედის, დიდი დედის, ბებიისა და ენის აღმნიშვნელი სიტყვა გამხდარიყო. რა განწყობითა და, შესაბამისად, ინტონაციით უნდა თქმულიყო ეს სავედრებელი ტექსტი, რომელიც, რაღაც მომენტიდან, დიდი დედისადმი მიძღვნილ რიტუალში სიმღერით უნდა შესრულებულიყო? თუ *ნანა* შეცოდების, ჩადენილის გამო სინანულისა და პატიების გამოსათხოვად იყო განკუთვნილი, იგი კრძალვით, სევდით, მინორულად, ვედრების ინტონაციით უნდა ეთქვათ და ემღერათ. *დიდ დედა ნანასთან* დაკავშირებულ მითოლოგიურ შეხედულებას თუ ხატს, რომ იგი ღვთაებრივი ჩვილის აკვანთანაა და უმღერის მას, გავლენა უნდა მოეხდინა აკვნის ნანების სახელწოდებაზე და მელოდიაზე, რომელმაც, თავის მხრივ, სხვა ხასიათის მუსიკალურ ნიმუშებში (მაგ., სამგლოვიარო, საგმირო-ისტორიული, ა.შ.) გაიკვლია გზა. ქართველმა დედამ მითი მელოდიისა და ინტონაციის გზით ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიტანა. გამოდის, რომ, ქართველმა საკრალური და პროფანული დედა და დედაშვილობა მუსიკის გზით გააერთიანა. ვფიქრობ, *ნანა* ერთ-ერთი მაგალითია იმისი, თუ როგორ შეუძლია ტერმინს მითოსურ-რელიგიური ხატების, შეხედულებების გადმოცემა, თუ მათი ტრანსფორმირება-განვითარების ჩვენება.

ვინაიდან სხვა ქვეყნების *ნანა* ჩემთვის უცნობია, ქართულ სინამდვილეზე დაყრდნობით ვიტყოდი, რომ *ნანა/იავნანა* ბავშვის ჩასახვა-დაბადებიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევდა ქართველს. აკვნის სხვადასხვა ნანას ენაცვლებოდა ინფექციური დაავადებების დროს ნამღერი უკვე სამკურნალო დანიშნულების *იავნანა* და ხატ-სალოცავებში სავედრებელ-სადიდებელი ნანები. უნდა ითქვას, რომ როგორც სხვა ხალხების მუსიკალურ კულტუ-

რაში, ჩვენშიც გამოიყოფა პროფანული და საკრალური ხასიათის *ნანა. ნანაზე* გაზრდილი დედები ახლა უკვე თავიანთ შვილებს უმღეროდნენ მათ და, ამგვარად, *ნანა* ტრადიციის გადაცემის საშუალება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პროცესში ჩართული ხდებოდა. ცნობილია, რომ *ნანას* სიმღერას სიკვდილის წინაც კი ითხოვდნენ ქართველები (მაგ., ვარლამ სიმონიშვილი, რემა შელეგია და სხვ.), რაც ჩემთვის იმ უძლიერესი დაცულობის შეგრძნების გაცოცხლებაა, რომელსაც ადამიანი ჩვილობაში დედასთან დადებითი ურთიერთობის დროს განიცდის, ანუ *ნანას/იავნანას* პიროვნება სხვადასხვა სამყაროში (საშოდან სააქაოში და სააქაოდან საიქიოში) გადასვლით გამოწვეული შფოთის დასაძლევად მოუხმობდა.

ორიოდე სიტყვით მინდა შევჩერდე მითოლოგიურ *ნანაზე.* ვფიქრობ, როდესაც ისინი რიტუალის განუყოფელი ნაწილია, იმავდროულად უზრუნველყოფს მიღმიერ სამყაროსთან, მის ძალებთან კავშირის დამყარებას. ავადმყოფთან ნამღერი ამგვარი *ნანა,* ასე ვთქვათ, *„ირაციონალური თერაპიის“* ფუნქციას ასრულებს. ამ დროს ტექსტის, მელოდიის, შესრულების მანერის, გარემოს ზეგავლენის მეშვეობით ფსიქიკა სიმბოლოსა და შეგრძნებების გზით უკავშირდება ირაციონალურს, რაც მას გამოჯანმრთელებაში ეხმარება. იმ მეტასიმბოლოებს, რომლებიც ყოვლისშემძლე მხსნელად და მშველელად აღიქმებიან მოცემულ კულტურაში, ანუ მითოლოგიური თუ რელიგიური ხასიათის ნანა ჩემი აზრით, ადამიანებისა და ღვთაებრივი არსებების ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაა. ვფიქრობ, ამ დროს სნეული დიდ დედასთან, საკრალურ დედასთან, თანაარსებობასა და დაცულობას განიცდის.

ვფიქრობ, აქედან გამომდინარე, *ნანა/იავნანა* უდავოდ დაეხმარება ჩვილს, ჩაერთოს მოცემულ კულტურაში, განავითაროს სმენა, მეტყველება, ემოცია და შეძლოს მისი რეგულაცია, დაეხმაროს *მესა* და *არამეს* ჩამოყალიბებაში, რაც მენტალური, ფსიქოლოგიური განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი.

თუმცა, ჩემი აზრით, ქართველისთვის, მისი თვითმყოფადობისთვის ნანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვერა ბარდაველიძის ერთ-ერთი განსაკუთრებული მიგნების მიხედვით, თუ სხვა ხალხების დედა ღვთაებებს ღვთაებრივი ჩვილი ხელში უჭირავთ, ქართულ არქეტიპულ ხატში დიდი დედა აკვანთანაა და უმღერის ჩვილს. ნანას სიმღერა აკვანთან და უკანასკნელ სარეცელზე, საერო თუ რელიგიურ გარემოში ჩვენი ეროვნულობის თანმდევ, უნიკალურ, პი-

როვნულ თუ კოლექტიურ არქეტიპულ ხატს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში, დაბადებიდან სიკვდილამდე, მიჰყვებოდა ქართველს. ამგვარი არქეტიპული ხატის არსებობა კიდევ ერთხელ უნდა უსვამდეს ხაზს, რომ ქალისა და მუსიკის როლი საქართველოში და ჩვენს კულტურაში განსაკუთრებული იყო.

ლიტერატურა

აბულაძე 1991 – ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.1, თბილისი: მერანი.

ბაიაშვილი 2023 – ქეთევან ბაიაშვილი, ნანებისა და იავნანების განსხვავების შესახებ ქართულ მუსიკალურ ტრადიციაში, ხელნაწერი.

მარტიროსოვი 1984 – არამ მარტიროსოვი, ჯავახური დიალექტის ლექსიკონი, http://www.ice.ge/liv/liv/tushur.php

ჟუჟუნაძე 2023 – ბაია ჟუჟუნაძე, „ნანნი იესოს“ – ქართული კათოლიკური საშობაო საგალობელი, ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალი ნანინა, 2023, აკვნის ნანა, -12 მაისი (ბუკლეტი).

სახოკია 1979 – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი: მერანი.

ღამბაშიძე 1988 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი: განათლება.

ჩიქობავა ჭაბაშვილი 1986 – არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ ჭაბაშვილი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ჩუბინიშვილი 1961 – ნიკო ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩუხუა 2003 – მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი: უნივერსალი.

ჩუხუა 2017 – მერაბ ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი: საარი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი: ქართული ენა.

Nino Ghambashidze
Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, Georgia
nino.ghambashidze@tsc.edu.ge

Keywords: Nana, Iavnana, terms, ethnopsychology, faith.

Terms Nana and Iavnana
(Some considerations)

Summary

Probably lullaby (Geo. *Nana/Iavnana*) is worldwide the most common and multi-dimensional form of the mother-child relationship. From conception and especially in the first years of a child's life, his/her relationship with his/her parents, especially with his mother is of great importance for the formation of the personality and his psychological health. In this process, lullaby can have a great contribution. Georgian term Nana/Iavnana semantically also connected with the relation of a layman with "mythological mother".

In this article, I have tried to discuss the meaning of the terms of the Georgian lullaby - Nana/Iavnana. Georgian researchers of Georgian folk musical heritage use these terms to refer to different types of songs. After studying some lexicological materials, I came to the assumption that Nana must originally have been a term denoting a prayer addressed to the Great Mother Nana in repentance asking mercy and hence, named after this deity.

Meanwhile, over time, this term could expand its meaning and be used to designate a secular lullaby, as happened with its melody. Perhaps the image of a secular mother separated from the mythological image of the all-Georgian Great Mother and established itself in everyday life. This process was supposed to expand the semantic meaning of the term Nana and obtain the meaning of mother, and later lullaby, mother, grandmother, and language.

The word *Iavnana* is not visible in dictionaries until the nineteenth and twentieth centuries. It appears in T. Sahokia's work as hardship, helping somebody to consign to oblivion misfortune, bringing to sleep, caress, and in the explanatory dictionary of the 1980s *Nana* and *Iavnana* are synonyms and terms denoting lullaby.

I put forward an opinion about the specificity and meaning of Nana/Iavnana (lullaby) for Georgians, their identity, and their place in the religious worldview of Georgians. I also put forward a point about the contribution of Nana/Iavnana to the formation of Georgian identity.

მედეა ღლონტი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
dodo_mariami@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: სიტყვა-ცნება, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, სემანტიკა, ღვთისმეტყველება

ქართ. სიტყვა-ცნება *მ რ ე ვ ლ ი ს* სუბსტანციურ-ფუნქციური[1] სემანტიკის საღვთისმეტყველო წანამძღვრებისათვის

„შევიმოსოთ ჯაჭჳ იგი
სარწმუნოებისაჲ და სიყუარულისაჲ“
1 თესალონიკელთა მიმართ 5, 6-8

საკითხის დასმა

ქართ. *მრევლის* თავდაპირველ სემანტიკაში უმთავრესად მოიხილავენ მნიშვნელობებს: „მასწავლებელი, სულიერი მეურნე, „სიარულიˮ და „მრავალიˮ:

ა) სულხან-საბა ორბელიანი გვისახელებს ქართ. *მრევლის* ლექსიკურ ვარიანტს – მრემლი, შდრ.: „მრევლი – (*მრევლი* თუ *მრემლი* (+ 25,20 იერემ.) მოურნე სულიერი. ესე არს მასწავლებელი, გინა მოურნე[2]ˮ. „ლექსიკონ ქართულშიˮ ამ ლექსიკური ერთეულის მაძიებელს ასევე მიეთითება: „სამრევლო – (სამრემლო) მოსარები, სასიარულო, მოსარებელი (მოსაროწებელი) ადგილი“[3]) და „მრემლი – (25,20 იე-

[1] სიტყვის უკუფენილი სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკა, ანუ: „სიტყვაში ფარულად დავანებული საგნისა თუ მოვლენის არსობრივი შინაარსი, აღსანიშნის კონკრეტული ამოსავალი ფუნქციური სემანტიკაˮ, შდრ.: ლათ. substanctia > sub „ქვეშˮ + stand „დგომაˮ → „არსი; დედაარსი, საფუძველი; რაობაˮ.

[2] მოურნე (+ 31, 5 ესაია) მომვლელი, გამრიგე. ნ. ზედმოურნე, მეურნე“; შდრ.: „ზედმოურნე – საქმის გამგებელი; ნახეტი და „ზედამდეგი – (1, 14 გამოსლ.) ზედ მოურნეˮ (სულხან-საბა 1991-1993).

[3] მოსარები – ადგილი შემოსავლელიˮ (სულხან-საბა 1991-1993).

რემ[1]). იგივე *მრევლი*“ (სულხან-საბა 191-193); შდრ.: „მრევლ-ი// მრემლ-ი < *მ-რებ-ლ-ი < *მ-არ-ებ-ელ-ი (ჭუმბურიძე 2002: 106).

ბ) აკად. არნოლდ ჩიქობავა პარალელურად განიხილავს *მრევლის* ორივე ვარიანტს (ქართ. მრემლ-ი // მრევლ-ი „მოურნე, სულიერი“), და მოიხმობს ქართ. *რემას*, მნიშვნელობით – „ჯოგი, უმწყსი ცხენი“ (ჩიქობავა 1942: 143,156-157).

გ) საყურადღებოა მოსაზრება, რომლის თანახმად, ქართ. *მრევლის* ამოსავალ სემანტიკად დასახელებულია „ერი; მრავალი“, რაც ქართველურ ენებში აღიბეჭდება შესაბამისი მონაცემებით, კერძოდ: ქართ. *ერი*, ეთნონ. *ჰერი* (ივ. ჯავახიშვილი), *მრევლი, მრავალი*, გურ.-იმერ. *რემა* „ადამიანთა სიმრავლე“; ზან. *ერები* (ლათ. pluralia tantum) „დიდი ოჯახი“, *ორანი* „მოდგმა“; სვან.(ლშხ.) *ჲერ* (*ჰერ, *ერ-) „ერი“ (< ს.-ქართვ. *-რ-ე, ე-რ-), ხოლო ამოსავალ ძირად მითითებულია -რ-, მნიშვნელობით „სიმრავლე“, შდრ.: აფხაზ. ა-რ „ჯარი“ (ჩუხუა 2000-2003: 174-175).

ჩვენი მხრივ, დავსძენთ, რომ ქართული საეკლესიო სიტყვა-ცნება *მრევლი* უნდა მომდინარეობდეს ძვ.ქართ. სიტყვიდან *რევა* „მორევა, ძლევა“ – მ–ელ თავსართ-ბოლოსართის დართვით: *მ-რევ-ელ-ი > *მ-რევ-[ე]ლ-ი > *მრევლი*, ანუ – „ის, ვინც სძლევს, (მო)ერევა [ბოროტს]“.

საკუთრივ ძვ. ქართ. *რევა* / *რევნა* ომონიმურია:

ერთი მხრივ, სემანტემები – „არევა, შერევა; არეულობა; გადამეტება; დაშლილი“, შდრ. → ძვ. ქართ.: „*რევა, რევნა* – აღრევა; შერევ(ნ)ა, შეზავება, შერთვა; შეხება; შენჯღრევა ნოტიოთა ანუ შეზავება სხვადასხვათა ნივთთა, мешать, месить; „რეული – შეზავებული“, „აღრევა – შერევა; არევ-დარევა; მღელვარება, არეულობა, შფოთი“; „მორევა – (მოვურევ) აღრევა კოვზით, ციცხვით და სხ. размешивать“[2], „ნარევი – შერეული“, „სარევი, სარეველი – მოსარევი; ნიჩაბი“, ასევე – „გარდარევ(ნ)ა, გარდარეული, გარდარეულად – გადამეტება, ფრიად გარდა-

[1] „და ყოველთა თანმრევთა მისთა და ყოველთა მეფეთა ქუეყანისა უცხოტომთაჲსათა“ (იერემია 25,20) – ძვ.ქართ. თანმრევნი „შერეულნი; ერთად მყოფნი, გაერთიანებულნი; მოზიარენი“

[2] შდრ.: *„მორევი* – მდინარის/მდინარეთ სიღრმე მდო(ვ)რე. ნ. *წყარო*“; *„წყარო* – [უწოდთ *მორევად*] სადა მჩქერვალო დაწყნარდების და ერთსა ადგილსა დაღრმავდების“ (სულხან-საბა 1991-1993); „*მორევი* – მდინარის ნაპირს ხმელად შესული წყალი ღრმად (ნახე წყალთან) (ფსალ. 68, 15), залив реки, аир“ (ჩუბინაშვილი ნ. 1961)

მატება (2 კორინთელთა მიმართ 2,4[1]), გადამეტებული, გამრავლება; მეტობა“, მოჭარბება; მომატებული, ზედმეტი; მეტისმეტი, მეტისმეტად; უზომოდ; ფრიად“; ასევე შდრ.: „*წარევ(ნ)ა* – ბოდვა, როშვა; სიტყვის როტვა“, „*წარევნული // წარეული* – არეული; დაშლილი, წამურტლული; смешанный, спутанный, осквернённый“ და „*შეურევ(ნ)ელი, შეურევნელად* – ურევი, უძრავი; მტკიცე; წმინდა, შეუზავებელი; შეურევნელად“.

მეორე მხრივ, სემანტემები – „*მორევა*, (მტრის) ძლევა, დამარცხება, დაძალვა“, შდრ. → ძვ. ქართ.: „*რევა, რევნა* – (ვერევი) მორევნა, დაძალვა (ფსალმ. 117, 10 და შემდგომი; მათე 16,18; საქმე 19, 16)) одолевать, низлагать, брать верх“ „*მორევა* – მტრის ძლევა, *რევნასთან* ნახე“, „*მორევნა* – (მოვერევი) დაძალვა, დაჭარბება ძალით, დაჩაგვრა (ვეფხისტ. 204) одолевать, пересиливать, брать верх“ (იხ.: სულხან-საბა 1991-1993, ჩუბინაშვილი დ. 1984, ჩუბინაშვილი ნ. 1961, აბულაძე 1973, სარჯველაძე 2001).

იგივე ომონიმია აისახება ძვ.ქართ. *მრეს* სემანტიკაშიც, შდრ.: ქიზიყ. „*მრე* – ამრევ-დამრევი („ძალიან მრე ადამიანია“)“, ძვ. ქართ. „*მრე, მრეველი* – მომრევი (ფსალმ. 12, 4), победитель; მ რ ე ო ბ ა მორევნა, одоление, მძლეობა“ “ და „*მრე, მრედ* – მრედ, ძლედ“, ასევე – „*მძლე* – მომრევი; მძლეველი“ (ზედმიწ.: „ის, ვინც სძლევს, მოერევა“); „*მძლე-ყოფა* – მორევ(ნ)ა“; „*მძლედ* – ძალით; *მომრევად*; გამარჯვებით, მარჯვედ (მათე 12, 20)“ (სულხან-საბა 1991-1993, აბულაძე 1973).

ვფიქრობთ, ქართული საეკლესიო სიტყვა-ცნება *მრევლის* თავდაპირველი სემანტიკიდან გამჭვირვალედ ამოიცნობა პოლისემანტიკური ქართ. *მრე, მრე(ე),* მნიშვნელობით – „*მომრევი*; მძლე“, ასევე – *მრეობა* „მორევნა, მძლეობა“ და *მრე-ყოფა* „მომრევი; მძლე“.

➢ საეკლესიო სიტყვა-ცნება *მრევლის* ნიშანდობლივი ქრისტიანული შინაარსისათვის

ქართ. საეკლესიო სიტყვა-ცნება *მრევლის* ქრისტიანული სათქმელი გვახედებს საერთო აზრითა და სულიკვეთებით გამსჭვალულთა ერთობისაკენ, ცხადია, უწინარესად – ერთობისაკენ ქრისტეში. აქედან გამომდინარე, *მრევლის* თავდაპირველ სემანტიკაში მოი-

[1] „ ... რაჲთა სცნათ სიყუარული იგი *გარდარეული,* რომელ მაქუს თქუენდა მიმართ“, შდრ. ახ.ქართ.: „ ... რათა გეგრძნოთ, რაოდენ *უსაზღვროა* ჩემი სიყვარული თქვენდამი“ (2 კორინთ. 2,4)

ხილება კაცთა იმ ძალისხმევით შედუღაბებული ერთობა, რომელიც ქრისტეში ერთსულოვნად ყოფნისაკენ მიმავალ გზას გვიკვალავს და, ამდენად, ამ ღვთივსათნო საქმეში შეგვეწევა. ჩანს, ამასაც გულისხმობდა ჩვენი უფალი, როდესაც წმიდა მოციქულ პეტრეს სანუგეშოდ ამცნო: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი *ვერ ერეოდიან*[1]მას“ (მათე 16,18).

არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ ჩვენმა მადლიანმა ქართველმა სიტყვათშემოქმედმა, ღვთის მიერ ქმნილ სულიერთა (ადამიანთა) საღმრთო ერთობის ბოროტისმძლეველობის გამოსათქმელად, შეაწყვილა – ერთ(ი) + სულ(ი), ანუ: „სულიერთა ერთი სულისკვეთებით შეკრული ერთობა“, შდრ.: *ერთსულ* „ერთსულოვანი; ერთსულოვნად; შესაკუთრებული ვისთანმე სულითა და გულით; ერთხმა(დ)“, *ერთსულება* „ერთიანობა; ერთსულოვნება“ (შდრ.: ძვ. ქართ. სული „კაცთა სული, ხატი და მსგავსება ღვთისა; სული სიტყვიერი, არსება გონიერი; კაცი, ადამიანი; გონება; გული“ და ძვ. ქართ. სულიერი „ცოცხალი; სულდგმული“).

ერთსულოვნება სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ არ აღიბეჭდება, ამ მნიშვნელობით („ერთსულოვნება“) ჩაწერილია ლექსიკური ერთეულები: ერთპირად, ყოველთა ერთხმად, ერთად, ერთობილად – ყოველი მათგანით „ერთობა“ გამოიხატება, ხოლო საკუთრივ „ერთსულოვნების“ მნიშვნელობით ძველ ქართულში დამკვიდრდა – *ერთსულ, ერთსულად.*

ძვ.ქართ. *სული* – ასევე პოლისემანტიკურია: „წმიდა სული, სულიწმიდა“; თუმცა სული „ბოროტი სულის“ მნიშვნელობითაც ხშირად გვხვდება წმიდა წერილში, მაგ., სული არაწმიდა[2]: მეორე მხრივ, სიტყვაში სული მოიაზრება ყოველივე სულიერი, თავად სული კაცისა, ანუ მისი პიროვნება, ასევე: „ჰაერი, ორთქლი, სუნთქვა, ქარი“ და სხვ. ერთსულოვნებაში, ცხადია, ჩვენ საქმე გვაქვს „ადამიანის სულთან“, „სულიერთა ერთობასთან“ (აბულაძე 1973, სარჯველაძე 2001).

ძველ ქართულში არსებობდა კიდევ ერთი საგულისხმო სიტყვა: *ერთსიტყვა-ყოფა,* რაც ნიშნავს „ადამიანთა გაერთიანებას საერთო იდეითა და აზრით; შეთანხმებულ მოქმედებას“, ანუ – დღევანდელ

[1] ხაზგასმა ციტატაში აქაც და ყველგან – ჩვენია (მ. ღ.)

[2] „და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა“ (მათე 10,1)

ქართულში *ერთსულოვნება* ნიშნავს „აზრის, გრძნობის, სულისკვეთების, მოქმედების სრულ თანხმობას“. მაშასადამე, *ერთსულოვნების* შინაარსის გამომხატველია *თანხმობა* – თანა-ხმობა (ძველი ქართული ჴმობა „მოწოდებაც არის, დაძახებაც და დათანხმებაც“), ერთი სულითა და ერთი მოწოდებით შეკავშირებულთა ერთსულოვნება მათი ერთხმად მყოფობაა[1].

ერთსულოვნების დედააზრსა და შინა-არსს – მის „ზეციურ ხატებას“, ნიშანდობლივად წარმოაჩენს სასუფევლისეული გალობა. სასუფევლის ყველა მკვიდრი ხომ ერთად – ერთხმად, თანხმიერად აღავლენს ღვთის სადიდებელ გალობას, რამეთუ ზეციერი ქმნილებანი სანატრელი ერთსულოვნებით მკვიდრობენ.

ჩემთვის, ქრისტიანი ქართველისათვის, ამის ხილული, ამსოფლიური გამოხატულებაა მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერა და ქართული საეკლესიო საგალობელი. ერთიც და მეორეც – მზესავით გამოსცემს სხვადასხვაგვარ სხივნათელ ხმას, მსმენლის გულს მადლმოსილი თანხმიერებით ათბობს და სანეტარო სიხარულით აღავსებს... ცხადია, ქრისტიანს ეს აგონებს სამება ღმერთის ერთარსობას, რომლის ხილულ მაგალითად ეკლესიის წმინდა მამები სწორედ მზეს ასახელებენ: მზე ერთია, მაგრამ სამსახოვნად ვლინდება – დისკო, სინათლე და სითბო.

ყოველ ღვთისმსახურებაზე ჩვენ ვისმენთ სულის ამამაღლებელ საგალობელს: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ!" ერთსულოვნების ჭეშმარიტი განცდაც მხოლოდ მაშინ შეიძლება დაგვეუფლოს, როდესაც ერი ერთხმად ადიდებს ზეციერ პატრონს, ერებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობა ბატონობს, ჩვენი თვალსაწიერი და გულისხმა კი სათნოებათა ცისარტყელისკენაა მიმართული. წმიდა მამათა რწმუნებით, სწორედ ეს არის ამქვეყნადვე დამკვიდრებული სასუფეველი, შდრ.: „აჰა, ესერა, რაჲმე კეთილ ანუ რაჲმე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ ძმათაჲ ერთად?“ (ფსალმუნი 132, 1).

➢ ქართული საეკლესიო სიტყვა-ცნება *მრევლის* საღვთისმეტყველო წანამძღვრები

[1] როგორც ვხედავთ, ქართ. *ერთსულოვნებაში* დიდი მნიშვნელობა აქვს *ხმას* (მაგალითად, არჩევნების მონაწილე ამბობს: ხმა მივეციო...). კაცთა ხმების ერთობა, ანუ *თან-ხმიერება*, სხვადასხვა ხმათა კეთილშეწყობით მიიღწევა.

უფალი იესო ქრისტეს იგავებში – „მეფის ძის ქორწილი“ (მათე 22, 2-13) და „დიდებული სერობა“[1] (ლუკა 14,16-24) საგანგებოდ ვითარდება მარადჟამ დამაფიქრებელი საკითხები – ღირსყოფისა (ხვედრისა), ქრისტიანული არჩევანისა, თავისუფლებისა და სულიერი სიფხიზლისა. ორივე იგავით უფალი ცათა სასუფევლის დამკვიდრებისთვის მზადყოფნისა და ცხონებისაკენ გვახედებს.

მზადება იწყება უფლისმიერი მოწოდებით, რომელიც არასოდეს წყდება. ღმერთი არ წყვეტს ჩვენს მოწოდებას, იგი მარადის გვიხმობს თავისი დიდების მეუფებაში, საუკუნო ნეტარების სავანეში: „აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი“ (ლუკა 14, 17), – მოგვიწოდებს უფალი ღმერთი „დიდებული სერობის“ იგავში (შდრ.: მათე 22, 4). მართალია, ორივე იგავის მსმენელები, ანუ „ჩინებულნი“ (მოწვეულნი), წმიდა სახარებაში არიან იუდეველნი, ებრაელები, მაგრამ ეს სათქმელი უფალს ყველას გასაგონად აქვს – მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ჩვენს გასაგონადაც, ქრისტიანთა ყურადსაღებადაც.

შენიშნავენ, რომ „დიდებული სერობის“ იგავი პიროვნული ხასიათისაა, აქ ცალკეული ადამიანის ღირსყოფის საკითხი იჩენს თავს. „მეფის ძის ქორწილის“ იგავით კი უფალი მასშტაბურად აყენებს ამ საკითხს – მთლიანად ერის გადარჩენისა და ხსნის (ცხონების) გამო დაგვაფიქრებს, და გვაფრთხილებს, რომ ზეციერი მეუფე მთელს ერზეც ისევე ზრუნავს მარადის, როგორც თითოეულ ადამიანზე.

თუმცა, „დიდებული სერობისგან“ განსხვავებით, საქორწილო პურობაზე (იგავში „მეფის ძის ქორწილი“) მოწვევა ამავე დროს არის საყოველთაო – ყოველთა მოწვევა (მოწოდება) ქრისტეს ეკლესიაში, სადაც წვეული სინანულის მაცხოვნებელ ნაყოფს გამოიღებს და ზიარების წმიდა საიდუმლოში მონაწილეობით განიწმიდება ცოდვათაგან.

გადარჩენისა და სასუფევლის ღირსყოფის ეს კონკრეტული გზა უღირსობით განვლო საქორწილოდ შეუმოსავმა კაცმა – „მეფის ძის ქორწილის “იგავში. იგი იმ ადამიანის იგავური გამოხატულებაა, რომელმაც უმართებულო, ღვთისათვის მიუღებელი არჩევანი გააკეთა: უარყო ქრისტეს ეკლესია და, მაშასადამე, უარყო ქრისტე, რის გამოც ცოდვათაგან წარწყმდა და სასუფევლის ღირსყოფა დაკარგა. მსგავსი ხვედრი აქვთ განმზადებული იმ ერებს, რომლებიც უარყოფენ, შეურა-

[1] უფალი იესო ქრისტეს იგავებთან დაკავშირებით, იხ.: იგავნი 2008 და იგავნი 2009.

ცხყოფენ და დაგმობენ ცხონების ჭეშმარიტ გზას – უფალ იესო ქრისტეს.

შეუმოსავი კაცი იმ ქრისტიანის იგავური სახეც არის, რომელსაც ქრისტეს წყალობით ებოძა ნათლისღება (ნათლის სამოსელი), ეკლესიაში შევიდა, ყველა წმიდა საიდუმლოში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ღირსეულად ვერ მიიღო ეს უფლისმიერი წყალობა და მადლი. ამის მსგავსთა უღირსობა საყოველთაო განკითხვის ჟამს გაცხადდება, როცა უფალი, წვეულთა სახილველად მოსული მეუფის მსგავსად, მათ მიმართავს: „მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?“ – და ამ კაცის მსგავსადვე, მათ აღარ ექნებათ აღარც დრო, აღარც ადგილი და აღარც უნარი პასუხის გასაცემად, არამედ, სამწუხაროდ, ერგებათ მხოლოდ „მარადიული ტირილი და კბილთა ღრჭენა“.

„მეფის ძის ქორწილის“ და „დიდებული სერობის“ იგავებით უფალი გვასწავლის, რომ საუკუნო სასუფევლისკენ მიმავალი გზიდან ჩვენ გადაგვახვევინებს ცდუნებებით აღსავსე წუთისოფლის დიდი სიყვარული (ადგილ-მამულებისთვის გარდარეული ზრუნვა, სიმდიდრისა და ქონების დაგროვება თუ პირადულით შემოფარგვლა). იგავებში წვეულებს არც ღვთის შიში აქვთ და არც ნებისყოფა, ვინაიდან ისინი ბოროტ არჩევანს აკეთებენ, საკუთარ სურვილებს ემონებიან, წუთისოფელს ემეგობრებიან, ღმერთს კი არისხებენ. ეს კი სამარცხვინოა ადამიანისთვის – შეგვაგონებს იგავთმთხრობელი უფალი.

მეორე მხრივ, წმიდა სახარებაში „მეფის ძის ქორწილის“ იგავი მიიჩნევა „ბოროტი მევენახეების“ იგავის (მათე 21, 33-41) ერთგვარ გაგრძელებად, რომლითაც ასევე ცის სასუფევლის დამკვიდრების თემა ვითარდება. „ბოროტი მევენახეების“ იგავს უფალი იესო ქრისტე იერუსალიმის დიდ ტაძარში ჰყვება მას შემდეგ, რაც იგი დიდებით შევიდა იერუსალიმში, ანუ – ბზობის დღესასწაულის მეორე დღეს.

საგულისხმოა ის, რომ „ბოროტ მევენახეებში“ უფალ იესო ქრისტეს იგავურად განასახოვნებს ვენახის პატრონის მხოლოდშობილი ძე, „მეფის ძის ქორწილის“ იგავში კი იგი არის ძე მეფისა – ძე მეუფისა, რომელიც განაგებს მეუფებას – „უწინარეს ყოველთა საუკუნეთასა“, რაც წმიდა დავით მეფსალმუნის მიერ წინასწარუწყებულად წარმოჩნდება: „ღმერთო, სასჯელი შენი მეუფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეუფისასა განშჯად ერისა შენისა სიმართლით და გლახაკთა შენთა განკითხვით“ (ფსალმუნნი 71, 1-2).

თუკი „ბოროტი მევენახეების“ იგავში უფალი შეფარვით მიგვანიშნებს, რომ ღვთის სასუფეველი ჩამოერთმევათ იუდეველებს და მიეცემა იმ სხვა „ნათესავს“ (ანუ – წარმართებს), რომელიც გამოიღებს ნაყოფს (მათე 21, 43), „მეფის ძის ქორწილის“ იგავში – „ნათესავით“ იგი უკვე აშკარად უთითებს წარმართებზე, რომელთაც იგავში გზაჯვარედინებზე (ძვ.ქართ.: „მებოძირთა გზათა ზედა“) გამოიხმობენ და ქორწილში მოიწვევენ (მათე 22, 9-19). რჩეულ იუდეველთა ნაცვლად სწორედ ესენი – გარედან მოსულნი უნდა შევიდნენ მეფის ძის ქორწილში, ანუ ცის სასუფეველში.

ამასთან ერთად, „ბოროტი მევენახეების“ იგავში ვენახის პატრონი იუდეველებს – ვენახში სამუშაკოდ მოუწოდებს, ხოლო „მეფის ძის ქორწილის“ იგავში მათ – მეუფე მოუწოდებს და თავისი ძის ქორწილში – სიხარულის გასაზიარებლად ეპატიჟება. ორივე იგავში მოწოდებულთა ხვედრი მსგავსია: ბოროტი მევენახეები ძის მოკვლის შემდეგ დაკარგავენ ვენახს, რომელიც სხვებს გადაეცემა, მეფის ძის ქორწილში მოწვეულნი კი არ მივლენ ქორწილში და საქორწილო სუფრას მიუსხდებიან სხვები – გარედან მოსულნი. სახარების ამავე ორ იგავს უფლის მოწოდების გამიზნულობაც აერთიანებს: მოწოდებულნი და მოწვეულნი უფლის წყალობის მისაღებად უნდა მივიდნენ. ოღონდ სამწუხაროა ის, რომ ორივენი, ვენახში მოწოდებულნიც და ქორწილში მოწვეულნიც, საკუთარი ნებით ამბობენ უარს უფლის ამ წყალობაზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, თუ როდის გაცხადდება ეს ორივე მოწოდება.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში აღიბეჭდება წინასწარმეტყველური უწყება ძის მოკვლაზე, ანუ იესო ქრისტეს ჯვარცმაზე. მაშასადამე, უფალი ჯვარცმამდე მოუწოდებდა იუდეველებს (იხ.: მათე 10, 5-7) და ასევე ჯვარცმამდე გაგზავნა თავისი თორმეტი რჩეული მოწაფე – ცათა სასუფევლის მოახლოების საქადაგებლად. ჯვარცმის შემდგომ კი მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს უბრძანებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28, 19), ხოლო ამაღლებამდე უფალი უპირველესად იუდეველთა და, ასევე, წარმართებისა და სხვათა საქადაგებლად მოუწოდებს თავის მოწაფეებს (იხ.: საქმე მოციქულთა 1, 8).

მართლაც ასე იყო: მოციქულებმა ქრისტეს სიტყვა ჯერ ჰურიასტანში – მთელს იუდეაში იქადაგეს, საიდანაც ისინი განდევნეს, და უკვე ამის შემდეგ ქადაგებდნენ წარმართთა შორის.

წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, „ბოროტი მევენახეების“ იგავში – ჯვარცმაა, სიკვდილია უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, „მეფის ძის ქორწილის“ იგავში კი სიხარულია, რითაც უფალი თავის აღდგომას გამოსახავს და იმაზეც მიაგვნიშნებს, რომ ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ უცილობლად აღსრულდება აღდგომა, იგავურად – ქორწილი (ოქროპირი 1998).

წმიდა მამათა მიერ საგულისხმოდ განიმარტება ისიც, რომ სახარების ამ ორ იგავში უფალი ღმერთის საკვირველი მოწყალება უაღრესად განსხვავებულად წარმოჩნდება: პირველში, „ბოროტი მევენახეების“ იგავში, უფალი საკუთარი ხელით განუმზადებს მევენახეებს ვენახს, რათა მათ შეძლონ კეთილი ნაყოფის მიღება, მაგრამ უგუნური და ბოროტი მევენახენი, მადლიერების წილ – უმადურობას ავლენენ, კეთილის წილ – ბოროტს სჩადიან და ვენახის ერთადერთ მემკვიდრეს კლავენ იმის გამო, რომ მათ ნაყოფი მოსთხოვეს, ანგარიშის გასწორება დაუპირეს: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისჴმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფსალმუნი 48,13. 21) – უთუოდ ამათ მსგავთ გულისხმობს წმიდა დავით მეფსალმუნე. ამ მიზეზით იწოდება სახარების ეს იგავი რჯულის იგავად, რადგან „ბოროტი მევენახეების“ იგავში ღმერთი ითხოვს ნაყოფს, ვალის გადახდას, ანუ რჯულის აღსრულებას.

ამისგან განსხვავებით, „მეფის ძის ქორწილის“ იგავი მადლის იგავია, რადგან უფალი მოწვეულთ მადლსა და წყალობას ჰპირდება.

იგავური სათქმელიდან, კერძოდ, ძის, ანუ მემკვიდრის იგავურსაღვთისმეტყველო შინაარსიდან გამომდინარე, „ბოროტი მევენახეების“ იგავი ძველი აღთქმის იგავადაც იწოდება პირობითად, ხოლო „მეფის ძის ქორწილის“ იგავი, ასევე პირობითად – ახალი აღთქმის იგავად იხსენიება. პირველი იმის გამოა ძველი აღთქმისა, რომ ვენახის პატრონის ძე, ანუ იესო ქრისტე, იგავში იმ უკანასკნელი დიდებული წინასწარმეტყველისა და მოძღვრის სახით გვევლინება, რომელმაც ძველი აღთქმა გაასრულა, ასე ვთქვათ – ძველი აღთქმა დაწინდა. მეორე იგავში კი ძე არის არა მარტო სამეუფოს მემკვიდრე, არამედ ამ სამეუფოს გვირგვინოსანი მფლობელიც – უწინარეს საუკუნეთაგან უწყებული.

➢ *ლოდის* („ქვაკუთხედის“) საღვთისმეტყველო ალეგორიისათვის

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ვითარდება და ახალ – სახარებისეულ მნიშვნელობას იძენს „ბოროტი მევენახეების“ იგავს მოდევნებული ქვა-ლოდის ალეგორია: „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“ (მათე 21, 42; ფსალმუნნი 117, 22-23). აქ ნახსენები „თავსაკიდური ლოდი“, ანუ ქვაკუთხედი, უფალი იესო ქრისტეა, რომელმაც შეაერთა, შეკრა ორი – მანამდე გაყოფილი და დაშორებული კედელი, ანუ იუდეველთა და წარმართთაგან შემოკრებილი მორწმუნე ქრისტიანები. ამ ქვა-ლოდით აიგო ძველაღთქმისეული სულიერი წიაღიდან აღმოცენებული ახალაღთქმისეული შენობა, რომლის აღშენება განხორციელებული ძე ღვთისას (და ძე კაცისას) მიერ გასრულდა – სწავლებით, ჯვარცმით, აღდგომით, ამაღლებითა და სულთმოფენობით.

ახალი აღთქმის შენობაში მადლი – ქრისტეს შუამდგომლობით მიიღება ზეციდან. ქრისტეს მადლით მოსილი ქრისტიანები შეუდგნენ ქრისტეს სხეულის აღშენებას (წმიდა პავლე მოციქული) და ამ აღმშენებლობით აღიმართა კლდეზე სულიერი სახლი, რომლის თავსაკიდური ლოდია ქრისტე – ეს ქრისტეს ეკლესიაა!

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ნაგულისხმევი ქრისტეს ეკლესია მოიაზრება, ვითარცა საღმრთო მადლის მეუფება, სადაც შემოკრებილია ქრისტეს მიმდევართა მთელი კრებული. აქ, ამ წიაღში, განემზადებიან ქრისტიანები დიდების სამეუფოს დასამკვიდრებლად, რასაც იგავში საქორწილო პურობა გამოხატავს: ზეციერმა მეუფემ ეს პურობა, ანუ ეკლესია ქრისტესი, თავისი ძის ქორწილის გამო გამართა.

საგულისხმიეროა ისიც, რომ „მეფის ძის ქორწილის“ იგავში მეუფის ძე, იესო ქრისტე – სიძეა[1], მაგრამ იგავში არ ჩანს სასძლო. განმარტავენ, რომ ამ იგავში სასძლო უხილავად არსებობს და, საღვთისმეტყველო შინაარსით, იგი ქორწილში წვეულთა – ჩინებულთა გამო-

[1] წმიდა იოანეს სახარებაში *იესო ქრისტეს სიძედ იხსენიებს წმიდა იოანე ნათლისმცემელი,* როდესაც მასთან მისივე მოწაფეები მივლენ და აცნობებენ, რომ იორდანეში მის მიერ ნათელღებული იესო ახლა უკვე თვითონ სცემს ნათელს და ყველანი მასთან მიდიან. წმიდა მამათა განმატებით, წმიდა იოანე ნათლისმცემელი თავის მოწაფეებს ქრისტეს ღვთაებრივობას უდასტურებს და ამ მიზნით მომარჯვებულ *სიძე-სასძლოს* ალეგორიაში უფალ იესოს *სიძედ* იხსენიებს: *„რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ, რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისაჲთა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“ (იოანე 3, 29)*

მხატველია, შდრ.: „ვენახის მუშაკების“ იგავის დასასრულ დართული ქრისტესმიერი შეგონება: „ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ“ (მათე 20, 16).

სასძლო „მეფის ძის ქორწილის“ იგავში არის ის, ვისაც თავად მეუფემ მოუმზადა ეს საქორწილო პურობა და საქორწილო სუფრაც გაუშალა. როგორც შენიშნავენ, სასძლოს, საპატარძლოს, ამ იგავში კონკრეტული საღვთისმეტყველო შინაარსი აქვს: იგია ეკლესიის წიაღში მყოფი მორწმუნეების კრებული, ანუ – *მრევლი*, ნეტარი თეოფილაქტეს თქმით – ეკლესიის ყველა სათნო სულის ერთობლიობა.

ნეტარი ავგუსტინე ამ იგავის განმარტებისას შენიშნავს: „აქ ხორციელი ქორწილი კი არ არის, სადაც სტუმრები ერთნი არიან და პატარძალი – მეორეა; არამედ არის ერთი პატარძალი – ეკლესიაში მოსულ ჭეშმარიტ სულთა ერთობა“. ხოლო წმიდა გრიგოლი დიდის თქმით: „მამამ გამართა ქორწილი სამეფო ძისათვის, და განკაცების საიდუმლოს გზით შეაუღლა მასთან წმიდა ეკლესია“.

საგანგებოდ განიმარტება „მეფის ძის ქორწილის“ იგავით წარმოჩენილი საკუთრივ საქორწილო პურობის, საქორწილო ლხინის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა. მეფის მიერ განმზადებული პურობა და ლხინი გამოხატავს ქრისტეს ეკლესიის დაფუძნებას ამქვეყნად. მართლაც, ქრისტეს ეკლესია იესო ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდეგ დაფუძნდა და, ამასთან, დაფუძნდა – ვითარცა საღმრთო მადლის მეუფება და წიაღი.

მეუფის ძის ქორწილში მოსულმა სტუმრებმა საქორწილო პურობა უნდა იგემონ, საქორწილო ლხინი და სიხარული გაიზიარონ – სწორედ ეს არის მეუფის მიერ ძისთვის გამართული ქორწილის მიზანი. ასე მოდიან ქრისტეს ეკლესიაში ქრისტიანები – საღმრთო მადლის მისაღებად, წმიდა ზიარების საიდუმლოში მონაწილეობისათვის, რათა ისინი ქრისტეს სისხლად ქცეული ღვინისა და ქრისტეს ხორცად ქცეული პურის თანაზიარობის ღირსნი გახდნენ.

ერთხმად შენიშნავენ, რომ ძის ქორწილის ამ სახარებისეული ალეგორიის საღვთისმეტყველო შინაარსით მოიაზრება ქრისტეს შეერთება ეკლესიასთან, ქრისტეს დაქორწინება ეკლესიაზე. აქედან გამომდინარე, ალეგორიულად, ეკლესია სასძლოა მეუფის ძისა – ეს ეკლესიისა და ქრისტეს საქორწილო ნადიმია; მოწვეული სტუმრები – ეკლესიის წევრები არიან, ხოლო სასძლო, პატარძალი – ამ სტუმართა, ანუ ეკლესიის წევრთა, ერთობლიობაა, ქრისტიანთა კრებულია.

ამ ღვთაებრივ სიძე-სასძლოს ქორწინებაში ღვთის სიტყვისა და კაცობრივი ბუნების შეუღლებასა და თანაზიარობასაც ჭვრეტენ. ამას წმიდა პავლე მოციქული ამგვარად ამოწმებს: „ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც. საიდუმლოჲ ესე დიდ არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“ (ეფესელთა მიმართ 5, 31-32; შდრ.: შესაქმე 2, 24 და მათე 19, 5).

მეორე ეპისტოლეში წმიდა მოციქული პავლე ასე მიმართავს კორინთელებს: „დაგწინდეთ ერთ კაცზე, რათა უბიწო ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე“ (2 კორინთელთა მიმართ 11, 2).

უფალი იესო ქორწილის ალეგორიას მიმართავს, რათა ეკლესიისა და ქრისტეს შეერთება გამოსახოს იგავურად. რატომ უწოდა ამ საღმრთო საქმეს უფალმა სწორედ ქორწილი? ამ შეკითხვას წმიდა იოანე ოქროპირი სვამს და თავადვე გვაწვდის პასუხს: იმიტომ რომ, ამქვეყნად ყველაზე დიდი სიხარული მაშინ დგება, როცა მამა თავისი შვილის, ძის ქორწილს იხდის. ასევე დიდია ღვთის სიხარული, უკიდეგანოა მისი წადილი და უხვია უფლის წყალობა იმგვარ სანეტარო საქმეში, როგორიცაა კაცთა მოდგმის ხსნა, თავისი ყოველი მონანიე შვილის გადარჩენა და ცხონება.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავი სწორედ ამ სულიერი სიხარულით აღვსებას გამოხატავს და გვაგონებს უფლის მშვენიერ იგავს „უძღებ შვილზე“, სადაც მამა შურით პყრობილ უფროს ძეს გადარჩენილი უმცროსი ძმის გამო ეუბნება: „აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა“ (ლუკა 15, 32).

წმიდა ლუკას სახარებაშივე „დაკარგული ცხვრის“ იგავი გვიამბობს მწყემსის დიდ სიხარულზე, რომელსაც იგი ერთი დაკარგული ცხვრის პოვნის გამო განიცდის. ის ქალიც დიდად ხარობს, რომელიც თავის ერთ დაკარგულ დრაქმას იპოვის „დაკარგული დრაქმის“ იგავში (ლუკა 15, 3-10). ყველანი – მამაც, მწყემსიც და ქალიც – თავიანთ მეგობრებსა და ძმებს უხმობენ, რათა მათთან ერთად განიცადონ სიხარული, ისევე, როგორც მეფე უხმობს წვეულ სტუმრებს თავისი ძის ქორწილში ამ დიდი სიხარულის გასაზიარებლად.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში მეფის ძის ქორწილის ორი საფეხური მოიაზრება: ერთია საქორწილო ნადიმი, სადაც უფლის წმიდა სისხლით გამოხსნილი მართალნი სრულ ნეტარებას იგემებენ. ეს არის ქორწილი ტარიგისი, კრავისი. სწორედ ამ საქორწილო ნეტარებასა და

სიხარულს გულისხმობდა უფალი იესო ქრისტე საიდუმლო სეროზა-ზე, როდესაც თავის მოწაფეებს ამცნო: „ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერით-გან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს. და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მი-სცა მათ და თქუა: ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სე-როზისა და თქუა: ესე სასუმელი ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული“ (ლუკა 22, 18-20).

ამასვე გულისხმობს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი „გამოცხადე-ბაში“: „ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ, და მივსცეთ მას დიდებაჲ, რამე-თუ მოვიდა ქორწილი კრავისაჲ, და ცოლმან მისმან განმზადა თავი თჳსი“ (გამოცხადება 19, 7).

ქორწილი ტარიგისი იდღესასწაულება ქვეყნიერების არსებობის დასასრულ, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. მაგრამ საგანგებოდ შენიშნავენ, რომ საქორწილო პუროზა მეორედ მოსვლამდეც შედგა, სა-ქორწილო ნადიმი უფლის განხორციელების ჟამსაც გაიმართა. ყოვე-ლი წვეულისთვის დღემდე მზადდება ეს დიდებული სულიერი პუ-როზა – წმიდა საეკლესიო საიდუმლონი: ნათლობა, სინანული, ზია-რება, მღვდლობა და თვით ქორწინება. ამ ქორწილში წვეულთ შეუძ-ლიათ მიიღონ ეკლესიის წმიდა საიდუმლოთა მადლი, ინეტაროზ რწმენის ნადიმით, აღივსონ და გაიზიაროზ უფლის სიხარული, და დაეუფლონ უხრწნელ საუნჯეს – შეიმოსონ ღვთის სახიერება!

ამ საქორწილო სუფრაზე მოსული მორწმუნეებისათვის დაიკ-ვლება „ტარიგი“ – ქრისტე მაცხოვარი, და ისინი მის უწმინდეს ხორ-ცსა და ღვთაებრივ სისხლს მიიღებენ საცხოვნებლად. ყოველივე ეს აღსრულდება ქრისტეს ეკლესიაში, რომლის მ რ ე ვ ლ ი პატარძალი-ვით, „სასძლოს“ მსგავსად ელოდება „სიძეს“ – ქრისტეს.

წმიდა დავით მეფსალმუნე ხილული და უხილავი მტრის მოგე-რიება-ძლევაში შეწევნას ევედრება უფალ ღმერთს: „ნუსადა თქუას მტერმან ჩემმან: მრე ვეყავ მას; მაჭირვებელნი ჩემნი იხარებდენ, შე-თუ-ვიძრა[1]“ (ფსალმუნნი 12, 5).

დასასრულ, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ქართული სიტყვა-ცნება *მრევლის* საღვთისმეტყველო წანამძღვრებისა და პო-ლისემანტიკური ძვ.ქართ. *რევის* გათვალისწინებით, – ამ სიტყვა-ცნე-ბიდან უკუფენილად ამოიცნობა მისი ზედმიწევნითი ამოსავალი

[1] ძვ. ქართ. *შე-თუ-ვიძრა* „თუ წავბორძიკდები“

ფუნქციური სემანტიკა: „*მრევლი* – უხილავი ბოროტით მ ლ ე უ ლ ცოდვილთა ერთობა (კრებული), რომელიც წმიდა წერილისა და წმიდა საეკლესიო საიდუმლოთა მეოხებით აიძულებს საკუთარ თავს („სასუფეველი ცათაჲ იიძულების“ – მათე 11,12; ლუკა 16,16;) და, ცოდვაზე უარის თქმით, ღვთის შეწევნით დ ა ს ძ ლ ე ვ ს მას – უხილავსა თუ ხილულ მტერს“.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

ბიბლია 2015 – ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“, თბილისი.

იგავნი 2008 – იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, წმიდამამათა და კომენტატორთა საღვთისმეტყველო განმარტება 7 წიგნად, წიგნი 2, მასალა შეკრიბა და შეადგინა დოდო (მარიამ) ღლონტმა, რედაქტორი: ნათელა ხურცილავა, გამომცემლობა „ალილო“, 124 გვ., გამომცემლობა „დედაენა“, თბილისი.

იგავნი 2009 – იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, წმიდამამათა და კომენტატორთა საღვთისმეტყველო განმარტება 7 წიგნად, წიგნი 2, მასალა შეკრიბა და შეადგინა დოდო (მარიამ) ღლონტმა, რედაქტორი: ნათელა ხურცილავა, გამომცემლობა „ალილო“, 240 გვ., გამომცემლობა „დედაენა“, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი.

ოქროპირი 1998 – წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი III, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სიმფონია-ლექსიკონი 2009: ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს, შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სულხან-საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, I, 1991; II, 1993.

ჩიქობავა 1942 – არნოლდ ჩიქობავა სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩუბინაშვილი დ. 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1961: ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჭუმბურიძე 2002: ზურაბ ჭუმბურიძე, მრევლის ეტიმოლოგიისათვის, კრებული „შოთა ძიძიგური 90“, მთ. რედაქტორი: ე. ბაბუნაშვილი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Medea Ghlonti
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
dodomariami@yahoo.com

Keywords: lexicology, etymology, semantics, theology

For the Theological Foundations of Substantive-Functional Semantics of the Georg. Word-concept *Mrevli* (*მრევლი*)

Summary

In the original semantics of Geo. *mrevli* “flock”, the old Georgian lexical units mre(i), mre-qofa “defeater”, reva/revna "to overpower; to mix, to join; to touch; to defeat", cf.: the word m-rev-el-i "defeater"

with the affixes m – el, mdzle "defeater" (literally: "one who defeats") and mdzle-qofa "to overpower" (Sulkhan-Saba, Niko Chubinashvili, Ilia Abuladze, Zurab Sarjveladze) are clearly visible.

On the other hand, Geo. mrevli is a unity welded by the efforts of men, which paves the way to being united in Christ and, thus, it helps us in this supreme divine work. This is what the Lord Jesus Christ means when he comforts Saint Peter the Apostle: "And I tell you, you are Peter, and on this rock, I will build my church, and the powers of death *shall not prevail against it*" (Matthew 16:18).

It is no coincidence that our gracious Georgian wordsmith added suli "soul" to ertoba "unity" and with old Georgian lexemes – ertsul "harmonious; harmoniously; together with soul and heart; with one accord", ertsuleba "unity; unanimity" – he expressed the evil-defeating power of the divine unity of spiritual beings created by God (cf.: old Geo. suli "the soul of men, the image and likeness of God; verbal soul, rational being; man, human being; mind; heart" and old geo. sulieri "alive; living").

Based on the analysis of the Georg. word-concept *mrevli*, it becomes possible to read the functional semantics in detail: "The unity of sinners, who, with God"s help will overcome the enemy – invisible or visible".

ირინე ჩაჩანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ir.chachanidze@gmail.com

თამარ გუჩუა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
me.tamuna@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, პარიზი, ქართული ლექსიკონი.

პარიზის ემიგრაციის „ქართული ლექსიკონი“: მივიწყებული სიტყვები[1]

შესავალი

„ქართული ლექსიკონი“ 130-გვერდიანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომია, რომელიც ანბანთრიგზე დალაგებულ ასობით სალექსიკონო ერთეულს მოიცავს და ისეთ წყაროებს ემყარება, როგორებიცაა: სულხან-საბას, დავით ჩუბინაშვილის, რაფიელ ერისთავის, იოსებ იმედაშვილისა და ვუკოლ ბერიძის ლექსიკონები. ავტორები წინასიტყვაობაში საუბრობენ ლექსიკონის მიზანსა და მნიშვნელობაზე; შენიშნავენ, რომ „ენა თავისი ზრდის პროცესში უკუაგდებს ან ასხვაფერებს გარდამხდარ სიტყვებს“ და ჩამოთვლიან ენის ლექსიკური ფონდის ცვლილებისა და გამდიდრების ისეთ ხერხებს, როგორებიცაა: სიტყვათა დაკარგვა, მნიშვნელობათა შეცვლა და უცხო ენებიდან სესხება.

წინამდებარე კვლევის მიზანია, 1948 წელს პარიზში, ემიგრაციის ქართულ სტამბაში, გამოცემული და ქართველი ემიგრანტების მიერ შედგენილი „ქართული ლექსიკონის“ მაგალითზე იმსჯელოს ე.წ. მივიწყებული ქართული სიტყვების შესახებ; შეადაროს კონკრეტულ ერთეულთა მნიშვნელობები ძველი ქართული ენის ლექსიკონებში მოცემულ მნიშვნელობებს და ხაზი გაუსვას მათ სემანტიკურ თავისებურებებს.

„ქართული ლექსიკონის“ ერთ-ერთი ავტორი შალვა სკამკოჩაიშ-

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-21517].

ვილი (1904-1949) (ზედმეტსახელად Charles Skamko) ცნობილია, როგორც საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი. ემიგრაციის პრესის პუბლიკაციებსა და წყაროებში მისი ადრეული ცხოვრების შესახებ ცნობები ნაკლებად მოიპოვება[1]. ლევილ-სიურ-ორჟიში (Leuville-sur-Orge), პარიზის მახლობლად, მის მიერ შეძენილი მამული ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული საქმიანობის კერას წარმოადგენდა.

ლექსიკონის თანაავტორი მირიან მელუა (1903-1991), სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ჯერ კიდევ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იძულებული გახდა, სამშობლოდან წასულიყო (შარაძე 2005: 519). საფრანგეთში, პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად, ის გახლდათ ემიგრაციის ჟურნალ „სოციალისტური აზრის“ რედაქტორი, რომელიც პარიზში 1934-1939 წლებში გამოდიოდა[2].

ლექსიკონის გამომცემელი დავით ხელაძე (1887 -1957) ქუთაისის სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. ამასთანავე, ის იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომელმაც გასაბჭოების შემდეგ თავისი საქმიანობა ემიგრაციაში განაგრძო. 1933 წელს დავით ხელაძემ

[1] 1926 წელს საფრანგეთში დევნილმა სკამკოჩაიშვილმა ელექტროინჟინერიის ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც პარიზში დააარსა ნათურების მწარმოებელი კომპანია „Delta“, სადაც არაერთი თანამემამულე დაასაქმა. მას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ქართული ემიგრაციის, ასევე საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. 1947 წელს შალვა სკამკოჩაიშვილი აირჩიეს საფრანგეთის ქართული ასოციაციის პრეზიდენტად. იგი 45 წლის ასაკში ჰეპატიტით გარდაიცვალა და დაკრძალულია მეუღლესთან, ჟოზეფინ გერჰარდტთან, (Joséphine Gerhardt) ერთად ლევილის სასაფლაოზე. ემიგრაციის ქართული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ მის გარდაცვალებას ასე გამოეხმაურა: „ბედი ქართლისა“ უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარის, შალვა სკამკოჩაიშვილის, გარდაცვალების გამო. განსვენებული იყო იშვიათი გულკეთილი პიროვნება; ეხმარებოდა ყველას განურჩევლად და დაუზარებლად. მისი უდროვო სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისათვის“ („ბედი ქართლისა“, 1949, #4).

[2] მირიან მელუას საქმიანობის შესახებ საყურადღებოა 1991 წელს ემიგრაციის ჟურნალ „გუშაგში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „მირიან მელუას შესანდობარი“, რომელიც ეკუთვნის მარო მელუასა და ჟურნალის რედაქტორს, გიორგი წერეთელს. ჟურნალში ნათქვამია: „ის წლების განმავლობაში იყო ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობის წევრი. ემიგრაცია მას უმადლის აწ განსვენებულ შალვა სკამკოჩაიშვილთან ერთად „ქართული ლექსიკონის“ გამოცემას“ („გუშაგი“ 1991: #26).

პარიზში საკუთარი სტამბა დააარსა, სადაც დაიბეჭდა ემიგრაციის ქართული ჟურნალები: „სამშობლო", „ჯვარი ვაზისა", „ბედი ქართლისა" და სხვა[1].

„ქართული ლექსიკონის" შესავალშივე ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ „ქართული ენა სხვა ენათა გავლენის ქვეშ იმყოფება". ლექსიკონის შემდგენლებს მხედველობაში აქვთ უცხო სიტყვებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები, თუმცა იმასაც შენიშნავენ, რომ მართალია, ჩვენ *„ვძრახავთ ამ ჩვენთვის უცხო და უშნო სიტყვებს, მაგრამ ისტორიული მოვლენები ჩვენდა დაუკითხავად უკაფავს მათ გზას"*. ამასთან, უცხო სიტყვათა სრული უკუგდებაც არ შეიძლება, ამან შეიძლება ენის ლექსიკური ფონდი გააღარიბოს და ენა „არქაიზმსა და ბარბარიზმში ჩაიძიროს".

პარიზში, ემიგრაციის ქართულ სტამბაში, გამოცემული „ქართულ ლექსიკონში" უხვად დასტურდება ე.წ. მივიწყებული სიტყვები, რომლებიც მე-20 საუკუნის 40-იანი წლებისთვის აღარ გამოიყენებოდა და მითუმეტეს, ამ სიტყვებს აღარ ვხვდებით თანამედროვე ქართულში. ყველა მსგავსი ლექსიკური ერთეულის ჩამოთვლა და ანალიზი ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებლად მიგვაჩნია, თუმცა ქვემოთ შევეცდებით პრობლემის საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილოთ ყურადღება.

ფარეზი

ქართული ლექსიკონის მიხედვით, ფარეზი – დიეტა, diète (ქართული ლექსიკონი, 1948, 98). განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „ფარეზს" არაბული წარმომავლობა აქვს (არაბ. ფარიდათ – მოვალეო-

[1] საინტერესოა, რომ პარიზის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი წიგნებიც: დავით ვაჩნაძის „კავკასიის პრობლემა", ნოე ჟორდანიას „სოციალიზმის სირთულეები" და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელაძის მიერ გამოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ბალმონტისეული რუსული თარგმანი და იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა" (დაუშვილი 2007:177). ემიგრაციის ქართული გაზეთი „თეთრი გიორგი" ამ მოვლენას ეხმაურება სათაურით „პარიზში დაიბეჭდა „დედა ენა", რომელშიაც ნათქვამია: „დ. ხელაძემ გამოსცა ქართული ენის დაწყებითი სახელმძღვანელო, ი. გოგებაშვილის „დედა ენა" (პირველი ნაწილი). „დედა ენას" გამოცემა უცხოეთში, სადაც ქართველი მოზარდი თაობა მოკლებულია მშობლიური ენის სახელმძღვანელოს, დიდ ეროვნულ-კულტურულ საქმედ უნდა ჩაითვალოს და ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას თეთრი გიორგი სიამოვნებით აღნიშნავს. ყოველ ქართულ ოჯახში უნდა იყოს „დედა ენა!" („თეთრი გიორგი" 1931: N43-44).

ბა) და ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. გაფრთხილება, ხელის შეწყობა, სათუთი მოპყრობა, მოვლა და 2. ხელის შეწყობა, გაფრთხილება საჭმელ-სასმელზე. საყურადღებოა, რომ ქეგლში მოცემული საილუსტრაციო მაგალითები მხოლოდ პირველი განმარტების მიხედვითაა წარმოდგენილი (მაგალითად, „ფარეზით და წყნარად უნდა ვიქცეოდეთ“, „ყველა ის ფარეზი და ალერსი, რომელიც ბავშვის ხვედრია“ და სხვ.).

1840 წელს დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „ქართულ-რუსულ-ფრანციცულ“ ლექსიკონშიც გვხვდება „ფარეზი“ ერთადერთი განმარტებით: „დიეტა“ (ჩუბინაშვილი 1840: 501). ამავე ლექსიკონში ცალკე ერთეულად ვხვდებით სიტყვას „საფარეზო“, განმარტებულია როგორც „სალბილობელი“. სალბილობელი კი თარგმნილია, როგორც amollissant, ზედსართავი სახელია და ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „დამარბილებელი“. საყურადღებოა, რომ 1961 წელს ალ. ღლონტის რედაქციით გამოცემულ ნიკო ჩუბინაშვილის შრომაში „ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ“ სიტყვაფორმა „სალბილობელი“ განმარტებულია, როგორც „საფარეზო საჭმელი“.

ქართულ სინონიმთა ლექსიკონში *ფარეზის* განმარტებაში მითითებულია: „იხილეთ აგრეთვე „ხელის შეწყობა“, განმარტება 2“. „ხელის შეწყობის“ მეორე განმარტება კი ასეთია: ფარეზი, მოფრთხილება (ჭამა-სმაში) (ნეიმანი 1978).

როგორც რამდენიმე ლექსიკონის მაგალითზე ვნახეთ, *ფარეზი* ნამდვილად არის საკვებთან და საკვებისადმი განსაკუთრებულ მოფრთხილებასთან დაკავშირებული. ამ შინაარსით თანამედროვე ქართულში იგი აღარ გამოიყენება, მთლიანადაა ჩანაცვლებული სიტყვით *დიეტა.* განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, *დიეტა* “ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა (ბერძნ. diaita - ცხოვრების წესი) და ადამიანთა კვების გარკვეულ რეჟიმს ნიშნავს. რთული დასადგენია, ქართულში კონკრეტულად როდის შეცვალა ბერძნული წარმომავლობის სიტყვამ *დიეტა* მანამდე არსებული *ფარეზი,* თუმცა ქვემოთ შევეცდებით ორივე სიტყვის ეტიმოლოგია მოკლედ მიმოვიხილოთ.

„ახლო აღმოსავლეთის ენციკლოპედიის“ მიხედვით, არაბული სიტყვა farida (არაბ. الفريضة) ვალდებულებას ნიშნავს და ისლამში განსაკუთრებული შინაარსი აქვს: გულისხმობს იმ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც მორწმუნე ადამიანს ევალება (მაგალითად, ყოველდღიური ლოცვები, მექაში მომლოცველობა, საქველმოქმედო გადასახადი და ა.შ.). ამ მოვალეობებს შორისაა მარხვა.

დიეტა ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველბერძნულ ზმნას διαιτάω (diaitáo) – ნიშნავს „ვმკურნალობ, ვამუშავებ“. ბერძნულში მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ცხოვრების წესი“, „რეჟიმი“, „ჯანმრთელობის მდგომარეობა“, „საკვები“. მე-13 საუკუნიდან „დიეტა“ აქტიურად გამოიყენება ევროპულ ენებში. მაგალითად, ძველ ფრანგულში diete ნიშნავდა „რეგულარულ საკვებს“; შუა საუკუნეების ლათინურში – „კვების დღიურ ნორმას“. მე-14 საუკუნის ბოლოდან აღნიშნავს „კვების ჩვეულებრივ წესს“ და „საკვებს, რომელიც განიხილება მის რაოდენობასა და ეფექტთან მიმართებაში“.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი გარემოება: ქეგლის მიხედვით, ძველქართული *ფარეზი* არაბული წარმომავლობის სიტყვაა, ხოლო დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით – სპარსული. ინგლისური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც შენიშნულია, რომ თავად ბერძნულ diaita-ს პროტოინდოირანული ძირი აქვს და უკავშირდება სიტყვას *diainysthai (dia "ცალკე, გარდა" და ainysthai „გამოყოფა“) – ნიშნავს „დაყოფას“, „გამოცალკევებას“. ამასთან, საინტერესოა ძველქართული *ფარეზის* ის განმარტებაც, რომელიც მოცემულია სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“: „*ფარეზი* – გათიშვა. გადმოითარგმნების განყოფილებაჲ და განკუეთაჲ“ (სარჯველაძე 1995: 220).

როგორც ვნახეთ, საანალიზო სიტყვა *ფარეზი* სარჯველაძის ლექსიკონში სულ სხვა განმარტებითაა წარმოდგენილი და არაფერი აქვს საერთო „დიეტასთან“. სიტყვის ეტიმოლოგიის ძიებამ მიგვიყვანა ბიბლიური სახელების ენციკლოპედიამდე. ენციკლოპედიაში მითითებულია, რომ *ფარეზი* (Pharez) ძველსპარსული საკუთარი სახელია, რომელიც პირველად „დაბადებაში“ გვხვდება („აჰა, გამოვიდა მისი ძმა და თქვა ბებიაქალმა: როგორ გამოარღვიე ზღუდე? ამიტომაც დაერქვა სახელად ფარეცი (დაბადება 38:29); გვხვდება მათესა და ლუკას სახარებებშიც). , იუდასა და თამარის ტყუპებიდან ერთ-ერთის სახელია და ნიშნავს „გარღვევას“, „გაყოფას“. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ძველ ქართულში სიტყვას *ფარეზი* სხვა შინაარსიც ჰქონდა გარდა „დიეტისა“, მამაკაცის საკუთარ სახელს აღნიშნავდა. პროტოინდოირანულ სიტყვასაც *diainysthai („ცალკე გამოყოფა“) თავდაპირველად არაფერი ჰქონდა საერთო კვების გარკვეულ წესთან და ძველბერძნულმა *დიეტამ* ეს შინაარსი საუკუნეების შემდეგ შეიძინა.

სიჩქურე

„ქართული ლექსიკონის მიხედვით, *სიჩქურე* ოცნებაა, ფრანგულად Illusion – ილუზია (ქართული ლექსიკონი 1948: 90). ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონშიც“ იგივე განმარტება აქვს. საინტერესოა, რომ ლექსემა *ოცნებას* სინონიმთა ლექსიკონში *სიჩქურეს* გარდა სხვა, მეორე სინონიმიც ახლავს: *ზმანება*. ქეგლის მიხედვით კი *ზმანება* განმარტებულია, როგორც „სიზმარი, მოლანდება და მოჩვენება“.

საინტერესოა დ. ჩუბინაშვილის მიერ 1940 წელს შედგენილი ლექსიკონი. რუსული თარგმანის პირველ მაგალითად, მართალია, მითითებულია мечта, მაგრამ შემდგომი ვარიანტებია: коварство (მზაკვრობა) და обман (მოტყუება); ფრანგული თარგმანის მაგალითებია: chimère (ქიმერა), vaine opinion (ფუჭი აზრი), rêverie (გონებაგაფანტული), astuce (ცბიერი), artifice (ხელოვნური), tromperie (ცრუ). ამავე ლექსიკონში ცალკე ერთეულად გვხვდება *ოცნება*, რომელიც იმავე სიტყვებით არის ნათარგმნი რუსულ და ფრანგულ ენებზე.

საინტერესო განმარტებას გვაძლევს „ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“ (რუხაძე 2008)[1]: *სიჩქურე* – სისულელე, სიჩმახე, სიჩერჩეტე, ყბედობა, მატყუარობა, ჭორი, ჩმახი. ამავე ლექსიკონში ცალკე ერთეულად ვხვდებით სიტყვაფორმას *სიჩქურება*, რომელიც ი. აბულაძის მიხედვით, ძველ ქართულში „ამაოებას“ ნიშნავდა.

დ. ჩუბინაშვილის მიერ 1901 წელს შედგენილ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ რუსული мечта ქართულად განმარტებულია, როგორც ოცნება, მოლანდება, სიჩქურე, უქმი ფიქრი (ჩუბინაშვილი 1901: 319). ამავე ლექსიკონში, სიტყვები фантазия, утопия, химера ქართულად თარგმნილია, როგორც „სიჩქურე“.

სიჩქურე გვხვდება კლაპროთის მიერ 1827 წელს პარიზში გამოცემულ ფრანგულენოვან სახელმძღვანელოში *Vocabulaire et grammaire de la langue géorgienne* („ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა“). ფრანგული curieux (ქართ. „ცნობისმოყვარე“) კლაპროთს თარგმნილი აქვს როგორც „სიჩქურე“ (კლაპროთი 1827: 153).

სიჩქურე დასტურდება სხვადასხვა ძველქართულენოვან ტექსტში. მაგალითად,

[1] აღნიშნული ლექსიკონი შედგენილია ილ. აბულაძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა სალექსიკონო წყაროების მიხედვით.

1) მე-4 საუკუნის ბერძენი საეკლესიო მწერლის, გრიგოლ ნოსელის, საღვთისმეტყველო თხზულებების თარგმანში გვხვდება უაზრო შრომისა და ამაო გარჯის მნიშვნელობით (*„და რაოდენიცა რაჲ სხუაჲ ესევითარისა მის სიჩქარისაგან ჭურჭელთა ზედა ტაბლისათა იქველოვნების ამაოთა მათ მიერ“*).

2) დასტურდება შუა საუკუნეების ქრისტიანული ნაწარმოების „სიბრძნე ბალავარისა“ ქართულ თარგმანში (*„იხილა ეშმაკმან შენ თანა სიჩქარე და სისუსტე“; „მე უწყი სიჩქარე და სისუსტე გუნებისა დედაკაცობისაჲ“*).

საინტერესოა, რომ *სიჩქარე* არ გვხდება „ვეფხისტყაოსანში“, დასტურდება *ოცნება,* ოღონდ სხვადასხვა გრამატიკული ფორმით: *„ცხადი იყო თუ მეოცნა“; „ცხადად ჰოვეს, არ იოცნეს“* და ა.შ. საყურადღებოა, რომ *სიჩქარე* საბას „სიტყვის კონაში“ (1685-1716 წწ.) გვხვდება ოდნავ სახეცვლილი ფორმით - *სიჩქარი* და განმარტებულია შემდეგნაირად: *„ესე არს საგონებლობით და არა ჭეშმარიტად, გინა ნაცილად“.* „სიტყვის კონაშივე“ დასტურდება სიტყვაფორმა *ოცნება*, რომელიც განმარტებულია, როგორც *„სულისა მოქმედება გრძნობათა მიერ“.*

2006 წელს დონალდ რეიფილდის რედაქტორობით შედგენილ „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“ ცალკე ერთეულად დასტურდება *ჩქარი*, რომელიც ინგლისურად თარგმნილია, როგორც fool(ish) (ქართ. „სულელი“, „სისულელე“). ამავე ლექსიკონში მითითებულია, რომ აღნიშნული ლექსემა ძველი ქართული ენისაა და გვხვდება მე-11 საუკუნემდელ ტექსტებში.

ნამჭევარი

„ქართული ლექსიკონის“ ავტორები გვთავაზობენ ლექსემა *ნამჭევარის* ფრანგულ შესატყვისს: „dit avec une grande éloquence“ - დიდი მჭევრმეტყველებით წარმოთქვა, ლამაზად ნათქვამი (ქართული ლექსიკონი 1948: 68). *ნამჭევარი მჭევრისაგან* ნაწარმოები წინა ვითარების სახელია ნა-არ პრეფიქს-სუფიქსის დართვით. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *მჭევრი* იგივეა, რაც *მჭევრმეტყველი* (ჩიქობავა 1990: 761).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში *ნამჭევარი* გვხვდება *ნამჭევრის* ფორმით და განმარტებულია, როგორც „სიტყვა მჭევრთ ნა-

უბ(ნ)არი; მჭევრთა სიტყვათაგანი“, ხოლო *მჭევრი* - ესე არს თითო სახენი გვარნი მეტყველებისანი (რომელსა ელლენებრ ეწოდების *რიტორი*, ხოლო ქართულად *ბასილიკონი*).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანციცულ ლექსიკონშიც *ნამჭევარი* „ნამჭევრის“ ფორმითაა დადასტურებული: „красноръчиво горовенный; dit avec éloquence და ნიშნავს „მჭევრმეტყველებით წარმოთქვა” (ჩუბინაშვილი 1840:376). ამავე ლექსიკონში „მჭევრი, ენა-მჭევრი, მჭევრ-მეთქვი“ ორი მნიშვნელობით იხმარება: 1). რუსულში, როგორც დიდებული, მოხდენილი (статный, стройный, пригожий), ფრანგულში - ლამაზი ფორმისა და ზომის, ელეგანტური (d'une belle forme, d'une belle taille, elegant) და 2). როგორც მჭევრმეტყველი, ორატორი (оратор, красноречивый, eloquent, orateur) (ჩუბინაშვილი 1840: 367).

მე-19 საუკუნის ქართველი მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი „წიგნნი ლექსიკონნში“ ასევე ორი მნიშვნელობით განმარტავს „მჭევრს“: 1) „თუ ვსთქვით ენა მჭევრი, ესე ნიშნავს რიტორად და მშვენიერად კანონიერსა ზრახვასა ანუ მეტყველებასა, ესე იგი ლაპარაკსა მშვენიერ-სიტყვაობასა“ 2) თუ ვსთქვით ტანი მჭევრი – მშვენიერთა ტანთა არა თუ მოხრით, არამედ გამართულად და სწორედ, როგორც მშვენიერს დაამშვენებს ისე პყრობა ტანისა“ (ბაგრატიონი 1979: 94).

საგულისხმოა ქართველი მეცნიერის, სოლომონ დოდაშვილის, ფილოსოფიური თხზულება „რიტორიკა“, რომელშიც შესავალ ნაწილში „მჭევრის“ ეკვივალენტად „შუენიერ სიტყვაობას, მჭერ მეთქვეობას“ ასახელებს: *„შუენიერ სიტყვაობა არს გამოღება ჰაზრთა და გრძნობათა ზეპირად, ანუ ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა, ანუ აღსაწერისა საგნისა“* (დოდაშვილი 1989: 181). „შუენიერ სიტყვაობა“ დოდაშვილისთვის არის არა მხოლოდ ლამაზი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება, არამედ აზრის გადმოცემა მოკლედ, ნათლად, აღსაწერი საგნის შესაბამისად.

საინტერესოა ილია აბულაძის „ძველ ქართულ ლექსიკონში“ შეტანილი *მჭევრის* სინონიმური ლექსიკური ერთეული *ჯადაგო* – მეტყუელი, მჭევრმეტყველი; რიტორი, ფილოსოფოსი, მოსარჩლე, დამცველი“. სიტყვას თან ახლავს წყაროსეული საილუსტრაციო მასალა: *„შთავიდა მღდელთმოძღუარი ანანია ხუცესთა ვიეთმე თანა და ტერტჳლოს ჯადაგოჲსა (მეტყუელისა) ვისთანამე“* (აბულაძე 1973: 573).

მჭევრი (Eloquent) დადასტურებულია ლონდონში 1892 წელს ინგლისელი ქართველოლოგის, მარჯორი უორდროპის, მიერ შედგენილ „ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში“ (English-Georgian Dictionary), რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: თავისუფალი, დახვეწილი და ძლიერი მეტყველების უნარის მქონე.

პაზიონი

„ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, *პაზიონი* (ძვირფასი ქვაა) ნიშნავს მწვანე თვალს (ქართული ლექსიკონი 1948: 75). საინტერესოა, რომ ძვირფასი ქვა *პაზიონი* ქართულ წყაროებში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: *პაზიონი, ტოპაზი, ტპაზიონი, თეთრი იაგუნდი. ტოპაზის* სახელწოდება დაკავშირებულია წითელი ზღვის კუნძულ *ტოპაზოს* („Τοπαζος“) სახელთან (ზუხბაია 152). ბაქარისეულ ბიბლიაში იგი *თუპაზის* სახელწოდებით არის მოხსენიებული: *„არა ესწოროს მას თუპაზი ეთიოპია, ოქროჲთა თანა წმიდათა არა ესწოროს“* (ბაქარისეული ბიბლია, წიგნი იობისა, 28, 19 (440 ა, 31). *პაზიონი* მცხეთურ ბიბლიაში ნახსენებია ორჯერ : 1.) *„და ქსოო მას შინა ნაქსოვი ქვათაგან ოთხ სტიქონი და სტიქონი ქვათაჲ იყოს: სარდიონი, პაზიონი, სამარაგდონი – სტიქონი“* (ძველი აღთქმა, იობის წიგნი, თავი 28:17); 2). *„არა ესწოროს მას პაზიონი ჰინდოეთისა, ოქროსა თანა წმიდისა ვერ შეესწოროს“* (ძველი აღთქმა, იობის წიგნი, თავი 28:19).

ამერიკელი სოციოლოგის, დაგლას ჰარპერის, მიერ შედგენილი „ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით, სიტყვა *ტოპაზი* სხვადასხვა ენაში შემდეგნაირად დასტურდება: ძველ ფრანგულში Topace, ლათინურში Topazius, ესპანურში Topacio, იტალიურში topazio და ბერძნულში Τοπάζιος (Topázios) ან Τοπάζος-იდან. მეცნიერის ვარაუდით, ტოპაზი შეიძლება დაკავშირებული იყოს სანსკრიტულ სიტყვასთან „तपस् -tapas“, რაც ნიშნავს „სითბოს“, „ცეცხლს“.

„შატბერდის კრებულში“ შემავალი ეპიფანე კვიპრელის თეოლოგიურ ტრაქტატში „თვალთაჲ“ ეს მინერალი *ტბაზიონის* სახელწოდებით არის მოხსენიებული: *„ტბაზიონისა თუალისაჲ მეწამულ არს ხილვაჲ მისი... და იპოვა თუალი იგი ტბაზიონი ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ტობაზ, ქუეყანასა მას ჰინდოეთისასა“* (შატბერდის კრებული 1979: 129).

პაზიონი დასტურდება ორი განსხვავებული სახელწოდებით ებრაელი წინასწარმეტყველის ეზეკიელის წიგნის ქართული თარგმა-

ნის ოშკურ-იერუსალიმურ და გელათურ ხელნაწერებში: 1) ოშკურ-იერუსალიმური – *„საშუაბელსა შინა სამოთხისა ღმრთისასა იყავ შენ; ყოველი ქვაჲ პატიოსანი შეგემოსა: სარდიონი და ტპაზიონი...“;* 2) გელათური – *„საშუაბელსა შინა სამოთხისა ღმრთისასა იშევ; ყოველი ქვაჲ კეთილი შეგემოსა:* სარდიონი და პაზიონი (ცქიტიშვილი 1976: 103). როგორც ვხედავთ, ბერძნულიდან შემოსულმა *ტპაზიონმა* ფონეტიკური სახეცვლილება განიცადა და გელათურ ვერსიაში მივიღეთ *პაზიონი.*

სულხან-საბა ორბელიანი *პაზიონს* განმარტავს: *„როგორც ეს(ე) თვალი თეთრი იაგუნდია, ინდოეთს ტოპაზის ქალაქს იპოება“.* დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვხვდება პაზიონი, როგორც „ტოპაზი, ბერძნ. Topazos, ფრანგ. topaze (ჩუბინაშვილი 1840: 396). თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში „წიგნნი ლექსიკონნი“ *პაზიონი* განმარტებულია, როგორც *„თეთრი და ბრწყინვალე იაგუნდი მანათობელი“* (ბაგრატიონი 1979: 103).

პაზიონის ვრცელი აღწერა მოცემულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთ თავში სათაურით „ძვირფასთა ქვებთა ზედა უბნობისათჳს“, რომელშიც ავტორი განმარტავს: *„პაზიონი, ხოლო ბერძულებ ტოპაზ, არს ძვირფასთა ქუათა შინა შერაცხილი. მტკიცე და ელვარე და გამჭირვალობაცა. ფერით არს მომწუანო, ყვითელი, ოქროსფრად ყვითელი და კუამლისფერიცა. ფასით ესწორება ზურმუხტსა, ხოლო ხასიათსა მიაწერენ ნახევარ ძალასა იაგუნდისასა“* (ბატონიშვილი 1991: 284).

***

გარდა ჩვენ მიერ განხილული ლექსიკური ერთეულებისა, „ქართულ ლექსიკონში“ სხვა, არაერთი საინტერესო სიტყვაა დადასტურებული. მათი არასრული ჩამონათვალი ასეთია:

ალოფანი – მგრძნებარე, ანთებული (ქართული ლექსიკონი 1948: 12).

განდიბუსტი – მეტიჩარა (ქართული ლექსიკონი 1948: 19).

გავალო – შაქრიელი, კონფეტი (ქართული ლექსიკონი 1948: 24).

დაეფანი (La clôture) – ზღუდე (ქართული ლექსიკონი 1948: 31).

ევთია – წირი, მირაჟი (ქართული ლექსიკონი 1948: 37).

ანკალი – ზანკალი, თოვლში სახმარი სპეციალური ფეხსაცმელი (ქართული ლექსიკონი 1948: 44).

თანთანა – ბილიკი, საცალფეხო გზა დიდი გზის გვერდით (ქართული ლექსიკონი 1948: 42).

იალდუზი – ბაჯაღლო ოქრო (ქართული ლექსიკონი 1948: 44).

იამანი (ქვაა) – აყიყი, აქატი, ახატი, agate, агат (ქართული ლექსიკონი 1948: 45).

იშკილბაზი – გაიძვერა, თაღლითი, ეშმაკი, მატყუარა, ვერაგი, გაქნილი, ლუპუსტატი, მატრაბაზი (ქართული ლექსიკონი 1948: 46).

კალნაბი – ყვავილოვანი კომბოსტო (ქართული ლექსიკონი 1948: 46).

მაზა – ნუგბარი, დელიკატესი, სიკოხტავე (ქართული ლექსიკონი 1948: 53).

მკვირცხე – ლამაზი, ტურფა (ქართული ლექსიკონი 1948: 59).

სიკორკობილა – საქანელა, სიკორწიალა (ქართული ლექსიკონი 1948: 89).

ფორთომინი – დიდებული, კეთილშობილი, noble (ქართული ლექსიკონი 1948: 100).

ქუმლი – თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი (ქართული ლექსიკონი 1948: 103).

ჩალიკვა – მემარცხენე (მარცხენა ხელით მომუშავე) (ქართული ლექსიკონი 1948: 112).

ჩოფი – გრიმის გასაკეთებელი ჩხირი (გრიშ.) (ქართული ლექსიკონი 1948: 115).

ჯავაირჩი – ოქრომჭედელი, ზარგარი (ქართული ლექსიკონი 1948: 127).

დასკვნა

1948 წელს პარიზში გამოცემული „ქართული ლექსიკონი“ არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიული, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გამოცემაა. მის ამ განსაკუთრებულობას განაპირობებს რამდენიმე გარემოება: 1) ლექსიკონი შეადგინეს შალვა სკამკოჩაიშვილმა და მირიან მელუამ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარიზში ემიგრაციაში წასულმა ქართველმა პუბლიცისტებმა; 2) ლექსიკონი გამოსცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ასევე ემიგრაციაში წასულმა ქართველმა გამომცემელმა და პარიზის ქართული სტამბის დამაარსებელმა და-

ვით ხელაძემ; 3) ლექსიკონი განკუთვნილი იყო ემიგრაციაში მცხოვრები ქართველებისთვის და მიზნად ისახავდა მივიწყებული ქართული სიტყვებისა და „ჩამოქართულებული“ უცხო სიტყვების განმარტებას.

ლიტერატურა

ბატონიშვილი 1990 – იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა*, წიგნი I, თბილისი: მერანი.

ბატონიშვილი 1991 – იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა*, წიგნი II. თბილისი: მერანი.

დაუშვილი 2007 – რუსუდან დაუშვილი, *ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში*, თბილისი.

დოდაშვილი 1989 – სოლომონ დოდაშვილი, *თხზულებანი*, თბილისი: თსუს გამომცემლობა.

ზუხბაია 1998 – ვალერიან ზუხბაია, *ძვირფასი და სანახელავო ქვები*, თბილისი.

კლაპროთი 1827 – ჰაინრიხ კლაფროთი, *Vocabulaire et grammaire de la langue géorgienne*, Part 1, პარიზი.

შარაძე 2005 – გურამ შარაძე, *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, ტომი VII. თბილისი.

შატბერდის კრებული 1979 – *შატბერდის კრებული X საუკუნისა*, თბილისი: მეცნიერება.

ცქიტიშვილი 1976 – თინათინ ცქიტიშვილი, *ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები*, თბილისი: მეცნიერება.

ლექსიკონები

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, *ძველი ქართული ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: მეცნიერება.

ბაგრატიონი 1979 – თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩიქობავა 1990 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით, ნაკვეთი მეორე. თბილისი: ქართული ენციკლოპედია

რუხაძე 2008 – გრიგოლ რუხაძე, *ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი*, თბილისი: საპატრიარქოს გამომცემლობა.

ნეიმანი 1978 – ალექსანდრე ნეიმანი, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი* (მე-3 გამოც.). თბილისი: განათლება.

ორბელიანი 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი*, თბილისი.

რეიფილდი 2006 – დონალდ რეიფილდი, *დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი*, შედგენილი რ. ამირეჯიბის, შ. აფრიდონიძისა და დ. რეიფილდის (მთ. რედ.) მიერ. ლონდონი.

სარჯველაძე 1995 – ზურაბ სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)*, თბილისი.

სკამკოჩაიშვილი & მელუა 1948 – შალვა სკამკოჩაიშვილი & მირიან მელუა, *ქართული ლექსიკონი*, პარიზი.

ჩუბინაშვილი 1840 – დავით ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი*, სანქტ-პეტერბურგი.

ჩუბინაშვილი 1901 – დავით ჩუბინაშვილი, *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი [რუსულ ენაზე].

წყაროები

ბედი ქართლისა 1949 – ჟურნალი „ბედი ქართლისა“.
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/95834
გუშაგი 1991- ჟურნალი „გუშაგი“.
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/311656
თეთრი გიორგი 1931- გაზეთი „თეთრი გიორგი“.
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/428944

ელექტრონული რესურსები

ახლო აღმოსავლეთის ენციკლოპედია - *Encyclopedia of the Middle East* http://www.mideastweb.org/Middle-East-Encyclopedia/

ეტიმოლოგიური ლექსიკონი - *Online Etymology Dictionary* https://www.etymonline.com/

მელუა 2009 - მირიან მელუა, *Chalva Skamkotchaïchvili (1904-1949), ancien président de l'Association géorgienne en France* https://www.colisee.org/article.php?id_article=2913

Irine Chachanidze
Akaki Tsereteli State University
ir.chachanidze@gmail.com

Tamar Guchua
Akaki Tsereteli State University
me.tamuna@gmail.com

Keywords: emigration, Paris, Georgian Dictionary

“The Georgian Dictionary” of the Georgian Emigration in Paris: Forgotten Words[1]

Summary

“The Georgian Dictionary”, published in Paris in 1948, is an important publication not only from a lexicographical, but also a historical point of view. Its peculiarity is determined by several factors: 1) The dictionary was compiled by Shalva Skamkochaishvili and Mirian Melua, Georgian publicists who immigrated to Paris after the Sovietization of Georgia; 2) The dictionary was published by Davit Kheladze, a member of the Social Democratic Party, a Georgian publisher who also emigrated from Georgia after its Sovietization. He was the founder of a Georgian printing house in Paris; 3) The dictionary was intended for Georgian emigrants and aimed at explaining forgotten Georgian words and foreign words that had been “rendered into Georgian”.

“Georgian Dictionary” is a 130-page lexicographic work, which includes hundreds of lexical entries arranged alphabetically and is based on sources such as the dictionaries by Sulkhan-Saba, Davit Chubinashvili, Raphael Eristavi, Ioseb Imedashvili and Vukol Beridze. In the preface, the authors talk about the purpose and importance of the

[1] This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-22-21517].

dictionary; They note that “in the process of its growth, the language rejects or changes obsolete words”. They list the ways of changing and enriching the lexical fund of the language such as losing words, changing meanings and borrowing them from foreign languages.

The paper aims to discuss the so-called forgotten Georgian words on the example of “The Georgian Dictionary” compiled by the Georgian emigrants and published in 1948 in Paris, in Davit Kheladze printing house; to compare the meanings of specific entries with the meanings given in dictionaries of the Old Georgian language, and to emphasize their semantic features.

ნატა ჩხაიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
chkhaidzenata5@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოლოგია, ჩარჩო სემანტიკაზე დაფუძნებული ტერმინოლოგია, სემანტიკური ხიდები, პოლისემია ტერმინოლოგიაში

ი. მელჩუკის სემანტიკური ხიდები ტერმინოლოგიაში

ბოლო 20 წლის განმავლობაში ტერმინოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. იუჯინ ვუსტერის (Wüster, 1979; Felber, 1984) *ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიით* მიღებული ტერმინის *უნივოკალური, ონომასიოლოგიური* სტრუქტურა საგრძნობლად დაუახლოვდა ენის საერთო ლექსიკას და მის *სემასიოლოგიურ* პრინციპებს, რაზეც მეტყველებს ტერმინოლოგიაში მიმდინარე ტენდენციები, კერძოდ, *მეტაფორიზაციის* გზით საერთო ლექსიკის სიტყვების *გატერმინება (ტერმინოლოგიზაცია), განტერმინება (დეტერმინოლოგიზაცია)* და დარგიდან დარგში, ან საერთო ლექსიკიდან ამა თუ იმ დარგში ტერმინთა მიგრაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტერმინოლოგიის განვითარების ყოველ ეტაპზე არსებობდა ტერმინის ლექსიკური დივერსიფიცირების პოტენციალი (მაგ. *პოლისემიის, ომონიმიისა* და *სინონიმიის* გაჩენა). თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიციული ტერმინოლოგიური თეორიები მიისწრაფოდნენ ტერმინების *უნიფიკაციისაკენ, სტანდარტიზაციისკენ* და *ჰარმონიზაციისკენ* (Cabré, 1995), თეორიების პარადიგმულ სტრუქტურაში არ იქნა გათვალისწინებული ტერმინის მნიშვნელობის ლექსიკური გაფართოების ალბათობა. შესაბამისად, დღევანდელ რეალობაში, აღნიშნულმა პროცესმა, არა მხოლოდ ბუნდოვანი გახადა ზღვარი და განსხვავება საერთო ლექსიკის სიტყვებსა და ტერმინებს შორის, არამედ დღის წესრიგში დააყენა ტერმინოლოგიური და მისი მომიჯნავე სხვა ლექსიკოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული თეორიებისა და მეთოდოლოგიების გადახედვის საჭიროება ტერმინების აღწერა-დამუშავებისათვის.

ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიის კრიტიკის ფონზე შექმნილი ტერმინოლოგიური თეორიები, მაგალითად, *ტერმინოლოგიის სა-*

კომუნიკაციო თეორია (Cabré, 1999; 2009) და *ტერმინოლოგიის სოციოკოგნიტიური თეორია* (Temmerman, 2000) მიუთითებენ ტერმინის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების როლზე, რომლითაც შესაძლებელია ქვეყნის კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციისა და მდგომარეობის გადმოცემა (Nedobity, 1983). საზოგადოდ, ენაში კომუნიკაციის პრობლემები იჩენს თავს მაშინ, როდესაც ენა, ხშირ შემთხვევაში სამეცნიერო ენა ვერ ეწევა ახალი დარგებისა და ცოდნის განვითარების ტემპს (Cabré, 1995). მაშასადამე, ერთი ენობრივი კოლექტივის ფარგლებში გამჭვირვალე კომუნიკაციის შესანარჩუნებლად აუცილებელია ცნებების კონტექსტური და სემანტიკური გამჭვირვალობა. სწორედ ამიტომ, *ტრადიციული ტერმინოლოგიური თეორიის* სტანდარტიზაციისაკენ სწრაფვის მიუხედავად, მნიშვნელოვანია *ტერმინოგრაფიაში* მიმდინარე დინამიკური პროცესები და მრავალფეროვნება სხვადასხვა მხრიდან შევისწავლოთ. განსაკუთრებით საყურადღებოა თანამედროვე ტერმინების სტრუქტურის *ლექსიკური სემანტიკის* შესწავლა (L'Homme, 2020; 2007), კერძოდ, ტერმინების აღწერა იგორ მელჩუკის *განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოლოგიის* (Mel'čuk, et al., 1995) ზოგიერთი ასპექტის მიხედვით.

განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოლოგია (Explanatory-Combinatorial Lexicology - ECL) არის იგორ მელჩუკის (Mel'čuk, et al., 1984-1999; Mel'čuk, 2006; Mel'čuk, et al., 1995) *განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონის* (Explanatory-Combinatorial Dictionary - ECD) თეორიული ჩარჩო, რომელიც ეფუძნება *შინაარსი ⇔ ტექსტი* ლინგვისტიკურ მოდელს (Meaning ⇔ Text Theory – MTT) (Mel'čuk, 2013). MTT და ECL განიხილავენ *კონკრეტული ენის* (a particular language - L) ყველა ლინგვისტიკურ მახასიათებელს (სემანტიკას, სინტაქსს, მორფოლოგიასა და ფონოლოგიას) და აქცენტს აკეთებენ **L**-ის ლექსიკაზე, ენაში არსებული *ლექსიკური ერთეულების* (Lexical Units - LUs) სრული ლინგვისტიკური პორტრეტის შესადგენად (Mel'čuk, 2006; L'Homme, 2020). იგორ მელჩუკის აზრით (2006), ენის *ნორმატიული, სემანტიკურად* ორიენტირებული და *კოლოკაციებზე* კონცენტრირებული ლექსიკონი უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი ენის ლინგვისტიკური აღწერის ძირითად კომპონენტს. მოცემული დებულების თანახმად ენის თეორიული ლექსიკონი თანამედროვე სემანტიკის ცენტრალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც MTT მიდგომის

ფარგლებში განმარტებით კომბინატორული ლექსიკონის, ანუ ECD-ს სახეს იღებს.

ECD-ს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა აგებულია *ლექსიკურ ელემენტებზე* (LUs), რომლებიც შეიძლება მიემართებოდეს *ლექსემებს* ან *ფრაზემებს (იდიომატურ გამოთქმებს).* ECD-ს ფარგლებში გამოიყოფა LUs-ის ოთხი ძირითადი მახასიათებელი, ანუ *„ზონა“* (Mel'čuk, 2006), კერძოდ: 1) *სემანტიკური ზონა*, რომელიც შედგება LUs-ის განმარტებისგან და კონოტაციისგან, 2) *ფონოლოგიური/გრაფემული ზონა*, სადაც ყურადღება გამახვილებულია LUs-ის ორთოგრაფიასა და წარმოთქმაზე, 3) *კოლოკაციების ზონა*, რომელიც მოიცავს LUs-ის მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, სტილისტურ და პრაგმატულ შესიტყვებებს, 4) *ილუსტრაციების ზონა*, სადაც დაზუსტებულია ამ თუ იმ LUs-ის საილუსტრაციო მაგალითები და გამოყენების კონტექსტები. აქედან გამომდინარე, ლექსიკონის ფარგლებში LUs-ის სიტყვა-სტატიამ უნდა შეგვიქმნას წარმოდგენა არა მხოლოდ კონკრეტული ლექსიკური ერთეულის დისკურსში გამოყენების შესახებ, არამედ ასევე უნდა დაგვანახოს კოლოკაციური კავშირები (L'Homme, 2020).

ECL თეორიის და ECD მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია *სემანტიკური ხიდი*, რომელიც აღწერს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებასა და *პოლისემიური* მნიშვნელობების განვითარების თავისებურებებს. ECL-ის თეორიის ფარგლებში სემანტიკური ხიდი აღინიშნება 'σ' სიმბოლოთი, და წარმოადგენს კავშირს L და L´ შორის, სადაც L არის *ფრაზეოლოგია*, ხოლო, L´ – *ფრაზემა. სემანტიკური ხიდების* ფარგლებში, კონკრეტული ენის ლექსიკური ერთეულები სემანტიკური სიახლოვის მიხედვით ნაწილდება ორ ღერძზე: 1) ჰორიზონტალურად – *სემანტიკური შრე*, და 2) ვერტიკალურად – *ვოკაბულა.* მელჩუკი (2006) წერს, რომ LUs-ის კომპონენტების, L_1-სა და L_2-ს შორის არსებული *სემანტიკური ხიდი* არის იმ *სემანტემების* კონფიგურაცია, რომელიც საზიაროა L_1 და L_2 სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში და აკმაყოფილებს ორ მოთხოვნას, კერძოდ: 1) მოცემული სემანტიკური ხიდი ('σ') არის ერთნაირად მნიშვნელოვანი ორივე განმარტებაში, და 2) სემანტიკურ ხიდს ('σ') უკავია ცენტრალური პოზიცია ორივე სიტყვა-სტატიის განმარტებაში. შედეგად, *სემანტიკური ხიდი* გვეხმარება არა მხოლოდ სიტყვის *პოლისემიურ* მნიშვნელობებს შორის კავშირისა და ლოგიკის დამყარებაში, არამედ ასევე გვიჩვენებს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისას მიმდინარე კოგნიტიურ პროცესებს. *სემანტიკური ხიდი* შესაძლოა განვითარდეს, როგორც სიტყვის თავდაპირვე-

ლი მნიშვნელობიდან, ასევე მეტაფორიზაციის გზით სხვა პოლისემიური მნიშვნელობების გაჩენის დროს (Mel'čuk, 2013).

ECL-ის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა ტერმინოგრაფიის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ECL-ი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ არა მხოლოდ ტერმინებს შორის არსებული *პარადიგმატული* და *სინტაგმატური* კავშირები, არამედ გამოვავლინოთ ტერმინის ძირითადი მნიშვნელობა, აღვწეროთ მისი *პრედიკატული* და *კვაზიპრედიკატული* მნიშვნელობები, სემანტიკური განსხვავებები, შევადგინოთ ტერმინის *ნორმატიული დეფინიციები* და ვაჩვენოთ სინტაქსური სტრუქტურა (L'Homme, 2020).

გარდა ამისა, ტერმინის *სემანტიკური ხიდის* გამოვლენისათვის მიზანშეწონილია ლინგვისტიკური კვლევისათვის დამახასიათებელი ორი მეთოდის გაერთიანება, კერძოდ, *დეფინიციათა* და *ეტიმოლოგიური ანალიზის* სინთეზი. თავის მხრივ, *დეფინიციათა ანალიზის* მიზანია კონკრეტული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის გამოვლენა, სარეფერენციო წყაროებში არსებული დეფინიციების სისტემური შედარების საფუძველზე (Vardidze, 2020). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსული ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, განვითარდა და დაიხვეწა სარეფერენციო წყაროებში საილუსტრაციო მასალების, ანუ კონტექსტების, დატანის პრაქტიკა. შედეგად, დეფინიციათა ანალიზის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ექსპლიკაცია კონტექსტური ანალიზის საფუძველზეც. მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ტერმინებსა და საერთო ლექსიკის სიტყვებს შორის ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, მნიშვნელოვანია ტერმინის მნიშვნელობის გაფართოების პოტენციალის ისტორიული ანალიზი. ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიური ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გამოვყოთ ტერმინის თავდაპირველი სემანტიკური კომპონენტი. გარდა ამისა, ტერმინოლოგიაში სემანტიკური ხიდების ანალიზის (Chkhaidze, 2024) შემოთავაზებული მეთოდოლოგიის განხორციელებისას მნიშვნელოვანია სარეფერენციო რესურსების სწორი განსაზღვრა. დასახული მიზნის მისაღწევად კი უნდა შეირჩეს ისტორიულ პრინციპებზე დაფუძნებული ლექსიკონები, ეტიმოლოგიური რესურსები, ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები და კორპუსები.

ტერმინი TRIGGER-ის ეტიმოლოგიურმა ანალიზმა[1] გვიჩვენა, რომ სიტყვა თანამედროვე ფორმით პირველად 1650-იან წლებში გამოიყენეს, შემდეგი მნიშვნელობით – a device by means of which a catch or spring is released, and a mechanism is set in action (მოწყობილობა, რომელიც ამოქმედებისას უშვებს ჩამკეტს ან ზამბარას, და მოჰყავს მექანიზმი მოქმედებაში). 1930 წელს, სიტყვა TRIGGER-ი პირველად გამოიყენეს როგორც ზმნა - cause something to happen (რაღაცის გამოწვევა). ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის (Oxford English Dictionary, 2024) ანუ OED-ს

(The Oxford English Dictionary) ტერმინი TRIGGER-ის დეფინიციათა ანალიზმა გამოავლინა სიტყვის ძირითადი სემანტიკური კომპონენტი – a movable catch or lever the pulling or pressing of which releases a detent or spring and sets some force or mechanism in action (მოძრავი ჩამკეტი ან ბერკეტი, რომელიც გამოქაჩვის ან ჩამოწევის/დაჭერის დროს, უშვებს სასხლეტს ან ზამბარას და მოჰყავს მექანიზმი მოქმედებაში). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემანტიკური ხიდების საშუალებით მნიშვნელობის გაფართოების გამოვლენა არის შესაძლებელი მხოლოდ ამომავალი სემანტიკური კომპონენტის განსაზღვრის შემდეგ. ამგვარად, მოცემული სემანტიკური კომპონენტი გვიქმნის ერთგვარ წარმოდგენას ტერმინი TRIGGER-ის რაობის შესახებ. კერძოდ, TRIGGER-ი უნდა იყოს მოძრავი, უნდა ააქტიურებდეს მექანიზმს, მოძრავ ნაწილზე დაჭერის ან მისი გამოქაჩვის დროს. დარგობრივი ტერმინოლოგიის სპეციფიკიდან და მეტაფორიზაციული ტენდენციებიდან გამომდინარე, TRIGGER-მა შესაძლოა შეიძინოს ალტერნატიული მნიშვნელობებიც (Chkhaidze, 2024).

ტერმინი TRIGGER-ის სემანტიკური ხიდების ანალიზმა, შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო შემდეგი სემანტიკური კომპონენტები (Chkhaidze, 2024): 1) as if sth was/were a device for setting sth into motion (თითქოს არის რაიმეს ასამოქმედებელი მექანიზმი); 2) acting as a device for setting sth into motion, subsequently causing another event as a chain reaction (ასრულებდეს რაიმეს ასამოქმედებელი მექანიზმის ფუნქციას, რომელიც შედეგად იწვევს დამატებითი მოვლენების ჯაჭვურ რეაქციას); 3) the subsequent result of being set into motion by a

[1] იხ. Trigger *n* - https://www.etymonline.com/word/trigger#etymonline_v_17822

device (მექანიზმის მიერ, რაიმეს ამოქმედებით გამომდინარე შედეგი); 4) the subsequent reaction to being set into motion by a device (მექანიზმის მიერ, რაიმეს ამოქმედებით გამოწვეული რეაქცია); 5) the characteristics of an agent as a direct subsequent result of setting sth into motion by a device (მექანიზმის მიერ, რაიმეს ამოქმედებით განპირობებული შედეგის მახასიათებელი).

თითოეული სემანტიკური კომპონენტი, წარმოადგენს პოლისემიური მნიშვნელობების გაჩენის ათვლის წერტილს. მოცემული პოლისემიური მნიშვნელობა, თავის მხრივ, შეიძლება შეგვხვდეს კონკრეტულ დარგში ან მეტაფორიზაციის გზით გადავიდეს ერთი დარგიდან მეორე დარგში. მაგალითად, ტერმინი TRIGGER-ის პირველი სემანტიკური კომპონენტი, as if sth was/were a device for setting sth into motion (თითქოს არის რაიმეს ასამოქმედებელი მექანიზმი), ფიქსირდება სამხედრო საქმისა და თავდაცვის დარგში, საიდანაც მნიშვნელობის მეტაფორიზაციის საშუალებით, ორ დამოუკიდებელ მიმართულებას[1] იჩენს: 1) მექანიკა და ლითონის საქმე, და 2) ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში (Chkhaidze, 2024) ვხედავთ, თუ როგორ ხდება სემანტიკური ხიდების მეშვეობით ტერმინი TRIGGER-ის განსხვავებული მნიშვნელობების გაჩენა. აღნიშნული პროცესი კოგნიტიური მექანიზმების ჯაჭვურ რეაქციას ჰგავს, სადაც იკვეთება არა მხოლოდ ტერმინოლოგიზაციის, არამედ დეტერმინოლოგიზაციის შემთხვევებიც[2], და ასევე ასახულია ტერმინის მნიშვნელობის გადატანის შემთხვევებიც[3].

1. *Domain #1031: Military and Defense (დარგი #1031: სამხედრო საქმე და თავდაცვა)*
   1.1. *TRIGGER* n. – a part of a firearm that, when pulled, operates internal components of the mechanism, ultimately resulting in the forward movement of the firing pin. ***[≠ TRIGGERLESS];*** [= *gun TRIGGER]*

[1] აღნიშნული მიმართულებების ტაქსონომია ეფუძნება სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

[2] დეტერმინოლოგიზაცია, სემანტიკური ხიდების კონტექსტში ასახულია ქვევით მიმართული ისრის (‡) სიმბოლოთი.

[3] მნიშვნელობის გადატანა, სემანტიკური ხიდების კონტექსტში ასახულია ისრის (↪) სიმბოლოთი.

1.1.1. *Hair TRIGGER* n. – a trigger that operates a firearm by very slight pressure.

1.1.1.1. *Hair-trigger* ǂ adj. – a person who reacts immediately to the slightest provocation.

1.1.2. *Primary fission TRIGGER* n. – a part of a THERMONUCLEAR WARHEAD. [= *booster-fission PRIMARY]*

1.1.3. *Gun TRIGGER* n. – [= *TRIGGER*]

1.1.3.1. *Trigger FINGER* n. – the pointer finger of the right hand, which pulls the trigger of a firearm.

1.1.3.2. *Trigger-happy* ǂ adj. – a person ready to shoot at anything at any time or on slight provocation.

1.1.3.3. *Trigger GUARD* n. – a protective loop around the trigger of a firearm used for the prevention of accidental discharge.

1.1.3.4. *Trigger LOCK* n. – a device that is locked with a key to prevent a user from pulling the trigger of the firearm. [= *gun LOCK*]; [↪Transfer to #0716]

1.1.3.5. *Trigger BLOCK* n. – a mechanism in a steam engine that automatically closes the steam valve when a certain speed is reached. [= *trigger GUARD*]

1.1.3.5.1. Domain #0715: Mechanics and Metal Trades (დარგი #0715: მექანიკა და ლითონის საქმე)

1.1.3.5.1.1. *Trigger* STOP n. – a stop placed on a die to control the feed of the automatically released strip.

1.1.3.5.2. Domain #0716: Motor Vehicles, Ships and Aircraft (დარგი #0716: ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები)

1.1.3.5.2.1. [↪Transfer from #1031] *Trigger LOCK* n. – a latching device with a trigger-like lever used to secure doors. [= *trigger LATCH*]

1.1.3.5.2.2. *Trigger* LATCH n. – [= *Trigger* LOCK]

ლიტერატურა

Cabré Maria Teresa On diversity and terminology [Journal] // Terminology. International Journal of Theoretical and Applied Issues in Specialized Communication. - [s.l.] : John Benjamins Publishing Company, January 1995. - 1 : Vol. 2. - pp. 1-16. - 0929-9971.

Cabré Maria Teresa Terminology: Theory, methods and application [Book]. - Amsterdam & Philadelphia : J. Benjamins Pub. Co., 1999.

Cabré Maria Teresa The Communicative Theory of Terminology, A Linguistic Approach of Terms [Journal] // Revue française de linguistique appliquée. - 2009. - 2 : Vol. XIV. - pp. 9-15.

Chkhaidze Nata TOWARDS THE TREATMENT OF POLYSEMOUS TERMS: On the example of trigger [Journal] // Online Journal of Humanities ETAGTSU. - 2024. - 9. - p. 14.

Faber Pamela A Cognitive Linguistics View of Terminology and Specialized Language [Book]. - Berlin, Boston : De Gruyter Mouton, 2012.

Felber Helmut Terminology Manual [Book]. - Paris : Unesco and Infoterm, 1984.

Felber Helmut Terminology Manual [Book]. - [s.l.] : UNESCO, 1984.

Kingscott Geoffrey Tribute to the founder of terminology [Journal] // Language Today. - August 1998. - pp. 14-19.

L'Homme Marie-Claude Lexical Semantics for Terminology: An introduction [Book]. - Amsterdam / Philadelphia : John Benjamins Publishing Company, 2020.

L'Homme Marie-Claude Using Explanatory and Combinatorial Lexicology to Describe Terms [Book Section] // Selected Lexical and Grammatical Issues in the Meaning–Text Theory: In honour of Igor Mel'čuk / ed. Wanner Leo. - Amsterdam/Philadelphia : John Benjamins Publishing Company , 2007. - 9789027292773.

Mel'čuk Igor and et al. Dictionnaire explicatif et combinatoire [Book]. - Montréal : Presses de l'Université de Montréal, 1984-1999.

Mel'čuk Igor Explanatory Combinatorial Dictionary [Book Section] // Open Problems in Linguistics and Lexicography / book auth. Sica Giandomenico. - Monza : Polimetrica s.a.s., 2006.

Mel'čuk Igor Semantics. From Meaning to Text [Book]. – Amsterdam/ Philadelphia : John Benjamins Publishing Company, 2013. - Vol. 2.

Mel'čuk Igor, Clas André and Polguère Alain Introduction à la lexicologie explicative et combinatoire [Book]. - Bruxelles : Duculot, 1995.

Nedobity Wolfgang The General Theory of Terminology: A Basis for the Preparation of Classified Defining Dictionaries [Journal] // Dictionaries: Journal of the Dictionary Society of North America. - 1983. - 5. - pp. 69-75.

Oxford English Dictionary trigger (n.1) [Online] // Oxford English Dictionary. - February 7, 2024. - https://doi.org/10.1093/OED/8582695812.

Sager Juan C. A Practical Course in Terminology Processing [Book]. - Amsterdam / Philadelphia : John Benjamins Publishing Company, 1990. - 9789027274342.

Temmerman Rita Towards New Ways of Terminology Description: The sociocognitive-approach [Book]. - Amsterdam : John Benjamins Publishing Co., 2000.

Vardidze Tinatin UNIVERSAL MODELS OF POLYSEMOUS NOUNS IN ENGLISH AND GEORGIAN LANGUAGES [Journal] // Online Journal of Humanities ETAGTSU. - Tbilisi : Tbilisi State University, June 24, 2020. - 5. - p. 12.

Wüster Eugen Einführung in die allgemeine Terminologielehre und terminologische Lexikographie [Book]. - Wien, New York : Springer-Verlag, 1979.

Nata Chkhaidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
chkhaidzenata5@gmail.com

Keywords: Terminology, Explanatory-Combinatorial Lexicology, Frame-based Terminology, Semantic Bridges, Polysemy in Terminology

Semantic Bridges of I. Mel'čuk in the Framework of Terminology

Summary

For the past 20 years, the traditionally acclaimed univocal characteristics of terminology structure based on Eugene Wüster's General Theory of Terminology started to diverge, as terms began to change their nature and develop polysemy, homonymy, and synonymy, which, consequently, made them grow increasingly closer to the structure of general-language words. This emerging deviation of terms from the General Theory of Terminology was further highlighted by the terminologization of general-language words, determinologization of terms, and term migration between multiple domains through metaphorization. The abovementioned process has manifested the urgency for revising existing terminological and terminology-adjacent lexicological theories and formulating new methodologies for terminology treatment, management, and visualization in dictionaries.

One of the terminology-adjacent theories relevant to developing a new type of terminology definition through its systematic approach to dictionary entries is Explanatory-Combinatorial Lexicology (Mel'čuk, et al., 1995; Mel'čuk, et al., 1984-1999). Semantic Bridge Analysis is part of the Explanatory-Combinatorial Lexicology methodology, which aims to identify a word's meaning expansion and polysemy development patterns. The identification process is conducted via etymology and definition analyses. By combining etymology and definition analysis, a framework is established enabling the identification of the agents of the concept, determiners, and the possible polysemous chain reactions. Hence, the idea of Semantic Bridge Analysis is to find the prototypical meaning of the word and the links between its other peripheral or polysemous meanings.

მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი
საქართველოს საპატრიარქო
mamukacuxishvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა, ტერმინოლოგია, მრევლი, ლექსიკონები, გამოკითხვა.

ქრისტიანული ტერმინოლოგიის საკითხისათვის

„პირველითგანვე გვქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი“ (წმ. გიორგი მთაწმინდელი)

შესავალი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაარსების დღიდანვე (I საუკუნის ბოლო) სამოციქულოა და აქვს ავტოკეფალია. შესაბამისად, ის განუყოფელი ნაწილია მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიისა და ღირსეული ადგილი უკავია დიპტიხში. უხსოვარი დროიდან საეკლესიო და საერო ხელისუფალნი ურთიერთშეთანხმებულად აშენებდნენ როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას, ისე მის კულტურულ, საგანამანათლებლო და სამეცნიერო ციხე-სიმაგრეებს.

ქრისტიანობის გაძლიერება-განვითარებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ნასესხებ, ისე მის კალკირებულ ქართულ შესატყვისებს. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ ტერმინთა განმარტებები, ძირითადად, და მხოლოდ ცნობილი იყო საეკლესიო კლერიკოსთა და მრევლის მცირე ნაწილისათვის. იმ მრევლისათვის, რომელიც გულისყურით უსმენდა მსახურებას და, შეძლებისდაგვარად, იმახსოვრებდა მისთვის უცხო ტერმინებსა და სიტყვებს.

სხვადასხვა ტაძარში სამი თვის განმავლობაში ჩავატარეთ ანონიმური გამოკითხვა ამა თუ იმ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ; საუბარია იმ მრევლზე, რომელიც ტაძარში დადის თითქმის ყოველ შაბათ-კვირას და/ან დღესასწაულებზე. ჩვენ მიერ გამოკითხული მრევლის 47 წევრიდან არც ერთმა არ იცოდა, რომ *კვეთა* და *პროსკომიდია* სინონიმებია, არადა *პროსკომიდია/კვეთა* ღმრთისმსახურების განუყოფელი და ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია.

სამწუხაროა, რომ დღემდე არ არსებობს ქართულ საეკლესიო ტერმინთა სრულყოფილი ბეჭდური და ციფრული ლექსიკონი, რომელიც უდიდეს სამსახურს გაუწევს დარგის სპეციალისტებს, დამწყებ

მეცნიერებს, საეკლესიო საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებასა და დედაეკლესიის მრევლის აქტიურ წევრებს. ჩვენი მცდელობა და დიდი სურვილია, ქრისტიანულ-საეკლესიო ტერმინოლოგიის, როგორც ცალკე დარგის, ფორმირება და მისი პოპულარიზაცია.

ქრისტიანული ტერმინოლოგიის საკითხები

წმინდა გიორგი მთაწმინდელის შესახებ გიორგი მცირე წერდა, რომ *„...პირველ ყოვლისა სჯნაქსარი[1] თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათაჲ, რომლისა თჯნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ. რამეთუ რომელსა ეკლესიასა სჯნაქსარი არა ჰქონდის, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდინ, თაფლსა ჭამს, ხოლო სიტკბოებასა სასაჲ ვერ სცნობს, – ესე არს, ვითარცა ვთქუთ, პირველი სამკაული ეკლესიისაჲ“* (კეკელიძე1980).

როგორც სვინაქსარია ეკლესიის სამკაული, სწორედ ასევეა ქრისტიანული ტერმინთკრებული, ურომლისოდაც ღმრთისმსახურება დაკარგავს ელფერსა და სიდიადეს.

ცნებათა ერთობლიობა არის ტერმინოლოგიის ქვაკუთხედი, ხოლო უკვე ტერმინებად ჩამოყალიბებული ცალკეული სიტყვები განსაზღვრავენ მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ფორმირებასა და მის მომავალს.

მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის დარგთა განვითარების პარალელურად ინტენსიურად ვითარდება კონფესიები, იგივე დენომინაციები, რომლებიც თავისთავად შობენ ტერმინებს, რომლებიც საზოგადოებისთვის მეტად ფასეული და აქტუალურია, შესაბამისად, სოციალურ, პოლიტიკურ, თეატრალურ, ფილოსოფიურ თუ ოფთალმოლოგიურ ტერმინთა ცნობარ-ლექსიკონების პარალელურად, ვთვლით, რომ აუცილებელია უნდა არსებობდეს „რელიგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული გამოცემები.

თავდაპირველად იმ რამდენიმე (და არა ყველა) ტერმინზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო თუ ყოველდღიურ ქრისტიანულ საღმრთისმეტყველო პრაქტიკაში და მათი

[1] სვინაქსარი – (ბერძ. – synaxarion შეკრება), თავდაპირველად კალენდარი, რომელშიც წელიწადის თვეებისა და დღეების მიხედვით შეტანილი იყო ქრისტიან წმინდანთა ხსენებები და დღესასწაულები (გაბიძაშვილი და სხვ. 2007).

უმეტესობა უნდა იცოდეს მრევლის ყველა წევრმა, ანუ მართლმადიდებელმა ქრისტიანმა.

მოციქული კოდრატეს (დაახლ. I ს. II ნახ.), არისტიდე ათენელი ფილოსოფოსის (II საუკ.), არისტონ პელეელის (II საუკ.), წმინდა იუსტინე მარტვილის (I საუკ. II ნახ.), წმინდა ათენაგორა ათენელის, თეოფილე ანტიოქიელის, მელიტონ სარდელის და სხვა აპოლოგეტთა განსაკუთრებული დამსახურება ეკლესიის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მათ ჩამოაყალიბეს საეკლესიო მოძღვრების დაცვის პრინციპები, ჩამოაყალიბეს მეთოდოლოგია საეკლესიო მოძღვრების დამცველობისა, განსაზღვრეს ტერმინები, რომლებმაც სათავე დაუდეს ქრისტიანული მოძღვრების რიგ მიმართულებებს.

წმინდა დიონისე არეოპაგელი როდესაც თავის საღმრთისმეტყველო შრომებს – „საღმრთოთა სახელთათვის“, „ზეციური მღვდელთმთავრობის შესახებ“, „ეკლესიური მღვდელთმთავრობის შესახებ“, „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“, უგზავნიდა წმინდა ტიმოთე მოციქულს, ყველა შრომის დასაწყისში მკაცრ გაფრთხილებას ურთავდა, რომ ნაწერები, რომელთაც ტიმოთე მიიღებდა, არ გადაეცა ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც მოუმზადებელნი იყვნენ და ვერ შეწვდებოდნენ ამ მოძღვრების სიწმინდეს, შეიძლება კიდეც შეერყვნათ ისინი (ლოლაშვილი 1983).

პროფ. ედიშერ ჭელიძე წერს, ასეთი რამ რომ არ მოხდეს *„აუცილებელია, მოძღვრება გადმოიცეს, რაც შეიძლება ზედმიწევნით, რაც შეიძლება დაზუსტებული ტერმინებით. ტერმინის მიზანდასახულობა მხოლოდ ინფორმაციულობა კი არაა, არამედ მოძღვრების სიწმინდისა და უბიწოების დაცვა. ხოლო ის, რაც სიწმინდეს და უბიწოებას იცავს, ის, რაც ამის დამცველია, რა თქმა უნდა, ის პირველ რიგში ზნეობრივი მონაცემია და არა ინფორმაციული. ტერმინს მხოლოდ იმდენად განესაზღვრება და განეკუთვნება ინფორმაციულობის თვისება, რამდენადაც ეს უწმინდესი მოძღვრება, რა თქმა უნდა, როგორც საღვთო ინფორმაცია, შინაარსის შემცველია“* (ჭელიძე 2024).

საეკლესიო ტერმინოლოგია არაფერია თუ არა ბიბლიურ-საეკლესიო მოძღვრება გამოთქმული ყველაზე უფრო ზუსტი ტერმინებით, მაგრამ ტერმინებში არა მხოლოდ გამოითქმის მოძღვრება, არამედ მისი უცთომელობაც და სიწმინდეც ნარჩუნდება. შესაბამისად, ტერმინი არ არის მხოლოდ საურთიერთობო საშუალება, ანუ მას არა აქვს მხოლოდ საურთიერთობო დანიშნულება და რაობა, არამედ ის ამავე დროს არის ზნეობრივი მონაცემი.

პროფ. ედიშერ ჭელიძის განმარტებით, ეკლესიურ ტერმინოლოგიას ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საეკლესიო მოვლენას, შესაძლოა ეწოდოს „ცხოველმყოფელი ტერმინოლოგია“. ტერმინი „ცხოველმყოფელი“ ეწოდება ღმრთიურობის, საეკლესიო ჭეშმარიტების ყოველ გამოვლინებას, მაგალითად: „ცხოველმყოფელნი საიდუმლონი“, „ცხოველმყოფელი ეკლესია“, „ცხოველმყოფელი მოძღვრება“, ‘ცხოველმყოფელი რჯული“ და ა.შ.

ტერმინი და, ზოგადად, ტერმინოლოგიური ცნობიერება ეკლესიურ წიაღში, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი მიზანდასახულობისაა, ზნეობრივი თვისებისაა და ამ ზნეობრივი თვისებითაა გამსჭვალული ნებისმიერი ტერმინოლოგიური შესიტყვება და ამ ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა მკაცრად მოწესრიგებული სახე – დოგმატური დებულებები და მთლიანობაში დოგმატიკა.

წმინდა მამები გვასწავლიდნენ, რომ სიტყვაში გამოხატვის უნარი გულისხმობს აუცილებლად ტერმინოლოგიური ცნებით მეტყველებას, იმიტომ რომ არგუმენტირება, დასაბუთება და ტერმინი ერთი მეორისგან განუყოფელია. სიტყვა და ტერმინი, ანუ ლექსიკური ერთეული და ტერმინი ერთი და იგივე არ არის. შესაბამისად, ლექსიკურ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს მრავალი მნიშვნელობა.

მაგალითად,

1. *გვამი* ქართულ ენაში იტევს არაერთ შინაარსს. ძველ ქართულში ის იყო „ცოცხალი სხეულის“ აღმნიშვნელი, ამავე დროს ძველ ქართულში ის ნიშნავდა „იარაღს“. დღეს კი ტერმინი „გვამი“ ნიშნავს ცოცხალი არსების მკვდარ სხეულს. ასევე, აღნიშნავს ცხოველის შიგნეულს (ჯავახური ტერმინი) და ქალის სარცხვენელს. მაშინ როცა საღმრთისმეტყველო სწავლებაში „გვამი“ დაკანონებულია ჰიპოსტასის ადეკვატურ ტერმინად/პიროვნების აღმნიშვნელად. შესაბამისად, ჩვენ ვამბობთ, „სამგვამოვანი ღმრთეება“. „ოდეს-იგი მივხედნეთ ღმრთეებასა და ერთმთავრობასა და ერთობასა არსებისა და ბუნებისა და ნებისა და ძალისა და უფლებისასა, ყოვლითურთ ერთობასა გულისჴმავყოფთ. ხოლო ოდეს თჳთებანი იგი მოვიგონნეთ, რომელთა შინა არს ღმრთეებაჲ, და უფროჲსად ვთქუა, რომელ არიან ღმრთეებაჲ, სამგუამოვნებასა გულისჴმა-ვყოფთ“ (ჯავახური 2014).

2. *დოგმატი*[1], როგორც ტერმინი, გამოიყენება არა მხოლოდ ღმრთისმეტყველებაში, არამედ ანტიკურ ლიტერატურაშიც. ციცერონი ამ სიტყვით აღნიშნავდა საყოველთაო დოქტრინებს, რომელთაც ჰქონდათ უცილობელი ჭეშმარიტების მნიშვნელობა. ორიგენე და წმინდა ისიდორე, სოკრატეს უწოდებდნენ ანტიკური დოგმატების კანონმდებელს, ხოლო სტოიკოსებისა და პლატონის სწავლებებს – დოგმატებს. ჰეროდიანესთან დოგმატი ნიშნავს სენატის დადგენილებას, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ რომაელები. ლუკა მახარებელი სიტყვით „დოგმა“ აღნიშნავს კეისრის ბრძანებას, რომლის თანახმადაც უნდა აღწერილიყო რომის მოსახლეობა.

3. *დოგმა* წმინდა საღმრთისმეტყველო გაგებას, მისი მნიშვნელობა ზედმიწევნით გადმოსცეს: ეგნატე ღმერთშემოსილმა, კირილე იერუსალიმელმა, გრიგოლ ნოსელმა, ბასილი დიდმა და სხვა წმინდა მამებმა. დოგმა, ანუ დოგმატი, არის: ა. ჭეშმარიტება, რომელიც ეკუთვნის რელიგიის შინაგან არსს, ანუ იგი არის თეორიული და მჭვრეტელობითი ჭეშმარიტება, რწმენისეული სწავლება, რითაც განსხვავდება ქრისტიანის ცხოვრების წესისა და პრაქტიკული საქმიანობისაგან. ბ. ჭეშმარიტება, რომლის უეჭველი აღიარება აუცილებელია ქრისტიანისათვის, რათა სამართლიანად ეკუთვნოდეს ეკლესიის ერთობას.

4. *ეკლესია* არის ღმრთისაგან დადგენილი ქრისტეს მორწმუნეთა საზოგადოება, რომელიც სულიწმინდის განგებით მარადიული ცხოვრებისათვის შეერთებულია ღმრთის სიტყვით, საიდუმლოებებითა და მღვდელმთავრობით. როგორც ყოველი საზოგადოება, ქრისტეს ეკლესიაც შედგება სულისა და ხორცისგან. ეკლესიის სული – მადლი სულიწმინდისა – ყოველი მორწმუნის განმაცხოველებელია და განსაკუთრებული სიუხვით ენიჭებათ ღმრთის წმინდა ადამიანებს „ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა. რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფ. 1, 22-23).

მრავალი საეკლესიო ტერმინი, რომლებიც პირველივე საუკუნეებიდან დამკვიდრდა ქრისტიანობაში, გვხვდება როგორც არაერთ ძველ ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებაში, ისე თანამედროვე ტერმინოლოგიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ტერმინთა წარმოშობისა და ქართულ ენაში დამკვიდრების პროცესები, რომლე-

[1] ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „აზრი“, „გადაწყვეტილება“, „სწავლება“, „დადგენილება“.

ბიც სადღეისოდ გამოიყენება მხოლოდ საღმრთო ლიტურგიის დროს. იგივე დოგმატი, გვამი, დოქსოლოგია ან კიდევ ყოველდღიურ პრაქტიკაში – ეკლესია, აიაზმა, სქემა და სხვ.

მრევლის გამოკითხვა

კვლევისათვის ჩავატარეთ იმ პირთა გამოკითხვა, რომლებიც არიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის წევრები და სისტემატურად ესწრებიან წირვა-ლოცვას.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე გარემოება.

ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უფლება აღიარებულია: საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მე-13 მუხ.), ევროპის ქარტიით (მე-10 მუხ.), თანახმად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციისა (მუხლი 27-ე).

ამის მიუხედავად, ზოგი მხოლოდ სკოლას ამთავრებს, ზოგი კი ლიცეუმს ან კოლეჯს, ბევრი მშობელი ცდილობს მათმა შვილმა მიიღოს საუნივერსიტეტო განათლება და ეზიაროს უმაღლეს იდეებს. განათლების მიღება გულისხმობს, რომ ადამიანი დაოსტატდეს იმ სპეციალობაში, რომელიც მან აირჩია და რომლის გამოყენებასაც მომავალში ფიქრობს/აპირებს, მაგალითად, ექიმმა-ოფთალმოლოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს აბლეფარია,[1] ინჟინერმა უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს ბათქაში[2] და კალათბურთელისთვის აუცილებელია ტერმინ *ტაიმაუტის*[3] ცოდნა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ რა ტერმინთა ცოდნაც მოეთხოვებათ ოფთალმოლოგებს, ინჟინრებს ან კალათბურთელებს, მათ ცოდნას კატეგორიულად ვერ მოვთხოვთ თვალის სნეულებების მქონე პაციენტებს, საინჟინრო საქმეების დამკვეთ პირებსა და კალათბურთის მოყვარულ-გულშემატკივრებს. მაგრამ, როდესაც პაციენტი ათჯერ მაინც

[1] განვითარების ანომალია: ქუთუთოების და თვალის ნაპრალის უქონლობა. როგორც წესი, თან ახლავს თვალის კაკლის განუვითარებლობა.

[2] კედლის, ტიხრის, ჭერისა და სხვა ზედაპირის მოსაპირკეთებელი გლუვი შრე, რომელიც შეიძლება იყოს მშრალი (ფილები), ან სველი (გალესვა).

[3] წუთშესვენება თამაშის დროს, რომელსაც ითხოვს მწვრთნელი ან მისი თანაშემწე

მიდის ექიმ-ოფთალმოლოგთან, მან უკვე უნდა იცოდეს თავისი დაავადება, როდესაც დამკვეთი ინჟინრისგან ორ-სამჯერ მოისმენს ერთსა და იმავე სიტყვას ან ტერმინს, ის უნდა იმახსოვრებდეს მას და როდესაც ადამიანი ათჯერ და ოცჯერ უგულშემატკივრებს საკალათბურთო გუნდს, მისთვის ტერმინები უცხო აღარ უნდა იყოს.

ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს, განურჩევლად პროფესიისა, კვალიფიკაციისა თუ საქმიანობისა, არჩეული აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის მარტივი გზა – აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ახალი ტერმინების სწავლა, სალექსიკონო მარაგის გამდიდრება, ახალ ფასეულობებთან თანაზიარება და სხვ.

შეიძლება მრევლის[1] წევრებმა არ იცოდნენ იმ ტერმინთა მნიშვნელობა, რომელთა ცოდნა მოეთხოვება სასულიერო დასს (დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), მაგრამ აუცილებელი და სავალდებულოა გარკვეული ცოდნა მაინც ჰქონდეთ და ფლობდნენ ზოგად ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება მწუხრის, ცისკრისა და წირვის მსახურების დროს, თუ რატომ და რა მიზნითაა დამკვიდრებული ზოგი წესი და ტრადიცია ეკლესიაში, თუ რას ნიშნავს ტერმინები, რომლებიც სხვაგვან არ გვხვდება ან წარმოდგენილია გადატანითი მნიშვნელობით და სხვ.

ცნობილია, რომ საღმრთო ლიტურგიას ყველაზე მეტი ადამიანი ესწრება მცხეთა-თბილისის ეპარქიის მოქმედ ტაძრებში. სწორედ რამდენიმე ტაძრის მრევლის წევრს (სულ 47 ადამიანი) დავუსვით შემდეგი 5 მარტივი კითხვა:

1. რამდენი ნაწილისგან შედგება წირვა?
2. ვინ არის კათაკმეველი?
3. რას ნიშნავს პროსკომიდია?
4. საქართველოში ვისი ეპისტოლეები იკითხება და როდის?
5. რას ნიშნავს სიტყვა „აქსიოს“?

პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. რამდენი ნაწილისაგან შედგება წირვა[2]?

გამოკითხულთაგან 41 ადამიანმა არ იცის, თუ რამდენი ნაწილისგან შედგება წირვა. 3. პასუხობს, რომ ორი ნაწილისგან, მეორე სა-

[1] მორწმუნე მოსახლეობა, რომელსაც მომსახურებას უწევს ერთი ეკლესია.

[2] ა. კვეთა, ბ. კათაკმეველთა ლიტურგია, გ. მართალთა ლიტურგია.

მი ამბობს, რომ წირვა შედგება სამი ნაწილისგან, თუმცა ვერ ასახელებს თანმიმდევრობას.

2. ვის ეწოდება კათაკმეველი[1]?

გამოკითხულთაგან 28-მა არ იცის, თუ ვის ეწოდება კათაკმეველი, 12-მა იცის, თუმცა ვერ დააზუსტა, მხოლოდ 7-მა გამოკითხულმა უპასუხა მართებულად.

3. რას ნიშნავს პროსკომიდია[2]?

გამოკითხულთაგან 45-მა არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. სიტყვის მცოდნე აღმოჩნდა 2 ადამიანი, რომელთაგან ერთმა დაასრულა სასულიერო სემინარია, ხოლო მეორე წლების წინ მედავითნეობდა სხვა ტაძარში.

4. საქართველოში ვისი ეპისტოლეები იკითხება და როდის?

გამოკითხული 47 ადამიანიდან კითხვას მართებულად უპასუხა 44-მა ადამიანმა, 3 მათგანმა ვერ გასცა პასუხი.

5. რას ნიშნავს სიტყვა „აქსიოს“[3]?

გამოკითხულთაგან 38-მა არ იცის, ხოლო 9 ადამიანმა მართებულად უპასუხა.

ინტერესი, რომელიც გამოკითხვის თანამდევი იყო, დღემდე არ განელებულა. პირიქით, მას შემდეგ რამდენიმე სასულიერო პირსაც დავუსვით რამდენიმე კითხვა და ვთხოვეთ ამა თუ იმ ტერმინის განმარტება, თუმცა უმეტესობამ თავი აარიდა და საუბარი სხვა თემებზე გადაიტანა.

---

[1] კათაკმეველი ჰქვია ადამიანს, რომელსაც სწამს უფალი იესო ქრისტე, გადაწყვეტილი აქვს ქრისტიანულ ეკლესიასთან შეერთება და ემზადება ნათლობისათვის. ძველად კათაკმევლები ნათლობამდე სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდნენ ქრისტიანულ სჯულს და ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას;

[2] პროსკომიდია (ბერძნ. Προσκομιδή – მიტანა, შეწირვა), იგივე კვეთა, საღმრთო ლიტურგიის პირველი ნაწილი.

[3] ბერძნ. ἄξιος, „ღირსი“, „დამსახურებული“, „შესაფერისი“.

წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) გვასწავლის, რომ *„ვინც ეკლესიას არ ეკუთვნის, ის ქრისტიანი არაა, რადგან იესო ქრისტეს მადლს ვერ მიიღებს“*

რა სახით გადმოგვცემს ეკლესია იესო ქრისტეს მადლს? პირველ რიგში – ნათლისღებით, შემდეგ სახარებისა და საერთოდ საღმრთო წერილის სწავლებით; რაც მთავარია, ეკლესია არა მხოლოდ იესო ქრისტეს მადლს გვაზიარებს, არამედ გვაერთებს მასთან, როცა უფლის სისხლსა და ხორცს ვეზიარებით. *„ეკლესია არასოდეს დაგტოვებს ობლად, სიხარულისა და მწუხარების ჟამს, ჭირსა თუ ლხინში, წმინდა ეკლესია მიგვიძღვის ლოცვით, კურთხევით, ნუგეშისცემით, მოძღვრებით. ეკლესია ადამიანთა შემაერთებელი, სიყვარულისა და ერთობის მასწავლებელია. ეს სოფელი და ამსოფლიური საქმე კაცს კაცისაგან განყოფს, განაშორებს, ხშირად კი გადაამტერებს კიდეც, ხოლო ეკლესია, პირიქით, შეაერთებს, დააახლოებს, კაცს კაცს შეაყვარებს. ეკლესიაში ყველანი ერთნი ვართ, ყველასათვის ერთი წირვა-ლოცვა სრულდება, ერთი ემბაზისაგან ვიღებთ ნათელს, ერთ ბარძიმისაგან ვიღებთ წმინდა ზიარებას“* (ქიქოძე 1913).

შეუძლებელია, იყო ეკლესიის წიაღში და არ ფლობდე იმ საუნჯეს, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანებს და წმინდანთა წყალობით, მრავალი დევნის მიუხედავად, დღემდე უცდომლად და შეურყვნელად მოვიდა. პავლე მოციქული გვასწავლის *„ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ მრავალ ღათუ არს, ერთგუამვე არს, ეგრეთცა ქრისტე. რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ, გინა თუ ჰუარიათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა; და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გჳსუამს“* (1 კორ. 12:12-13.).

ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის მისი წევრების, ანუ მრევლის, იგივე კრებულის სწავლა-აღმზრდელობითი მოძღვრება, რომლიც ჰგავს ჩვილს, რომელსაც ზრდა-განვითარებისათვის სჭირდება მრავალი რამ - ჯანსაღი კვება და ჰაერი, ფიზიკური და გონებრივი ვარჯიში, წვრთნა, კულტურისა და ჰიგიენის სწავლა და ა.შ.

ბერნარდ ლივეხუდი, ცნობილი ექიმი, ფსიქიატრი, პედაგოგი თვლიდა, რომ ბავშვის განვითარება რთული და მრავალმხრივი პროცესია, თუმცა გონივრულად დაყოფილი განვითარების სფეროები გვეხმარება, მის ყველა ასპექტს დავუთმოთ თანაბარი ყურადღება. ა.

ფიზიკური განვითარება გულისხმობს უნარებს, რომლებიც ბავშვს მოძრაობაში (მსხვილი მოტორიკა), ხელის თითების გამოყენებასა (წვრილი მოტორიკა) და შეგრძნებებში (სმენა, ხედვა, ყნოსვა, გემო, შეხება) ეხმარება. ბ. მეტყველების განვითარება ბავშვის მუცლად ყოფნის პერიოდში იწყება, როცა მას დედის საუბარი ესმის. გ. შემეცნებითი განვითარება გულისხმობს ბავშვის ისეთი უნარების განვითარებას, რომლებსაც მისი ტვინი იყენებს აზროვნებისა და სწავლისათვის და სხვ. თვლის, *რომ ბავშვი ჰგავს ტაძარში მისულ პილიგრიმს, რომელიც სხვა მომლოცველების თუ მზრუნველი ადამიანების დახმარებით ცდილობს სულიერ და შემეცნებით განვითარებას და, თუ დაშვებული იქნება შეცდომები, პილიგრიმს უყურადღებოდ დარჩენილი ბავშვივით გაუჭირდება სწორი გზით სვლა* (ლივეხუდი 2002).

ტაძარში მისული ახალფეხადგმული მორწმუნე მარტოობაში დაიკარგება. არათუ საეკლესიო ტერმინების, უმარტივესი წესების სწავლაც გაუჭირდება, რადგან მან სულ ახლახან შეაღო ტაძრის კარი, სადაც მისთვის ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ხატი, სანთელი და იცის პირჯვრის გადაწერა.

წმინდა კირილე იერუსალიმელი „ნათვლად განმზადებულთათვის“, იგივე XVIII სიტყვაში განმარტავს, რომ *„ეკლესიას ეწოდება კათოლიკე, რადგანაც იგი მთელ სამყაროში მდებარეობს, მიწის კიდიდან კიდემდე; იმიტომ, რომ სრულად გადმოსცემს მთელ იმ სწავლებას, რომელიც ადამიანებმა უნდა იცოდნენ - სწავლებას ხილულ თუ უხილავ, ციურ თუ მიწიერ საგნებზე; რადგანაც კაცობრიობის მთელი მოდგმა ღმრთისმოსავობას ემორჩილება... და რადგანაც კურნავს და ამთელებს საერთოდ ყველანაირ ცოდვას, სულითა თუ სხეულით ქმნილს; და მასში იქმნება ყოველი, რასაც კი სათნოების სახელი ეთქმის, საქმეში, სიტყვებსა თუ ყოველგვარ სულიერ ძღვენში“* (ჯულაყიძე 2015).

სარწმუნოების სიმბოლოში „მრწამსი“ ვკითხულობთ *„ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია* (καθολικὴν καὶ ἀποστολικὴν ἐκκλησίαν*). აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა“*. ტერმინოლოგიურ ან განმარტებით ლექსიკონებში „კათოლიკე“ როგორაა განმარტებული? მაგალითად, პროფ. მ. ღაღანიძე თვლის, რომ კათოლიკე ეკლესია ერთიანი, მთლიანი, საერთაშორისო, ცენტრალიზებული დაწესებულებაა, რომელიც, მოქალაქეობის, ეროვნების, ენისა და კულტურის მიუხედავად, დედამიწის ყველა ქვეყნის კათოლიკეს აერთიანებს. როცა ცალკეულ ადგილას ადგი-

ლობრივი საკრებულო ან ადგილობრივი ეკლესია არსებობს, ის მაინც სავსებით კათოლიკურია, თუკი ის თანაზიარებაში იმყოფება რომის ეპისკოპოსთან. მაგრამ, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, ქრისტიანული სამყაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად თანდათანობითი გაყოფის შემდეგ, ტრადიციულად, „კათოლიკე ეკლესიის“ სახელწოდება შეინარჩუნა საქრისტიანოს იმ ნაწილმა, რომელიც თანაზიარებაში იმყოფება რომის პაპთან (ღაღანიძე 2008). იდენტურია მომდევნო განმარტებაც – „კათოლიკე ეკლესია – ქრისტიანული ეკლესიაა, რომელთა წევრები თავიანთ ამქვეყნიურ მეთაურად რომის ეპისკოპოსს მიიჩნევენ და მასთან სრულ ერთობაში იმყოფებიან“ (კრებული 2008). თუმცა, „განმმარტებლები“ ტერმინს „კათოლიკე“ არ ახსენებენ „მრწამსთან“ დაკავშირებით, არადა დღემდე იგი ერთ-ერთი უმთავრესი და მრავლისმომცველი ნიშანსვეტია ქრისტიანული ეკლესიისათვის.

ამ განმარტებებით ცხადი ხდება, რომ ტერმინი *კათოლიკე* მსმენელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში წარმოდგება როგორც არა სარწმუნოების სიმბოლოს „მრწამსის“ თავდაპირველი მნიშვნელობით და როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, არამედ კათოლიციზმის, ანუ რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევართა, სინონიმი.

კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის ზილონის ეპისკოპოსი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის მართლმადიდებლური რუსული ეკლესიების მთავარეპისკოპოსის ვიკარი[1] ალექსანდრე (სემიონოვი, ტიან-შანელი, 1890-1979 წწ.) განმარტავს, რომ „მრწამსში“ ეს წინადადება ასე უნდა იქნეს გაგებული, რომ *ერთი* ნიშნავს ერთ, ანუ ერთიან ეკლესიას, ანუ იმას, რომ ჭეშმარიტი ეკლესია არის ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის წიაღშიც შეურყვნელადაა დაცული ქრისტეს მაცხონებელი სჯული. *როდესაც ჩვენ ვამბობთ წმიდა ეკლესია, ვგულისხმობთ ეკლესიის უცდომელობას, ანუ სიწმიდეს, ვიდრე მეორედ მოსვლამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. რაც შეეხება სამოციქულოს, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ნიშნავს მოციქულთა მიერ დაარსებულს, ხოლო კათოლიკე - საყოველთაოს* (სემიონოვი 2011).

[1] Вика́рий (лат. Vicarius „заместитель“, „наместник“) в исторических церквях – епископ, не имеющий своей епархии и помогающий в управлении епархиальному епископу.

ცხადია, ტერმინთა ასეთი ორაზროვნება მართლმადიდებელი ქრისტიანების ძალიან დიდ ნაწილში (გამო)იწვევს გაურკვევლობას მანამდე, ვიდრე მათთვის ხელმისაწვდომი არ იქნება „ქრისტიანულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ ბეჭდური ვერსია.

დავუბრუნდებით მთავარ საკითხს – ქრისტიანული ტერმინოლოგიის პრობლემებს. ამ შემთხვევაში კი მართლმადიდებელი მრევლის დამოკიდებულებას საეკლესიო-საღმრთისმეტყველო ლიტერატურის, ტერმინების, ტაძარში მოქცევის წესების, ლოცვისა და სწორად ცხოვრების შესახებ, თუმცა ტერმინოლოგიისა და ტერმინების შესახებ ჩვენი დაინტერესება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა.

საეკლესიო სწავლება-გარდამოცემის[1] თანახმად, ტერმინი არის არა აბსტრაქტული ცნება, არამედ ის არის მარად ცოცხალი მონაცემი, რომელიც საღმრთისმეტყველო დარგებში წვდომის მსურველებს აზიარებს საქმისა და ხედვის, ანუ პრაქტიკისა და თეორიის, სიღრმეებს. ტემინოლოგიური კვლევა განუყოფელია ფილოლოგიურ და ტექსტოლოგიურ დისციპლინებისგან. შესაბამისად, მის გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურულ თუ ისტორიულ თხზულებათა კრიტიკული ანალიზი. მით უმეტეს, *საეკლესიო-საღმრთისმეტყველო და რელიგიურ ტერმინთა კვლევა-ძიება უნდა განხორციელდეს კანონზომიერად, სრული სამეცნიერო წესების დაცვით, რაც მომავალ თაობებსა და ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს გაუადვილებს როგორც დედანთან მუშაობის, ისე მისი ზუსტი თარგმანის შესწავლის საშუალებას* (რუხაძე 2013).

პროფ. ე. ჭელიძე თვალსაზრისით, *საქართველოში ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში არ იყო ერთგვაროვანი. მას ჰქონდა მეტ-ნაკლებად განსხვავებული სტრუქტურა არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში, არამედ ერთი ეპოქის სხვადასხვა ავტორთან, სხვადასხვა სალიტერატურო-სამწერლობო სკოლაში* (ჭელიძე 1996), რაც იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული ტერმინოლოგია არის მრავალფეროვანი, მრავლისმთქმელი და მეტად საყურადღებო სამეცნიერო დისციპლინა.

---

[1] ანუ წმიდა გარდამოცემა, რომელშიც იგულისხმება მემკვიდრეობით, თაობიდან თაობაზე რაიმე საეკლესიო ცოდნის, სწავლების ან ტერმინის გადაცემა. წმიდა გარდამოცემაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ქრისტეს ეკლესიას საღმრთო გამოცხადებით მიენიჭა. იგი მოიცავს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების დადგენილებებს, წმიდა მამათა „ცხოვრებებსა“ და თხზულებებს, ლიტურგიკულ ხელოვნებას, ხატწერასა და კეთილმსახურებრივ განწესებებს.

II საუკუნის აპოლოგეტებმა შემოიტანეს ტერმინოლოგიური ცნობიერება, რომელიც განპირობებული იყო მოძღვრების, რაც შეიძლება ზედმიწევნითი გადმოცემის აუცილებლობის სურვილით, სწრაფვით იქეთკენ, რომ მოძღვრება არათუ არ დამახინჯებულიყო გადმოცემის ჟამს, არამედ რამდენადაც ამას მატერიალური სიტყვა იტევდა, მაქსიმალურად შენარჩუნებულიყო მისი უცდომელობა, მისი საღმრთოობა და სიწმინდე.

დასკვნა

ეკლესიის მამათა და მოძღვართა ენა ძირითადად ჩამოყალიბდა ახალი აღთქმის მწერლების ენის საფუძველზე. მწვალებლობის გაჩენის შედეგად, როდესაც საჭირო გახდა ქრისტიანული სწავლების დოგმატური ნაწილის უფრო დეტალურად და სრულყოფილად გამოვლენა, გარდაუვალი შეიქნა ახალ აღთქმაში გამოყენებული ტერმინებისა და სიტყვების ჩამოყალიბება დოგმატური ცნების ზუსტი განმარტებისთვის, რადგან ახალი აღთქმის ტერმინოლოგიაში ასეთი ლექსიკა მანამდე თითქმის არ არსებობდა.

ეკლესიის მამათა ტერმინოლოგიაში ყველაზე დამახასიათებელი სიტყვები დაკავშირებულია ღმრთის მოძღვრებასთან. აქ ვხვდებით უამრავ ახალ და ორიგინალურ ცნებას, რომლებიც კლასიკურმა სამყარომ არ იცოდა, ან სხვა მნიშვნელობით იყენებდა, ზოგჯერ კი, პირიქით.

თანამედროვე ტერმინოლოგია სამართლიანად განიხილება ძლიერ სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც აერთიანებს ლინგვისტიკას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიასა და ანთროპოლოგიას, ისტორიასა და საბუნებისმეტყველო დარგებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ენათმეცნიერების ინტერესი საეკლესიო, საღმრთისმეტყველო და რელიგიური ტერმინოლოგიის პრობლემებისადმი, რაც მეტად სასიხარულოცაა და იმედის მომცემიც.

ეკლესიის ენა (საეკლესიო ტერმინოლოგია) დღემდე ჩვეულებრივ ინარჩუნებს სიტყვების უძველეს მნიშვნელობას, რომელიც იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში. შესაბამისად, საეკლესიო ენის ყველა ძირითადი ტერმინი უაღრესად საინტერესოა, რადგან ისინი ყოფითი მეტყველებისგან რადიკალურად განსხვავდებიან და, ამავდროულად, ჰარმონიულად ერწყმიან ყოველდღიურ ლექსიკას.

ცხადია, რომ ქრისტიანული საზოგადოების როლი გადამწყვეტია საეკლესიო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში არა მხოლოდ როგორც სიტყვების შემოქმედი, არამედ, როგორც მათი მნიშვნელობების განვითარების კულტურული ფილტრაციისათვის, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ იგი წარმოადგენს თანამედროვე საეკლესიო ენის შენობის საყრდენს.

მართლმადიდებლური ტერმინოლოგია ხასიათდება რთული არქიტექტონიკით და წარმოადგენს სპეციალური ტერმინების სისტემას, რომელიც გამოხატავს ცნებების იერარქიულ ზოგად კლასიფიკაციას. მას ასევე შეიძლება ვუწოდოთ მაკროტერმინალური სისტემა. რომელიც ძველ დროში ჩამოყალიბდა გარკვეული მიზნებისთვის და არის ავტონომიური და თვითკმარი ლინგვისტიკური ფენომენი, რომელსაც სჭირდება მოვლა, პატრონობა და სიღრმისეულად შესწავლა.

იმისათვის, რომ საეკლესიო, საღმრთისმეტყველო და რელიგიური ტერმინები საზოგადოების დაინტერესებულ წრეებამდე დაუბრკოლებლად მივიტანოთ, საჭიროება მოითხოვს, მის ცალკე დისციპლინად ფორმირებას, შესწავლა-პოპულარიზაციასა და ლექსიკონის ბეჭდური სახით გამოცემას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ადამიანების ცოდნის დონის ამაღლებასა და თაობებისათვის უცდომელად და შეურყვნელად გადაცემის საშვილიშვილო საქმეს.

ლიტერატურა

გაბიძაშვილი და სხვ. 2007 – ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.

კეკელიძე 1980 – კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი.

კრებული 2008 – რელიგიები საქართველოში. კრებული. რედ. ზურაბ კიკნაძე, ლევან ბრეგაძე; გამოც. პ/მგ ბექა მინდიაშვილი; საქ. სახალხო დამცველთან არსებ. ტოლერანტობის ცენტრი, საქ. სახალხო დამცვ. ბიბ-კა. თბილისი.

ლექსიკონი 2014 -– ჯავახური ლექსიკონი, გ. ზედგინიძე, თბილისი.

ლივეხუდი 2002 – ბერნარდ ლივეხუდი, ადამიანის ცხოვრების გზა, თბილისი.

ლოლაშვილი 1983 – არეოპაგიტული კრებული. დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში, გამომცემელი ივანე ლოლაშვილი, თბილისი.

რუხაძე 2013 – გრიგოლ რუხაძე, საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი.

სემიონოვი 2011 – ეპ. ალექსანდრე (სემიონოვი), მართლმადიდებლური კატეხიზმო, თბილისი.

ქიქოძე 1913 – ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. 1, თქმულნი 1860-1870 წლებში, ტფილისი.

ღაღანიძე 2008 – მერაბ ღაღანიძე, რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2008 (175-183 გვ).

ჭელიძე 1996 – ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბილისი.

ჭელიძე 2024 – ედიშერ ჭელიძე, საეკლესიო ტერმინოლოგია როგორც ზნეობრივი მონაცემი. რადიოსაუბარი, N: 58 - https://www.youtube.com/watch. ბოლოს ნანახია 2024 წ. 29 მაისს.

ჯულაყიძე 2015 – კატეხიზმური და მისტაგოგიური ჰომილიები, წმინდა კირილე იერუსალიმელი; ძვ. ბერძნ. თარგმნა, წინასიტყვა და სქოლიოები დაურთო გიორგი ჯულაყიძემ, თბილისი.

Monk Ioane (Mamuka) Tsukhishvili
Patriarchate of Georgia
mamukacuxishvili@gmail.com

Keywords: Christianity, terminology, parish, dictionaries, survey

For the Issue of Christian Terminology

Summary

The Orthodox Church of Georgia has been an apostolic and autocephalous church since its founding (in the time of the Apostles, in the 1st century and was declared as the state religion in 326). Accordingly, it is an integral part of the worldwide Christian Church

and has a decent place in Diptych. From that time church and secular authorities have mutually built both the state and the church as well as its cultural, educational and scientific fortresses. Along with the strenὺgthening and development of Christianity the greatest importance was given to both borrowed and its calculated Georgian matches. It should be noted that the definitions of the Christian terms were mainly and only known to church clerics and to a small part of the congregation.

For the parishioner who listened to the ministry and, if possible, remembered the foreign words for him. About the meanings of the terms we conducted an anonymous survey on the meanings of the terms in several temples in Tbilisi for three months; none of the 47 active members of the parish interviewed by us knew what intercession means or that intercession and proscomydia are synonyms, nor proscomidia /intercession of divine services Indispensable and one of the most important parts.

It is a pity that a complete digital dictionary of Georgian church terms does not exist and is not accessible to the present day. It is our effort and great desire to form Christian-Church terminology as a separate field and to popularize it to interested masses of society.

სოფიკო ჭაავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Sofiko.tchaava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგიური კომისიები, სალიტერატურო ენა, საარქივო მასალები, ტექნიკური ლექსიკონი, 1919-1920 წლები.

ქართული ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ენის კომისიების მუშაობა 1919-1920 წლების საარქივო მასალების მიხედვით

ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1919 წლის 29 ივლისს (ტექნიკური საზოგადოების 1919 წლის 25 ივლისის შუამდგომლობის საფუძველზე), სახალხო განათლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის ბანკს და „ტეხნიკურ სიტყვათა ლექსიკონის“ გამოსაცემად საჭირო თანხის გამოყოფა სთხოვა. სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, ლექსიკონის საჭიროება და მოთხოვნილება მეტად დიდი იყო, ამიტომ აუცილებლად უნდა გამოცემულიყო ეს „ყურადსაღები და სასარგებლო წიგნი“. აღნიშნულ წერილს ხელს აწერდნენ განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ცინცაძე, დირექტორი ვუკ. ბერიძე და საქმისმწარმოებელი მ. ბერძნიშვილი (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N541, 1919 წელი, სახალხო განათლების სამინისტროს საერთო კანცელარია. გვ. 4). იმავე წლის 7 აგვისტოს განათლების მინისტრის მოადგილემ მინისტრთა საბჭოს მეორე შუამდგომლობა გაუგზავნა და 10-მილიონიანი ფონდიდან 50000 მანეთის გამოყოფა სთხოვა ლექსიკონის გამოსაცემად. ნ. ცინცაძის მიერ შედგენილი ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ 1918 წელს თბილისში დაარსებულა საქართველოს სატეხნიკო საზოგადოება, რომლის მიზანიც „საქართველოს ბუნების, მისი მდიდარ წიაღის ყოველ მხრივ შესწავლა-გამოკვლევა და ტეხნიკის სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება“ ყოფილა. მინისტრთა საბჭოსადმი გაგზავნილი ტექსტი ასეთი შინაარსისაა: „ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში არსებულმა საზოგადოებამ მეტად დიდი სიცხოველე და მოქმედების საკმაო უნარი გამოიჩინა: თავი მოუყარა და მჭიდროდ შეაკავშირა მანამდე გაბნეული მრავალი ქართული და სხვა და სხვა დარგის ინჟინერი და ტეხნიკოსი, გამართა არა-

ერთი საჯარო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა ბევრი საგულისხმიერო საკითხი და ყურადსაღები მოხსენება, შეძლებისამებრ შეერთებული ძალით შეუდგა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლევა-ძიებას და შეიმუშავა ყველა დარგის სპეციალური ტერმინოლოგია ქართულ ენაზე.

ეს უკანასკნელი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება მეტად თვალსაჩინო და დიდს კულტურულ საქმეს წარმოადგენს: საზოგადოებას არ დაუტოვებია არცერთი დარგი ტექნიკისა, რომ ქართული ტერმინოლოგია არ შეექმნას: სამხედრო ტეხნიკა, გამოყენებითი მექანიკა, ყველა ტეხნოლოგია, საგზაო, სამთამადნო დარგი, სანავოსნო და არტილერიის ტეხნოლოგია, ფიზიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა, მინეროლოგია, გეოლოგია, გეოდეზია და ტანთვარჯიშობის საზოგადო ტერმინოლოგიაც კი საზოგადოებამ უკვე დაამუშავა და თვითეულ მათგანიდან ამოჰკრიბა და გადმოაქართულა ყველა ტერმინი, სამეცნიერო ცნება.

მთელი ეს შეკრებილ-დამუშავებული მასალა შეიცავს რვა ათას ხუთასს 8500 სიტყვას, რაიც ჩვენთვის დიდს საგანძურს წარმოადგენს: მისი დროზე გამოქვეყნება საკმაოდ ხელს შეუწყობს ტეხნიკის ყველა დარგის და სამეცნიერო დისციპლინის ეროვნულ ნიადაგზე აყვავებას და წარმატებას, ხოლო დღეს უცხო ენაზე მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტს, მეცნიერული მუშაობის დროს, ძალიან მალე მისცემს ბუნებრივს ეროვნულ გეზს.

ამრიგად საქართველოს ტეხნიკოსთა საზოგადოებას ჰმართებს თავის დროზე დასტამბოს ეს თავის საგულსიხმიერო ნაშრომი – ლექსიკონი, მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობა მას ამის საშუალებას არ აძლევს.

მას ამ საქმისთვის სჭირდება 50-54 ათასი მანეთი შემდეგი ვარაუდით: 30 ოზმა (ოზმა „ქაღალდის საზომი ერთეული“ ს. ჭ.) ქაღალდი, ოზმა 900 მანეთად – 27 ათასი მან. აწყობა, დაბეჭდვა, აკინძვა და კანის გადაკვრა 24200 მანეთი, გადაზიდვა და გადაგზავნა 1500 მ. და მოუღოდნელი ხარჯები 100 მან. სულ 53 700 მან.

სამწუხაროდ, არც განათლების სამინისტროს მოეპოვება რაიმე თავისუფალი და ამ მიზნისთვის მის განკარგულებაში არსებული თანხა, რომ თავის მხრივ სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ტეხნიკოსთა საზოგადოებას ლექსიკონის დაბეჭდვაში, რომლის საჭიროება და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, განსაკუთრებით ტეხნიკოსთა და სპეციალისტების წრისათვის აშკარად დიდია.

მოვახსენებ რა ყველა ზემოაღნიშნულს, ვითვალისწინებ რა ქართულ ტეხნიკური ლექსიკონის დროზე დაბეჭდვის მიუცილებელ საჭიროებას, ვშუამდგლომლობ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს სატეხნიკოს საზოგადოებას მიეცეს ხსენებულ ლექსიკონის გამოსაცემად ათმილიონიანი ფონდიდან ორმოცდა ათი 50. 000 მანეთი. განათლების მინისტრის ამხანაგი, სამინისტროს დირექტორი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N541, 1919 წელი, სახალხო განათლების სამინისტროს საერთო კანცელარია. გვ. 2-2ა).

როგორც ვხედავთ, განათლების მინისტრი მაღალ შეფასებას აძლევს ტექნიკოსთა ჯგუფის საქმიანობას, რომელთაც ერთი სამეცნიერო უწყების შესასრულებელი საქმე გაუკეთებიათ თავიანთი ინიციატივით. მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რამდენი სხვადასხვა სპეციალობისთვის საჭირო ლექსიკონი დაამუშავეს და „გადმოაქართულეს“ საზოგადოების წევრებმა. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, ფაქტობრივად, ტექნიკოსთა ჯგუფის წევრებმა შექმნეს ტერმინოლოგიური მუშაობის პირველი ორგანიზებული მოდელი. თუმცა ამ საქვეყნო და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს ბევრი კრიტიკული შემფასებელიც გამოუჩნდა. მკვლევარ ლ. ქაროსანიძის შეფასებით: „1921 წლის საბჭოთა აგრესიამ ბევრი რამის განვითარება შეაჩერა საქართველოში და, მათ შორის, აკრძალა 1920 წელს გამოცემული პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, როგორც „ზედმეტად ქართული“. აკრძალა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ავტორები, „ნიკოლაძეების ჯგუფის“ წევრები, ქართულ სიტყვებს იყენებდნენ ფიზიკის, ქიმიისა თუ ტექნიკის დარგის ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ეროვნულობის ნებისმიერი გამოვლინება კი უპირისპირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ხალხებს „საერთო ენით“ უნდა ელაპარაკათ, ეს გულისხმობდა იმ „საერთაშორისო ტერმინებს“, რომლებიც რუსულს ძველი გერმანულიდან, ფრანგულიდან თუ სხვა ენებიდან ჰქონდა ნასესხები“ (ლ. ქაროსანიძე 2021).

ზემოაღნიშნულ მოხსენებას ერთვის მთავრობის საქმეთა მმართველობისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფინანსთა მინისტრსა და სახელმწიფო „კონტროლერს“ ამ საკითხის შესახებ დადებითი დასკვნა დაუწერიათ და მთავრობის პირველივე სხდომაზე აპირებდნენ წარდგენას. დოკუმენტს ხელს აწერენ დირექტორი: ვ. ბერიძე და საქმისმწარმოებელი მ. ბერძენიშვილი (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N541, 1919 წელი, სახალხო განათლების სამინისტროს საერთო კანცელარია. გვ. 5).

როგორც ვხედავთ, განათლების სამინისტროს არ ჰქონდა ფინანსური სახსრები ლექსიკონის გამოსაცემად, ამიტომ სხვადასხვა უწყებას (ამიერკავკასიის ბანკს, მინისტრთა საბჭოს, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო „კონტროლერს“) მიმართავდა თხოვნით და ამით მხარდაჭერას უცხადებდა ტექნიკურ საზოგადოებას. წიგნის გამოსაცემად საჭირო ხარჯების ჩამოთვლისას 53700 მან. ღირებულების ხარჯი იყო ჩამოთვლილი, მაგრამ საბჭოს მხოლოდ 50000 მანეთით დაფინანსება სთხოვა სამინისტრომ. შესაძლოა დარჩენილი, თუნდაც მცირედი თანხა თვით სამინისტროს გადაეხადა, მაგრამ ფინანსურ ნაწილზე უფრო მნიშვნელოვანი ნ. ცინცაძის მიერ საკითხისადმი გამოხატული მართებული დამოკიდებულება იყო. მისი აზრით, ტექნიკური ლექსიკონის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის „ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანა, ბუნებრივი და ეროვნული გეზის მიცემა“.

საქართველოს ეროვნული არქივის ამავე ფონდში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიც აღწერილია სამხედრო ტერმინოლოგიის შემმუშავებელი კომისიის მუშაობის სპეციფიკა და საჭიროებები. სამხედრო პირების მიერ განათლების სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია შემდეგი: „სახალხო განთლების მინისტრს, ოპერატიული, 1919 წლის 2 დეკემბერი. რესპუბლიკის ჯარის სამშობლო ენაზედ აღსაზრდელად მრავალ-რიცხოვან წესდება-დებულებების ქართულად გადმოკეთების დროს ამ საქმისთვის არჩეული კომისია იძულებული იყო ბევრი ქართულ ენაში ამ ჟამად უხმარებული სიტყვები გამოეძებნა. რადგან ჯარი ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიდაც უნდა გატარებულ იქმნეს ჩვენი ერის მთელი ახალგაზრდობა, მათგან შეთვისებული სამხედრო ენა თანდა-თანობით გადაიქცევა მთელი ერის ენად. ჯარში სახმარებელი ენა არანაკლებ წმინდა უნდა იყოს, ვიდრე საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში, რადგან ამ უკანასკნელებში სწავლობს ახალგაზრდობის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც ამასთანავე შემძლეა კრიტიკულის თვალით შეხედოს ყველა სამოსწავლო ენაში შეპარულ შეცდომებს და თვითონ გამოასწოროს ის. ჯარში გატარებული მთელი ქართველი ახალგაზრდობა კი შეუკითხავად მიიღებს და დაიმახსოვრებს ყველაფერს იქ გაგონილს.

რათა საბოლოოდ შემუშავდეს სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რასაც ზემონათქვამისაებრ პირდაპირ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, არსდება კომისია, რომელშიდაც მუშაობის შესაფე-

რი ავტორიტეტის მისაცემად საჭიროა შედიოდეს დამფუძნებელი კრების სარედაქციო კომისიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის თითო წარმომადგენელი, რის გამო, სამხედრო მინისტრის ბრძანებისამებრ, მოგმართავთ თხოვნით, რომ აღნიშნულ კომისიაში დაინიშნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთაგან ერთი წარმომადგენელი. გენერალი ზაქარიძე, ოპერატიული სექციის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი და სამწყობრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი დეკეკოვნიკი ივანოვი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 1-1ა).

1920 წლის 10 იანვარს განათლების სამინისტრომ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გადაუგზავნა ზემოაღნიშნული წერილი და სთხოვა კომისიაში მონაწილე კანდიდატის ვინაობა ეცნობებინათ განათლების მინისტრისათვის. დოკუმენტს ხელს აწერენ: დირექტორი: ვ. ბერიძე, მდივანი: მ. ბერძენიშვილი და საქმისმწარმოებელი: ი. ეპიტაშვილი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 2).

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1920 წლის 20 იანვარს სახალხო განათლების სამინისტროს შემდეგი საპასუხო წერილი გაუგზავნა: „პასუხად თქვენი მომართვისა ამა იანვრის 10-დან N319, უნივერსიტეტის გამგეობას პატივი აქვს გაცნობოთ, რომ სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შემდგენელ კომისიაში, რომელიც სამხედრო სამინისტროსთან დაარსებულა, უნივერსიტეტის წარმომადგენლად არჩეულია პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. გამგეობის წევრი, პროფესორი: კ. კეკელიძე (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 3).

27 იანვარს აღნიშნული ცნობა განათლების სამინისტრომ გენერალური შტაბის უფროსს გადაუგზავნა და შეატყობინა, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული კომისიის წევრი პროფ. ივ. ჯავახიშვილი იქნებოდა. დოკუმენტს ხელს აწერენ: დირექტორი: ვ. ბერიძე, მდივანი: მ. ბერძენიშვილი და საქმის მწარმოებელი: ი. ეპიტაშვილი (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585, გვ. 4).

საყურადღებოა გენერალური შტაბის უფროსის, ზაქარიძის, მიერ წერილში აღნიშნული გარემოება, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სამხედრო ტერმინოლოგიაზე მომუშავე კომისიას ტერმინთა შერჩევისას იმ დროისათვის ქართულ ენაში „უხმარებელი“ სიტყვები გამოუძებნიათ. საინტერესოა, კომისიის წევრებს ეს ლექსიკური ერთეულები ქართული ენის დიალექტებიდან შემოჰქონდათ, ქართველური ენებიდან, საისტორიო წყაროებიდან თუ უცხო ენებიდან?! გენერლის თქმით, სწორად შერჩეულ სამხედრო ტერმინოლოგიას პირდაპირ სახელმწი-

ფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომაც მოიწვია მან საქართველოს უმაღლესი ორგანოს დამფუძნებელთა კრების სარედაქციო კომისიისა და ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელი. ამ ჟესტით ჩანს სამხედრო პირთა სწორი პოზიცია და პასუხისმგებლობა ქართული ენისა და ქვეყნის წინაშე.

ქართულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ 1919 წლის საარქივო მასალათა შორის საყურადღებოა ასევე დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილია „სასწავლო კომიტეტის“ დაარსების ისტორია (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N510, 1919-1920 წწ. გვ. 5-6).

1919 წლის დეკემბერში განათლების მინისტრის „ამხანაგმა“ ნოე ცინცაძემ ოფიციალური წერილით მიმართა მინისტრთა საბჭოს და განათლების სამინისტროსთან ახალი ორგანოს, სასწავლო კომიტეტის, დაარსება სთხოვა.

1920 წლის 15 თებერვალს ნ. ცინცაძემ სასწავლო კომიტეტის პირველი სხდომა გახსნილად გამოცხადა. მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ კომიტეტს ევალებოდა ორ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობა, კერძოდ:

1. სარეცენზიო კომისიების შექმნა და ახალი სახელმძღვანელოების მომზადება;

2. ტერმინოლოგიის დამუშავება.

წარმოვადგენთ სასწავლო კომიტეტის პირველი ოქმის სტენოგრაფიულ ჩანაწერს:

„ოქმი I. სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტის 15 თებერვლის 1920 წ. სხდომისა.

კრება გახსნა ბ. განათლების მინისტრის ამხანაგმა ნოე ცინცაძემ, რომელმაც კრებას მიჰმართა დაახლოვებით მოკლედ შემდეგი სიტყვით: ბბ, სასწავლო კომიტეტის პირველ სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დიდი სამუშაო მოგელით. ბევრი საქმის გაკეთება და გასწორება დაგჭირდებათ მომავალში. უახლოეს მიზანს თქვენის მუშაობისას კი უნდა შეადგენდეს ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამოსწორება. პირველი არსებული სახელმძღვანელოების გადასინჯვა და მათი შეფასება და ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით ახალის შექმნისათვის საშუალებების გამონახვა. მართალია სამინისტროსთან არსებობდა სახელმძღვანელოთა შემფასებელი კომისიები, მაგრამ მათ არა ჰქონდათ სისტემატიური ხასიათი. ზოგიერთს კომისიებში რაღაცა მიზეზების გამო მუშაობა თითქმის სრულებით ვერ მოეწყო. ახლა თქვენ უნდა

გადასინჯოთ კომისიების ნაშრომი, დაადასტუროთ რაც დასადასტურებელია და მასთან ერთად აწარმოვოთ განუხილველი სახელმძღვანელოთა გარჩევა-შეფასება. ამასთან ერთად სასწავლო კომიტეტმა უნდა იმუშაოს ტერმინოლოგიის დამუშავებაზე. გარკვეული დაუდასტურებელი ტერმინოლოგიის უქონლობა, როგორც მოგეხსენებათ, საშინლად აფერხებს ჩვენი სკოლის ნორმალურ გზით წინ სვლას. ეს მოთხოვნილება ცხოვრების მიერ წამოყენებული სდგას ჩვენ წინაშე სიმწვავით"(სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N510, 1919-1920 წწ. გვ. 5-6).

1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო სკოლების გაეროვნულება ანუ სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა, რისთვისაც საჭირო იყო ახალი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნების შექმნა. საამისოდ კერძო გამომცემლებმა და დაჯილდოებულმა მასწავლებლებმა დაიწყეს თარგმნა, გადაკეთება ან ორიგინალური ახალი სახელმძღვანელოების მომზადება. ამის პარალელურად, განათლების სამინისტრომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს სთხოვა სახელმძღვანელობის რეცენზირება, რისთვისაც მათ ჯილდოდ დაუწესეს 300 მანეთი (თითო რეცენზიისთვის). გარკვეული დროის მერე აღმოჩნდა, რომ მრავალი მიზეზის გამო, ასეთი სარეცენზიო კომისიების მუშაობა არაეფექტური და უშედეგო იყო, რადგან სპეციალისტები კოორიდნირებულ მუშაობას ვერ ახერხებდნენ (მაგ., დროულად ვერ განიხილეს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რის გამოც სკოლებში მასწავლებლები სახელმძღვანელოს გარეშე დარჩნენ და ბარათებით ასწავლიდნენ აღნიშნულ საგანს, რაც თავისთავად აფერხებდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას).

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული1919 წლის საარქივო მასალების მიხედვით ცხადად ჩანს, თუ როგორ უჭერდა მხარს ნ. ცინცაძე ტექნიკური ლექსიკონის გამოცემას. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ტერმინთშემოქმედების სწორად წარმართვა იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სასურველი სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად, რასაც უნდა მოჰყოლოდა სკოლების გაეროვნულება. სწორედ ამიტომ სამინისტრომ კომიტეტის თავმჯდომარედ ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა შეარჩია პროფ. ივ. ჯავახიშვილის სახით და საქმის ხელმძღვანელობა დაავალა.

15 თებერვალს ჩატარებული სხდომის ოქმში ნ. ცინცაძის სიტყვით გამოსვლა შემდეგნაირად გრძელდება: „სამინისტრომ ამ სასწავლო კომიტეტის ხელმძღვანელად აირჩია პატივცემული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილი, რომელიც, ღრმად დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაუძღვება წინ ამ დიად საქმეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარის ალაგს იჭერს ბ. ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც კრებას მიჰმართა და დაახლოვებით მოკლედ შემდეგი აზრი გამოსთქვა: ცხოვრება საშინელის სისწრაფით მიდის წინ. მრავალ ახალს მოთხოვნილებას გვიყენებს და თხოულობს მათ დაკმაყოფილებას. ერთი ამ საჭირო ბოროტ საკითხთაგანი გახლავთ ჩვენი სკოლის სათანადო კალაპოტში ჩაყენება. ამ მიზნის მისაღწევად კი არის საჭირო შესაფერი სახელმძღვანელოების ქონა. აშკარაა, ამ უკანასკნელ დროში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ და კერძოდ სახელმძღვანელოების გამრავლებაში. ბაზარზე გამოვიდა მრავალი სახელმძღვანელო, მაგრამ მრავალს მათგანს ესაჭიროება გადასინჯვა და შესწორება. ჩვენი უახლოესი მიზანია სკოლას ავაცილოთ უვარგისი სახელმძღვანელო და სამაგიეროთ მივცეთ საღი და შესაფერისი.

საერთოდ ისეთი ერის ცხოვრებაში, როგორიც ვართ ჩვენ, სახელმძღვანელოს აქვს ორი ხანა, ორი გზა. გზა უცხო სახელმძღვანელოს გადმოკეთებისა და გზა ეროვნულ ორგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა. პირველი ხანა ჩვენ თითქმის უკვე განვლეთ: მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც გადმოთარგმნილია გადმოკეთებული ჩვენი ცხოვრების საჭიროების მიხედვით. ახლა უნდა შეუდგეთ მეორე გზას, ორიგინალურ-ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული სახელმძღვანელოს შექმნა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეჭველად რანაირიც უნდა იყოს ორიგინალური სახელმძღვანელო, უნდა ვამჯობინოთ უკეთეს თარგმნილს.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე, გახლავთ ტერმინოლოგიის დამუშავება და მისი დაკანონება ცხოვრებაში. ახლანდელს ჩვენს ცხოვრებაში რაღაცა ენათა აღრევაა გამეფებული: სხვა და სხვა სკოლებში /ხანდახან ერთს და იმავე სკოლაშიაც კი/ რამდენიმე ტერმინი არის ხმარებაში ერთს და იმავე ცნების გამოსახატავად: სხვა და სხვა დაწესებულებაში სხვა და სხვა ტერმინია მიღებული; რკინის გზაზე სხვა, ჯარში სხვა. ასე აჭრელებულია ენა ჩვენს სახელმწიფოში. ამას დიდი შემაფერხებელი დაბრკოლებანი მოაქვს. საჭიროა შეიქმნას ერთი განწმენდილი ენა მთელი ერისათვის.

ტერმინოლოგიის გამომუშავებაში არის ორი პერიოდი: სტიქიური და ეროვნულ-ნაციონალური. სტიქიურ პერიოდში ახალი ცნებათა გამოსახატავად ერის ცხოვრებაში იჭრებიან უცხო სიტყვები და არის ბრძოლა მოქალაქობრივ უფლებათა მოპოებისათვის. ეს გზა ჩვენ უკვე

განვლეთ. მოგვეპოვება ამისი მასალები. ჩვენს ცხოვრებაში იწყება მეორე ხასიათის მუშაობაც - ყველა ცნებათა გამოსახატავად სიტყვების ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენება შემუშავება. ასეთი ნამუშევარი გვაქვს ხელთ. ახლად გამოცემული ლექსიკონი, ამ უკანასკნელს აქვს ბევრი დადებითი მხარეები, მაგრამ ბევრი უარყოფითი მხარეებიც აქვს. მისი ცხოვრებაში გატარება ამ სახით, რასაკვირველია, შეუძლებელია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ გარდამავალ ხანაში, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით, უცბათ, ერთი ხელის დაკვრით მოსპობა რაც სტიქიურად უკვე ჩვენი ცხოვრების მიერ მიღებულია, არ იქნება მიზან-შეწონილი. ჯერ საჭიროა ყოველ მხრივ სერიოზული მუშაობის მეოხებით შევიმუშაოთ ტერმინოლოგია და მერე ასე განწმენდილი მივცეთ ხალხს-ცხოვრებას და დაჟინებით გავატაროთ ერთ ფეროვნება ჩვენი ცხოვრების ყოველივე დაწესებულებაში.

შემდეგ კრებისათვის ბ. თავმჯდომარე დაჰპირდა წაიკითხოს მოხსენება ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი კანონების შესახებ“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N510, 1919-1920 5-6).

ამავე სხდომაზე აკ. შანიძემ დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ქართული და უცხო ენებისა და ქართული და უცხოური ლიტერატურის კომისიები ერთად დაეჯგუფებინათ. მისმა წინადადებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოწვია, ამიტომ ხმათა უმეტესობით გადაწყდა კომისიები დაკომპლექტებულიყვნენ კომიტეტის მიერ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით. საბოლოოდ, 10 კომისია ჩამოყალიბდა. მათგან ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფში შედიოდნენ: გ. ჭუმბურიძე, თ. კიკვაძე, აკ. შანიძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი და ჩ. შარაშიძე, ხოლო უცხო ენებისა და ლიტერატურის კომისიაში – ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ნ. ქუთათელაძე, გ. ახვლედიანი და მ. ზანდუკელი. სხდომები ყოველ კვირას დილის 11 საათზე უნდა გამართულიყო.

ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ცინცაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სახელმძღვანელოთა შერჩევა-რეცენზირებისა და ტერმინოლოგიური ვითარების გამოსწორების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. მათი თქმით, „დაუდასტურებული სიტყვებით“ აჭრელებული ენა“ უნდა „განწმენდილიყო“ და ერთიან ეროვნულ კალაპოტში უნდა მოქცეულიყო. თუმცა ივ. ჯავახიშვილმა ტექნიკური ჯგუფის მიერ გამოცემულ „სიტყვარზეც“ ისაუბრა, აღნიშნა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ლექსიკონის უარყოფით ნაწილად მიიჩნია ენაში უკვე დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულების ხელაღებით უარყოფა. მისი

აზრით, მხოლოდ კოორდინირებული მუშობის შედეგად მიღებული ტერმინები უნდა შეეთავაზებინათ საზოგადოებისათვის. ზემოთ დასახელებული საკვლევი მასალებით დგინდება, რომ 1919-1920 წლებში, როცა დადგა დრო ძირეული ტერმინოლოგიური გარდაქმნები განხორციელებულიყო, სახელმწიფო სტრუქტურები და სამეცნიერო საზოგადოება ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ ქართული სამეცნიერო ენის დახვეწასა და სისტემატიზებას.

ტერმინოლოგიური მუშოაბის ორგანიზებულად წარმართვის საჭიროებას ემხრობოდა პროფ. აკ. შანიძეც. 1920 წლის 20 მარტს მან განცხადებით მიმართა სასწავლო კომიტეტს და მუდმივმოქმედი სატერმინოლოგიო კომისიის შექმნა სთხოვა, რომლის მოვალეობა იქნებოდა არსებული ტერმინოლოგიის გადამოწმება, მათი შეფასება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მიერ და ზრუნვა ახალი ტერმინების დასამკვიდრებლად. პროფესორის კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი ასეთი შინაარსისაა:

„განათლების სამინისტროსთან არსებულს სასწავლო კომიტეტს
აკაკი შანიძის მოკსენება.
პატივი მაქვს მოვაკსენო კომიტეტს შემდეგი.

სასწავლო კომიტეტის ერთს მთავარ დანიშნულებას შეადგენს სატერმინოლოგიო საქმის მოგვარება. ძნელია ეს საქმე საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ჩვენთვის დღევანდელ მდგომარეობაში, რადგანაც სულ მცირეოდენი ხნის განმავლობაში უნდა გაკეთდეს ისეთი საქმე, რომელიც დაყოვნებას ვერ ურიგდება და რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში რამოდენიმე თაობათა განუწყვეტელი მუშაობა სჭირდება მრავალი წლის განმავლობაში.

მას შემდეგ რაც საქართველომ მტკიცედ შედგა ფეჴი კულტურული აღორძინების გზაზე, – მაშასადამე სულ ორიოდ-სამიოდე წლის განმავლობაში, - უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მჴრივ, რომ ჩვენი ერის კულტურული მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი და მრავლისაგან მრავალია გასაკეთებელი. მუშაობა არ შეწყდარა, იგი სწარმოებს სხვა და სხვა დარგში: სკოლა, ჯარი, რკინისგზა, ფოსტა-ტელეგრაფი, ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა, ყველგან გაჩაღებულია სატერმინოლოგიო მუშაობა, ყველგან სცდილობენ საჩქაროდ დამთავრდეს ჩვენი კულტურული ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზე დაყენება.

ბუნებრივია ეს მოვლენა, მაგრამ მას დაქსაქსულობის ბეჭედი

აზის. ყველგან სცდილობენ საკუთარი ძალღონით მოუარონ მძიმე საქმეს, ისეთ საქმეს, რომელიც მრავალ პირთა ურთიერთ დაჴმარებასა და თანამშრომლობას მოითხოვს.

ამიტომ, რომ ამიერიდან მაინც, სატერმინოლოგიო მუშაობა დაჩქარდეს და სასურველ შედეგებს მიაღწიოს, საჭიროა ჩემის ფიქრით შეიქმნეს ერთი ისეთი ორგანო, რომელიც თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს საერთო მუშაობას ამ მხრივ გამოარკვიოს თუ რა გაკეთებულა ან რა არის გასაკეთები მომავალში, ერთი მიმართულება მისცეს ყოველგვარ სატერმინოლოგიო მუშაობას და ჴელმძღვანელობა გაუწიოს სხვა და სხვა დარგის მუშაკთ ამ საქმეში. ამისთვის კი საჭიროა, რომ სასწავლო კომიტეტიდან გამოიყოს მუდმივი სატერმინოლოგიო კომისია, რომლის მოვალეობა იქნება არსებული ტერმინების გადაშინჯვა, მათი ყოველ მჴრივ აწონ-დაწონა და შეფასება სათანადო სპეციალობის წარმომადგენლებთან ერთად და ამგვარად მოწონება ან დაწუნება და აგრეთვე ზრუნვა ახალი ტერმინების შემოღებისა.

ეს კომისია, რომელიც მუდმივია (და რომლის რიცხვსაც განსაზღვრავს სასწავლო კომიტეტი), უნდა შედგებოდეს ისეთი პირებისაგან, რომელთაც ფილოლოგიური განათლება აქვს მიღებული და ქართული ენა საკმაოდ იცის, რომ ამ კომისიაში მათი მუშაობა ნაყოფიერი და სასურველი იყოს. ეს კომისია ჰმართავს მუდმივ სხდომებს, ყოველ კვირაში ორჯერ (და თუ შესაძლებელია სამჯერაც), სადაც მონაწილეობას იღებენ სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები, რომელთაც მოაქვთ შეკრებილი და დამზადებული მასალები. ამ საერთო სხდომებზე განხილვისა და გარჩევის შემდეგ წყდება საკითხები ამა თუ იმ სიტყვის ტეხნიკურ ტერმინად ქცევისა და საჴმარებლად შემოღებისა. ესა თუ ის სიტყვა, მაშასადამე, შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჴდეს ტერმინი და ცხოვრებისაკენ გზა გაიკაფოს, უკეთუ იგი გარჩეული და შეფასებულია ყოველ მჴრივ და მოწონებულია მუდმივი სატერმინოლოგიო კომისიის მიერ სათანადო სპეციალისტების თანადასწრებით და თანჴმობით.

ყოველი სატერმინოლოგიო მასალა, რომელიც კი კომისიაში შემოდის, კომისიასვე ჰრჩება, იწყობა და ლაგდება ანბანის რიგზე ლექსიკონად, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა იქმნეს გამოცემული საყოველთაო საჴმარებლად. მანამდე კი, ე. ი. ვიდრე ლექსიკონი, ან მთლად, ანუ ნაწილობრივ გამოიცემოდეს, მოწონებული ტერმინების გადაწერა და სარგებლობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირთ.

კომისიას ევალება შეიმუშაოს ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც უნდა აწარმოებდენ მუშაობას ყოველი დარგის სპეციალისტები.

ა. შანიძე, 20/III 920“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N531, 1920 წ. გვ. 1-3).

აკ. შანიძემ ზემოაღნიშნული მოხსენებით კიდევ უფრო გაამყარა ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ტერმინოლოგიური მუშაობის შეთანხმებულად წარმოების აუცილებლობის შესახებ. ამ წერილიდან ჩანს, რომ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა გაექართულებინათ, ანუ „ეროვნულ ნიადაგზე გადაეყვანათ ჩვენი კულტურული ცხოვრება“. აკ. შანიძის აზრით, ასეთი მუშაობა არაეფექტური იყო. სწორედ ამიტომ შეიმუშავა მან ახალი მუდმივმოქმედი ტერმინოლოგიური კომისიის კონცეფცია.

ტერმინთშემოქმედებასთან ერთად ქართული სალიტერატურო ენის ნორმირება და მასზე ზრუნვა რომ საშური საქმე იყო საკვლევ პერიოდში, ამას ადასტურებს ჩვენ მიერ მოძიებული შემდეგი საარქივო მასალებიც. ამ შემთხვევაშიც მეცნიერები საჭიროდ მიიჩნევდნენ ორგანიზებულ მუშაობას. საამისოდ, 1920 წლის 2 აპრილს კომისიის წევრებმა: აკ. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ს. გორგაძემ და ვ. ბერიძემ წერილობით მიმართეს სასწავლო კომიტეტს და სთხოვეს მოეწვიათ ყრილობა ენის მცოდნე პირთაგან ქართული ენის სწორმეტყველებისა და მართლწერის საკითხების მოგვარების შესახებ. მეცნიერებმა კომიტეტს წარუდგინეს ზემოაღნიშული ყრილობის მუშაობის გეგმა, ყრილობის შემადგენლობა, საორგანიზაციო კომისიის ფუნქციები, ჩატარების დრო და ადგილი:

„განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტს კომისიის მოკსენება ქართული ენის სწორმეტყველებისა და მართლწერის საკითხების მოგვარების შესახებ.

სასწავლო კომიტეტის მიერ არჩეულ კომისიას მსჯელობა ჰქონდა, თუ როგორ და რა გზით უნდა მოგვარდეს სალიტერატურო ქართულის საქმე, რომ მოისპოს ის საშინელი სხვადასხვაობა, რომელიც ახასიათებს თანამედროვე სამწერლო ენას, და მერყეობის ნაცვლად შემუშავდეს მკვიდრი ნორმები და დამყარდეს ერთგვარი, ყველასათვის სავალდებულო წესი ფორმების ჴმარებისათვის.

A. ყრილობა ენის მცოდნე პირთაგან.

კომისიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს სამეცნიერო აკადემია, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს ამგვარი საქმეების მოწესრიგება სხვა ქვეყნებში, ამიტომ ჩვენში ამ საქმეს უნდა მოუაროს

თვით განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა ქართული ენის მცოდნეთაგან საგანგებოდ მოწვეული ყრილობის საშუალებით.

B. ყრილობის შემადგენლობა.

კომისიის აზრით, ყრილობა უნდა შედგებოდეს:

a) სასწავლო კომიტეტის მიერ არჩეულ პირთაგან (რომელთა რიცხვსაც თვით კომიტეტი განსაზღვრავს).

b) განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ მცოდნე პირთაგან.

c) ტფილისის (საჴელმწიფო) უნივერსიტეტის ორი წარმომადგენელისაგან.

d) ქართველ მწერალთა კავშირის ორი წარმომადგენელისაგან.

e) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-გ-ბის ერთი წარმომადგენელისაგან.

f) საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის ერთი წარმომადგენელისაგან.

C. საორგანიზაციო კომისია

ვიდრე ენის მცოდნე პირთაგან მოწვეული იქმნებოდეს საგანგებო ყრილობა, საჭიროა წინასწარი მუშაობა, რომ გამორკვეულ და აღნუსხულ იყოს ყველა ამ ჟამად სადაო საორთოგრაფიო საკითხები, როგორც ფონეტიკურისა და მორფოლოგიურის, ისე სინტაქსური ხასიათისა. ამ წინასწარი მუშაობის გაწევა უნდა იკისროს ყრილობის საორგანიზაციო კომისიამ, რომელსაც გამოჰყოფს თავის წრიდან სასწავლო კომიტეტი. ეს კომისია შეჰკრებს მასალებს დღევანდელ სალიტერატურო ქართულში სადაოდ გამჴდარი საკითხებისას, რისთვისაც იგი გადაჰსინჯავს მთელს არსებულს ლიტერატურას ამ საგნის თაობაზე, მიჰმართავს სხვა და სხვა პირთ ცნობათა მოსაწოდებლად სადაო საკითხების გარშემო, თავს მოუყრის და გარკვეული სისტემით დაალაგებს მათ და თანაც თადარიგს დაიჭერს, რომ საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე რამოდენიმე სპეციალური მოჴსენება იყოს წაკითხული (მაგალითად, ორთოგრაფიის ისტორიიდან, ძველი და ახალი ქართული, თანამედროვე კილოები და სამწერლო ენა, საორთოგრაფიო პრინციპები, ქართული პუნქტუაცია, ქართული კომპოზიტები და სხვ.)

D. ყრილობის დრო და ადგილი.

კომისია ჰფიქრობს, რომ რადგანაც ჩვენ ამჟამად არა ჩვეულებრივ პირობებში ვიმყოფებით, ამიტომ ძალიან უნდა დაჩქარდეს ეს საქმე,

ვინაიდან, ჩვენი პოლიტიკურ განთავისუფლების შემდეგ ფართო სარბიელი გაუჩნდა ქართულ ენას ყველგან და ცხოვრების ყოველ დარგში და მრავლად გაჩნდა ისეთი ფორმები, რომლებიც არ ეგუება ქართული ენის ბუნებასა და არ შეეფერება მის თვისებასა და აგებულებას. ამიტომ დაყოვნება საორთოგრაფიო საქმის მოწესრიგებისა და მისი გადადება გზას გაუკსნიდა უვარგის და შეუფერებელ ფორმებს და ამნაირად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდა ქართული ენის ისტორიული განვითარების საქმეს ჩვენი კულტურული აღორძინების განთიადზე.

კომისიამ გაითვალისწინა, სხვათა შორის ის გარემოება, რომ შემოდგომისათვის, როდესაც ახალი სასწავლო წელი იწყება, ბევრი საჭელმძღვანელო წიგნი გამოდის და საჭიროა, მეტისმეტად და აუცილებლად საჭიროა, რომ ამ საჭელმძღვანელოების საშუალებით არ ვრცელდებოდეს შკოლებში და არ მკვიდრდებოდეს ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო ფორმები[.] ამიტომ სასურველია, რომ ქართული ენის მცოდნე პირთაგან შემდგარი ყრილობა მოწვეულ იქმნეს ზაფხულამდე. კომისიამ ყრილობის ვადის განსაზღვრაც კი ივარაუდა: იგი უნდა მოჰდეს მაისის უკანასკნელ რიცხვებში, სახელდობრ 24-დან 29-მდე (ორშაბათიდან შაბათამდე), ტფილისში.

E. ყრილობის მუშაობა.

ყრილობა შეიკრიბება პირველად 24 მაისს, დილის ათ საათზე, და იმუშავებს მთელი კვირის განმავლობაში, შაბათამდე. მის სხდომებზე წაკითხული იქმნება მოჰსენებანი და გარჩეული იქმნება ყველა ის მასალები საორთოგრაფიო საკითხებისა, რომელთაც წარუდგენს მას საორგანიზაციო კომისია. თვითეული სადავო საკითხის ყოველმჴრივ აწონ-დაწონის შემდეგ, ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფორმის შემოსაღებად.

F. სალიტერატურო ფორმების საბოლოოდ დადასტურება და ცხოვრებაში გატარება.

ენის მცოდნე პირთაგან მოწვეული საგანგებო ყრილობის დადგენილებანი და დასკვნები უნდა მოჰჴსენდეს სასწავლო კომიტეტს უახლოეს სხდომაზე. ამ სხდომას ესწრება ყველა საგანგებო ყრილობის წევრი და აქ უნდა დადასტურდეს და საბოლოო სანქცია მიეცეს ყრილობის მიერ დადგენილ ფორმებს.

ამის შემდეგ განათლების სამინისტრო გამოაქვეყნებს საბოლოოდ მიღებულ ფორმებს და სავალდებულოდ გაჰ3დის მათ ყველა სკოლებში.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიისაგან ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად არჩეული ყრილობის საორგანიზაციო კომისია უკვე შეუდგა სადავო საკითხების აღნუსხვას და სისტემატიურად დალაგებას როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე აგრეთვე სინტაქსში.

მაგალითად: 1. ფონეტიკაში:

1. ძველი ასოები ѳ, ѣ, ѯ, ѳ და მათი ხმარება დღევანდელს სამწერლო ენაში;

2. ასიმილაცია-დისიმილაციის გავლენა სალიტერატურო ქართულზე /ქალაქითგან თუ ქალაქიდგან, თბილისი, თფილისი თუ ტფილისი და სხვ. და სხვ./

2. მორფოლოგიაში:

1. დონი თუ თანი მიმართულებითში.
2. ჰაესა და სანის ხმარება ზმნის ფორმებში.
3. დნენ თუ დენ;
4. ვდგავარ თუ ვდგევარ;
5. ჰყვანდა თუ ჰყავდა;
6. აღვიარებ თუ ვაღიარებ;
7. ვიწყებ და ვიწყობ;

და სხვა და სხვ.

3. სინტაქსში:

მაგ. 1. ქართველ ერის თუ ქართველი ერის;

2. კარგი ურმის თვალი თუ ურმის კარგი თვალი;

3. რაც უნდა იყოს თუ რაც არ უნდა იყოს.

და სხვ. და სხვ.

კომისიას ხელთა აქვს პერიოდულ გამოცემებში გაბნეული მასალები, მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია მას გამორჩეს რაიმე საყურადღებო წერილი, განსაკუთრებით ძველ ჟურნალ გაზეთებში, ვსთხოვეთ ავტორებსა და მწიგნობართ მოგვაწოდონ ამგვარი ცნობები.

მათვე ვსთხოვეთ მოგვაწოდონ ან ცალკე მოხსენების სახით, ან პრესის საშუალებით ყველაფერი ის, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია

ქართული ენის კვლევა-ძიების საქმესთან საზოგადოდ და განსაკუთრებით სადავო ფორმების გამორკვევასთან აუცილებლად შემდეგის სათაურით:

„მასალები სალიტერატურო ქართულისათვის“.

მისამართი: ტფილისი, განათლების სამინისტრო.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიის წევრს ვუკ. ბერიძეს.

კომისიის წევრები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. გიორგაძე, ვუკ. [ბერიძე]. ტფილისი, 2/IV 920“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N531, 1920 წ. გვ. 3-4).

თუ ტერმინოლოგიური მუშაობისთვის აუცილებელი იყო ფილოლოგიური განათლების მქონე პირებისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების თანამშრომლობა, ქართული სალიტერატურო ენაზე მომუშავე ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტები და სხვადასხვა სანდო უწყების წარმომადგენლები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეტად კომპეტენტური მეცნიერები არ ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ მათ უნდა გადაეწყვიტათ ეს საჭირ-ბოროტო საკითხები. სწორედ ამიტომ მოიწვიეს მათ სამუშაოდ სახელმწიფო სტრუქტურებში, უმაღლეს სასწავლებელში, სამეცნიერო საზოგადოებებში, მწერალთა კავშირსა და პერიოდული გამოცემებში დასაქმებული ადამიანები. ყრილობაზე მოწვეული სხვადასხვა მიმართულებისა და სპეციალისტების გამაერთიანებელი თვისება „ქართული ენის კარგად ცოდნა“ უნდა ყოფილიყო. პოლიტიკური გათავისუფლების შემდეგ ქართული ენისთვის შექმნილ ფართე არეალზე ბუნებრივი ფორმები უნდა შეერჩიათ და ახლადშექმნილი ქართული სახელმძღვანელოების მეშვეობით უნდა გაევრცელებინათ.

სიტყვიერების ისტორიისა და სიტყვიერების თეორიის ტერმინების დამმუშავებელი ქვეკომისიის მიერ სასწავლო კომიტეტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღწერილია 1920 წლის 19-22 ივლისს ჩატარებული სხდომის მუშაობა. ს. გორგაძისა და მ. ზანდუკელის ცნობით ამ შეკრებაზე განუხილავთ 6 წიგნი სიტყვიერების შესახებ და ამოწერილ ტერმინთა დიდი ნაწილი მოუწონებიათ. მოწონებული და დაწუნებული სიტყვები ქართულ-რუსულად და რუსულ-ქართულად დაუჯგუფებიათ ანბანის მიხედვით. აქვე წარმოდგენილია ტერმინთა შერჩევის პრინციპები:

„ა) ორ თანასწორუფლებიან (ფორმის მხრივ) ტერმინებში, რომელთაგან ერთი ქართულია, მეორე ევროპული, კომისია უპირატესობას აძლევდა ქართულ ტერმინს, მაგრამ მასთან ერთად შესაძლოდ

სთვლიდა პარალელურად ევროპული ტერმინიც დაეტოვებია სახმარად.

ბ) როცა ქართული ტერმინი დამაკმაყოფილებელი არ იყო, ან სრულიად არ მოიპოებოდა, კომისია ადგილს უთმობდა ევროპულ ტერმინს, აგრეთვე არაევროპულსაც (უცხოს), მაგრამ ისეთსაც, რომელსაც ისტორიულად უკვე მოპოებული აქვს უფლება ჩვენს მწერლობაში.

გ) იშვიათ შემთხვევაში კომისია თვითონ სთხზავდა შესაფერ ქართულ ტერმინს, როცა უცხო ტერმინის ხმარება შეუძლებელი იყო და შესაფერისი ქართული ტერმინიც არ მოიპოებოდა“ (სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N531, 1920: 9).

ამრიგად, 1919-1920 წლების საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თავისუფლებამოპოვებული ქართული საზოგადოება მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაფართოებისთვის. საქმის ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანა იყო მთავარი მიზანი, რაც გულისხმობდა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების, სკოლებისა და უმაღლესი სასწლავლებლების, ასევე, ნებისმიერი სფეროს საქმისწარმოების ქართულ ენაზე წარმართვას.

საამისოდ, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები დაჩქარებული ტემპით და დამოუკიდებლად მუშაობდნენ ტერმინთა გასაქართულებლად, მაგრამ არაორგანიზებულ მოქმედებას თავისი უარყოფითი შედეგებიც სდევდა თან. შეთანხმების გარეშე წარმართულ პროცესებს შესაძლოა საზიანო შედეგები მოჰყოლოდა ქართული ენისთვის. კერძო ინიციატივის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ჩვენ მიერ მოძიებული რამდენიმე საარქივო დოკუმენტი, რომლებშიც აღწერილია ტექნიკური ჯგუფის საქმიანობა, ასევე, სამხედრო და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ტერმინოლოგიური მუშაობის მცდელობები, რაც ქაოტურ ვითარებას ქმნიდა. თუმცა მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს ამ ორგანიზაციათა სურვილი და თუნდაც მეტ-ნაკლები ხარვეზებით განხორციელებული საქმეები, ვინაიდან მათი უპირველესი მიზანი იყო, რაც შეიძლება მალე შესძლებოდათ ქართული ენის ფართოდ გამოყენება თავიანთ სფეროებში.

სწორედ ამ არაკოორდინირებული მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიქმნა განათლების სამინისტროში ახალი ორგანო „სასწავლო კომიტეტი“, რასაც მოჰყვა მუდმივმოქმედი ტერმინოლოგიური კომისიის შექმნის საჭიროება. ნ. ცინცაძის, ივ. ჯავახიშვილისა და აკ.

შანიძის აზრით, ერთი სტრუქტურის ხელმძღვანელობით უნდა წარმართულიყო ტერმინოლოგიური მუშაობა ხოლო ამ პროცესში მონაწილე ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ფილოლოგიური განათლების მქონე, ქართული ენის კარგად მცოდნე პირები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ამა თუ იმ ტერმინთა შერჩევის დროს საბოლოო გადაწყვეტილება კი ტერმინოლოგიურ კომისიას უნდა მიეღო. ამ მართებული და გონივრული მუშაობის მოდელით მიღებული ტერმინების გამოყენებით უნდა შეედგინათ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები, რითაც შეიქმნებოდა საფუძველი ახალი ერთიანი სალიტერატურო-სამეცნიერო ენისა და სრულფასოვანი ქართულენოვანი გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

ლიტერატურა და წყაროები

სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N541;
სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N585; სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N510;
სეა, სცა, ფ. 1935, ან. 1, N531.

სიტყვარი 2020 – პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ახალი გამოცემა მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლია ქაროსანიძემ, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2021;

Sofiko Tchaava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
Sofiko.tchaava@tsu.ge

Georgian Term Creation According to Archival Materials of 1919-1920

Summary

The National Archives of Georgia (GNA, SCA, F. 1935, Desc.1, N585) preserve important and noteworthy archival materials for the historiography of Georgian terminology, which describe the issues related to terminological work in 1919-1920. The sources compiled in 1919

reflect the processing of the dictionary containing 8500 terms of almost all fields of technology by "Technical Society of Georgia" and the difficulties of its publication. Among the documents compiled in the same period, archival materials are also noteworthy which contain the specifics and needs of the work of the Commission for the Development of Military Terminology. From December 1919, a new body - the study committee - was created at the Ministry of Education, the main function of what was: creating new Georgian textbooks and processing of terminology.

It is obvious from the research materials that in 1920, Prof. Akaki Shanidze applied to the study committee and asked for the creation of a permanent terminological commission, the duty of what would be to verify the existing terminology, evaluate them by specialists of the relevant fields, and take care to establish new terms. Shanidze presented the work plan, structure and main duties of the Terminological Commission. In the same year, part of the members of the commission of Georgian language and literature: Ak. Shanidze, G. Akhvlediani, S. Gorgadze and V. Beridze asked the study committee to hold a conference of people who know the language "to resolve the issues of correct pronunciation and spelling of the Georgian language". It is noteworthy the principles of selection of terms given in one of the minutes of the 1920 sub-commission for processing the terms of the history and literature which can be used as an example in the process of adopting modern terms.

Therefore, the archival materials obtained by the present author, prove that in 1919-1920 terminological work was conducted in an organized manner. Georgian professors and specialists in various fields were supported by state structures and educational institutions. The final goal of the joint work was to fully implement the issue of nationalization that began during the period of Georgia's independence: to transfer teaching to the Georgian language and to create new Georgian-language textbooks. For this reason, it is necessary to select scientific terms from the existing linguistic fund, sometimes, to introduce or to render into Georgian foreign words, and sometimes to create and establish new lexical entries.

თამარ ხატიაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თბილისი
tamar.xatiashvili@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ლექსიკონი, თემატური, წყალი, ტერმინი, შესატყვისი.

წყალთან დაკავშირებული ლექსიკის ქართულ-ინგლისური შესაბამისობის საკითხები (მასალები ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონისათვის)

ადამიანის სიცოცხლესა და არსებობას განაპირობებს წყალი, შესაბამისად, წყალთან დაკავშირებული ლექსიკა მოიცავს არა მარტო სამეცნიერო, არამედ გამოყენებით და საყოფაცხოვრებო სფეროებს, აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ ამ სიტყვა-ცნებების სამომხმარებლო არეალი ფართოა.

წინამდებარე სტატიაში აღწერილი და შესწავლილია *წყალთან დაკავშირებულ სიტყვათა ლექსიკონი,* რომელიც შედგენილია ლელა გიგლემიანის მიერ.

ჩვენი მიზანია „წყალთან დაკავშირებული ქართულ-ინგლისური სიტყვა-ცნებების ლექსიკონის“ შედგენა „წყალთან დაკავშირებულ სიტყვათა ლექსიკონის“ ბაზაზე, შესაბამისად, განვიხილავთ აღნიშნული სალექსიკონო ერთეულების სათანადო ინგლისური შესატყვისების დაძებნის მცდელობებს ამავე სიტყვა-ცნებების ანალიზისა და კლასიფიცირების საფუძველზე.

„ქართულ-ინგლისური წყლის სიტყვა-ცნებების ლექსიკონის“ შექმნა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ინგლისური და ქართული სათანადო სიტყვა-ცნებების დაძებნასა თუ გამოყენებას სამეცნიერო, საკომუნიკაციო თუ მხატვრული კუთხით, არამედ ჰიდროლოგიური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციას, ქართული სალექსიკონო ფონდის სრულყოფა-გამრავალფეროვნებას, ქართული დიალექტური ფორმების შენარჩუნებასა და, საბოლოოდ, ახალი ცნება-ტერმინებისთვის საბაზისო ფონდის შექმნას, რადგან წყალთან დაკავშირებული ლექსიკა შევა „ვრცელ ქართულ-ინგლისურ თემატურ ლექსიკონში“, რომელიც

მზადდება თსუ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლობით.

წყალთან დაკავშირებული სიტყვა-ცნებების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის სამუშაო ვერსიის მომზადება არის ჩვენი პირველი ცდა, აქედან გამომდინარე, მითითებული პრობლემები აღმოიფხვრება აღნიშნული ლექსიკონის საბოლოო ვარიანტში.

წყალთან დაკავშირებული სიტყვა-ცნებების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის მომზადების პროცესში გამოიკვეთა როგორც ქართული, ისე ინგლისური სალექსიკონო ერთეულების სემანტიკური ველის შესწავლის საკითხი. ეს მნიშვნელოვანია ცნებების დაზუსტებისთვის, რადგან სიტყვა-სტატიების უმეტესი ნაწილი დიალექტური ფორმებია. ცალსახაა, რომ სიტყვა-ცნებების დაზუსტება მოითხოვს ჰიდროლექსიკის შესწავლასაც.

ამასთან, მნიშვნელოვანია საკვლევი ლექსიკონის სათანადო ციფრული ფორმატით მომზადებაც, რადგან თანამედროვე ციფრული ეპოქა და ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები თუ ტერმინთბანკების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა ლექსიკონის შედგენა-შემუშავების საქმეში განაპირობებს სწორი დარგობრივი თუ სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენასა და სათანადო ლექსიკის აღწერას. ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების, განათლებისა და ტექნოლოგიის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია როგორც დარგობრივი ორენოვანი ლექსიკონის შედგენა თანამედროვე სტანდარტიცაზიის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ისე *ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის* სრულყოფა წყალთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ლექსიკით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქართული ენის მდიდარი ლექსიკის შესწავლასა და ინგლისური შესატყვისების დადგენას.

სიტყვა-ცნებების დაზუსტებისა და შედარების მიზნით მათი განმარტებები დავძებნეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში; ცნებების მნიშვნელობების დასაზუსტებლად გამოვიყენეთ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები; Oxford Learner's Dictionaries, ვიწრო დარგობრივი მნიშვნელობების დაძებნისთვის – Macmillan Dictinary და Macmillan thesaurus, Multitran Dictionary. ქართული სიტყვა-ცნებების სათანადო ინგლისური ეკვივალენტების დადგენის მიზნით შევისწავლეთ წყლის ინგლისურენოვანი ტერმინე-

ბის განმარტებითი ლექსიკონი Dictionay of Water Terms და კოლორადოს უნივერსიტეტის წყლის ტერმინოლოგიის ლექსიკონი Glossary of water terminology by R Waskom and M. Neibauer.

ჩამოთვლილი ლექსიკონები ხელმისაწვდომია ინტერნეტბაზაში, რაც ამარტივებს კვლევა-ძიების პროცესს და ადასტურებს თანამედროვე ციფრული ლექსიკონების მომზადება-განთავსებისა და არსებული ლექსიკონების გაციფრულების უპირობო მნიშვნელობას. ამას ემსახურება თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინთბანკი, რომელიც მოგვცემს დარგობრივი, ამ შემთხვევაში კი წყალთან დაკავშირებული ლექსიკის სრულყოფილი მოძიების შესაძლებლობას.

წყალი უნიკალური და უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსია. წყლის რესურსების გამოყენება და შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ადამიანისთვის, ისე ქვეყნისა და, ზოგადად, ეკოლოგიისთვის. დღესდღეობით ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების მახასიათებლები (თვისებები) იცვლება ანთროპოგენური და ბუნებრივი პროცესებიდან გამომდინარე, შესაბამისად, იცვლება დარგობრივი სიტყვა-ტერმინებიც. მიმდინარე ჰიდროლოგიური კვლევები საჭიროებს თანამედროვე მიდგომებს, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოიცავს სათანადო ელექტრონული თუ ციფრული დარგობრივი თარგმნითი ლექსიკონების შექმნასაც და მათ გამოყენებასაც. დარგის სპეციალისტებისთვის დარგობრივი ლექსიკა მნიშვნელოვანია არა მარტო სამეცნიერო კუთხით, არამედ დარგის სპეციალისტების ურთიერთთანამშრომლობისთვისაც (თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში).

მიმდინარე გლობალური ცვლილებებისა და ტექნოლოგიების განვითარების თანადროულად თვალნათლივ ჩანს თანამედროვე ქართული სიტყვა-ტერმინების შემოტანა-დამკვიდრების აუცილებლობა, რადგან ,,თითქმის არ არსებობს დღეისათვის დარგი და სფერო, რომელსაც პროფესიული, დარგობრივი ენის რეფორმის მწვავე აუცილებლობა არ ჰქონდეს, რომელსაც ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი არ სჭირდებოდეს“ (არაბული 2016: 7-8).

ლექსიკონების შედგენას თან სდევს სიტყვა-ცნებების დამუშავება ლინგვისტიკურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით, სიტყვა-სტატიების შედგენის გზების ძიება, დიალექტური ფორმების შესწავლა, ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენის სირთულეები ერთი ენიდან სამიზნე ენაზე გადმოტანის პროცესში იჩენს თავს. შესაბამისად,

მნიშვნელოვანია თარგმნითი მუშაობის თავისებურებების გათვალისწინება და ლინგვისტიკური თუ სემანტიკური ასპექტების განსაზღვრის აუცილებლობა, რისთვისაც ,,განსაკუთრებული როლი ენიჭება სპეციალური... პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას. სახელმწიფო ენის განვითარება, მისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია არის გამოსავალი სახელმწიფო ენის გადარჩენის საქმეში (არაბული 2016: 8).

სათანადო შესატყვისის მოძიებასა და მის ნორმირებულ სალექსიკონო ერთეულად გამოყენებას აფერხებს უცხო ენებიდან შემოჭრილი ლექსიკა, ამდენად, ,,დღეს ... გვჭირდება ქართული სამეცნიერო ენის დახვეწა, გამართვა, განვითარება. ამისთვის კი ქართული ტერმინოლოგიური სკოლების მიერ უკვე დასახული გზებიდან გადახვევა ... საჭირო არ არის. ძველ მემკვიდრეობითობაზე აგებული სიახლე – ეს არის ქართული ტერმინთშემოქმედების დღევანდელი გზაც“ (ქაროსანიძე 2014: 183) და ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნის საფუძველიც. აღნიშნული ლექსიკონი ქართული ენის სრულ აღწერასთან ერთად საშუალებას მოგვცემს, თვალი ვადევნოთ სიტყვების განვითარებას და თავი მოვუყაროთ მათს ძველ და ახლანდელ ფორმებს დიდ სალექსიკონო ბაზაში.

დარგობრივი ლექსიკის შემოღება დარგობრივი ლექსიკონების, მათ შორის, ორენოვანი და სამენოვანი ლექსიკონების შექმნის განმაპირობებელია. ,,ნებისმიერი ორენოვანი ლექსიკონის მიზანია არა მხოლოდ სიტყვისა თუ ფრაზის სწორად თარგმნა, არამედ ენის (ამ შემთხვევაში ქართულის) ტერმინოლოგიის ნორმალიზაცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინგლისური და ქართული სრულიად განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებია და ისიც, რომ სანამ ქართულამდე მოაღწევდა, ამ ტერმინებმა სხვა შუალედური ენებიც გამოიარეს. ლექსიკოგრაფი აუცილებლად უნდა შეეცადოს, დაასახელოს ის ფორმა, რომელსაც ის მიიჩნევს მართებულად“ (გაბესკირია 2020: 79).

როგორც ვხედავთ, ორენოვანი ლექსიკონის შექმნის პროცესი ქართული ტერმინების სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის აუცილებლობასთან ერთად, გამოკვეთს როგორც თანამედროვე ქართული დარგობრივი ლექსიკის დადგენის საკითხს, ისე სიტყვა-ცნებათა ორაზროვნებისა და მრავალფეროვნების თავიდან აცილების საჭიროებას, რაც ნათლად გამოჩნდა წყალთან დაკავშირებული ქართული სი-

ტყვა-ცნებების ინგლისური შესატყვისების მოძიების მოკვლევის პროცესშიც.

სიტყვა *წყალი* უძველესი ლექსიკური ფონდის განუყოფელი ერთეულია. წყალი ფართოდ გამოიყენება საყოფაცხოვრებო, სამეცნიერო თუ დარგობრივ სფეროებში. წყალთან დაკავშირებული სიტყვა-ტერმინები კი ქმნის ჰიდროლექსიკას. წყლის შემსწავლელი მეცნიერება ჰიდროლოგია მოიცავს ჰიდროსფეროს, რომელიც სწავლობს წყლის დედამიწის გეოგრაფიულ გარემოსთან მიმართებას, შედგება ქვედარგებისგან და მოიცავს: ზედაპირულ წყლებს, ოკეანეებსა და ზღვებს, მდინარეებს, ტბებს, წყლის მასებს (დინებები, ტალღები, ინფილტრაცია), წყლის კალაპოტებს (სანაპიროების ფორმირება და ფსკერი, არხები, სრუტეები, ეროზია, ტრანსპორტირება), ნალექებს: წვიმა, თოვლი და ა.შ. სასმელ, სარწყავ, მიწისქვეშა და მინერალურ წყლებს. ამავე დროს სწავლობს წყლის გამოყენებასა და მოხმარებას. ამ დარგში გამოყენებულ ცნებათა სახელდება ხდება როგორც ჰიდროლოგიური ტერმინოლოგიისათვის შექმნილი სამეცნიერო ტერმინებით, ისე სალიტერატურო და დიალექტური ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც ერთიანად ქმნის პრაქტიკული დანიშნულების *საერთო მოხმარების სიტყვა-ტერმინებს.* სწორედ წყალთან დაკავშირებული *საერთო მოხმარების* სიტყვა-ცნებებია წარმოდგენილი *წყალთან დაკავშირებულ სიტყვათა ლექსიკონში.*

აღნიშნული ლექსიკონი განთავსებულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ელექტრონული ბაზის (ice.tsu.ge) დარგობრივი ლექსიკონების ქვებმულში. ლექსიკონი განმარტებითია და მოიცავს დაახლოებით 419 სიტყვა-სტატიას, შესაბამისად, ის მცირე ზომის (მოცულობის) ონლაინლექსიკონია. სალექსიკონი ერთეულები გაწყობილია ანბანთრიგზე, სახელები მოცემულია მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმით.

ჩვენ მიერ მომზადებული ლექსიკონის სამუშაო ვერსია კი ორენოვანი განმარტებითი ლექსიკონია. ქართულ სალექსიკონო ერთეულებს მივუწერეთ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ინგლისური შესატყვისები გადმოვიტანეთ ტრანსკრიფციით (Oxford Learner's Dictionaries).

თარგმნითი მუშაობისა და ნათარგმნი მასალების რედაქტირების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სალექსიკონო ერთეულების ქართულ ენაზე სწორი ფორმით გამოყენებისთვის მოსახერხებელია მხოლობი-

თი რიცხვის ნათესაობითი ფორმების მითითება. ამისათვის ვისარგებლეთ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონით (ქეოლი), ასევე დავურთეთ ტრანსკრიფციაც. ზოგიერთი სალექსიკონო ერთეულის ზუსტი შესატყვისის დასამებნად გამოვიყენეთ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები.

წყალთან დაკავშირებულ სიტყვათა ლექსიკონი ეყრდნობა არსებულ ლექსიკონებს: ,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს" (რვატომეული), სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებს, ი. აბულაძის ,,ძველი ქართული ენის ლექსიკონს", ბ. ფოჩხუას ,,ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონს", ტერმინოლოგიურ და ტოპონიმიკურ, ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ლექსიკონებს. შესაბამისად, ლექსიკონს საფუძვლად უდევს ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მასალა. ცნება-ტერმინები დასტურდება ძველ წყაროებშიც, უმეტესობა კი დიალექტური და სალიტერატურო ქართული ენის ფორმებია (გიგლემიანი 2006: 4).

ქართული სიტყვებისთვის ინგლისური შესატყვისების მისადაგებისას დავეყრდენით დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონსა და დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს, კერძოდ, მდინარესთან და ჩანჩქერთან დაკავშირებულ სახელებს.

მდინარე და მასთან დაკავშირებული სახელები

ქართულში მდინარის აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვა არსებობს: *ღარტაფი, ღელე, ღელღულები, ხევი, ღია, ჩქერი, ჭორომი, ფონი.*

მდინარე ქეგლში განმარტებულია, როგორც ,,ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე (დიდი) წყალი", ინგლისურ შესიტყვებად დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში დასტურდება river.

დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში *ღარტაფის* ინგლისურ შესატყვისად დასტურდება narrow valley, hollow, დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში valley დასტურდება, როგორც 1. *ველი, ვაკე* (სწორი, მოგრძო ადგილი გორაკებს ან მთებს შორის); 2. *ხეობა* (სწორი, მოგრძო ადგილი მდინარის გასწვრივ); ხოლო hollow – 3. *დაბლობი; ხეობა, ხევი, ღარტაფი. ღარტაფი* საკვლევ ლექსიკონში განმარტებულია ქეგლის მიხედვით: ,,იგივეა, რაც ღელე (საბა) (მნიშვ. 2)". განმარტების მიხედვით, *ღარტაფის* პარალელური ფორმაა *ღელე,* რომელიც საკვლევ ლექ-

სიკონში მოცემულია, როგორც ,,პატარა ხევი (საბა)“ , ხოლო ქეგლში ვხვდებით *ღელის* რამდენიმე მნიშვნელობას: ,,1. პატარა ხევი (საბა); პატარა მდინარე, ნაკადული. 2. «ჩავარდნილი ადგილი მინდორზე ან მთათა შორის» (დ. ჩუბინ.), ურიყო ნაწყლევი ადგილი, მშრალი ხევი. 3. მდინარე თავისი ნაპირებითურთ – ჭალა; ხეობა“.

მაშასადამე, დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში *ღარტაფი* საკვლევ ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობით არ დასტურდება. ქეგლის მიხედვით ნათელია, რომ *ღარტაფი//ღელე//ხევი* პარალელური ფორმებია. დიდ ქართ.-ინგ. ლექს.-ში *ღელე* დასტურდება, როგორც – stream and its banks; რაც, ვფიქრობთ, რომ გულისხმობს *ღელის* ქეგლში მოცემული განმარტების მესამე მნიშვნელობას. დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში stream დასტურდება, როგორც *პატარა მდინარე; ღელე, ნაკადულები,* რომლებიც ემთხვევა ღელის ქეგლში მოცემული განმარტების პირველ მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, *ღარტაფისა* და *ღელის* სათანადო ეკვივალენტების მოძიების მიზნით აუცილებელია განვსაზღვროთ შემდეგი: მივიჩნიოთ თუ არა *ღელე* და *ღარტაფი* სინონიმებად და გამოვხატოთ საერთო ინგლისური შესატყვისით stream. დავაზუსტოთ კიდევ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა. საკვლევ ლექსიკონში შეტანილია *ღელღულებიც* ,,პატარა ღელეები“, რომლის ინგლისურ შესატყვისად დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში ვხვდებით narrow gullies და რომელსაც დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში შეესაბამება: 1.1) ხევი, ხრამი, ღარტაფი; 2)თხრილი, არხი. ასევე საგულისხმოა *ხევი,* რომელიც ორმნიშვნელობიანია, კერძოდ: საკვლევ ლექსიკონში შეტანილია მეორე მნიშვნელობით, როგორც ,,პატარა მდინარე მთებს შუა“. დიდ ქართ.-ინგლისურ ლექსიკონში *ხევი* დასტურდება როგორც small mountain river. საინტერესოა *ღია* – ,,დაბალ ადგილზე გადასული მდინარე“, რომელსაც, განმარტებების მიხედვით, ხევის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. მისი შესატყვისი დიდ ქართ.-ინგლისურ ლექსიკონში არ დასტურდება (შესაძლებელია გამოვხატოთ შესიტყვებით river in lowlands ან lowland river?). ვფიქრობთ, რომ თუ ,,პატარა ღელეები“ (ღელღულები) არის small stream, მაშინ *ღარტაფი//ღელე//ხევის* შესატყვისად შესაძლებელია მივიჩნიოთ stream.

აქვე განვიხილოთ *რუ* – ,,სარწყავად გაყვანილი პატარა არხი, კერძოდ, ასეთ არხში მიმდინარე წყალი“. დიდ ქართ.-ინგ. ლექსიკონში დასტურდება როგორც – (stream of water in) channel; torrent. torrent კი, დიდი ინგლ.-ქართ. ლექსიკონის მიხედვით, არის „წყლის სწრაფი ნაკადი; ღვარი“. რუს. სინონიმური სიტყვაა *ღирлилa* – ,,პატარა მო-

რაკრაკე რუ, ხმაურა“, რომელსაც დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში შეესატყვისება trilling brook. დიდ ინგლ.-ქართ ლექსიკონში brook დასტურდება, როგორც *ნაკადული, რუ. ნაკადული* ქეგლში განმარტებულია, როგორც ,,ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე მცირე წყალი, მთის ნაკადული, ნაკადი“. დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში *ნაკადულს* შეესაბამება stream, tributary 2.ძვ. ქართ. spring of water; დიდ ინგლ.-ქართულ ლექსიკონში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, stream დასტურდება, როგორც *პატარა მდინარე; ღელე, ნაკადულები.* ინგლისური სიტყვა-ცნებების განმარტებები დავძებნეთ Macmillan Dictionary-ში (ბრიტ.), რომელშიც stream განმარტებულია, როგორც small narrow river, ხოლო brook – small river, ამის მიხედვით, stream „ვიწრო, პატარა მდინარეა“, brook კი – პატარა მდინარე, შესაბამისად, stream ცალსახად გამოხატავს *ღელე//ხევი//ღატაფს,* brook კი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, – რუს, ნაკადულს. თავის მხრივ, Macmillan Dictionary-ში small stream დასტურდება, როგორც beck და burn (Scotland); ხოლო ინგლისურ გეოლოგიურ ლექსიკონში (აშშ) brook განმარტებულია როგორც small stream.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვა-ცნებები უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. ინგლისური ეკვივალენტის მორგების მიზნით მნიშვნელოვანია მდინარის ქართული სახელების შინაარსობრივ-თვისობრივი მხარის ძირეული გააზრება და, პირიქით.

მდინარესთან დაკავშირებულ სახელთაგან უნდა გამოვყოთ *ჩქერი,* რომელიც ქეგლში განმარტებულია, როგორც ,,მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას“ და ასევე *ჩქერი,* როგორც სახელი ზმნის *ჩქერს* მოქმედებისა, – ,,ჩქარი, დინება, ჩქეფა“. დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში მის ინგლისურ შესატყვისად დასტურდება: rapids (river), downpour. მოყვანილი განმარტების შინაარსიდან გამომდინარე, *ჩქერის* ინგლისური შესატყვისია rapids (river); macmillan Dictionary-ში rapids განმარტებულია, როგორც ,,a part of river where the water moves extremely quickly over rocks and is usually dangerous (,,მდინარის ქვათა მასივზე გადამდინარი წყლის სწრაფი მონაკვეთი, რომელიც ყოველთვის სახიფათოა“); თუმცა დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში rapids დასტურდება, როგორც ,,ჭორომი**,** ჩქერებიანი მონაკვეთი (მდინარისა)“. ჭორომი კი ქეგლში განმარტებულია შემდეგნაირად: ,,მდინარის ფსკერზე ამაღლებული ქვის მასივი, რომელიც სწრაფ დინებას ქმნის“. ამ სიტყვა-ცნებების განმარტებები, ნათელყოფს, რომ ჭორომი და ჩქერი არ გამოხატავს ერთ შინაარსს და

არასწორია ისინი საერთო ინგლისური შესატყვისით ვთარგმნოთ. ამასვე ადასტურებს სიტყვა-სტატია *ფონი,* რომელიც საკვლევ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: ,,ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე მცირე წყალი“, ხოლო ქეგლში ,,1. მდინარეში გასასვლელი ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი. 2. ძვ. ჩქერი, ღვარი, მოწანწკარე წყალი (იუსტ. აბულ.), – ნაკადული“. დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში *ფონს* შეესაბამება 1.ford (over river) 2. rapids. Macmillan Dictionary-ში rapids-ის ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით, მიგვაჩნია, რომ rapids არ ასახავს *ფონის* მეორე მნიშვნელობას, რადგან *ჩქერი* და *ღვარი, მოწანწკარე წყალი* ქეგლისავე *ჩქერის, როგორც ჩქარი დინების,* საპირისპიროა. ჩქერი რომ სწრაფი დინებაა, ამას ადასტურებს დიდ ქართ.-ინგლისურ ლექსიკონში მოცემული მეორე შესატყვისი downpour, რომელიც Macmillan და Oxford Dictionary-ებში ცალსახად წვიმის ჩქარ დენას ნიშნავს. დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში ford დასტურდება, როგორც 1.ფონი (მდინარისა და სხვა წყალმარჩხი/არაღრმა ადგილი) 2. ნაკადული, ღელე, მდინარე; და მე-2 მნიშვნელობა აქაც არ გულისხმობს ჩქარ დინებას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ორი განმარტება: 2. ძვ. ჩქერი, ღვარი, მოწანწკარე წყალი (იუსტ. აბულ.), – ნაკადული“ (ქეგლი) და 2. ნაკადული, ღელე, მდინარე (დიდი ინგლ.-ქართ. ლექსიკონი) საჭიროებს დაზუსტებას, რაც სიცხადეს შეიტანს საბოლოო ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენაშიც. ქართ.-რუს. ლექსიკონში *ჩქერი* დასტურდება, როგორც перекат; *ჭორომი* – порог (реки); *ფონი* 1. бpод. რუს.-ინგლ. ლექსიკონში (wooordhunt.ru): перекат – rift, порог – ჩვენთვის საჭირო შესატყვისით rift და rapids, ხოლო бpод – ford**,** იქვე: ford: бpод, поток, река. რუსულ ლექსიკონებშიც ერთგვარი გაურკვევლობაა და უპირობო ამოსავალი ვერ იქნება რუსული შესატყვისები. დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში rift ამ მნიშვნელობით არ დასტურდება. ქართ.-რუს. ლექსიკონშიც ცალსახად გამიჯნულია *ჩქერი* და *ჭორომი, ფონის* ერთ-ერთი შესატყვისი поток რუს-ქართ. ლექსიკონში მოცემულია შემდეგნაირად: მ. ნაკადი, ღვარი, ნიაღვარი. Macmillan Dictionary -ში ford ნიშნავს: ,,a place in a stream or river where the water is not deep and you can walk or drive across, რაც ასახავს ქეგლის პირველ მნიშვნელობას. ასევე rift - Macmillan და Oxford Dictionary-ებში ცალსახად ნაპრალსა და ღრმულს გულისხმობს, თუმცა Multitran Dictionary-ში перекат-ის გეოლოგიაში დადასტურებული ინგლისური შესატყვისი არის rift, ხოლო ჰიდროლოგიაში – riffle; river bar და სხვ.

ინგლისური და ქართული ლექსიკონებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ *ჩქერს* შეესაბამება rapids (river), ხოლო ფონის მეორე მნიშვნელობა და ჭორომი საჭიროებს უფრო დეტალურ შესწავლას, ამასთან, *ჭორომი* და *ჩქერი* ვერ გამოიხატება ერთი შესატყვისით.

ლექსიკონზე მუშაობა, ქართულ-ინგლისური შესატყვისების დაძებნა ცხადყოფს ქართული სიტყვა-ცნებების გამიჯვნის საჭიროებას დიალექტურ და ძველ ფორმებად, რადგან, ვფიქრობთ, ერთი სემანტიკური მნიშვნელობის გამომხატავი და პარალელურ დიალექტურ ფორმებად დაჯგუფებული სიტყვები შესაძლებელია გადმოიცეს საერთო ინგლისური შესატყვისით.

მდინარეს უკავშირდება საერთო განმარტების მქონე პარალელური დიალექტური ფორმები, როგორებიცაა: *ბეჩო, ბოლათი, დარანი, დორანი, ყობი, ჯილე, ჯილეგი.*

საკვლევ ლექსიკონში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების საერთო ერთი და იგივე განმარტება: ,,მდინარეს აქვს პატარ-პატარა ღრუები, რომლებშიც ზამთრობით თევზები ბუდობენ [ფოჩხუა, 1987]". სავარაუდოდ, ინგლისურ შესატყვისად უნდა დადასტურდეს ერთი და იმავე საერთო ცნების გამომხატველი ერთეული. აქ საგულისხმოა, რომ ქეგლში ამ სიტყვების (ბეჩო (კუთხ. იმერ.), ბოლათი, დარანი (კუთხ. ქიზ.ხევს.), დორანი, ყობი (კუთხ.ქიზ.), ჯილე (საბა), ჯილეგი) განმარტებები განსხვავდება, თუმცა გამოხატავს ერთ შინაარსს, შესაბამისად, დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში ისინი სხვადასხვა ინგლისური შესიტყვებითაა გამოხატული, კერძოდ: *ბეჩო* – 3. hole in river bed/bank ((cray)fish's hide); ბოლათი – 1. hollowed-out river/lake-bed where fish lurk; 2. pot-hole mage by water; დარანი (არ არის) – დორანი – quit area of water good for fishing; ყობი – (fish's) hiding hole; ჯილე(გი) – hollow in river-bed (for catching fish). ლ. გიგლემიანი მდინარის ამ ადგილების სახელებს საერთო განმარტებით აჯგუფებს (გიგლემიანი 2006:11), შესაბამისად, საკვლევ ლექსიკონში საერთო შესიტყვება მივუსადაგეთ – hole in river bed/bank ((cray)fish's hide) მივუსადაგეთ მათ.

ჩანჩქერი და მასთან დაკავშირებული სახელები

საკვლევი ლექსიკონის მიხედვით, *ჩანჩქერი* განმარტებულია შემდეგნაირად: ,,ციცაბოზე გადმომდინარე წყლის ნაკადი", ხოლო ,,საბასთან ჩანჩქერი განმარტებულია ასე: ,,წყალი კლდეზედ გარდმო-

ნადენი“ [საბა 1993, 315]“ (გიგლემიანი 2006:10). ქართულში ჩანჩქერის მნიშვნელობით სხვადასხვა სახელი გვხვდება: *ჩახრიალა, ჩქერალი, ჩაბარუხი, საჩქეფი, ჩხატი.*

დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში *ჩანჩქერს* შეესაბამება – waterfall, ასევე საკვლევ ლექსიკონში შეტანილ მის პარალელურ ფორმებს, როგორებიცაა: *ჩახრიალა, ჩქერალი, ჩაბარუხი, საჩქეფი* (კუთხ. იმერ.), *ჩხატი* (კუთხ. მოხ. ხევს.), *ჩაქუხა* შეესატყვისება waterfall მცირედი სახესხვაობებით, კერძოდ: *საჩქეფი* – waterfall, torren; *ჩქერალი,* რომელიც დასტურდება ორი ფორმით – waterfall, rapids. ეს უკანასკნელი უკავშირდება ზემოთ განხილულ *ჩქერს.* საგულისხმოა *ჩქერალის* განმარტება: იგივეა, რაც ჩანჩქერი – waterfall. *ჩახრიალა* განმარტებულია შემდეგნაირად: იგივეა, რაც ჩანჩქერი 2. პატარა ჩანჩქერი – waterfall, small waterfall.

ჩამოთვლილი სიტყვები ცალსახად განმარტებულია, როგორც წყლის ნაკადი, რომელიც ციცაბოზე გადმოდის და მათ დიდ ქართ.-ინგლ.ლექსიკონში შეესაბამება waterfall და small waterfall**.** დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში კი დასტურდება waterfall – *ჩანჩქერი.*

ვფიქრობთ, რომ torren, რომელიც დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში დასტურდება როგორც 1. *წყლის სწრაფი ნაკადი, ღვარი,* არ გამოხატავს *საჩქეფის,* როგორც ჩანჩქერის, მნიშვნელობას, შესაბამისად საჩქეფის შესატყვისად მივიჩნიეთ მხოლოდ waterfall; ასევე *ჩქერი* და *ჩქერალი,* რომლებიც ნაწარმოებია *ჩქერ* ფუძიდან და ნიშნავს სწრაფ დინებას, ადასტურებს იმას, რომ *ჩქერის* ინგლისურ შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ rapids, თუმცა ის Macmillan Dictionary-ის მიხედვით, მდინარის ნაწილია ქვებზე სწრაფად გადამდინარი და, ჩვენი აზრით, *ჩანჩქერს* არ შეესაბამება.

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა სიტყვები, რომელთა ინგლისური შესატყვისი არ დასტურდება არსებულ ლექსიკონებში; ესენია: *ჩუმქარი* – ქარისაგან ჰაერში ატანილი ან სადმე შეგროვებული თოვლი, იგივეა, რაც *წამქერი* (დიდ ქართ-ინგლ. ლექსიკონში არ დასტურდება); *ნაბუქი* – ქარისაგან ჰაერში ატანილი ან სადმე შეგროვებული თოვლი (დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში არ დასტურდება); ასევე გამოიყოფა სიტყვები, რომელთა ზუსტი ინგლისური ეკვივალენტი არ დასტურდება და მათ შესიტყვებები შეესაბამება. ესენია, მაგალითად, ბუჩქებზე, ხეებსა თუ მთებში შემორჩენილი თოვლის სახელები: *გერილი* – ბუჩქების ან წაქცეული ხის ტოტებთან შეკავებული თოვლის გროვა – snow piled against bushes/fallen branches (ქართ.-

ინგლ.); *ხორტი* – მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი – snow remaining in mountain crannies (ქართ.-ინგლ.); *ჯიმთი* – ხევში ჩარჩენილი თოვლი – late snow lying in ravines (ქართ.-ინგლ.); *ნამქერი* – ქარისაგან ჰაერში ატანილი ან სადმე შეგროვებული თოვლი – driven snow, snowdrift (snow-drift) (ქართ.-ინგლ.). *ხიაწი* – ქარისაგან ჰაერში ატანილი ან სადმე შეგროვებული თოვლი – driven snow (ქართ.-ინგლ.). სიტყვები, რომლებიც გამოიხატება საერთო ტერმინით, მაგალითად: *ფიფქი, ფარტენა, ფანტელი, ფირფლი* – snowflake, snow-flake. ვხვდებით ერთი სალექსიკონო ერთეულის ლექსიკონების მიხედვით განსხვავებულ მნიშვნელობებს, მაგალითად: *გოჩგოჩანა* – ,,მდინარეში წყალქვეშა კლდეებზე გადამდინარი ზვირთი", დიდ ქართ.-ინგლ. ლექსიკონში მის შესატყვისად დასტურდება whirlpool, რომელსაც დიდ ინგლ.-ქართ. ლექსიკონში შეესატყვისება *მორევი,* ქეგლის მიხედვით *მორევი* ნიშნავს ,,ღრმა ადგილს მდინარეში, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს". ამ მნიშვნელობით ვხვდებით whirlpool-ს Macmillan Dictionary-შიც და, შესაბამისად, ვერ გამოვიტანთ *გოჩგოჩანას* შესატყვისად; საკითხი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს, რადგან Merriam-Webster Thesaurus-ში ტალღის 34 სინონიმი დასტურდება.

როგორც ვხედავთ, სალექსიკონო ერთეულების ძირითადი ნაწილის ინგლისური შესატყვისები არსებულ ლექსიკონებში დასტურდება, თუმცა დასაფიქრებელია ზოგი მათგანის სიზუსტე.

ზემოთ მოყვანილი საგნობრივ-თემატურად დაჯგუფებული ქართულ-ინგლისური შესატყვისების მაგალითები ნათელყოფს წყალთან დაკავშირებული ქართული ლექსიკის მრავალფეროვნებას. წყლის ქართული სიტყვა-ცნებები უმეტესწილად დიალექტურ ფორმებს ეფუძნება, რაც, ერთი მხრივ, ქმნის მდიდარ სალექსიკონო ბაზას, თუმცა, მეორე მხრივ, მოითხოვს სათანადო ქართული და ინგლისური სიტყვა-სტატიებისა და მათი სემანტიკური ველების ზედმიწევნით შესწავლას.

ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ *წყალთან დაკავშირებული ქართულ-ინგლისური სიტყვა-ცნებების ლექსიკონის* სალექსიკონო ერთეულების შესაბამისობა და დარგობრივი მნიშვნელობები უფრო სრულყოფილი და ზუსტი იქნება. ზემოთქმულის წინაპირობა კი დარგის სპეციალისტების, ენათმეცნიერების, მთარგმნელებისა და დაინტერესებული პირების ერთობლივი მუშაობა, ნორმირებული და სტანდარტიზებული მრავალდარგოვანი თემატური ლექსიკონების

შედგენა და საერთო ტერმინოლოგიური ბაზის – *ტერმინთსაცავის* – სრულყოფაა, რასაც ემსახურება *წყალთან დაკავშირებული ქართულ-ინგლისური სიტყვა-ცნებების ლექსიკონის* შედგენაც და ამ ლექსიკის ვრცელ ქართულ-ინგლისურ თემატურ ლექსიკონში აღწერაც.

ლიტერატურა

არაბული 2016 – ავთ. არაბული, ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ტერმინოლოგიის საკითხები II, თბილისი.

ახვლედიანი 1925 – გ. ახვლედიანი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი სამხედრო-ტეხნიკური, თბილისი.

გაბესკირია 2020 – ც. გაბესკირია, მათემატიკური ტერმინების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნის საკითხისათვის, ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი.

გიგლემიანი 2006 – ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

გიგლემიანი 2006 – ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ქაროსანიძე 2014 – ლ. ქაროსანიძე, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე, ტერმინოლოგიის საკითხები I, თბილისი.

შანიძე 1973 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III, თბილისი.

თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის 2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში, https://tsu.ge/assets/media/files.

ინტერნეტრესურსები

წყალთან დაკავშირებულ სიტყვათა ლექსიკონი, https://ice. tsu. ge
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, https://ice. tsu. ge
დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, https://www.nplg. gov.ge
დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, htpps://dictionary.ge
ქართულ-რუსული ლექსიკონი, https://ice.tsu. ge

რუსულ-ქართული ლექსიკონი, https://www.nplg. gov.ge
რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, https://www.wooordhunt.ru
Oxford Learner's Dictionaries, https://www.oxfordlearnersdictionaries.com
Macmillan Dictionary, https://www.macmillanenglish.com
Multitran Dictionary, Dictionay of Water Terms.multitran.com
Glossary of Water Terminology, R. Waskom and M. Neibauer, Colorado State University, https://www.valleywater.org
Dictionary of Water Terms, Water Science School, 2018, https://www.usgs.gov

Tamar Khatiashvili
Ministry of Defense of Georgia, Tbilisi
tamar.xatiashvili@yahoo.com

Key words: dictionary, thematic, water, concept, equivalent.

Matching Issues of the Water-Related Georgian-English Vocabulary (Materials for an Extensive Georgian-English Thematic Dictionary)

Summary

This article presents the difficulties identified in the process of compiling the working version of the Georgian-English dictionary of water-related concepts. This dictionary is based on the dictionary of water-related words compiled by Lela Giglemyan, found in sub-link of subject-specific dictionaries in the electronic database of the Arn. Chikobava Institute of Linguistics.

Along with that, in cooperation with the TSU English Philology Department and the Department of Translation Dictionaries and Scientific Terminology of the Arnold Chikobava Institute of Linguistics, an extensive Georgian-English thematic dictionary is being prepared

which will eventually contribute to the description of the Georgian language.

The article reviews the attempts of finding corresponding English equivalents for lexical units based on the analysis and classification of the same word-concepts.

For example, in the article, the river and the names associated with it are split into thematic subgroups. In Georgian language, the following names are used to denote different types of rivers: *ღარტაფი, ღელე, ღელღული, ხევი, ჩქერი, ჭორომი, ფონი.* Based on the research, we find it possible to define the following: *ღელე* and *ღატაფი,* as synonyms, can be expressed by the common English equivalent *stream*. Comparing the semantic meaning of *ჩქერი, ჭორომი, ფონი* and presenting them in the form of a table gives us a different picture from the existing one.

The English equivalents of the majority of lexical units are confirmed in the existing dictionaries, although the accuracy of some of them is questionable.

The process of compiling a bilingual thematic dictionary revealed the need to create a thematic vocabulary and prevent ambiguity and diversity of concepts along with the need to standardize Georgian terms.

Thematically grouped Georgian-English matches demonstrate the diversity of Georgian vocabulary related to water. Georgian word-concepts denoting water are mostly based on dialectal forms, which creates a rich lexical base, but requires a thorough study of the corresponding Georgian and English entry articles and their semantic fields.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
mzeshina@mail.com

დავით ჭელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისი
david.chelidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: დაზუსტება, გასწორება, ჩანაცვლება, შექმნა.

ახალი ნომენკლატურული სახელები „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“

ქართული ენა მდიდარია მცენარეთა სახელებით, რაც აისახა კიდეც ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ამ მხრივ გამორჩეულია ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“ (1949 წ.. 1961 წ). მიუხედავად იმისა, რომ გამოცემის დღიდან ლექსიკონს სამართლიანად ენიჭება გამორჩეული მნიშვნელობა ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევის თვალსაზრისით, დღეისათვის იგი სრულად ვერ ასახავს რეალურად არსებულ სურათს, კერძოდ: 1. მასში ზედმიწევნით არ არის დადასტურებული ქართული სამწერლობო ენისა და დიალექტების, ქართველური ენების, სპეციალური ლიტერატურის, ცოცხალი მეტყველების სათანადო მონაცემები; 2. მოხმობილი ლათინური სამეცნიერო სახელების ერთი ნაწილი საჭიროებს განახლებას; 3. თანამედროვე ბოტანიკური ლიტერატურის გათვალისწინებით, გადასახედია რიგ მცენარეთა გვარ-სახეობრივი განაწილება; 4. მოსაწესრიგებელია მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების (ასევე, სვანური და მეგრულ-ლაზური მონაცემების) დაწერილობის საკითხი; 5. აუცილებელია ლექსიკონის გამოცემის შემდგომ პერიოდში ჩვენში შემოტანილ მცენარეთა (ინვაზიური სახეობები) სახელების, ასევე, წერილობით წყაროებში მოძიებულ ფიტონიმთა დადასტურება, მათთვის სათანადო ქართული სამეცნიერო სახელების შექმნა-მისადაგება და სხვ.

ამ და სხვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად 2018 წლიდან დავიწყეთ „მცენარეთა ქართველური სახელების კრებსითი ლექსიკონის“ შედგენა. მუშაობისას ერთ-ერთ მიზნად გამოიკვეთა მცენარეთა ქარ-

თული სამეცნიერო სახელების განახლება-სტანდარტიზაციის საკითხი.

მცენარეთა ქართული ნომენკლატურული სახელების სისტემატური დალაგება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო. საბოლოოდ კი მათი ფორმირება და განვითარება მნიშვნელოვნად დაუკავშირდა ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონს“, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, აქ დადასტურებული არაერთი ქართული სამეცნიერო სახელი საჭიროებს გადახედვას, ცვლილებას.

ეს განპირობებულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: 1. ბოტანიკური უზუსტობანი – არაერთი მცენარის დასახელება არ შეესაბამება მის ბოტანიკურ მახასიათებელს; რიგი სახეობის ან გვარის დასახელება, მათი ურთიერთმიმართება მოითხოვს მეტ მკაფიოობას ან განახლებას; 2. ბუნდოვანი ტერმინები – ზოგიერთ სამეცნიერო სახელს აკლია სიზუსტე და კონკრეტულობა (იგივდება სხვა სახეობის სამეცნიერო ან დიალექტურ სახელთან), აუცილებელი ჩანს მისი ჩანაცვლება სხვა სახელით, გაძლიერება სინონიმით ან სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტით; 3. სამეცნიერო სახელთა ნაკლულობა – ლექსიკონში არ ჩანს ქართულ წერილობით წყაროებსა და სხვადასხვა ლექსიკონებში დადასტურებული არაერთი მცენარის სამეცნიერო სახელი.

ამ პრობლემების გადასაჭრელად „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“ განხორციელდა ცვლილებები. ის ეყრდნობა ქართული ბოტანიკური ლიტერატურის, ლექსიკონების, კარაბადინების, ისტორიული წყაროების, დიალექტების მონაცემებს, რიგ შემთხვევაში კი უცხოენოვან მასალას.

სამეცნიერო სახელთა ენობრივად გაფორმებისას გათვალისწინებულია: ა) ბინომინალურობის პრინციპი – ბოტანიკური ნომენკლატურის მიხედვით, თითოეული სახეობა განისაზღვრება ორი ლათინური სახელით: თავდაპირველად სახელდება მცენარის გვარი, შემდეგ - სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტი[1]; ბ) ქართული ენობრივი ტრადიციები – ტერმინები შეირჩა ან შეიქმნა ქართული ენის მონაცემებისა და ნორ-

[1] ეს პრინციპი ქართულ ბოტანიკურ ნომენკლატურაში წარმატებით გატარდა, თუმცა ლათინური თანმიმდევრობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით, პირიქითაა – სახეობის განმსაზღვრელ ეპითეტს მოსდევს გვარის სახელწოდება (Cytinus rubra – წითელი ციტინუსი).

მების გათვალისწინებით. გ) ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მონაცემებთან მიმართებითაა განხორციელებული.

„მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“ ზოგიერთ განახლებულ ქართულ სამეცნიერო სახელს მეტი მკაფიოობისათვის შეიძლება დაერთოს: 1. ფრჩხილებში წარმოდგენილი მაყაშვილისეული ის მონაცემი, რომელსაც არ ვიზიარებთ, თუმცა ვტოვებთ მისი ფართო გავრცელების გამო, მაგ., ალუბალა ონტკოფა (ონტკოფა) Physalis alkekengi L.), 2. ლათინური ნომენკლატურული სახელის ქართული თარგმანი (დახრილი შრიფტით), მაგ., მგლისბალახა, *სწორმდგომი შხაპრი* Sparganium erectum L., 3. ორივე ერთად (მაყაშვილისეული ვერსია, ლათინური სახელის თარგმანი), მაგ., *მთვლემარა* (ორქიდეა), *ბრიყვი ჯადვარი* Orchis morio L.; 3. როცა „ბოტანიკური ლექსიკონის“ სამეცნიერო სახელი ჩვენ მიერ სახეცვლილია, თავდაპირველი (მაყაშვილისეული) მონაცემი აუცილებლად აისახება მის სინონიმურ ჩამონათვალში.

„მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“ განახლებულ ქართულ ნომენკლატურულ სახელთა დამკვიდრებისათვის მივმართავთ შემდეგ ხერხებს: I. არსებულ სამეცნიერო სახელთა გასწორება, გამდიდრება; II. არსებულ სამეცნიერო სახელთა ჩანაცვლება სხვა სახელებით; III. ახალი სახელების შემოტანა, დამკვიდრება; IV. ახალი სამეცნიერო სახელების შექმნა.

I. არსებული სამეცნიერო სახელების გასწორება, გამდიდრება.

I.I. ბოტანიკური მონაცემის გათვალისწინება: ყანის ნიორი > ხახვნიორა Allium rotundum L., *A.* atroviolaceum Boiss., *A.* ponticum Miscz. ეს მცენარე ბოტანიკურად უფრო გარეული ხახვია, ვიდრე ნიორი (შდრ. მისი დიალექტური სახელები: *ჯავ.* ძაღლხახვა, *ინგილ.* ზაღლი ხახ, ხევს. ხახვნიორა), ამიტომ ხევსურული დიალექტიდან აღებული სახელი ხახვნიორა უკეთ გამოხატავს ამ მცენარის ნიშან-თვისებებს.

I.II. გვარსახეობრივი ურთიერთმიმართება (გადაჯგუფება, შეცვლა, დამატება, საერთაშორისო ნომენკლატურის გათვალისწინება). ცალკე თავსიტყვად დადასტურდება გვარის ქართული სახელი (რომელის შესაბამისად ფორმდება სახეობების სახელებიც), შდრ.: *გვარი* ძირმწარა *Aristolochia, სახეობები: ხვიარაძირმწარა* Aristolochia clematitis L. და ქართული *ძირმწარა* Aristolochia pontica Lam., A. iberica

Fisch. et C. A. Mey. ex . Boiss.; *გვარი მარწყვი* Fragaria, *სახეობები: ტყის მარწყვი* Fragaria vesca, *ბაღის მარწყვი* Fragaria virginiana Duch., *მუშკის მარწყვი* Fragaria moschata Duch.; გვარი კატაბალახა *Valeriana,* სახეობები: *სამკურნალო კატაბალახა* Valeriana officinalis *L., ალპური კატაბალახა* Valeriana alpestris Steven, *ინდური კატაბალახა* Valeriana jatamansi Jones.; გვარი *მოცვი* Vaccinium, სახეობები: *ნამდვილი მოცვი, შალშავი* Vaccinium myrtillus L., *წითელი მოცვი* Vaccinium vitis-idaea L., *ლურჯი მოცვი* Vaccinium uliginosum L., *ბაღალი მოცვი, კავკასიური მოცვი,* Vaccinium arctostaphylos L. *და სხვ.*

ცალკე ერთეულად (თავსიტყვად) გამოიყოფა ზოგიერთი იმ გვარის აღმნიშვნელი სახელწოდება (შესაბამისად, მათი სახეობებიც), რომელიც ლექსიკონში აქამდე არ ჩანდა, ან მხოლოდ სახეობის სახელწოდებებში ფიგურირებდა. ესენია: *გლიცერია Glyceria, ფუკუსი* Fucus, *ურთხელი* Taxus, *ციკუტა* Cicuta, ცეზალპინია Caesalpinia, *შროშანი* Lilium, *ჭინჭარი* Urtica, ძელქვა Zelkova, *ცხრატყავა* Lonicera, *ღიღილო* Centaurea... იშვიათად გვაქვს გვარის აღმნიშვნელი ლათინური სახელწოდების ქართულად თარგმნილი ფორმებიც, მაგ., *მლაშობურა* Salsola და სხვ.

I.III. ცვლილება სახელის მეტი მკაფიოობისათვის.

არსებულ სამეცნიერო სახელს ემატება სხვა სახელი (ქართული, მცენარის ნიშან-თვისების უკეთ ამსახველი, ფართო გავრცელების), რომელიც, თავის მხრივ, ქართული წერილობითი წყაროებიდან, სპეც. ლიტერატურიდან ან დიალექტებიდანაა აღებული, მაგ.: *დასტამბო > ნესვპუმპულა, დასტამბო* Melo dudaim (L.) Sageret, *მანანა > ბიბლიური მანანა, მანანა* Lecanora esculenta Eversm, *საათა > საათა, მზემაქცია* Hibiscus trionum L., *გლედიჩია > ხეკალა, გლედიჩია* Gleditschia, *მჭადა > ტყის ჭორიკანა, მჭადა Oplismenus undulatifolius* (Ard.) Beauv, *ულუმბო > უცხო სუნელი, ულუმბო* Trigonella coerulea (Dsr.) Ser.

ზოგჯერ არსებულ სამეცნიერო სახელს ემატება ფართო გავრცელების დიალექტური ვარიანტიც, რომელსაც ნომენკლატურული სახელის სტატუსი ენიჭება, შდრ.: *გოგრა, კვახი* Cucurbita (იმერ., რაჭ., ლეჩხ.), *მურყანი, თხმელა* Alnus (ჯავახ. , იმერ., რაჭ., ლეჩხ., ზ.-გურ., აჭარ.), *იფანი, კოპიტი* Cucurbita (იმერ., გურ.), *ჩვეულებრივი მოცვი, შალშავი* Vaccinium myrtillus L. (ხევს., ფშ., მოხ.), *შალაფა > შალაფა, ჩალამკალამი* Sorghum halepense (L.) Pers. (იმერ., რაჭ., გურ.)...

არსებულ სამეცნიერო სახელს ჩამოშორდება ერთ-ერთი სინონიმი, შდრ.: *პაპირი, პაპირუსი > პაპირუსი* Cyperus alternifolius L. ; *ქერიფქლა, გულსოსანა > ქერიფქლა*Verbascum...

გვაქვს შემთხვევები, როცა არსებულ სამეცნიერო სახელს ჩამოშორდება ერთ-ერთი სინონიმი, მაგრამ ემატება სხვა: *ჟაბო, შაბო, შაბუ > ჟაბო, მართული* Cheiranthus cheiri L. (საბა); *კოლრაბი, ხვიტი > კეჟერა, კოლრაბი* Brassica oleracea L. var. gongylodes L. (იმერ., გურ.).

იცვლება არსებულ სამეცნიერო სახელთა რიგითობა, ერთ-ერთი სახელის ფართო გავრცელების გათვალისწინებით: *არაქისი, მიწის თხილი > მიწის თხილი, არაქისი* Arachis hipogaea L. *ძეწნა, მტირალა ტირიფი > მტირალა ტირიფი, ძეწნა, ბაბილონის ტირიფი* Salix babylonica L.

II. არსებული სამეცნიერო სახელების ჩანაცვლება სხვა სახელებით.

II.I. მკაფიოობა.

შეირჩა უფრო ზუსტი, კონკრეტული დასახელება, შდრ.: *ბია > ბიაკომში* Cydonia oblonga Mill. (= C. vulgaris Pers.). აქ სამეცნიერო სახელი *ბია* შევცვალეთ კახური *ბიაკომშით,* რადგან ბია დასავლურ დიალექტებში ბაღის კომშის სახელიცაა.

